The study revealed statistical data of Ossetian population, the number of settlements and there condition, and other important aspects which caused migration.

The result is rather important not only for the study of the Georgian-Ossetian relations but in understanding the current conflicts better. Ossetian population living in the regions of Georgia can be considered as one of the key elements in the conflict resolution, which unifies the political, economic and cultural issues. The present work is based on our survey, the results of which formed different vision of the conflict and its resolution methods. It will be interesting not only for listeners and researchers, but for decision-making bodies as well.

ანჩაბაძე გიორგი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ოსები ქართულ ლაშქარში უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე

ქართველი ხალხის წინაპრებს უძველესი დროიდან მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდათ ჩრდილო კავკასიაში და აღმოსავლეთ ევროპის ველებში მცხოვრებ ხალხებთან და, მათ შორის, მრავალრიცხოვან სარმატულ ტომებთან. ამ ურთიერთობების ერთ-ერთი ასპექტი იმთავითვე იყო სამხედრო საქმე.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში წერილობითი წყაროების თვალსაწიერში ხვდება სარმატების კიდევ ერთი მომთაბარე ტომური გაერთიანება – *ალანები*, რომელიც თანდათანობით წინაკავკასიის დაბლობებსა და მთისწინეთს იკავებს, სადაც ერწყმის ადგილობრივ კავკასიურ მოსახლეობას. ამ პროცესების შედეგად დროთა განმავლობაში ყალიბდება ეთნოსი, რომელიც ქართველებისთვის ცნობილი გახდა *ოვსების*, ანუ *ოსების* სახელწოდებით (ალან-სარმატული ეთნონიმიდან "ას"). ეს ტერმინი იმდენად შეისისხლხორცა ქართულმა საისტორიო მწერლობამ, რომ შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსები ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრის ამბების აღწერისას ოსებად მოიხსენიებენ ალანთა წინამორბედ ჩრდილოკავკასიელ სარმატებსაც.

ასე, მაგალითად, XI საუკუნის ავტორის, ლეონტი მროველის მიხედვით, ძველი ქართლის სამეფოს (იბერიის) ჩამოყალიბების ხა-

ნაში (ძვ.წ. IV ს. ბოლო) ფარნავაზის მოკავშირეებად აზონთან ბრძოლაში ეგრისელთა გვერდით ვხედავთ ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებს – "ოსებს", ლეკებს და სხვ.¹

ამ დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ბოლომდე ქართველი მეფეების ლაშქარში როგორც დამხმარე ძალას (მოკავშირეებისა და დაქირავებულების სახით) ყველაზე ხშირად ვხედავთ ოსებს და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებს. კერძოდ, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, როდესაც ქართლის (იბერიის) სამეფო ძლიერდება და აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს (ომები პართიასთან, სომხეთთან, პოლიტიკური კონფრონტაცია რომის იმპერიასთან), მისი სამხედრო დასაყრდენი, გარდა ქართველი მეომრებისა, არიან სარმატები, ჩრდილო კავკასიელი მთიელები, ალბანები. ამ ალიანსის შედეგი იყო ქართლის მეფე ფარსმანის შთამბეჭდავი გამარჯვება პართიელთა ლაშქარზე, რომელსაც სარდლობდა უფლისწული ოროდი, პართიის მეფის ვაჟი².

ალანების გამოჩენა კავკასიის ჩრდილოეთ პერიფერიაზე (დონისპირეთი, აზოვისპირეთი) ახ.წ. I საუკუნის შუა ხანებში ივარაუდება³. როგორც ჩანს, მათი პირველი დიდი ლაშქრობა კავკასიონის სამხრეთით, შედგა ახ.წ. 72 წელს, რომლის დროსაც აოხრებული იქნა სომხეთი და პართიის სამეფოს მოსაზღვრე ტერიტორიები. იოსებ ფლავიუსის ცნობით ეს თავდასხმა განხორციელდა იბერთა დახმარებით, რომლებმაც ჩრდილოელებს დარიალის კარი გაუღეს. ისტორიკოს ვ. ვინოგრადოვის აზრით, სწორედ ამ დროს დაიდო კავშირი ალანებსა და იბერებს შორის⁴. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ალან-სარმატი მეომრები არა მარტო დროებით გადმოჰყავდათ ქართლში დიდი სამხედრო კამპანიების დროს, არამედ მათი ცალკეული რაზმები მუდმივად იმყოფებოდნენ ქართველ მეფე-მთავართა კარზე, მსახურობდნენ მათ მუდმივ ლაშქარში⁵.

ცხადია, როდესაც ტრადიციულ კავშირებზე ვლავარაკობთ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მეზობლებს შორის ადგილი არ ჰქონია პერიოდულ შეტაკებებს. ქართულ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულია ალან-ოსების რამდენიმე თავდასხმა საქართველოზე

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ., 1955. გვ. 23.

² ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ა. გამყრელიძემ. თბ., 1973. გვ. 55–57.

³ *История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII века.* Москва, 1988. С. 85–86.

⁴ Виноградов В.В. *Сарматы Северо-Восточного Кавказа.* Грозный, 1963. С. 168.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. / რედ. გ. მელიქიშვილი. თბ., 1970. გვ. 527–528.

და ქართველი მეფეების საპასუხო ლაშქრობები ჩრდილო კავკასიაში გვიან ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში, მაგრამ იმ ფაქტზე, რომ იმ ხანად კავკასიის ხალხებს შორის კეთილმეზობლობა და მოკავშირეობა უფრო დამახასიათებელი იყო, ვიდრე მტრობა, მიუთითებს "ქართლის ცხოვრების" შემდეგი ფრაზაც: "და იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართუელნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა"¹.

ადრეულ შუა საუკუნეებში (VI-X სს.) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოები ხშირად ანარმოებდნენ ომებს როგორც უცხოელ დამპყრობლებთან, ისე ერთმანეთთან, მაგრამ ჩრდილოკავკასიური კონტინგენტების მონაწილეობა ამ ომებში იშვიათად ჩანს. სწორი არ იქნება ეს ფაქტი ტრადიციულ სამხედრო მოკავშირეობა-მოქირავნეობის შემცირებით ავხსნათ. ჩემი აზრით, ცნობების არარსებობა გამონვეულია წყაროთა სიმწირით. ამ პერიოდის მემატრიანეები მოკლედ აღწერენ მხოლოდ მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებს, ხოლო ისეთი დეტალები, როგორიცაა ჯარების რაოდენობა, შემადგენლობა, სტრუქტურა და ა.შ., როგორც წესი, მათი ყურადღების მიღმა რჩება. ნარატიულ წყაროებში დაფიქსირებულია იმიერკავკასიელთა სალაშქროდ მონვევის მხოლოდ ცალკეული ფაქტები – მაგალითად, 589 წელს ქართლის ერისმთავრის გუარამის მიერ ქართველებითა და ჩრდილოკავკასიური დაქირავებული რაზმებით (ოსები, დურძუკები, დიდოელები) ირანის პროვინცია ადარბადაგანის დარბევა²; გარდა ამისა, XI საუკუნის ანონიმი ავტორი 885 წლის ამბების აღწერისას აფხაზთა მეფის ლაშქარში აღნიშნავს ოსი მთავრის ყოფნას, რომელსაც, სავარაუდოდ, საკუთარი სამხედრო რაზმი ახლდა³.

X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა ბაგრატიონთა ტახტის გარშემო, თუმცა ერთიანი სამეფოს გარეთ ჯერ კიდევ რჩებოდა ზოგი განაპირა ქართული ოლქი და თბილისი – მცირე მაჰმადიანური სამთავროს ცენტრი.

X საუკუნის დასაწყისში ყალიბდება ოსეთის (ალანეთის) სამეფოც. ისტორიკოსთა აზრით, X-XI საუკუნეები ოსეთში სტაბილურობისა და შინაგანი კონსოლიდაციის ხანაა⁴, რაც მის მმართველებს საჭიროების შემთხვევაში საკმაოდ დიდი ძალების გამოყვანის საშუალებას აძლევდა. X საუკუნის არაბი ისტორიკოსისა და

¹ ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 49.

² ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 219–220.

³ იქვე, გვ. 261.

⁴ Кузнецов В. А. *Алания в X–XI веках*. Орджоникидзе, 1971. С. 30, 234–235.

გეოგრაფოსის – მასუდის ცნობით, ალანთა მეფეს 30 000 მხედარი გამოჰყავდა¹.

საქართველოსა და ოსეთს შორის უკვე ბაგრატ IV-ის დროს (1027–1072), თუ უფრო ადრე არა, მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კავშირი მყარდება, რომელიც განმტკიცდა დინასტიური ქორწინებით: ბაგრატს ცოლად მოჰყავს ოსთა მეფის ასული ბორენა².

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: მის საზღვრებს მოადგნენ თურქი-სელჩუკები. სულთანმა ალფ-არსლანმა 1064 და 1067-1068 წლებში მძიმედ ააოხრა ქვეყნის დიდი ნაწილი, მაგრამ ბაგრატ მეფე მტერს არ დამორჩილდა. სულთანი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა ზავის დადებად. ლაშქრობაში ალფ-არსლანს თან ახლდა რანის (შემდეგი დროის განჯა-ყარაბაღი) ამირა ფადლონი, რომელსაც სულთანმა თბილისი გადასცა. სელჩუკთა მთავარი ძალების წასვლის შემდეგ ბაგრატ IV-მ სასტიკად დაამარცხა ფადლონის 33-ათასიანი ლაშქარი და თბილისი წაართვა მას. მაგრამ რადგანაც დამარცხებული ფადლონი არ წყნარდებოდა და სამაგიეროს გადახდას ცდილობდა, საქართველოს მეფემ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ სამაგალითოდ დაესაჯა იგი. მან მოიწვია ოსთა მეფე დორლოლელი, ბორენა დედოფლის ძმა, რომელმაც მემატიანის ცნობით 40 000 მეომრით გადმოლახა კავკასიონი (ციფრი გადაჭარბებული უნდა იყოს). ოსებმა მოარბიეს რანი, მრავალი ტყვე და ალაფი იმოვნეს. ეს გამარჯვება ბაგრატმა დორლოელის პატივსაცემად 12-დღიანი ზეიმით აღნიშნა, რის შემდეგ უხვად დასაჩუქრებული ოსთა მეფე და დიდებულები თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ³.

სელჩუკებისგან საქართველოს საბოლოო განთავისუფლება, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს (1089–1125) მოხდა. სომეხი მემატიანის მათე ურჰაელის ცნობით, გადამ-

¹ Масуди о Кавказе // Минорский В.Ф. *История Ширвана и Дербенда X–XI веков*. Москва, 1963. С. 205.

² *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. გვ. 295.

³ *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. გვ. 313. – როგორც ჩანს, ეს არ იყო ოსების პირველი ლაშქრობა განჯის საამიროზე. XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობით, რომელიც ამჟამად დაკარგული წყაროებით სარგებლობდა, დარიალის გზით გადმოსულმა ალანებმა 1062 წელს ააოხრეს რანი და 20 ათასი ტყვე წაასხეს. 1065 წელს ქართველებთან ერთად მათ კვლავ დალაშქრეს რანი მდინარე არაქსამდე.

ნყვეტ ბრძოლაში დიდგორთან დავითის 56-ათასიან ლაშქარში 500 მეომარი იყო "აღანთა ტომისაგან"¹.

დაახლოებით ასწლიანი პერიოდს, დანყებულს დავით აღმაშენებლის მეფობიდან საქართველოში მონღოლთა გამოჩენამდე (XIII საუკუნის 20-იანი წწ.), უწოდებენ ფეოდალური საქართველოს "ოქროს ხანას", რომლის დროსაც ქვეყანამ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ამ დროს სისტემატურად წარმოებს შეტევითი ომები მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, უფრო გახშირდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების (ოსები, ყივჩაყები, დურძუკები, ლეკები, ქაშაგები, ხუნძები და სხვ.) მონყვევა სამხედრო სამსახურში. ე.წ. ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანეს სიტყვით: მეფე გიორგი III "ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან"². ჩრდილოკავკასიელი ხალხების ფეოდალურ-გვაროვნული ზედაფენა სიამოვნებით თანხმდებოდა ამ მონყვევებზე, რაც მათ უქადდა ჯამაგირსა და საჩუქრებს საქართველოს დიდი მეფეებისგან, ომში მოპოვებულ დავლას, მხედრულ დიდებას და სახელს. როგორც ჩანს, ოსებისა და ყივჩაყების რჩეული რაზმები მუდმივად იმყოფებოდნენ თბილისში სამეფო კარზე, მონაწილეობდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ცერემონიებში³.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩრდილო კავკასიელი მეომრების დაქირავების პრაქტიკა არ იყო მხოლოდ მარტივი გარიგების შედეგი (ფული სამსახურის სანაცვლოდ), არამედ იგი წარმოადგენდა ფეოდალური პერიოდისათვის დამახასიათებელ რაინდულ ურთიერთობათა ფორმას, დაფუძნებულს ტრადიციულ კავშირებსა და თანამეგობრობაზე. მატერიალური ანაზღაურება ამ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა (რაც ბუნებრივია), მაგრამ იგი არ იყო პროცესის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა.

XI საუკუნის ბოლოს თუ XII საუკუნის დასაწყისში აღანთა სახელმწიფო, როგორც ჩანს, რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს: "მეფენი ოვსეთისანი და ყოვლნი მთავარნი მათნი"⁴). XII-XIII საუკუნეებში ეს გაერთიანებები ქართული მონარქიის გავლენის ქვეშ იყვნენ. მუა ფეოდალური ხანის საქართველო-ოსეთს შორის არსებული მჭიდრო კავშირის ნათელი დადასტურებაა არა მარტო ოსების რე-

¹ ლიანა დავლიანიძე. *მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ* // "საქართველო რუსთაველის ხანაში". რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 1966. გვ. 246.

² *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. გვ. 367.

³ *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1959. გვ. 65.

⁴ *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. გვ. 336.

გულარი მონანილეობა ქართულ ლაშქარში, არამედ დინასტიური ქორწინებებიც. მრავლისმთქმელია მარტო ის ფაქტიც, რომ თამარ მეფის დედა, დედოფალი ბურდუხანი, ოვსთა მეფის ასული იყო, ხოლო თამარის მეუღლე და ქართული ლაშქრის მთავარსარდალი დავით სოსლანი – ოსი უფლისწული. თამარის "ბრძანებითა და გამორჩევითა" და დავითის სარდლობით ქართულმა ჯარმა მრავალი გამარჯვება მოიპოვა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შამქორის (1195) და ბასიანის (1202) ბრძოლები.

ქართული წყაროებით, დავით სოსლანი წარმომოხიბობით ბაგრატიონთა უმცროსი შტოს წარმომადგენელი იყო, რომელიც XI საუკუნეში დამკვიდრდა ოსეთში. თამარის პირველი ისტორიკოსი ასე ახასიათებს მეფე დავითს: "კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენიებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მკნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული"¹.

XIII საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს ახალი განსაცდელი დაატყდა თავს მონღოლებისა და ხვარაზმელების სახით. ჩრდილოკავკასიელი მოკავშირეები თავდაცვით ომებშიც ქართველების გვერდით დგებთან. ჟამთააღმწერლის ცნობით, მეფე რუსუდანმა "განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანნა ოსნი, დურძუქნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი"².

ოსები მონანილეობენ თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაშიც საქართველოს ტერიტორიაზე (XIV საუკუნის ბოლო და XV საუკუნის დასაწყისი). "ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ნუსხის მიხედვით, მხედართმთავარი არქაპოს მაჩაბელი ოსებისა და ქართველებისგან შემდგარი 2-ათასიანი რაზმით პარტიზანული ომის მეთოდებით ებრძოდა ზემო ქართლში შემოჭრილ ჩალათაელებს და აიძულა ისინი უკან დაეხიათ³.

XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სამეფო რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ქვეყნის მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში საქართველოს გაუმეზობლდა ორი ძლიერი და აგრესიული სახელმწიფო – ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი. დაიწყო ქართველი ხალხის 300-წლიანი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადი კულტურის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ხშირი შინაომების ფონზე, რაც პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყნის მდგომარეობას უფრო ამძიმებდა.

ამ დროისათვის ოსთა სახელმწიფოებრიობა ჩრდილო კავკასია-

¹ ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 100.

² ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 183.

³ იქვე, გვ. 337.

ში უკვე მოსპობილი იყო, ხოლო ეთნიკური ტერიტორია – მნიშვნელოვნად შეკვეცილი. ოსეთის ქარბი მოსახლეობა იწყებს თანდათანობით სამხრეთში გადმოსვლას და საქართველოს მთიანეთის (ცენტრალურ ნაწილში დამკვიდრებას (პირველი ოსური დასახლებები აქ ჩანს XIV–XVI საუკუნეებიდან). ეს პროცესი ძირითადად მშვიდობიანი ხასიათისა იყო, რადგან საქართველოს მოსახლეობის შეთხელების გამო, რაც XIV საუკუნის შემდეგ იწყება, ქართველი მეფეები დაინტერესებულები იყვნენ ქვეშევრდომთა მატებით. ოსები, როგორც საქართველოს მცხოვრებლები, მონაწილეობენ მის შეიარაღებულ ძალებში, ჩრდილოკავკასიელ ოსებს კი ქართველი მეფეები კვლავ მოქირავნების სახით იწვევდნენ. წერილობით წყაროებში ადგილობრივი და დროებით მონვეული ოსები უკვე განიჩქვებიან ერთმანეთისგან და იწოდებიან *პირაქეთ* (ე.ი. სამხრეთელ) და *პირიქით* (ჩრდილოელ) ოსებად. მაგალითად, 1752 წლის ამბების აღწერისას, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს, რომ თეიმურაზმა და ერეკლემ შაქის სახანოზე სალაშქროდ "შემოიყარეს ჯარი ქართლისა და კახეთისა, პირიქით და პირაქეთ ოსისა, მოკვეცივესურნი და ყოველი მთის ჯარები"¹.

ინფორმაცია ოსების მონაწილეობის შესახებ ქართულ ლაშქარში აღნიშნულია 1768 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ დედოფალ ეკატერინე II-ისადმი მირთმეულ რაპორტში, სადაც აღნიშნულია ოსების კეთილგანწყობილება ქართველები-სადმი და ნათქვამია, რომ ქართველი მეფეები (მფლობელები) საკუთარი ხალხის სიმცირის გამო, ოსებით ავსებენ თავისი ჯარების რიგებს, რისთვისაც უზიძვებენ მათ ნებაყოფლობითი მოქირავნობისაკენ². შემონახულია ერეკლე II-ის წერილები მთიელი მეომრების მონვევა-დაქირავების თაობაზე. მაგალითად, 1791 წლის 29 ივლისით დათარიღებულ წერილში მეფე გაბრიელ ყაზიბეგაშვილს წერს: "ახლავ უნდა შეატყობინოთ და მოამზადოთ. ჩერქეზნიც უნდა მოამზადოთ, თავაურებიც, ანგუშტელებიც, ქისტებიც, ლლილვეებიც და სხვანიც ჩვენ მაგათთვის ცალ-ცალკე წიგნები მიგვიწერია მომზადებისა. და ჩვენი კაცი და წიგნი როდესაც მოუვიდესთ მაშინ უნდა დაუაროთ და დასძრათ ის ჯარები და როგორც დაგვებარებინოს ისე საჩქაროთ გამოისტუმროთ"³.

¹ პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი*. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1981. გვ. 191.

² Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Том I, с 1768 по 1774 год / Под ред. Цагарели А.А. СПб, 1891. С.10.

³ Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.) Документы и материалы. II выпуск. Материалы подобрал и подготовил к печати В.Н. Гамрекли. Тб., 1991. С. 133.

მთიელთა ლაშქარი ერეკლე II-ს იმ განუწყვეტელი ბრძოლები-სათვის ჭირდებოდა, რომელსაც ქართლის-კახეთის სამეფო ეწოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ. სამხედრო მოქმედებებში მთავარ ძალას, ცხადია, წარმოადგენდა ადგილობრივი ლაშქარი, ანუ "ქვეყნის ჯარობა", მაგრამ მოკავშირე და დაქირავებული კონტინგენტების როლიც მნიშვნელოვანი იყო. ასე, მაგალითად, 1754 წელს ცნობამ ჩრდილო კავკასიიდან ქართველების დასახმარებლად მრავალრიცხოვანი რაზმების ჩამოსვლის შესახებ ("ჯარი ჩერქეზისა, კალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ლილივისა, ნოლისა და ოსისა"), ქართლში შემოჭრილი მტრის ჯარი უკან გააბრუნა¹. პაპუნა ორბელიანის ცნობით, დამხმარე ლაშქარი თბილისთან დააყენეს, თუმცა ქვეყანას მტერი აღარ ემუქრებოდა. მაშინ დაქირავებული რაზმების მეთაურებმა თეიმურაზს და ერეკლეს მოახსენეს: "ან გვაჩვენე მტერი თქვენით და ზედ შეგვახოცეთო და ან დასტური გვიბოძეთო, ჩვენ ქვეყანაში წავიდეთო ბძანეს მეფეთა ჩვენთა გასტუმრება, უბოძეს უფროსთა კაცთა ოქროსა და ვერცხლისა იარაღნი და ლარნი ტურფანი და ჯარისკაცთა ყოველთა მისცეს თვის-თვისად შესაფერნი ლარნი და იარაღნი და ან რომელთა ოსთა ჰქონდათ ძველთავე ბაგრატიონთაგან ჯამაგირის წიგნი, განუახლეს და უბოძეს ჯამაგირი" (გამოყოფა ჩვენია. – გ. ა.)².

XVIII საუკუნის ისტორიამ საბრძოლო თანამეგობრობის მრავალი ფაქტი შემოინახა, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. ოსები ქართული ჯარის რიგებში ჩანან ირანელებისა და ოსმალების, ამიერკავკასიელი ხანებისა და მოთარეში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში.

საჩვენებლად იმისა, თუ როგორი იყო ქართულ ლაშქარში მომსახურე კავკასიელი მთიელების ანაზღაურება, მოვიყვანთ ფრაგმენტებს ერეკლე II-ის წერილიდან ინგუშ ჩიჩოასშვილისა და "ერთობლივ ლილიველებისადმი" (1788 წ.): "თუ ჩვენი ერთგულნი ხართ, – წერს მეფე, – და ჩვენზედ ჳელის აღება არ გინდათ და თქვენის ამოდენის ხნის სამსახურს არ ჩაატარებთ, ეს ჩვენი წიგნი რომ მოგივიდესთ უნდა მოემზადნეთ და თქვენი მზას ყოფნა შეგვატყობინოთ რამდენიც თვეც ჩვენთან დაგვიანდებით კაცის თავს თვეში თორმეტს ტანს ფარჩას მოგცემთ და რომელთაც ჯამაგირი გაქვსთ, ჯამაგირსაც მოგცემსთ; და იქნება რომ საშოვარიც გამოვინოთ თუ ტყვეს იშოვნით იცოდეთ, რომ არავინ გამოგართმევსთ; იქნებ რომ სყიდვით კი ვიყიდოთ"³.

¹ პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი*. გვ. 219.

² პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი*. გვ. 221.

³ Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии. Тб., 1991. С. 112.

ერეკლეს მუდმივ წარმომადგენლებს ჩრდილო კავკასიაში, რომლებიც მოხალისეებს აგროვებდნენ, მეფის სახელით წლიური ჯამაგირი ეძლეოდათ. მაგალითად, 1785 წლის 22 ოქტომბრითაა დათარიღებული წერილი თავაურელ ბეზა ადლიშვილისადმი: "ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან გაგიჩინეთ ჯამაგირი შენ ჩვენს ერთგულსა და სამსახურის მონადინეს თავაურს ადლიშვილს ბეზას წელიწადში თორმეტის მარჩილის ფარჩა. თუ შენ ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა იქნები ამ ჩვენს განწესებულს ჯამაგირს ჩვენის კარის მოხელენი ყოველს წელიწადს უკლებლად მოგცემენ და არ მოგეშლება იცოდე"¹. მართლაც, ამავე დოკუმენტზე არსებულ მინაწერებში აღნიშნულია თუ რამდენჯერ, და როდის მიიღო ბეზამ კუთვნილი სარგო. აგრეთვე ვხედავთ, რომ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეს გიორგი XII-ს 1799 წელს განუახლებია წყალობის წიგნი.

აჯილდოვებდნენ ქართველი მეფეები მთიელთა იმ თავკაცებსაც, ვისაც თავისი ხალხი გადმოჰყავდა ქართლში მტრის შემოსევებით დაცარიელებული ადგილების ასათვისებლად. შემონახულია ერეკლე II-ის მიერ 1794 წელს გაცემული საბუთი ნარელი თუჯი ქუნდუხაშვილისადმი, რომელსაც მეფემ აზნაურობა მიანიჭა ნარელი ოსების ჩამოყვანისათვის. "ეს წყალობა გვიქნია შენთვის და შენის შვილებისათვის, – აღნიშნულია დოკუმენტში, – რომ აზნაურისშვილობის პატივი გქონდესთ და თარხანნი იყვნეთ ყოვლისა ბეგარისა და გამოსაღებისაგან, თვინიერ ლაშქარ-ნადირობისაგან"². ამრიგად, ქართლში დამკვიდრებული თუჯი ქუნდუხაშვილი და მისი შთამომავლობა, თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისგან, გარდა სამხედრო სამსახურისა.

ერეკლე II ზრუნავდა ბრძოლაში გამირულად დაცემული მეომრების ოჯახთა მატერიალურ უზრუნველყოფაზეც. მაგალითად, 1786 წელს მეფე ცხინვალში მამულის ბოძების საბუთს უახლებს ნარელ დოხჩიყო ხეთაგურს, იმის აღსანიშნავად, რომ მისი შვილიშვილი ბოლათიყო 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში "მწნეთ გაისარჯა" და დაიღუპა³.

¹ იქვე, გვ. 50.

² Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии. Тб., 1991. С. 138.

³ იქვე, გვ. 58-59.

Anchabadze Giorgi

Tbilisi, Georgia

OSSETIANS IN THE GEORGIAN ARMY FROM THE ANCIENT TIMES TO THE END OF THE XVIII CENTURY

1. The ancestors of Georgian people in ancient times had close relations with the peoples of the North Caucasus, including, Sarmatian tribes. One aspect of these relations was based on military service. So it is no coincidence that since the establishment of the Iberian kingdom (IV c. BC) Sarmats along with other North Caucasian tribes, are the traditional military allies of Iberia.

2. From the Sarmatian tribes at the beginning of our era especially strong became the Alans (Ossetians in Georgian sources). Alans were reliable power units for the Iberian kings to to fight with enemies from outside.

3. XII - XIII century is considered the so-called "Golden Age", when the country reached the peak of its power. This period of development for the country of Ossetia which established in the X century and which had close relations with Georgia. There is clear evidence of Ossetian representatives in the Georgian arm well as Georgian and Ossetian dynastic marriages between the royal families.

4. XIV-XVIII centuries saw severe wars against enemies from outside. In those wars Georgians and Ossetians fought together. Part of them in this period settled down in the mountainous central part of Georgia. They as the residents of the country take part in the country's armed forces. As for the North Ossetians, the Georgian kings, as well as other peoples of the North Caucasus, were invited to the army as hired soldiers.

ბასილაშვილი ამირან

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
კავკასიოლოგია, სტუდენტი*

ოსური დამწერლობის ისტორიიდან

ოსური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს. ოსური ენა გავრცელებულია რუსეთის ფედერაციაში: ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკა ალანიაში, სტავროპოლის მხარეში, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე, საქართველოში – ცხინვალის რეგიონში, ასევე კახეთის, იმერეთის და რაჭის ზოგიერთ სოფელში, სადაც კომპაქტურად სახლობს ოსური მოსახლეობა.

ოსურ ენას ხანგრძლივი ენობრივი ურთიერთობა აქვს ადგილობრივ, იბერიულ-კავკასიურ ენებთან. ამ ურთიერთობის შედეგად ოსურმა შეითვისა და მის ფონემატურ სისტემაში წარმოდგენილია ე.წ. „კავკასიური ბგერები“ – აბრუპტივი (მკვეთრი) თანხმოვნები: **პ ტ ნ ქ ყ**. ასევე, ოსური ენის ლექსიკაში შეიმჩნევა კავკასიური სუბსტრატი.

ოსური დამწერლობის ისტორია მე-18 საუკუნიდან იწყება. თუმცა ჩვენამდე მოღწეული მცირეოდენი ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებმაც საფლავის ქვებზე წარწერების სახით მოაღწიეს, ცხადყოფენ, რომ ოსებს დამწერლობის შექმნის ცდა უფრო ადრეც ჰქონიათ.

1888 წელს მდ. ზელენჩუკის ხეობაში (ყუბანი) არქეოლოგმა დიმიტრი სტრუკოვმა იპოვნა საფლავის ქვა, რომელის წარწერაც ბერძნული ასოებით იყო შესრულებული. აღმოჩნდა, რომ ქვაზე ოსური სიტყვებია დაწერილი ბერძნული გრაფემებით. ძეგლი დათარიღდა 941 წლით (აბაევი 1949 : 260).

ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემონახულია საფლავის ქვები, რომლებზეც არაბული ასოებით არის დაწერილი ოსი მიცვალებულების გვარები და სახელები. ეს წარწერები XIV საუკუნით თარიღდება (თედეევი 1979 : 5).

როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ოსეთის ეკლესიებსა და საკრალურ ადგილებში ბევრგან გვხვდება ქართული გრაფიკით შესრულებული ოსური წარწერები.

პირველი ცდა ოსებისათვის საკუთარი ანბანის შექმნისა და კავშირებულია ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის მოღვაწეობასთან. კომისია 1745 წელს შეიქმნა რუსეთის ეკლესიის

სინოდის გადაწყვეტილებით. ამ კომისიის წევრი იყო ქართველი სასულიერო მოღვაწე, არქიმანდრიტი გაიოზი, რომელმაც შეადგინა ოსური ანბანი ძველი საეკლესიო სლავური გრაფიკის საფუძველზე და რუსულიდან ოსურად თარგმნა მოკლე კატეხიზმომ ანუ პირველდანიეებითი სწავლა ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. წიგნი მოსკოვში 1798 წელს დაიბეჭდა.

გაიოზის შედგენილმა ანბანმა ოსეთში გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან მის ანბანში არ იყო გარკვეული და დაზუსტებული ოსური ენის ბგერათა თავისებურებანი. მიუხედავად ამისა, გაიოზის ნათარგმნ წიგნს ისტორიული ღირებულება მაინც აქვს, ის ითვლება ოსურისთვის პირველ ბეჭდურ წიგნად.

გაიოზის შემდეგ ოსებისთვის ანბანის შედგენა ითავა იოანე იალღუზიძემ, ეთნიკურმა ოსმა (ნამდვილი გვარია გაბარათი). ი. იალღუზიძე დაიბადა 1775 წელს ჯავის რაიონში. მცირეწლოვანების ჟამს ერეკლე II-ის ბრძანებით ჩამოიყვანეს და დავითგარეჯის მონასტერში გაამწესეს, სადაც შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია, ქართული მწერლობა, ფოლკლორი. 1920 წლიდან ი. იალღუზიძე ქართულ და ოსურ ენებს ასწავლის ოს სტუდენტებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, ი. იალღუზიძე ცნობილია როგორც გადამწერი და პოეტი. მას გადაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“. მასვე ეკუთვნის პოემა „ალღუზიანი“, რომელშიც გადმოცემულია ოს-ჩერქეზთა მეფის, ალღუზის, საგმირო საქმეები (თედეევი 1985 : 5-7).

ი. იალღუზიძემ ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნა ოსური ანბანი, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1821 წელს. ანბანი ხუცური შრიფტითაა დაბეჭდილი. ი. იალღუზიძემ ქართულ ანბანს ოსური ენის სპეციფიკური ბგერებისთვის ორი ნიშანი დაუმატა და შეადგინა ოსური ენისათვის სრულყოფილი ანბანი. ეს დამატებითი ნიშნებია: 1. z – დავინროებული ა (თანამედროვე ოსური გრაფიკით -ჰ); 2. i – გერმანულიდან გადმოღებული ნიშანი, ქართული დ-ის შესატყვისი (თანამედროვე ოსური გრაფიკით – ი). სხვა სპეციფიკური თანხმოვნების გადმოსაცემად ი. იალღუზიძემ გამოიყენა ქართულ გრაფიკაში ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული ასოები გ და ჟ (თანამედროვე გრაფიკით ხ, ჟ) (თედეევი 1985 : 27).

ი. იალღუზიძემ ქართულიდან ოსურზე თარგმნა რამდენიმე ტექსტი: 1. 1802 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც ეხება სოფ. ვანათში სასამართლოს დაწესებას. ოსური ტექსტი შესრულებულია ქართული გრაფიკით. ხელნაწერი 1926 წელს ქართველმა ისტორიკოსმა დავით კარიჭაშვილმა აღმოაჩინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში, ხოლო საფუძვლიანად

შეისწავლა გიორგი ახვლედიანმა, ქართველმა ლინგვისტმა და ოსოლოგმა.; 2. ლოცვანი, დაიბეჭდა თბილისში 1820 წელს (ტირაჟი 300 ეგზემპლარი); 3. საღმრთო ლიტურგია (მოსკოვი, 1821 წ., 600 ეგზემპლარი); 4. ოთხთავი, შესრულებული 1923 წელს, რომელიც არ გამოქვეყნებულა; 5. გამოკრებილი კურთხევანი (მოსკოვი, 1824, 500 ეგზემპლარი). აღსანიშნავია, რომ ხელნაწერები მხედრულად სრულდებოდა და იბეჭდებოდა ხუცურად. ამ ნიგნებით სარგებლო ბდნენ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთის სამრევლოებში თითქმის 25 წლის მანძილზე (თედეევი 1964 : 109-120).

ჩვენ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ქართული გრაფიკით შესრულებული ოსური ტექსტები ი. იალღუზიძემდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა:

1. რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი როდესაც საუბრობს გაიოზის მიერ ოსურისთვის რუსული გრაფიკის გამოყენების შესახებ, იქვე დასძენს, რომ ქართველებიც ოსური ენის გადმოსაცემად ხმარობდნენ თავიანთ ასოებს დიდი სიზუსტით (თედეევი 1979 : 6).

2. მოსე ჯანაშვილი, ქართველი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, წერს, რომ ერეკლე II-ის დროს მეფის სტამბაში იბეჭდებოდა ა საღმრთო ნიგნები ოსურ ენაზე ხუცური ანბანით, რომელსაც დაემატა ოსურისთვის დამახასიათებელი რამდენიმე გრაფიკული ერთეული. ჯანაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი ნიგნი თავადაც უნახავს, 1753 წელს დაბეჭდილი (თედეევი 1979 : 7).

3. საარქივო მასალიდან, რომელიც პეტერბურგის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება, ჩანს, რომ მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებში უკვე არსებობდა ქართული ანბანით ნაწერი ოსური ხელნაწერები. ამ ხელნაწერების შესრულებაც ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიის სახელთან არის დაკავშირებული. ამ კომისიის წევრს, ილუმენ გრიგოლს, უთარგნია რამდენიმე სასულიერო ხასიათის ძეგლი ქართული გრაფემებით, თუმცა გრიგოლის საქმიანობას საყოველთაო ხასიათი არ მისცემია და მისი თარგმანები ხელნაწერის დონეს არ გასცილებია (თედეევი 1979 : 7).

თანამედროვე ოსური დამწერლობის ბედი საბოლოოდ გადაწყდა მე-19 საუკუნის შუა წლებში ანდრია შეგერენის მიერ. მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, აკადემიკოსმა ა. შეგერენმა (1794-1855), იმოგზაურა ოსეთში. ის 1835 წელს ჩამოვიდა კავკასიაში თვალის ავადმყოფობის გამო მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ და ოსური ენის შესასწავლად. ა. შეგერენმა კირილიცას საფუძველზე დაამუშავა და შეადგინა ოსური ანბანი. მანვე პირველმა შექმნა ოსურის გრამატიკა (Шагрен А., Осетинская грамматика, СПб, 1844). საინტერესოა შეგერენისეული დამწერლობის შეფასება ეროვნებით ოსი გიორგი ჩოჩიშვილის მიერ. მან გაზეთ „დროების“ 1883 წლის 199-ე ნომერში გამოაქვეყნა წერილი, სახელწოდებით „ოსური ან-

ბანი“. ნერილში მიმოხილულია ოსური დამწერლობის ისტორია და იოანე იალღუზიდისა და ანდრია შეგერენის მოღვაწეობა. გ. ჩოჩიშვილი წერს: „ჩვენ უნდა გამოვსტყდეთ და ვსთქვათ, რომ ამით (იგულისხმება შეგერენის მიერ ოსური ანაბანის შედგენა კირილიცას საფუძველზე – ა. ბ.) დიდი ზარალი მოუტანა ოსებს. მერწმუნეთ, რომ მთელ სამხრეთ ოსეთში ვერ მოიპოვება ერთი კაცი (თუმცა არც ჩრდილოეთ ოსეთია ამ საქმეში დანინაურებული), რომელსაც შეეძლოს ამ შეგერენისგან შემოღებულ ანბანზე კითხვა. ხალხის უმეტესმა ნაწილმა იცის ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა; ამიტომ, ჩვენის აზრით, იალღუზიდის „თეორია“ სჯობდა და კარგიც იქნებოდა, არ შეეცვალა შეგერენს ეს თეორია... შეგერენს შეეძლო თავის ღრამატიკისთვის ქართული ანბანი ეხმარა, რომელიც ყველა ენებზე უფრო აკმაყოფილებს ყოველგვარ ოსურ გამოთქმას, მაგრამ მან მიიღო რუსული ანბანი, რომელსაც უმატებს სხვა ენებიდამ: ბერძნულიდამ, ლათინურიდამ, გოტურიდამ და ზოგ ასოსაც თითონ იგონებს, მაგ., ძ, ნ, ჭ, ჯ და სხვ. ... შეგერენის ღრამატიკის შემწეობით ოსურ ენას ვერავინ შეისწავლის. ადვილი გასაგებია მკითხველთათვის, თუ რა ვნება მოგვიტანა ამით ჩვენ, ოსებს, ანდრია შეგერენმა!..“ (ჩოჩიშვილი 1883).

შეგერენისეული ანბანი მოგვიანებით სრულყო რუსმა ენათმეცნიერმა ვსევოლოდ მილერმა. მან შეგერენისეული ანბანის რამდენიმე ასო გრაფიკულად დახვეწა (1881 წ.).

1846 წელს ბერლინში გამოიცა გერმანელი კავკასიოლოგის, გეორგ როზენის, შრომა, რომლის სათაურია: „ოსური გრამატიკა გამოკვლევითურთ მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ“ (Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung ber das Mingralische, Suanische und Abchasische). აღნიშნულ ნაშრომში ოსურისთვის გ. როზენმა ქართული ანბანი გამოიყენა. მისი აზრით, ქართული ანბანი ოსური ბგერების ადეკვატურია (ჩიქობავა 2008 : 144, 157).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ კავკასიის საბოლოოდ დაპყობის შემდეგ, 1922 წლიდან, ახლა უკვე საბჭოთა კავშირში იწყება დამწერლობათა ლათინიზაციის პროცესი. 1924 წელს ოსური ენისთვის იქმნება ლათინიზირებული ანბანი. ამ ანბანმა 14 წელი იარსება. 1938 წელს ოსური დამწერლობა ჩრდილოეთ ოსეთში კვლავ კირილიცაზე გადაიყვანეს, ხოლო საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, შემოიღეს ქართული გრაფიკა. ამ მოვლენას იმდროინდელ სამხრეთ ოსეთში ყველა დადებითად არ შეხვედრია. საარქივო მასალებიდან ვიგებთ, რომ პროტესტის გამოხატვა ლათინიზირებულ ანბანზე ზოგიერთების მიერ „ხალხის მტრობად“ აღიქმებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის, 1938 წლის 5 ოქტომ-

ბრის წერილი გაგზავნილი გიორგი მალენკოვისადმი (შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფონდი 14, აღწერილობა 12, საქ. 380). კ. ჩარკვიანი წერს, რომ ლავრენტი ბერიამ მათ გადმოუგზავნა სამხრეთ ოსეთიდან საკავშირო ცეკაში გაგზავნილი ანონიმური წერილის ასლი, რომელიც ახალი ოსური ანბანის შემოღებას შეეხება, ამასთან დაკავშირებით მან საჭიროდ მიიჩნია ცენტრის ინფორმირება საქმის ნამდვილი მოტივების შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ ლათინიზირებული ოსური ანბანის გამოყენების 14 წლიანმა გამოცდილებამ ცხადყო მისი შეუსაბამობა და უვარგისობა ოსური ბგერების გამოხატვისათვის. ოლქის ხელმძღვანელობამ ახალი ოსური ანბანის შექმნა დაავალა განათლების ადგილობრივ სახკომს. მის მომზადებასა და განხილვაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, მწერლები, მასწავლებლები, კოლმეურნეები, მუშები და სხვ. წარმოდგენილი იყო ორი ვარიანტი – ქართული გრაფიკისა და კირილიცას საფუძველზე. მათი ყოველმხრივი განხილვის შედეგად ადგილობრივმა განათლების სახკომმა და აღმასკომმა მიიღეს პირველი ვარიანტის არჩევის გადაწყვეტილება, რომელიც დამტკიცებული იყო პარტიული ორგანოების მიერ.

ქართული ანბანისთვის უპირატესობის მინიჭება წერილში ახსნილია იმით, რომ ის ზუსტად და ადეკვატურად ასახავს კავკასიური ენების თითქმის ყველა ბგერას. ნათქვამია, რომ კავკასიური ენები შეიცავენ სპეციფიკურ თანხმოვნებს (წ, ჭ, ძ, ჯ, ლ, ქ, ფ, ყ, თ), რომელთა ანალოგები არ მოიპოვება ევროპულ ენებში, მათ შორის არც რუსულში. ოსურის თავისებური ბგერები თავისუფლად შეიძლება იყოს გამოხატული ქართული ასოებით. კ. ჩარკვიანი იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული ანბანის საფუძველზე ოსური დამწერლობის შექმნა ისტორიული წარსულითაც იყო განპირობებული (ჯორჯიკია 2008).

ოსური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადასვლის უპირატესობის შესახებ საუბრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების სახალხო კომისარი ივანე ფუხაევი. ის ჩამოთვლის ქართული ანბანის რამდენიმე უპირატესობას: 1. ეკონომია წერაში; 2. აღარ იქნება ორბგერიანი ნიშნები, როგორც ეს ლათინიზირებულ ანბანშია; 3. ოსური ენის ბგერების ზუსტი გამოხატვა; 4. თავიდან იქნება აცილებული ხაზზევითა დამწერლობა (ფუხაევი: 1938).

1954 წლიდან ოსური დამწერლობა კვლავ კირილიცაზე გადაიყვანეს და ასეა დღემდე.

ლიტერატურა:

- თედეევი 1964; ო. თედეევი, ქართული ოთხთავის ოსური თარგმანის ისტორიისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, თბილისი, 1964.
- თედეევი 1979; ო. თედეევი, დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი, თბილისი, 1979.
- თედეევი 1985; ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, თბილისი, 1985.
- ფუხაევი 1938; ივ. ფუხაევი, ოსური ალფაბეტის რეფორმაციისათვის, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 30. V. 1938.
- ჩიქობავა 2008; არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 2008.
- ჩოჩიშვილი 1883; გ. ჩოჩიშვილი, ოსური ანბანი, გაზეთი „დროება“, N 199, 1883.
- ჯორჯიკია 2008; ნ. ჯორჯიკია, ეპიზოდები საქართველოს ავტონომიების ისტორიიდან (1938-1952 წწ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, 2008.
- Абаев 1949; В. И. Абаев, Древнеосетинская зеленчукская надпись, Осетинский язык и фольклор, I, 1949.

Basilashvili Amiran

Tbilisi, Georgia

FROM THE HISTORY OF OSSETIAN WRITTEN LANGUAGE

Ossetian language has a long relationship with the local languages, namely the Ibero-Caucasian languages. As a result of this relationship Ossetian language adopted the so-called ‘Caucasian sounds’ existing in the phonemic system - abrupt (sharp) consonants: P T TS CH K KH. That is what determines the ‘Caucasian nature’ of the Ossetian language.]

From the Ibero-Caucasian languages Georgian language has the most ancient script. Georgian alphabet, as most adequately reflecting the Caucasian language-specific sounds, is ideal for the Ibero-

Caucasian languages which have not got their own script, as well as for the Ossetian language (P. Uslar, G. Rosen).

Ossetian alphabet history starts from the 18th century, however, there have been attempts to create the script before of creating

The paper provides chronologically the attempts circumstances and assessments Ossetian script. The creators of the Ossetian alphabet are shown and particularly highlighted is the contribution of Georgians trying to create the most complete alphabet for the Ossetians.

ბეპიევი ნაირა

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

იდიომები ქართულსა და ოსურ ენებში

იდიომი მისი შემოქმედი ხალხის ენაში ჩნდება და მკვიდრდება როგორც სამყაროს მხატვრული, ფრაზეოლოგიური ასახვის მექანიზმი. მისი მეშვეობით ადამიანები ამდიდრებენ სათქმელის გამომსახველობით ფორმას, მის შინაარსს. იდიომები წარმოაჩენენ ხალხის კულტურას, ისტორიას, მატერიალურ თუ სულიერ ფასეულობებს.

ტერმინი **იდიომი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან *idioma*, რაც „თავისებურებას“ ნიშნავს. ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ერთი ტიპი (ლლონტი: გვ. 5). მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმისაგან განსხვავდება თავისი გამომსახველობით, აზრის გამოსატვის თავისებურებით და სხვა მრავალი ნიუანსით.

იდიომი ორ სიტყვას მაინც მოიცავს, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი კომპონენტების პირდაპირი მნიშვნელობისაგან. „იდიომის კომპონენტები მეტწილად ცოცხალი სიტყვებია, რომლებიც დაუბრკოლებლად იხმარებიან მეტყველებაში იდიომთა გარეშეც, თავისუფალ შესიტყვებაში მათ აქვთ საკუთარი მნიშვნელობა“ (ლლონტი: გვ. 5).

იდიომის შემთხვევაში საერთო შინაარსი ცალკეულ სიტყვას დაკარგული აქვს და სემანტიკურად თავისთავადი ლექსიკური ერთეულის როლში გვევლინება. ესაა დაუმლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა გამოთქმაში არსებულ ცნებათაგან დამოუკიდებლად მოიაზრება.

იდიომების კომპონენტები გრამატიკულად ისე შეესატყვისებიან ერთმანეთს, რომ ენის ნორმები არ ირღვევა. ამ შემთხვევაში ის ზოგჯერ ემთხვევა ომონიმურ გამოთქმას.

ზოგიერთ იდიომას პირდაპირი მნიშვნელობაც აქვს, ანუ თავისუფალი შესიტყვებაცაა და ფრაზეოლოგიურ სემანტიკასაც მოიცავს:

წერილი წაიღო – ერთი მხრივ, პირდაპირ მნიშვნელობასაც გამოხატავს: ფოსტალიონმა წერილი უკვე წაიღო და ადრესატს ჩააბარა. მეორე მხრივ, მას აქვს სხვა სემანტიკაც, გადატანით აზრსაც მოიცავს: **წერილი წაიღო** – მოკვდა, გამოკვდა მნუთისოფელს.

რასაკვირველია, ყველა ენას აქვს თავისთავადი, მხოლოდ ამა თუ იმ ხალხის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ცალკეული იდიომები, ასევეა ქართულსა და ოსურშიც, მაგრამ ბევრი იდიომი ქართულსა და ოსურში ერთმანეთის იდენტურია.

მიუხედავად ენათა განსხვავებული წარმომავლობისა, ქართული და ოსური იდიომები ზოგჯერ სემანტიკურად ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ იდიომას კომპონენტების პირდაპირი მნიშვნელობაც აქვს და გადატანითიც.

მაგ.:

ხელის აღება (პირდაპირი – მაგ., რაიმე საგნიდან ხელი აიღო)

Къух сисын – ოსურშიც ანალოგიურად – აქვს პირდაპირი, შესიტყვებიდან გამომდინარე პირდაპირი გაგება (ბავშვმა მაგიდიდან ხელი აიღო), ანუ ამ გამოთქმაში შემავალ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო მის იდიომთან. ანუ ამ ცნებათა დამოუკიდებელ მნიშვნელობას საერთო არაფერი აქვს იდიომებთან. ის სულ სხვა მნიშვნელობას მოიცავს. დავაკვირდეთ იდიომურ სინტაგმას: მიატოვა, ჩამოშორდა (საქმეს) – მე ხელი ამიღია იმ საქმისაგან, ანუ საერთო აღარაფერი მაქვს იმ საქმესთან. მხატვრული გამოთქმაცაა: ამ საქმიდან ხელი აიღო – განზე გადავა, გათავისუფლდა, ამ საქმეს შეეშვა, აღარ აკეთებს;

პირის დაღება – **Дзых суадзын** გამოთქმას აქვს პირდაპირი მნიშვნელობაც (პირი დაალო მაგ., მთქნარებისას) და, ამავე დროს, ფრაზეოლოგიური სემანტიკის გამოხატველიცაა: გაოცებული (განცვიფრებული, გაკვირვებული) დარჩა. ამ შესიტყვებაში არის კიდევ სხვა სემანტიკაც: ბევრი ილაპარაკა (უარყოფითი ელფერი) პირი დაალო და რა აღარ წამორომა; პირი დაალო და ველარ გავაჩერეთ; ასევეა ოსურშიც – იდიომა **Дзых суадзын** ამავე მნიშვნელობის გამოხატველია.

კბილებით ჩაეჭიდა – ერთი მხრივ, შეიძლება გამოთქმის კომპონენტებიდან გამომდინარე შინაარსი წავიკითხოთ: ის კბილებით ჩაეჭიდა მონინაალმდეგეს. მეორე მხრივ: ამ საქმეს არ შეეშვა, კბილებით ჩაეჭიდა. ასევეა ამ გამოთქმის მნიშვნელობები ოსურშიც:

ფაქაყყდ დაქდაყაყ კბილებით ჩაეჭიდა – ამ გამოთქმას აქვს პირდაპირი და იდიომური მნიშვნელობები.

იდიომა **თავის ჩაქინდრვა** ერთი მხრივ, სიტყვასიტყვით მნიშვნელობას მოიცავს – დაღლილობისაგან თავის დახრას (თავი ჩაჰკიდა) აღნიშნავს. მეორე მხრივ, სხვა აზრობრივი ნიუანსის გამომხატველია – **Сар аҗрауындзын თავის ჩაქინდრვა** – დამწუხრებას, დაღონებას ნიშნავს.

ასეთივეა სხვა მრავალი იდიომა:

თავის დადება (თავდადება) – **Сар аҗраваерын** – თავის დადება.

კუთხეში დაყენება – **Къуыммаҗ таерын; თვალის დახუჭვა** და სხვ.

ზოგიერთ იდიომას ქართულსა და ოსურშიც დაკარგული აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, სემანტიკური მნიშვნელობა და მხოლოდ და მხოლოდ განუყოფელი ლექსიკური მნიშვნელობა გააჩნია ანუ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ასეთ იდიომს წარმოადგენს: **ცხვირის ჩამოშვება** – **Фындз рудзын**, ანუ დაღონება, უკმაყოფილების გამოხატვა;

მინას ამძიმებს აჰხაჰ უჰჰ ჰაჰჰ – დიდხანს ცოცხლობს, აღარაფრის მაქნისია (რამდენი ხანია აღარაფრის თავი აქვს, მინას ამძიმებს და ეგაა); **მინის ქვეშიდან ამოლება აჰხჰხ ბნჰჰჰ სისჰჰ** – ვერსად დამეკარგება, მინის ქვეშიდან ამოვიღებ.

ასეთი იდიომები, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია (მსგავსი იდიომებია: **ყურიც არ შეიბერცყა; ყურის თხოვება; გულის განყალბება; გულის მოფხანა; ქარს გაატანა** და სხვ.).

იდიომა არ გამომდინარეობს მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობისაგან. ეს ასხვავებს მას ომონიმურ გამოთქმებისაგან.

ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისუფალი შესიტყვება სხვადასხვაგვარად შეიძლება ვიხმაროთ (გაითიშოს და განკერძოებული სიტყვა-გამოთქმა ჩაჯდეს, ან სხვაგვარად იცვალოს, ვთქვათ, სიტყვათა რიგი შეიცვალოს). იდიომა კი მკაცრად იცავს წესს, იგი მყარი გამოთქმაა, მისი ასეთი ცვლილება სემანტიკას შეცვლის და არც იცვლება: მაგ.: **ფერის დაკარგვა**. ამ ხალიჩამ ფერი, მზეზე გდებისაგან, მთლად დაკარგა; შენმა იღეთებმა ფერი დაკარგა. მაგ ამბავმა ისე იმოქმედა, რომ მოისმინა თუ არა კაცმა ფერი საერთოდ დაკარგა. კარგა ხანია ფერი დაკარგეს შენმა ზღაპრებმა.

ასევეა ოსურ ენაშიც: **Иу хæдон сын уæгъд у** – ერთი პერანგის **ამარა** (საერთოდ რომ არაფერი აბადია), ვერ შევცვლით კომპონენტს – პერანგს – მოსახვევით ანდა ქურთუკით, მაშინ იცვლება სემანტიკა და პირდაპირი მნიშვნელობა ენიჭება; **ენის წვერზე ადგას ჰვადჰჰჰ ცუჰჰჰჰჰ აბადტჰ** – აქაც ამ მყარ გამოთქმას ლექსი-

კურ ცვლილებასთან ერთად ეცვლება სემანტიკა: ენის წვერის ნაცვლად ვერ ვიტყვით ცხვირის წვერს და ა.შ.

ქართულშიც და ოსურშიც გვაქვს მრავალმნიშვნელოვანი იდიომები:

თვალ-ყურის დევნება – ნიშნავს – დაცვის მიზნით ყურადღების მიქცევას (ერთი თვალ-ყური ადევნე ჩვენს ბავშვებს, არაფერი დაიშაონ); მეორე – მიყურადება: ვგრძნობ, რომ ვილაცა თვალ-ყურს მადევნებს – მზვერავს, მისმენს. ეს იდიომა ოსურშიც ასევე გამოხატავს ორ საპირისპირო სემანტიკას (**Цæст дарын თвалыყურის დევნება**).

ზოგიერთი იდიომა სემანტიკურად ერთნაირია ქართულსა და ოსურშიც, მაგრამ მასში შემავალი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვაა: ქართულში სათუთი გრძნობების მქონე, ჩვილი გულის ანდა მფრთხალ, ზოგჯერ მშიშარა ადამიანზე (მნიშვნელობა ხან პოზიტიურია, ხან – პირიქით) იტყვიან – **ჩიტის გულა (ჩიტის გული აქვს)**. ოსურში ანალოგიურ შინაარსს ატარებს იდიომა **тæрхъусы зæрдæ** – კურდღლის გულა, სათუთი, ჩვილი გულის პატრონზე (გულჩვილ ადამიანზე) ამბობენ. თუმცა ქართულშიც არის გამოთქმა კურდღელივით მშიშარა. ოსურში არსებობს ასევე ანტონიმური გამოთქმა **арсы зæрдæ** – რაც აღნიშნავს უდარდელს, სიბრაღული ვისაც არ შეუძლია (შეუბრალებელი, დაუნდობელი); ქართულში თითქმის სინონიმურია **ქვის გულა** – მაგ.: მაგას ქვის გული აქვს, არავინ ებრალება (თუმცა ამას ოსურში თავისი პირდაპირი შესატყვისიც აქვს – **дурьы зæрдæ**) და ა. შ.

ქართულშიც და ოსურშიც, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს უამრავი ფრაზეოლოგიური ომონიმები, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელობას მოიცავს: თავს იდვა – **саърыл хæссын** თავის თავზე აიღო, თვითონ იკისრა, თვითონ დაივალა, აიღო ესა თუ ის საქმე გასაკეთებლად.

саърыл хæссын – სხვის ნაცვლად თავის ხიფათში ჩაგდება, თავის ცხოვრებაზე ხელის აღება – რაიმის ძალიან არევე-დარევა, ან საიდნამე სწრაფად გამოქცევა, ჩხუბის წამოწყება.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი იდიომა ძველთაძველი რეალობიდან გამომდინარე შეიქმნა და საინტერესოა ნიუანსს გამოხატავს – ზოგჯერ ის გარკვეული ეთნოკულტურის აღმნიშვნელი ფენომენია. განვითარების ადრეულ საფეხურზე მისი ყოფისათვის დამახასიათებელი დეტალი შემდგომ ეტაპზე იცვლება და ნიშანიც აღარ ჩანს მისი წარმომავლობისა. ასე, მაგ.: ოსურში არსებობს იდიომა **дæндæг æфтæуын** – კბილის ამოღება. ძველ დროში ასეთი წესი ჰქონიათ ოსების წინაპრებს – სახლში უფროსი მამაკაცი რომ გარდაიცვლებოდა, კბილს აძრობდნენ, აძრობდა მხოლოდ ის, ვინც ამ

უფროსის მომდევნო იყო ასაკით, ამ გამოთქმამ ახალი შინაარსი შეიძინა და ახლა კბილის ამოღება გარდაცვალებას ნიშნავს (Дзანი-ты: გვ. 29).

ძველთაგან შემორჩენილია ქართულში მასდარი **მისუთშაბათება**. გადმოცემით, ძველად დასვენების დღე ყოფილა პარასკევი. საჭირო იყო ხუთშაბათს ყველა საქმე მოესწროთ, რათა პარასკევს დასვენების დღეს არ ემუშავათ და ამიტომ საქმეს ჩქარ-ჩქარა (ზერელებად) აკეთებდნენ, ანუ მიახუთშაბათებდნენ, მიაფურჩებდნენ ხოლმე.

ზოგიერთ იდიომას ოსურში ორმაგი მნიშვნელობა აქვს, მაგ.: **Дзырд исын – სიტყვის აღება**, სადმე კრებაზე (სიტყვით გამოსასვლელად) სიტყვა ითხოვა; **Амбырды æз дзырды бар райстон æмæ алчыдæр зæгътон æргом** – კრებაზე სიტყვა ვითხოვე და ყველაფერი ღიად ვთქვი. **Дзырд исын** – იმავე შესიტყვებაში სხვა სემანტიკაა და ნიშნავს **სიტყვის მიცემას** (და არა აღებას) – **Дзырд дзы райстон, цы йын бахæс кодтон, уый кæй сараздæн** – სიტყვა მივეცი, რასაც დაეპირდი, შევუსრულებ..

ქართულშიც, ისევე როგორც ოსურში გვაქვს სინონიმური იდიომები: **æвзаг æй хæры**; ენა ექავება (ენა არ უსვენებს, ენას ვერ აჩერებს, ენას ვერ იმორჩილებს); **æвзагæй чъылдым ныхын** – ენით ზურგის მოფხანა.

ენაზე კბილის დაჭერა – გაჩუმება, დადუმება; ენას კბილი დააჭირე – გაჩუმდი, ნაკლები ილაპარაკე: ანალოგიურია ოსურშიც **æвзæгæй дæндæгтыл хæцын** (**ენაზე კბილის დაჭერა**).

კბილების ალესვა კბილებს ილესავს (ვინმეზე, რამეზე) – საჩხუბრად ემზადება, ბრაზობს ვინმეზე ან რამეზე. ასევეა ოსურშიც – **дæндæгтæ цыргъ кæнын** (**კბილების ალესვა**).

იდიომი ქართულშიც და ოსურშიც შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახ. მარჯვენა ხელი: ის მისი მარჯვენა ხელია (**рахиз цонг**); შავი გულით (**сау зæрдæ**) – მეტისმეტად შავგულა ადამიანია; ზედსართავი სახელი და სხვ.

არსებობს ისეთი იდიომები, რომლებიც მრავალ ენაში არსებობს. მაგ.: ბიბლიური ფრაზეოლოგიზმები – **გოლგოთას შედგომა** – ტანჯვა-წამების, მძიმე ცხოვრების გზის დაწყება (1; გვ 27); სინონიმურადაა ეს იდიომა სხვა ენებშიც; ишти/пойти на голгофу- Следовать путем мучений, страданий. ანალოგიურია – **აკრძალული ნაყოფი** **Запретный плод**; **ბაბილონის გოდოლი**; მაგრამ არსებობს გარკვეული იდიომები, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ ენისა და ერის კუთვნილებაა.

რასაკვირველია, ოსურ ენაშიც და ქართულ ენაშიც გვაქვს იდიომები, რომლებიც მხოლოდ ამ ენების საკუთრებაა, რომელიც მხო-

ლოდ ამ ეთნოსის წიაღშია წარმოშობილი. ასეთი ომონიმების თარგმნა საკმაოდ რთულია (ზოგადად ფრაზეოლოგიური სიტყვა-გამოთქმების სხვა ენაზე გადატანა, გადათარგმნაც საკმაოდ რთულია). ასე მაგ.: თუ არ გავითვალისწინებთ იმ მითოლოგიურ ასპექტს, რომლის შედეგადაც შეიქმნა ესა თუ ის იდიომა, მისი ახსნა ძალზე ძნელი იქნება. თუმცა შესაძლებელია გამოთქმა ისე დაშორდა თავის წარმოშობილობას, რომ თუ საგანგებოდ არ აიხსნა, ის გაუგებარი იქნება თანამედროვე მკითხველისათვის. ოსურში გვაქვს შესიტყვება **мады бах**. განვითარების ადრეულ საფეხურზე ოსების წინაპრებს ჰქონიათ ჩვეულება, რომ სიდედრს (ცოლის დედას) სიძისათვის უნდა ეჩუქნა ცხენი. ეს უძვირფასეს საჩუქრად ითვლებოდა. შესიტყვებამ დაკარგა პირვანდელი სემანტიკა და ამჟამად შერჩა გადატანითი მნიშვნელობა – **უძვირფასესი საჩუქარი**. სიტყვათა (ან შესიტყვებათა) მნიშვნელობის დავიწროება ან გაფართოება ჩვეულებრივი მოვლენაა ენაში: ისევე როგორც ქართულში მრავალი ასეთი ცვლილებაა (**რვეული** – რვაეული – მხოლოდ რვაფურცლისაგან შედგებოდა, ახლა ასფურცლიანსაც რვეულს უწოდებენ; **ხაჭაპური** მხოლოდ ხაჭოსაგან დამზადებულ ნამცხვარს ერქვა, ახლა გაიფართოვა მნიშვნელობა და ყველიანსა თუ სხვა სახის ნამცხვარსაც ხაჭაპური ჰქვია; **ჩახოხბილი** მხოლოდ ხოხბისაგან მზადდებოდა, ახლა არსებობს ქათმის, ხბოს ხორცის ჩახოხბილი და ა.შ.

იდიომებში თავისებურად ირეკლება ერის სულიერი ღირებულებები, იგი ამა თუ იმ ერის კულტურის, ლიტერატურის, საზოგადოებრივი განვითარების გამომხატველია, ამსახველია ენის მხატვრული შესაძლებლობისა. ერთი მხრივ, იდიომები ამა თუ იმ ერის მხატვრული აზროვნების წარმომჩენია, მეორე მხრივ, იდიომები კულტურათმორისი ურთიერთობის ამსახველი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ზოგჯერ შეუძლებელია მათი წარმოშობილობის, ამა თუ იმ ენისათვის მიკუთვნებულობის დადგენა. რადგან სხვადასხვა ენაში ზოგჯერ სხვადასხვა ენობრივი სამოსელი ფარავს პირვანდელ სახეს, ის ახალ ენობრივ გარემოში იძენს ახალ ელფერსაც, მოირგებს სხვა ენობრივ ქსოვილს, მაგრამ მნიშვნელობათა იდენტურობის კვალი მაინც შესამჩნევია.

ქართულშიც და ოსურშიც ხშირად გვხვდება სტრუქტურულად და აზრობრივად მსგავსი იდიომები, მაგრამ ჩვენ საგანგებოდ არ ვჩერდებით საკითხზე, თუ რომელი ენიდან რომელ ენაშია გადასული ესა თუ ის გამოთქმა, მხატვრული გამონათქვამი, იდიომა; ჩვენ მხოლოდ იმისი თქმა გვინდოდა, რომ ქართველთა და ოსთა ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის შედეგად ენაში ისახება პარალელური მხატვრული გამოთქმები, ლექსიკურადაც და სემანტიკურადაც მსგავსი იდიომები, რაც ამ ენის მატარებელი ხალხების

ხანგრძლივი კულტურული და საზოგადოებრივი ურთიერთობის მანიშნებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ლლონტი, ქართული იდიომები, თბ., 1966.
2. Дзabitы Зарбег, Ирон аѡвдѡжы фразеологион дзырдуат <http://allingvo.ru/LANGUAGE/phraseology.htm>
3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950 -1960.
4. Б. Ж. Джумамухамбетов. Особенности фразеологизмов с компонентом топонимом <http://www.elibrary.kz/download/zhurnal-st/st4802.pd>.
5. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი (მთ. რედაქტორი ნ. ბეპიევი), თბ., 2015.

Bepievi Naira

Tbilisi, Georgia

IDIOMS IN GEORGIAN AND OSSETIAN LANGUAGES

The term comes ‘idiom’ comes from the Greek word ‘idiom’ meaning ‘feature’. This term shows a particular phraseological expression of one type.

It does not derive its meaning from the components of the idioms. The total content of a single word has lost its role of a lexical unit itself and semantically. These are inseparable lexical units, whose value is independent from the expression of the concepts.

Idioms can be a one-word or a whole sentence.

Of course all of the language has in itself, certain idioms only characteristic to certain people and Georgian and Ossetian languages function in this way, but many Georgian and Ossetian idiom are identical (they are quite a lot).

Some idioms in Georgian and Ossetian have just phraseological meaning: lowering the nose - Фындзæруадзын, i.e getting sad, complaining; lowering the head - Сæრæрцауындзын – sadden, grieve; to manage one’s head - Сæრæრæვæрын;

Some idioms have a direct meaning and also include phraseological semantics, such as:

Take the Hand of (direct – for example, took the hand of something) Къухсисын – is also idiomatic: in this case meaning that the person abandoned, dismissed, no longer does something;

Open one's mouth- Дзыхсуадзын dagheba person has a direct meaning as well as expresses phraseological semantics.

To put someone in the corner - Къуыммæтæрын; shutting one's eye on something, and so forth.

We specifically do not stop on the issue from which language to which language a particular expression or artistic expression has passed over; our aim is to show that Georgians and Ossetians have a long experience and the language reflects the development of parallel artistic expressions, which shows the long relationship between these two nations.

Бесолова Елена

доктор филологических наук,

Владикавказ. Республика Северная Осетия-Алания. Россия

ОБ ОБРЯДОВОМ РИТУАЛЬНОМ ПЛАЧЕ ОСЕТИН И ГРУЗИН: ОБЩЕЕ, ОСОБЕННОЕ И СПЕЦИФИЧЕСКОЕ

Плачи – жанр музыкальный, исполнялись они своеобразным речитативом. Музыкальная их форма проста, что имеет своё объяснение: „основным элементом является словесный текст, а музыкальная интонация только вспомогательное средство, усиливающее эмоциональность декламации словесного текста“ [Асланишвили, 1956:34]. Функциональная природа обуславливает повествовательную систему жанра плача, причём основа любого повествования – сюжет, сюжетная тема, развитие которой находится в прямой зависимости от момента исполнения, от места его в канве обрядового действия.

Приведём описание обряда оплакивания в селе Лахамула (Сванетия): „...Внутри помещения горели свечи. Кругом по стенам стояли примерно 150 мужчин; в переднем углу комнаты находился гроб. Ближе к середине помещения также в виде круга располагались женщины, которые двигались одна за другой, громко причитая и колотя себя в грудь; старые женщины были с распущенными волосами. Всё это продолжалось около 30 мин. Потом женщины рассажива-

лись и на площадку в центре комнаты выходили близкие родственники покойного, которые громко плакали, были себя в грудь и произносили перед гробом речи. Все подхватывали „*миа вай*“ и падали на колени. Обряд оплакивания сопровождался игрой на чанги и чианури и продолжался несколько дней“ [Волкова, Джавахишвили, 1982:145].

Плач выстраивается в рамках традиционной композиционной структуры при помощи отработанных многолетней практикой исполнения целостных фрагментов, формул, клише, общих мест, отражая в образно-поэтическом содержании произведения религиозно-мифологические представления в сочетании с реалиями жизни [Гутов, 2000:88]. Именно мотив и есть содержательная единица сюжета, причём он же и „вырастает“ в сюжет [Веселовский, 1940:495]. Мотив элементарен и в структурно-содержательном плане самостоятелен.

1. ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.
2. რელიგიები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.
3. ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI, თბილისი, 2004.
4. ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXVI, თბილისი, 2004.
5. ლომოური ნ., ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები ჟურნ. „ცისკარი“, №5, 1995.
6. თოგოშვილი გ., საქართველო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1969.

Gegeshidze Elene

Tbilisi, Georgia

HOW TO SAVE GEORGIA-OSSETIAN NATIVE CULTURE

The article tells about Georgian-Ossetian conflict, which is our painful problem during the recent years. We can solve the problem of „broken bridge” and the creation of „rival images” through discussion, by respecting each other, and consolidation of Georgians and Ossetians; It will be better if we form Georgian-Ossetian cultural Centre and do our best to rebuilt our historical and traditional relationship, to win together Georgian and Ossetian people.

გოგიაშვილი ელენე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი*

ფოლკლორული წყაროები ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ რუსულ პერიოდულ კაბულებში (1855-1900)

ქართულ-ოსური ურთიერთობების შესწავლის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფოლკლორული მასალის კვლევა, რაც თავისთავად უამრავ ასპექტს ითვალისწინებს: ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ასახულ ურთიერთობებს ქართველებსა და ოსებს შორის, მსგავსი სიუჟეტების გავრცელების თავისებურებებს ქართულ და ოსურ ფოლკლორში, ისტორიული ამბის ტრანსფორმაციის ფორმებს და სხვა. არანაკლებ საყურადღებოა ფოლკლორის შესწავლის ისტორია, რომლის სათავეები ცარისტული იმპერიალიზმის ეპოქაში იღებს სათავეს და მკვეთრად იდეოლოგიზებულია. 1855-1900 წლების რუსულ პერიოდულ კრებულებში გამოქვეყნებულ ჩანაწერებსა და ნარკვევებში ნაწილობრივ ან სრულად ჩანს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ინტერესები: „Кавказ“, „Сводник сведения о Кавказских горцах“, „Известия Кавказского Отдела

Императорского Русского Географического Общества“ (ИКОИРГО), „Новое обозрение“, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (СМОМПК). ცარისტული იმპერია არა მარტო ტერიტორიულ გაფართოებას ცდილობს, ის ასევე ჩართულია სამეცნიერო გამოცემების საქმიანობასა და ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების დამუშავებაში, მკაცრად აკონტროლებს პერიოდულ კრებულებს. ზეპირსიტყვიერების მასალებს უმეტესად ქართველი და ჩრდილოკავკასიელი შემკრებლები ჰყავს. მათ მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს სათანადო წინასიტყვაობაც ერთვის, რომელთა ავტორები ან თვითონ, ანდა კრებულის რედაქტორები არიან.

გაზეთ „კავკაზის“ 1855 წლის ნომრებში (## 17, 24, 75, 148) ინტენსიურად იბეჭდებოდა ცნობები ოსეთიდან ძირითადად მოსახლეობის მდგომარეობის, წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ. მათი ავტორები არიან ი. ბ. ბერიძე და ნ. დუნკელველინგი.

1870-იან წლებში ოსური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები უფრო მრავლად ქვეყნდება. „ცნობათა კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ“ (Сборник сведения о Кавказских горцах, 1870, вып. III) აქვეყნებს ჯანტიმურ შანაევის ჩანერილ ოსურ ხალხურ გადმოცემებს. წინასიტყვაობაში ჯ. შანაევი ოსურ გადმოცემებს ორ ნაწილად ჰყოფს: საკუთრივ ოსურად და ნართულად: „ჩემ მიერ ჩანერილია მხოლოდ საკუთრივ ოსური, ნართულს მერე მივხედავ. შევეცადე სიტყვასიტყვით მეთარგმნა“. მისივე შენიშვნაში აღნიშნულია: „ზღაპრები, იგავ-არაკები და ანეკდოტები ოსებში ამბისონდ-ის სახელით არის ცნობილი, რაც საკვირველს, გასაოცარს ნიშნავს“. შემდეგი ნაწილია „ლეგენდები, გადმოცემები, რწმენა-წარმოდგენები“, რომელშიც შედის: „ჯადოქარი გოგონა“, „როგორ გაქრა ძუარი ცხოსტი“, „ვასთირჯის ორი ცოლი“, „როგორ გადაიქცევიან ქალები მგლებად“, „რა არის საქონლის გადამდები დაავადება“. ტექსტები დემონოლოგიური ხასიათისაა.

ყურადღებას იქცევს ოსური გადმოცემა კუდიანებზე „როგორ გადაიქცევიან ქალები მგლებად“. ამგვარ თქმულებები საქართველოშიც პოპულარულია. ფშავ-ხევსურებშიც ჰყვებიან ამბებს ქალებზე, რომლებსაც სხვადასხვა ცხოველად გადაქცევა შეუძლიათ. ოსური გადმოცემის ბოლოს კონკრეტული ამბავიც არის მოყვანილი. მთხრობელის ძმას შვიდი წლის წინ მოუკლავს ერთი ქალი, სახელად დედა, წარმოშობით ქართველი. მასზე ეჭვობდნენ, კუდიანი იყო, მგლად გადაიქცა, საქონლის ჯოგს თავს დაესხა და ჩემმა

ძმამ ადგილზე მოკლაო. იმ ქალის ორი შვილი კავდინი და ჯიორჯი ახლაც ცხოვრობენ მეზობელ აულ ხუმალაგშიო.

„ცნობათა კრებული კავკასიის მთიელთა შესახებ“ მომდევნო გამოშვებაში (1871, вып. V) განაგრძობს ჯ. შანავეის ჩანაწერების ბეჭდვას. რუბრიკაში „კავკასიის მთიელთა ხალხური გადმოცემები“ დაბეჭდილია ოსური, ჩეჩნური და ყაბარდოული თქმულებები, ჯანტემურ შანავეისა და ჩახ ახრიევის მიერ გამოცემული. ნართეების გადმოცემებიდან გამოქვეყნებულია შემდეგი ტექსტები: 1) სოსრიყო, 2) ალაგატე, 3) სოსრიყოს სიკვდილი, 4) როგორ წაეჩხუბა სოსრიყო ალიმბეგს, 5) როგორ დაქორწინდა უზურმაგი დაზე, 6) იმაზე, თუ როგორ მოტყუვდა სათანა, 7) როგორ იშვა ბათრადი, 8) ბათრადის შურისძიება აღდარზე, 9) სოსლანი.

1870-1880-იანი წლების კრებულები „რუსული საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ცნობები“ (Известия Кавказскаго Отдела Императорскаго Русскаго Географическаго Общества) და „ახალი მიმოხილვა“ (Новое обозрение) აქვეყნებენ ცნობებს გეოგრაფიულ-გეოლოგიური ექსპედიციების შესახებ. ანგარიშებთან ერთად კრებულში დაბეჭდილია ვსევოლოდ მილერის ენათმეცნიერული რეპორტი ყაბარდოსა და ოსეთის მთიელთა საზოგადოებაში 1883 წლის ზაფხულში მოგზაურობის შესახებ. Новое обозрение-ში ქვეყნდება ასევე ოსური ისტორია (об осетинской истории), ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით (1895, N4076).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 1890-იან წლებში გამოსულ კრებულებში ზეპირსიტყვიერების მასალის შესწავლისას თვალშისაცემია საგმირო ლექსების განსაკუთრებული სიმრავლე, ასევე გადმოცემებისა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ბრძოლების შესახებ.

ფოლკლორული მასალის მიხედვით, ქართულ-ოსური ურთიერთობები ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრში განსხვავებულად არის ასახული. საგმირო პოეზიასა და სიმღერებში გადმოცემულია მათი შეტაკებების ამბები, ეტიმოლოგიურ გადმოცემებში კი მშვიდობიანი თანაცხოვრების სურათი. ეს ერთი მხრივ ფოლკლორულ ჟანრთა თავისებურებით აიხსნება: საგმირო თემატიკა ძირითადად კონფლიქტის ასახვას გულისხმობს. ეტიმოლოგიური ლეგენდები კი რელიგიურ ემოციებს აღძრავს მსმენელში.

1894 წელს ჩანერილი რაჭული სიმღერების ტექსტები ბრძოლების ამსახველია. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ რაჭველებს ბევრი ბრძოლა ჰქონდათ გამოვლილი სვანებთან, ოსებთან, ლეკებთან და თურქებთან. ისტორიული სიმღერები დღესასწაულის დღე-

ებში სრულდება ფერხულის ფორმით. ოსებისა და ქართველების შეტაკების ამსახველია პირველი, მეოთხე და მეხუთე სიმღერა (CMOMPIK 1894, N19, განყ. II, გვ. 124-140).

მაგალითისთვის მოგვყავს მეოთხე სიმღერა, რომელიც რაჭველებისა და ოსების შეტაკების ამსახველია, რომელშიც ქალის ბრძოლაში ჩარევამ ეფექტური შედეგი გამოიღო და მტერი უკუიქცა:

ამ გრიგოლყამ და ბეკშიამ ერთმანეთს მისცეს ხელია.

გაგნიძეს ციხეს მივადგეთ, შიგას ჩაუჭრათ კარია.

გაგნიძის კარგი ბიჭები მეციხუანის თავია.

მათში რომ ქალი ერია, სულ შეგვიშინა ჯარია.

იმან რომ ქვა გადმოაგდო, ორსა მოსწყვიტა თავია.

ოსები მალე გაიქცნენ, გადაიარეს მთანია.

ჟატი უკან მისძახოდათ: – ოსებო, შემოგვიცადეთ,

კარგსა გიპირობთ ოჩხარსა,

თუ პატარას შემოგვიცდით, ერთს არ გაგიშვებთ ცოცხალსა.

მათ სოფელში რომ ჩავიდნენ: ილოცეს მაცხოვარია?

წინ მგებავი მოეგებათ: – რა უქენთ ნაშოვარია?

– ჩვენ ნაშოვარი ვინ მოგვცა, ბევრი იქ დაგვრჩა მკვდარია (გვ. 131).

CMOMPIK-ის ფურცლებზე დაიბეჭდა ოსური ეტიმოლოგიური გადმოცემა მძინარე წყაროს – ხუსაგ-დონის შესახებ, რომელიც ჩანერილია ჩრდილო ოსეთის სოფელ ზარომაგის სკოლის მასწავლებლის როსტომ სიყოვეის მიერ. ეს ტექსტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია იმ მხრივ, რომ მასში კულტურული კონტაქტის ერთ-ერთ ფორმას ვხვდებით – რელიგიურ დღესასწაულზე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა შეხვედრას. თქმულებაში გადმოცემულია მამისონის უღელტეხილის გადაღმა მდებარე ერთი სოფლის, ქალაქის ისტორია. ამ სოფლის ახლოს ყოფილა წყარო ხუსაგ-დონი ანუ მძინარე წყარო. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, ღმერთი ამ წყაროს მეშვეობით ცდის კაცის ერთგულებას და კუთვნილს მიუზღავს. ახლომახლო მცხოვრებლები სალოცავად ჩადიან ამ წყაროზე. რაჭიდანაც გადმოდიან ამ წყაროსთან სალოცავად, – აღნიშნავს ავტორი (CMOMPIK 1882, N2, განყ. II, 161-164).

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ცხადყოფს, რომ ქართველებისა და ოსების ურთიერთდამოკიდებულება ხალხურ ცნობიერებაში ამბივალენტურად აისახა. ფოლკლორული ტექსტების მიხედვით, ქართულ-ოსური ურთიერთობები ერთი მხრივ, ურთიერთთავდასხმებში, მეორე მხრივ, მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებაში

ვლინდება, განსაკუთრებით კი სინმინდებისადმი თაყვანისცემაში.

თქმულების ჟანრიდან აღსანიშნავია რამდენიმე ტექსტი, ჩანერილი 1900 წელს თიანეთის მაზრის სოფ. ბოჭორმაში. მთქმელი არის მოხუცი ოსი, რომლის მონათხრობსაც ვინმე ინტელიგენტი ქართველი უთარგმნიდა ს. შულგინს, CMOMPIK-ის კორესპონდენტს. ქვემოთმოყვანილი მითოლოგიური გადმოცემები სამყაროს განაწილებაზე, თამარ მეფესა და მეფე ოს-ბალათირზე ნათელი მაგალითია ქართულ-ოსური კულტურული კონტაქტისა და ისტორიულ ცნობიერებაში არსებული წარმოდგენისა ნათესაური დამოკიდებულების შესახებ.

„გადმოცემა სამოთხეზე“ პრეისტორიულ წარსულზე მოგვითხრობს. ხალხი წარღვამდეც ცხოვრობდა, მაგრამ ისინი გოლიათები იყვნენ (ნართები), უშველებელი სიმაღლისა და საშინელი ძალის პატრონები. ისინი ღვთის ქმნილებები იყვნენ. ცხოვრობდნენ და ტკბებოდნენ სიცოცხლით, სანამ ღმერთი არ დაივიწყეს. მაშინ ღმერთმა წარღვნა მოუვლინა. მათი გვარი იმ დროისთვის ისე იყო გამრავლებული, რომ ვეღარსად ეტეოდნენ. წყალმა დაფარა ისინიც, მათი საქონელიც და კოშკებიც. ბოლოს წყალი შეწყდა და ხმელეთიც გაშრა. მაშინ მიწაზე იესო ქრისტე ჩამოვიდა. მან მიწისგან კაცი და ქალი შექმნა და სული შთაბერა. ისინი წალკოტში ცხოვრობდნენ, შეუმოსვლნი დადიოდნენ და არც საკვები სჭირდებოდათ. ამ წალკოტს ბალდადი ერქვა. მათი შვილები არიან რუსები, ქართველები, ოსები და ა. შ. ხოლო მათგან სხვა ხალხები წარმოიშვნენ. როცა ადამიანები ისე მომრავლდნენ, რომ ბალში ვეღარ დაეტივნენ და არც არავის სურდა მშვენიერი წალკოტის მიტოვება, მათ შორის მიწის გამო შუღლი ჩამოვარდა. მაშინ მოვიდნენ წმინდანები (ძუარები) ქრისტესთან და უთხრეს: ხალხს, რომელიც შენ შექმენი, ადგილი სჭირდება დასაძინებლად და დასაბინავებლად. რა ვუყოთ? მაშინ ქრისტემ უბრძანა მათ, ხალხი წალკოტის სამი კუთხიდან მთელ ქვეყნიერებაზე სხვადასხვა ადგილას წაეყვანათ. და ყველა მხარეს, სადაც ამ წალკოტის მიწა დაიყარა, ისეთივე ბალები აღმოცენდა, როგორც ბალდადი. ქრისტემ უბრძანა ხალხს, ამა და ამ ადგილას დასახლდითო. ხალხიც გაიფანტა ამ ბალებში და დაიწყეს ცხოვრება და მიწათმოქმედება. ახლა ეს წალკოტები აღარ არსებობს, მაგრამ მათგან მაცოცხლებელი ძალა შენარჩუნდა და აღარ შეწყდება: ის თვით იესო ქრისტეს ნაკურთხია (CMOMPIK 1900, N27, განყ. III, გვ. 39-40).

„თქმულება თამარ დედოფალზე“ წარმოადგენს მითოლოგიურ გადმოცემას ისტორიულ პირზე. ეს ტექსტი თამარ მეფის თქმულებების ციკლის შემადგენელი ორგანული ნაწილია. მისი მთავარი მითოლოგემებია ცისკრის გამოშვება ცაზე და უბინო ჩასახვა (CMOMIK 1900, N27, განყ. III, გვ. 40-42).

„ოსი მეფის ოსიბაგატარის აღსასრული“ – ეს ტექსტი ისტორიულ თქმულებისა და მითოლოგიური გადმოცემის მთავარ მახასიათებელ ნიშნებს ატარებს ისევე, როგორც თამარ მეფის თქმულება. თუმცა მასში კიდევ უფრო ჭარბად არის ანაქრონიზმები. თქმულებაში მოთხრობილია: როცა რუსეთის მეფემ გაიგო, რომ საქართველო მბრძანებლის გარეშე დარჩა, ჯარი გამოგზავნა. ოსეთის მეფე მაშინ თამარ მეფის შვილი ბაქარი იყო. ის რუსებს შეუშინდა და გადაიკარგა. მის ნაცვლად ტახტზე ოსიბაგატარი (ოსბალათირი) ავიდა. რუსებზე ადრე საქართველოს თათრები და ლეკები დაესხნენ თავს დასაპყრობად. ძლიერმა ოსიბაგატარმა ისინი დაამარცხა. თათრების მეფემ ოსების მეფეს უთხრა: თუ ასეთი მამაცი ხარ, ორთაბრძოლაში გამოვცადოთ ერთმანეთით. რომელიც პირველი დაამარცხებს თოფით, ხმლით და ხანჯლით, ის აღიაროს ხალხმა გამარჯვებულად. გადწყვიტეს, ზღვაში შებრძოლებოდნენ ერთმანეთს შიშვლები. ოსიბაგატარი დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა, რადგან ისეთი ძალა ჰქონდა, ხარს შუაზე გლეჯდა. ამ თვითდაჯერებულობამ დალუპა. თათრების მეფემ ეშმაკობით მოუგო. როცა ზღვაში შიშვლები შევიდნენ, თათრების მეფე ჩექმებით იბრძოდა და ბრძოლაც მან მოიგო. ასე დაიპყრეს თათრებმა ოსები. რუსეთის მეფემ მერე ადვილად დაამარცხა თათრები და დღემდე ებრძვის მათ (CMOMIK 1900, N27, განყ. III, გვ. 42-43).

ქართულ-ოსური ურთიერთობების შესწავლის სფეროში განსაკუთრებულად ხაზგასასმელია ზეპირსიტყვიერების შემკრებთა მუშაობა, რომლებიც არა მარტო საკუთარი, ეროვნული ფოლკლორის ფიქსაციასა და მოვლაზე ზრუნავენ, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით აგროვებენ მასალებს. მე-19 საუკუნეში ჩანერილი ფოლკლორული მასალა ქართველი და ოსი შემკრებლების მიერ არა მხოლოდ მათი პატრიოტული გრძნობის მაჩვენებელია, არამედ იმ განწყობის დადასტურებაც არის, რომ ისინი თავის ნაციონალურ ფოლკლორს საერთო კავკასიური ფოლკლორის ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

Gogiashvili Elene

Tbilisi, Georgia

**THE FOLKLORE SOURCES ON THE GEORGIAN-
OSSETIAN RELATIONSHIPS IN THE RUSSIAN
PERIODICALS
(1855-1900)**

This paper is a part of the project „Georgian-Caucasian Folklore Relations: 19th-20th Century Sources and Modern Narratives“. The objective of the project is to familiarize the international scientific community and wide society with folklore relations of Georgian and North Caucasian peoples (sponsored by Shota Rustaveli National Science Foundation, FR/532/2-154/13). In the Study of Georgian-Ossetian relationships there is very important part to research their folklore in several aspects: relationships between Georgians and Ossetians reflected in the folkloric texts, similar motifs in Georgian and Ossetian folklore, forms of transformations of historical legends ect. Research of Georgian and Ossetian folklore is closely connected with political-ideological issues, as the authors of folklore-ethnographic descriptions of Caucasian people were military in the service of the Russian Empire. Data collected by Russian authors in 1855-1900, provide rich material about the countries included in the Russian Empire for study of separate historical, ethnographic, folklore, literary and culturological issues, as well as from the viewpoint of research of imperialism in general: “Caucasus” („Кавказ“), “Collection of materials for describing of places and tribes of the Caucasus” („Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“) etc.

გოდერძიშვილი ქეთევან

*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,
ფილოლოგიის დოქტორი*

ცხინვალის რაიონის ერთი რიგის ტოპონიმთა ლინგვისტურ-ლექსიკური ანალიზი

ცხინვალის რეგიონში ჩვენი მივლინებისას (1984-1985) ჩანერი-ლი ცალსახად ქართულენოვანი თუ ოსურენოვანი ერთეულების გარდა, გამოიყო ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა ორი ტიპი:

I. სინთეზირებული ტოპონიმები და II. პარალელური ტოპონიმები

ჩრდ. კავკასიიდან გადმოსახლებისას ოსები, ბუნებრივია, საკუთარ ენაზე ქმნიდნენ ახალ გეოგრაფიულ სახელებს ან გადმოჰქონდათ თავიანთი ქვეყნის ტოპონიმები, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მიგრაციისთვის. ამასთან, სახელებისას ორსიტყვიან თუ ორფუძიან ტოპონიმთა ერთ შემადგენელ კომპონენტად ხშირად იყენებდნენ უკვე არსებულ ადგილობრივ ქართულ ლექსიკას (აპელატივებს, ზედსართავ თუ რიცხვით სახელებს), რაც ქმნიდა **სინთეზირებულ ტოპონიმებს** ან სულაც თარგმნიდნენ ქართულ სივრცეში არსებულ ტოპონიმებს, რის შედეგადაცაა მიღებული ე. წ. **პარალელური ტოპონიმები**, ანუ სიტყვასიტყვითი (ქართული და ოსური) ტოპონიმები.

I. სინთეზირებულ ტოპონიმებში გამოიყო სამი სახეობა:

ა. სინტაგმები, ანუ ორსიტყვიანი ონიმები, რომელშიც გაერთიანებულია ორი საზოგადო სახელი – ოსური და ქართული ლექსიკური ერთეულები;

ბ. სინტაგმები, ანუ ორსიტყვიანი ონიმები, რომელთა ერთი კომპონენტის – **პირთა ან ადგილთა საკუთარი სახელების** – ქართულენოვნობის დამადასტურებელია მისი გენიტიური (მართულ-მსაზღვრელიანი) ფორმა ქართული გენიტივის სუფიქსით;

გ. ერთსიტყვიანი ტოპონიმები – ქართული ლექსიკური ერთეული ოსურენოვანი სუფიქსით.

წარმოვადგენთ სამივე ნიმუშს:

I. ა. ქართული სიტყვები ოსურ ტოპონიმებში:

ახო (ბაგათ ახო, ბადტოი ახო, ბესავთ ახო, თონჯით ახო, ციბათ ახო...)

ბალი (ბალი ბინ)

ბალი (ბალი დონ)

ბერი (ბერიდონ)

ბილიკა (ივარცყად ბილიკა, ახსან ახოს ბილიკა, რალთის ბილიკა)

გორი (გორი ძუარ, გორი კვილდომ)

გოჭი (გოჭი ხვიმთა)

გუდიახო (გუდიახო ადაგ)

ვარდი (ვარდ ხვიმთა)

ზარი (ზარი ზანგ– საძოვარი. ეს ადგილი ზარის ფორმას ჰგავს).

კოდი (კოდი ადაგ, კოდი დონ, კოდი ნავ, კოდი ხიზანთა)

(მ)ლაშე (ლაშე ადაგ)

მაღალი (მაღალი ხუსსარ)

მაცხოვარი (მაცხოვარი ქომ, მაცხოვარი დონ, მაცხოვარი ჟუ-არ).

მეორე (მეორე რივაითდონ)

მესამე (მესამე რივაითდონ)

ნიში (ნიშის დონ)

პირველი (პირველი რივაითდონ)

რუ (რუი ბინ)

სამხევი (სამხევი დონ)

ტყე (ტაფან ტყე);

ფეტ(ვი) (ფეტი ახო...)

ქერი (ქერიჯინ)

ღვთიშობელი (ღვთიშობელი ადაგ)

ყორანი (ყორანის ქომ)

შავი (შავი წალა)

ჩალა (ჩალაძინ)

ძალლი (ძალალ ქომ)

ძია (ძიაე ბასტა)

წითელი (წითელ ადაგ)

წურბელი (წურბელი საუადონ, წურბელი ცად)

ჭალა (ჭალაი სიხ)

ჭაობი (ჭაობი დონ, ჭაობი სიხ, თასოითი ჭაობი)

ხევი (ზიადაგ ხევი...)

ხოდაბუნი (არდეგკავ ხოდაბუნი, ადტავ ხოდაბუნი)

ი.პ პირთა ან ადგილის საკუთარი სახელები ქართული გენიტის ფორმით ოსურ ტოპონიმებში:

ბეგა და თათულის არდესტ

ნიშის დონ

გერის ძუარ

ძარის სუადონ

რალთის ბილიკა
მახნიაანთ ფასთა
ტიბის წალა
მათეს ქროი
პავლეს საუადონ
ტატეს სუადონ
პავლეს ხაიტა
თიკუნა ხვიმთა
ნიარას ყუარ

I. გ. ქართული სიტყვები ოსურენოვანი სუფიქსებით:

ბალი (ბალჯინი ძიყ – ბ(ა)ლიანი ნაპრაღი)

ველი (ველითა)

ნაკალორი (ნაკალოთი)

ნესვი (ნესთა)

ნიში (ნიშითა)

რუ (რუი ბინ)

ჭაობი (ჭაობითა)

ჯონჯოლი (ჯონჯოლიჯინ)

მეორე მხრივ, ქართულ ტოპონიმებშიც გვხვდება ოსური სიტყვები ქართულენოვანი ნომინატივის ფორმით. ძირითადად, გამოიყო ორი სიტყვა – **ყუგომი** და **ადაგი**: დიდი ყუგომი, ვანიაანთ ყუგომი, ახოების ადაგი, გაბარაანთ ადაგი, სოლოანთ ადაგი... გარდა ამისა, სტირქომ-ის ტყე, სტირქომ-ის თავი, ვაჩილ-ებ-ი, გალდა-რანა-ს ხევი...

II. პარალელური ტოპონიმები

ცხინვალის რეგიონში საკმაოდაა პარალელური ტოპონიმები, სემანტიკური

თვალსაზრისით აბსოლუტურად იდენტიფიცირებული. ამოსავლად ქართული უნდა

ივარაუდებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში ქართული ტოპონიმები დახვდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრირებულთ. ამ ტიპისაა:

ახოები // ახაიტა

გრძელი კლდე // დარღ კაძახ

დიდი კლდე // სტირ კაძახ

დიდი ვაკე // სტირ ფაზ

დიდი ვაკის ტყე // სტირ ფაზ ყად

თეთრი გზა // ურს ფანდაგ

მუხისქვეშა მიწები // თულძიბინ ზახათა

მაღალი სალოცავი // ბარზონდ ძუარ

ნაბინავარი // დარანთა

ტბები // ცადთა

ყორნის ხეობა // ყორანის ქომ
შვიდი წყარო // ავდე შუადონ
შეკრული ტყე // ახკაგ ყად
ციხე // მასიგ
წითელი კლდე // სირხ კაძახ
ხაჭები // ხაჭათა
ხევა // ადაგ

აქ წარმოდგენილი მასალა ადასტურებს ქართველთა და ოსთა თანაცხოვრებას, თუმცა ვერ განსაზღვრავს ფაქტის ჩასახვის დროსა და საუკუნეს, რასაც, გარდა ისტორიული წყაროებისა, ავლენს საფლავზე დადგმული ქვების წარწერები.

პროფ. იოსებ მეგრელიძე წერს, „ოსთა საფლავის ქვების ეპიტაფიები ქართლის ბარის სოფლებში... ოსურ გვარებს მხოლოდ XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან იხსენიებს“.

გარდა ამისა, „როგორც ტბეთის, წუნარის, ყორნისისა და სხვა სასაფლაოების ქვების წარწერები სამხრეთ ოსეთში, ისე კუსირეთში, ოსთა გვარებს XX ს-ის დასაწყისისა და, განსაკუთრებით, რეაქციის წლებამდე ქართული დაბოლოებებით წარმოგვიდგენს უმთავრესად, ხოლო შემდეგ – რუსულით“ (ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიხვის ხეობაში, 1984, 194, 191).

მთავარი მიანიც ისაა, რომ ქართულ-ოსური სინთეზირებული და პარალელური ტოპონიმები ერთგვარი სარკვეა ქართულ-ოსური თანაცხოვრებისა და ქართულ-ოსური ოჯახების შექმნისა.

და ბოლოს, წიგნი (ცხინვალის რეგიონის გეოგრაფიული სახელები), რომელიც ახლო მომავალში დაიბეჭდება, მიმაჩნია ერთგვარ სიმბოლოდ, კერძოდ, ჩემი ოჯახის ღვაწლის ერთგვარ გაგრძელებად, რამეთუ ჩემი მასწავლებელი, ამავდროულად, ჩემი ოჯახის უხუცესი წევრი ალექსანდრე ლლონტი გახლდათ ცხინვალის რეგიონში დაარსებული პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული განყოფილების ერთი ფუძემდებელი, ქართული ენის კათედრის რიგით მეორე გამგე. რაც მთავარია, ალექსანდრე ლლონტს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართულ-ოსური ურთიერთობების გაღრმავებაში. იგი ერთნაირი სიყვარულით აგროვებდა, ამუშავებდა და ბეჭდავდა როგორც ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და ნოველებს, ისე ოსურ ზღაპრებსა და ნოველებს. გარდა ამისა, ალექსანდრე ლლონტი, როგორც მისი არაერთი წერილი ადასტურებს, დიდი სიყვარულით საუბრობდა თავის ოს მეგობრებსა და მოწაფეებზე, რომელთა შორის დავასახელებ ქ-ნ მერი ცხოვრებოვას.

Goderdzishvili Ketevan

Tbilisi, Georgia

TOPONYMS AS DOCUMENTS DEPICTING GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS

1. One part of Toponyms discovered in Tskhinvali Region by us reflects the near past – the co-habitation of Georgian and Ossetian people;
2. From these toponyms, which are loaded with information, two groups can be distinguished, namely Synthesized Toponyms and Parallel Toponyms;
3. In the Synthesized Toponyms there is a positive attitude towards the friendship of these two nations.

გუნცაძე მანუჩარ

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიისათვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში

საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში დიდი როლი ითამაშა შიდა კონფლიქტებმა, რომელიც აფხაზეთსა და შიდა ქართლის ნაწილში ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ წარმოიქმნა. კონფლიქტების წარმოქმნა და განვითარება მეოცე საუკუნეში მოხდა, რასაც ძირითადად გარეშე ძალის ჩარევა უწყობდა ხელს. კონფლიქტის დაწყების პერიოდთან რუსეთი მფარველობდა საქართველოში არსებულ სეპარატისტულ ძალებს, რადგან მათი წარმატება საქართველოს დასუსტებას ნიშნავდა. დასუსტებულ საქართველოზე გავლენის გავრცელება კი რუსეთს გაუმარტივებოდა. თავისი წილი პასუხისმგებლობა ამ კონფლიქტებში, რა თქმა უნდა, ყველა მხარეს გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ კონფლიქტის დამწყებად

ოსეთის სეპარატისტული ძალა გვევლინებოდა, რომელსაც რუსეთის მხრიდან მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ჰქონდა.

მიუხედავად მეოცე საუკუნეში არსებული მასშტაბური სამხედრო დაპირისპირებებისა, ყველაზე დიდ წარმატებას ოსმა სეპარატისტებმა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიაღწიეს. სწორედ ამის შემდეგ აღიარა რუსეთმა და რამდენიმე სხვა ქვეყანამ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუმცა საერთაშორისო საზოგადოება ამ ფაქტს არ სცნობს და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საჭიროა ამ კონფლიქტის როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით შესწავლა, რათა უკეთ მოეფინოს ნათელი განვითარებულ მოვლენებს. ეს სტატიაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ამ შემთხვევაში ჩვენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ წარმოქმნილ კონფლიქტზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან კვლევის ობიექტს ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არსებული კონფლიქტი წარმოადგენს. 1918-1921 წლებში საქართველოში ოსთა სამი აჯანყება მოხდა.

პირველი აჯანყება მოხდა 1918 წელს, ეს ის დროა, როდესაც საქართველოს შეიარაღებული დაპირისპირება აქვს ოსმელეთთან. ეს აჯანყება წმინდა პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა, რადგან მათ წარმოდგენილი მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობაც არ მისცეს ქართულ მხარეს ისე დაიწყეს სამხედრო მოქმედებები. შედეგად გაძარცვეს და დაარბიეს ცხინვალი, მაგრამ ამ ძარცვა-რბევის გარდა მათ მეტი სარგებელი ვერ ნახეს. ქართული გვარდიის ნაწილებმა რამდენიმე დღეში მოახდინეს აჯანყების ჩახშობა. აჯანყების ჩახშობის დროს მიმდინარეობდა მხოლოდ შეიარაღებული პირების განეიტრალება, ქართული მხარე მაქსიმალურად ერიდებოდა სოფლებში შესვლას, რათა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი არ გამოენვია.

1919 წელს მოეწყო მეორე აჯანყება, რომელიც დენიკინთან დაპირისპირების მომენტს დაემთხვა. ოსების მოთხოვნა ამჯერად იყო ცალკე სამაზრო ერთეულის წარმოქმნა, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრადაც მათ ცხინვალი სურდათ. ისინი ითხოვდნენ ცალკე სასამართლო სისტემასაც, რითაც ქართული სასამართლო სისტემის იგნორირება სურდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მათ სთავაზობდა ჯავის მაზრის შექმნას, თუმცა ცხინვალი მათი ადმინისტრაციული ცენტრი ვერ გახდებოდა, რადგან იქ მოსახლეობის უმრავლესობა ქართული იყო, ამიტომ მათ ამის მოთხოვნის რეალური მიზეზი არ გააჩნდათ. ოსური მხარე ამ

მოთხოვნას არ დათანხმდა, მათ პროტესტიც კი გამოუცხადეს დამფუძნებელი კრების არჩევნებს და რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანებით დაიწყეს მზადება მასშტაბური აჯანყებისთვის. აქ უკვე კარგად ჩანდა რუსი ბოლშევიკების როლი და მათი ინტერესები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამ აჯანყებას თბილისში და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები ოსების ნაწილი არ იზიარებდა. ანუ ეს არ ყოფილა ეთნიკური დაპირისპირება, ის პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ქართულმა მხარემ შეიტყო აჯანყების მზადება და მისი მონაწილეების დიდი ნაწილი დააპატიმრა, რის შემდეგაც უკვე ადვილად მოხერხდა მისი ჩახშობა.

მომდევნო აჯანყება კი წინა ორი აჯანყებისგან განსხვავებით ბევრად მასშტაბური და მნიშვნელოვანი იყო. აქ უკვე რუსეთის ინტერესები ამჟღავნა, ისინი აჯანყებულებს პოლიტიკურად, ფულადი სახით და გარკვეული შეიარაღებული ნაწილების გაგზავნითაც კი ეხმარებოდნენ. ეს აჯანყება 1920 წელს დაიწყო და მიზნად ისახავდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის, შიდა ქართლის ნაწილის საქართველოსგან ჩამოშორებას და რუსეთთან მიერთებას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მალე ჩაახშო აჯანყება, მაგრამ შედეგი ბოლომდე დადებითი ვერ იქნებოდა. მართალია, ქართული ტერიტორია განთავისუფლდა აჯანყებულთა ბანდებისაგან, მაგრამ ეს დაპირისპირება ოსების და ქართველების მასხოვრობაში მაინც დარჩა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა მიეჩქმალა მისი როლი ამ აჯანყებაში და კონფლიქტის გაღვივების შემდეგ, ერთი მხრივ დაივიწყა ოსი ბოლშევიკებისთვის მიცემული დაპირება მათი დახმარების შესახებ, მეორე მხრივ კი ქართულ მხარეს უცხადებდა, რომ კონფლიქტის დაწყებაში მას ბრალი არ მიუძღოდა. არადა სწორედ რუსეთიდან მოდიოდა აჯანყების დაწყების ბრძანება. რეალურად გამოვიდა ის, რომ ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ, ბიძგი მისცა ქართულ-ოსური კონფლიქტის დასაწყისს და შემდეგ თვითონ განზე გადავა, რათა ეს ყველაფერი ქართველებსა და ოსებს შორის, დამოუკიდებლად წამოჭრილ ეთნიკურ კონფლიქტს დამსგავსებოდა. ქართულ მხარეს მკაცრი ზომების გატარება მოუწია აჯანყებულთა წინააღმდეგ, რადგან ეს უკვე მესამე აჯანყება იყო ოსების მხრიდან და საჭიროებდა საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეს პრობლემა. გაუთავებელი დაპირისპირება ხელს უშლიდა საქართველოს განვითარებას და შესაბამისად იქ მცხოვრები ყველა ერის (მათ შორის ოსების) წინსვლას და მშვიდობიან ცხოვრებას.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ოსური (აქ იგულისხმება სეპარა-

ტისტული ნაწილი) და რუსული მხრიდანაც დაიწყო იმაზე საუბარი, რომ ქართველებმა გენოციდი მოუწყვეს 1920 წელს ოსებს, ამ თემით აპელირება დღემდე გრძელდება. შეფასების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ იყო ქართველების და ოსების ეთნიკური დაპირისპირება, რომელსაც შეიძლებოდა ოსების გენოციდი გამოეწვია.

პრობლემის კვლევისას ძირითად წყაროს წარმოადგენდა აჯანყების თანადროული ქართული პრესა, რომელიც საკმარის მასალას გვანვდის მოვლენების აღწერისათვის. იმისათვის, რომ მომხდარიყო სრული სურათის წარმოდგენა ნაშრომში კეთდება 1918 და 1919 წლების აჯანყებების მოკლე მიმოხილვაც. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ თვალი ვადევნოთ, როგორც კონფლიქტის მსვლელობას, ასევე ოსური მხრიდან მოთხოვნილებების ცვლილებას და კონფლიქტის განვითარებაში რუსული მხარის ჩარევის ზრდას.

კომპლექსური კვლევისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა სხვადასხვა ტიპის მასალის გამოყენება, იქნება ეს პრესა, მემუარეები, საარქივო დოკუმენტები თუ სამეცნიერო პუბლიკაციები. სწორედ ამიტომ საინტერესოა მიმოვიხილოთ ის მდგომარეობა, რაც აღნიშნული საკითხის კვლევის მიმართულებით გაგვანჩნია დღეს.

ოსურ საკითხზე და ზოგადად საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებზე, რა თქმა უნდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მონოგრაფიაა დაწერილი, მაგრამ მათში არ არის საკმარისი ინფორმაცია 1920 წლის აჯანყების შესახებ. ამ აჯანყებაზე არ არსებობს ცალკე მონოგრაფია, ხოლო იმ მონოგრაფიებში, რომლებშიც ამ მოვლენებზეა საუბარი, აღნიშნულ აჯანყებას მხოლოდ რამდენიმე გვერდი ეთმობა, რაც ვერ ქმნის სრულ სურათს. ასევე მათში არასწორადაა გაშუქებული აჯანყების მეთაურის საკითხი. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული არის, რომ 1920 წლის აჯანყების ჩახშობას ვალიკო ჯუღელი ხელმძღვანელობდა, თუმცა ნაშრომში განხილული მასალის საფუძველზე ხდება იმის დამტკიცება, რომ რეალურად აჯანყებას გენერალი გიორგი კვინიტაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ჯუღელს მხოლოდ ერთი, კონკრეტულად კი მარჯვენა ფლანგის მეთაურობა ებარა. ჯუღელს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ამ აჯანყების ჩახშობაში, ის მონაწილეობას იღებდა სამხედრო კრებების დროს გადაწყვეტილებების მიღებაშიც, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ფაქტები ობიექტური კვლევის შედეგად იქნეს განხილული, ამით კი მტკიცდება კვინიტაძის ხელმძღვანელობა და არა ჯუღელის.

სწორედ გიორგი კვინიტაძის მიერ მოხდა გვარდიის ნაწილების გადანაწილება დისლოკაციის ადგილზე, მათი კოლონებად დაყოფა, სამხედრო მეთაურობის დანიშვნა და ძირითადი სამხედრო მოქმედებების წარმართვა.

რაც შეეხება მემუარებს, ჩვენთვის ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამხედრო მინისტრის, გრიგოლ ლორთქიფანიძის მემუარები „ფიქრები საქართველოზე“, სადაც მოცემულია აჯანყების შეფასებები და რუსეთის ფაქტორი ამ მოვლენებში. ასევე აჯანყების ჩახშობის ოპერაციის ხელმძღვანელის, გიორგი კვინიტაძის „მოგონებები“ (კერძოდ კი წიგნი I), სადაც ის აღწერს 1920 წლის აჯანყების მოვლენებსაც. მნიშვნელოვანია ასევე აჯანყების ჩახშობის ოპერაციის დროს მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელის, ვალიკო ჯუღელის მოგონებები „Тяжелый крестъ (Записки народногвардейца)“, სადაც იგონებს აჯანყების ჩახშობის მსვლელობას და იმ სიმკაცრის აუცილებლობას ხსნის, რასაც ქართული გვარდია იჩენდა აჯანყების ჩახშობის დროს.

ახლა რაც შეეხება 1920 წლის ქართულ პრესას, რომელიც აღნიშნული საკითხის კვლევაში მთავარ წყაროს წარმოადგენს ჩვენთვის.

პირველი, ესაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. მეორე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაზეთი „ერთობა“. მესამე კი სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“. აღნიშნული გაზეთები საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანდის 1920 წლის აჯანყების დაწყებიდან მის დასრულებამდე. აქ იბეჭდებოდა სამხედრო შტაბის ყოველდღიური ცნობები, ასევე ანალიტიკური სტატიები, სადაც ხდებოდა არსებული ვითარების მიმოხილვა და მიზეზების კვლევა. მართალია, ზოგიერთ სტატიაში იგრძნობა, რომ სამი აჯანყება ოსების მხრიდან არავის სიამოვნებდა და უკვე მობეზრებული ჰქონდათ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ ეს არ იყო მშვიდობიანი მოსახლეობიდან წამოსული მუხტი და ქართულ-ოსური კონფლიქტი, არამედ ეს იყო რუსეთის ჩარევით გამოწვეული დაპირისპირება.

ამ საკითხთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული მიმოხილვა ასეთ სახეს გვაძლევს. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ოსურ საკითხთან, ან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომები მრავლად მოიპოვება, მაგრამ ჩვენ შევხებით მხოლოდ იმ ძირითად ნაწილს, რომელიც კვლევისთვის საჭირო ინფორმაციას იძლეოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების კონფლიქტური მხარე, ის რაც დღეს არსებობს, საწყისს სწორედ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში 1918-1921 წლებში იღებს. მიუხედავად საბჭოთა კავშირის პერიოდში არ არსებული სამხედრო დაპირისპირებისა და ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, სამწუხაროდ, მეოცე საუკუნის ბოლოს კვლავ მოხერხდა რუსეთის მიერ კონფლიქტის იგივე მეთოდებით და ტაქტიკით გაღვივება, როგორც ეს 1918-1921 წლებში ხდებოდა. სწორედ ეს პერიოდი იქცა იმ საბაზად, რომლითაც 1922 წელს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ხელი შეეწყო იმას, რომ შენელებული მოქმედების ნაღმი გაჩენილიყო საქართველოს ამ რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბოლშევიკების მუშაობა საქართველოს გარეთ, გაზ. „ერთობა“, 1920, №137.
გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №132.
გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №127.
გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №128.
გენერალური შტაბის ცნობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №129.
გურული ნ. პროვინცია, გაზ. „ერთობა“, 1920, №95.
დამფუძნებელი კრების წევრები პროვინციაში, გაზ. „ერთობა“, 1920, №114.
ზავი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის, გაზ. „ერთობა“, 1920, №104.
ისევ ოსები, გაზ. „ერთობა“, 1920, №130.
კვინიტაძე გ. მოგონებები, თბილისი, „ლომისი“, 1998, წ. 1.
„კომუნისტის“ უტიფრობა, გაზ. „ერთობა“, 1920, №126.
ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1995.
მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №852.
მთავარი შტაბის ცნობა, გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, №853.
ოსების გამოსვლები, გაზ. „ერთობა“, 1920 წ. №129.
ოსების განცხადება საქართველოს მთავრობისადმი, გაზ. „ერთობა“, 1920, №142, გვ. 2.
ოსების ტყვეობიდან, გაზ. „ერთობა“, 1920, №157.
პროვინცია, გაზ. „ერთობა“, 1920, №96.
სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №134.
სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №135.
სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №136.
სამხედრო ცნობა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №137.
საქართველო და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური მიწერ მოწერა, გაზ. „ერთობა“, 1920, №101.

- საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება, გაზ. „ერთობა“, 1920, №125.
- ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემობა“, 2004.
- Джугели В. Тяжёлый крест** (Записки народногвардейца), Тифлиси, „Типография Правительства“, 1920.
- Борьба за победу Советской власти Грузии: Документы и материалы (1917-1921гг.), Тбилиси, „Сабчота Сакартвело“, 1958.
- ბახტაძე უ.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1968.
- ბენდიანიშვილი ალ.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, „მემატთანე“, 2005.
- ბლუაშვილი უ.** ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?, თბილისი, „ცის ნამი“, 2005.
- ვადაჭკორია შ.** დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1921 წლებში, თბილისი, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის კარტოგრაფიული ცენტრი“, 2010.
- ვადაჭკორია შ.** საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბილისი, „მემატთანე“, 2003, წიგნი 1.
- ვადაჭკორია შ.** საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბილისი, „მემატთანე“, 2006, წიგნი 2.
- თოგოშვილი გ.** ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბილისი, „მეცნიერება“, 1969.
- თოთაძე ა.** ოსები საქართველოსი: მითი და რეალობა, თბილისი, „უნივერსალი“, 2006.
- თოიძე ლ.** ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია, თბილისი, „ივერთა მხარე“, 1991.
- თოიძე ლ.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, „მეცნიერება“, 1991.
- ითონიშვილი ვ.** უცხოეთში მდებარე ავანგარდის საქართველოში, თბილისი, „მემატთანე“, 2005.
- მენტეშაშვილი ა.** ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებული: ოსთა საკითხი, თბილისი, „პითაგორა“, 1996.
- მენტეშაშვილი ა.** სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“ 1989, №95.
- ყორყოლიანი გ. თოიძე ლ. ლეკიშვილი ს. მატარაძე ლ. ხოშტარია-ბროსე ე.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები და მისი მოგვარების გზები, თბილისი, „სამშობლო“, 1992.

სონლულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბილისი, „უნივერსალი“, 2009.

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, „სამშობლო“, 1991.

ჭუმბურიძე დ. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლები), თბილისი, „მემატიანი“, 2003.

ხუციშვილი ნ. შიდა ქართლი-ისტორია და თანამედროვეობა (საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 20 იანვარი.

Guntsadze Manuchar

Tbilisi, Georgia

HISTORY OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS DURING THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA

Georgian-Ossetian relations have a history of centuries and distant historical past, however, as the current research object we took a first-half of the twentieth century. This is one of the most exciting and interesting phases of the Georgian-Ossetian relations of the recent history.

During the period of 1918-1921, discussing the Georgian and Ossetian people and their relationship seems interesting first of all in the context of economic relations, second the cultural, and the third, but very important political relationship.

During the discussion, it is interesting to observe and give comparative analysis on how similar or different was the state's attitude towards Ossetians and other ethnic minorities living in Georgia. As well as the importance is placed on how the state cares about the education of the ethnic Ossetian population and puts them in equal conditions with other citizens.

The Period of Democratic Republic of Georgia is important by the outstanding military and political events. The incomplete three years, actually the 1028 days of Independence during which certain facts of military conflict was present. It should be noted that in these military and political quarrels Ossetians played an important role.

During 1918-1921 the Ossetian uprising and the military confrontations took place for three times. In 1918, 1919 and 1920 the confrontation had their reasons which lay mainly in external factors. The Rebellions and external factors, which actually grew in strength chronologically, have laid the foundation for the modern conflict.

The issues mentioned above, and the 1918-1921 Georgian-Ossetian relations and its analysis gives an interesting picture which could be compared to the modern Georgian-Ossetian relations.

Дзагоева И.С.,

соискатель отдела осетинского языкознания, СОИГСИ им. В.И. Абаева, Владикавказ, Россия

О КОНЦЕПТОСФЕРЕ ЗООЛЕКСЕМЫ «СОБАКА» В ОСЕТИНСКОМ, РУССКОМ И ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКАХ

Для характеристики поведения, внешности или образа жизни человек выбирал тех животных, повадки и образ жизни которых ему были хорошо знакомы. Одним из таких животных является собака: «Народные суеверия осетин окружали собаку – первого животного, прирученного человеком, – религиозными почитаниями в определенном смысле этого слова. Собака – это прирученный и одомашненный волк» [Чибиров, 1972:172–174]. Значение собаки как культового животного имеет стадильный характер и присущ многим народам. Анималистический образ, который лег в основу фразеологизмов, интерпретируется как на научно-познавательном, так и культурном уровнях.

Лингвокультурный анализ фразеологических единиц с компонентом-зоонимом *собака* выявил концепты, связанные с видением качеств человека через призму качеств животного. Анализ образа позволяет выявить доминантные характеристики собаки как животного, которые используются для обозначения внутренних и внешних качеств человека, его образа жизни.

Ср. например:

а) Концепт **«преданность, верность»**; содержится в осетинском, русском и грузинском языках: ср.:

Куыдз хæдзарыл иузæрдыг у – букв.: *собака предана дому; Хорз куыдз лæгæн æмбал у* – **русск.:** *собака – друг человека; груз.:* *дзагъ-левит эртгули.*

б) Концепт *«жадность, скупость»*; содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Уайдзефы кьабар кудыз дæр нæ хæры – букв.: *кусок попрекаемого хлеба даже собака не ест*; **груз.:** *сахъедуриан лукмас, дзагълиц ар чамс.*

Зыд лæгæй зыд кудыз хуыздæр у – *жадная собака лучше, чем жадный человек*; **груз.:** *дзунцъ кацс дзунцъи дзагъли джобиа.*

в) Концепт *«неужность, непризнанность»*; содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Магуыр лæгыл кудыз нæ хæцы – букв.: *бедного даже собака не кусает*; **груз.:** *хъарибс дзагъли ар къменс.*

г) Концепт *«социальное положение»*:

Куыдзы бынаты бадын (зонын) – букв.: *сидеть на месте собаки (уметь), знать своё место*; **груз.:** *дзагълис одгилас арис*; употребляется и в осетинском, и грузинском языке.

д) Концепт *«болтливость попусту, пустословие»*; содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Куыдз дæр ма хæргæ хæрын нæ райы – букв.: *даже собака, когда ест, не лает*; **русс.:** *когда я ем, я глух и нем*; **груз.:** *дзагъли роца чъамс архъепс.*

Куыдз райы 'мæ йæ дымгæ хæссы – русск. *собака лает, ветер уносит*; **груз.:** *дзагъли хъепс – кари крис.*

Куыдзы райд кæны – **русс.:** *гавкает как собака*; **груз.:** *дзагълевит хъепавс.*

Куыдз фæрæйы, фæрæйы 'мæ банцайы – букв.: *собака полагает, полагает и замолкает*; **груз.:** *дзагъливит ихъепепс да гачумдеба*; употребляется и в осетинском и грузинском языках.

е) Концепт *«грубость, унижение, неуважение»*; содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Куыдз тæрæгау ракæнын, искæй искуыцæй æгады сырд кæнын – **русс.:** *выгнать как собаку, кого-нибудь выгнать с позором*; **груз.:** *дзагълевит гамоагдес.*

Куыдзы цæстæй кæсын (искамаен нæ аргъ кæнын, искай ницæуыл нымайын; искамаæ æвзæр ахаст дарын) – букв. *смотреть взглядом (глазом) собаки*; **русс.:** *как собака*, **груз.:** *дзагълевит икхъуреба.*

ж) Концепт *«грубость, презрение»*; содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Куыдзы фырт (хæрæджы фырт) (æнаккаг, æвдисы кæйдæр æнæуынон ахаст кæмæдæр) – **русс.:** *собачье отродье*; **груз.:** *дзагълис лекво.*

Куыдзы туджы кӕх тулын – букв.: пачкать руку в собачьей крови; **груз.** *дзагъдис сисхлит дабанили.*

Куыдзы мард кӕнын – **русск.:** содхнуть как собака, **груз.** *дзагъливит чадзлхъда.*

з) Концепт **«бесчестие»**; содержится в осетинском, грузинском языках; грузинский аналог совпадает с концептом **«грубость, презрение»**; ср.:

Куыдзы мардаей ныммард кӕйдаер бӕсты – букв.: собачьей смертью умер на чужбине; **русск.:** собаке – собачья смерть; **груз.** *дзагълис лекво.*

Куыдзы тугӕй ахсад уын (ӕгъатыр, галиу уын) – букв.: помыт собачьей кровью (быть бессовестным); **груз.** *дзагъдис сисхлит дабанили.*

и) Концепт **«бесчеловечность»**, содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Куыдзы тард ракодтой – букв.: выгнали как собаку; **груз.** *дзагъливит самогдебули.*

к) Концепт **«непристойность»**; содержится в осетинском и грузинском языке; ср.:

Куыдзы ми бакӕнын (ӕнагъдау ми бакӕнын) – букв.: совершить проступок, **груз.:** *дзагъливит моигца.*

л) Концепт **«неуважение»**; содержится в осетинском, грузинском языках; ср.:

Куыдзмӕ (даер) нӕ дарын – букв.: нет дела (даже) как до собаки, т.е. ни во что не ставить; **груз.:** *дзагъливит арчаагдо.* **Куыдзы кӕбылайы аргъ (даер) нӕ кӕнын** – букв.: не ценить даже как щенка; **груз.:** *дзагълис леквис хъиренц ар арис.* **Куыдзы кад даер мын не скодтой** – букв.: не удостоили меня даже собачьей чести; **груз.:** *дзагълис леквис хъиренц ар арис.* **Куыдзы хъуыды даер мӕ не 'ркодтой** – букв.: про меня не вспомнили даже в качестве собаки; **груз.:** *дзагълис леквис хъиренц ар арис.*

Йӕ фӕдыл куыдз срейӕг даер не уыд (уыди) – букв.: даже собака за ним не залает; **груз.:** *дзагъливит аравис гаахъсендеби.*

Куыдзы гуыбынайдзыд уын (ӕвзар, фыд лаг, ӕгъатыр, ӕнагъдау уын) – букв.: рожден из собачьей утробы (бранное выражение в адрес бессовестного человека); **груз.:** *дзагълис муцлидан дабадебули.*

м) Концепт **«недоверие»**; содержится в осетинском и грузинском языках; ср.:

Мӕ куыдз дыл баууӕндӕд – букв.: пусть моя собака тебе верит; **груз.:** *чемма дзагълма дагиджерос.*

н) Концепт *«продуманность, бессилие»*; содержится в осетинском, русском и грузинском языках; ср.:

Куыдзы цæст уын – букв.: быть собачьим глазом (используется как *бранное* обращение); груз.: *дзагълис твали аквс*.

о) Концепт *«безделье»*; содержится в осетинском, грузинском языках; ср.:

Æнахъуыддаг куыдз йæ къах ысдаеры – букв.: собака-бездельница лапу облизывает; груз.: *усакмури дзагъли татс локавс*.

п) Концепт *«унижение»*; содержится в осетинском и грузинском языках; ср.:

Куыдзæй куыдздар ныккæнын – букв.: выставить худшей среди собак; груз.: *дзагълис уаресиа*.

Куыдзы зæрдæ – букв.: собачье сердце, груз.: дзагълиц гули.

р) Концепт *«благодарность / неблагодарность»*; содержится в осетинском и грузинском языке; ср.:

Куыдз дар ма хорздзинад нæ рох кæны – бук.: даже собака хорошее не забывает; груз.: *сикете дзагълац ар авицъкъдеба*.

с) Концепт *«легкомыслие»*; содержится в осетинском и грузинском языках; ср.:

Куыдзы сапп-сапп кæнын (æвæндонæй, æгадай ацæуын, æрбацæуын) – букв.: топтать как собака (нехотя, с позором уйти, прийти); груз.: *дзагълевит шерцхвенили*.

т) Концепт *«благородство, достоинство»*; содержится в осетинском и грузинском языке; ср.:

Хорз куыдз æнахъуаджы нæ райы – букв.: хорошая собака попусту не лает; груз.: *карги дзагъли ткъвила ар къæпс*.

у) Концепт *«предосторожность»*; содержится в осетинском и грузинском языках; ср.:

Куыдзимæ лымæн у, фæлæ дæ дæ лæдзæг дар рох ма уæд – букв.: с собакой дружи, но палку при себе иметь не забывай; груз.: *дзагъли ахсене да кети хелшии айхе*.

ф) Концепт *«недостойный внимания»*; содержится в осетинском и грузинском языке; ср.:

Куыдз дар ыл нæ бату кæндзæн (æвидыц, фыдуынд, æвзæр уæвын) – букв.: даже собака на него не плюнет (некрасивый); груз.: *дзагълмац ки ар шехедавс*.

х) Концепт *«усталость»*; содержится в осетинском, русском и грузинском языке; ср.:

Куыдзы фæллад бакæнын (бирæ кусын, зын куыст кæнын, тынг фæллайын) – букв.: устать как собака (много работать, выполнять

тяжелую работу, очень устать); **русск.:** устал как собака, **груз.:** *дзагъливит дахла*.

ц) Концепт «*сквернословие, грубость*»; содержится в осетинском и грузинском языках, ср.:

Куыдзы дзых ныххæлиу кæнын (*дзагъæлы дзурын, хыл кæнын, искай æфхæрын*) – букв.: разинуть пасть, как собака (болтать попусту, ругаться, кого-нибудь обижать); **груз.:** *дзагъливит кепс*.

ч) Концепт «*злость, неблагонадежность*»; содержится в осетинском и грузинском языке; ср.:

Æнамонд куыдз (*æнæсарон, æнæсарфат чи у, ахæм адæймаг*) – букв.: несчастная собака (о нерасторопном, неопределенном человеке); **груз.:** *уигъбло дзагъливит*.

При анализе зоонима «собака» в осетинском, русском и грузинском языках мы выделили концепты, определяющие внутренние, внешние качества, черты характера человека, его социальное положение. Можно с уверенностью сказать, что во всех трёх языках прослеживается чёткая аналогия: обнаружено 23 сходства концептов. Среди них прослеживаются в основном концепты, передающие отрицательные качества, черты, социальное положение человека. Положительный концепт «*преданность, верность*» – содержится в осетинском, русском и грузинском языках. Концепт «*благородство, гордость, достоинство*» – в осетинском и грузинском языках. Такие отрицательные концепты, как «*социальное положение*»; «*грубость, жестокость*»; «*недоверие*»; «*бессовестность*»; «*безделье*»; «*злость*»; «*злость, вредность*»; «*легкомыслие*»; «*предосторожность*»; «*некрасивый, неприглядный*»; «*сквернословие, грубость*»; «*сквернословие, грубость*»; «*злость, неблагонадежность*» – содержатся в осетинском и грузинском языках. Концепт «*неуважение*» в грузинском языке можно передать несколькими выражениями на осетинском языке: *Куыдзы къæбылайы аргъ (дæр) нæ кæнын* – букв.: не ценить даже как щенка; груз.: *дзагълис леквис хъиренц ар арис*. *Куыдзы кад дæр мын не скодтой* – букв.: не удостоили меня даже собачьей чести; груз.: *дзагълис леквис хъиренц ар арис*. *Куыдзы хъуыды дæр мæ не 'ркодтой* – букв.: про меня не вспомнили даже в качестве собаки; груз.: *дзагълис леквис хъиренц ар арис*.

Остальные концепты, определяющие отрицательные качества человека, прослеживаются во всех трёх языках.

Итак, сходство концептов во всех трёх языках означает и совпадение ФЕ с компонентом-зоонимом *собака*, связанных с видением качеств человека через призму доминантных характеристик животного в их лингвокультурах.

Литература

1. Гукетлова Ф. Н. Зооморфный код культуры в языковой картине мира (на материале кабардино-черкесского, русского и французского языков). – М.: ТЕЗАУРУС, 2009.
2. Чибиров Л.А. О некоторых пережитках зоолатрии у осетин // Материалы по этнографии Грузии XVI – XVII. –Тбилиси: Мецниереба, 1972.

Источники

3. Ирон æмбисæндтæ / Сар. Гуытæиаты Хъ. –Дзæуджыхъæу, 1976.
4. Дзэбиев З.Т. Фразеологический словарь осетинского языка.– Цхинвал, 2004.
5. Молотков А.И. Фразеологический словарь русского языка. – М., 1967.

Dzagoeva Irma

Vladikavkaz, Russia

ON THE CONCEPTS' SPHERE OF THE ZOO-LEXEME, "DOG" IN OSSETIAN, RUSSIAN AND GEORGIAN

1. A man chose those animals, habits and way of life of which he was well acquainted, to describe his own behavior, appearance or lifestyle. One of these animals is a dog, "Folk superstitions of Ossetians surrounded the dog - the first animal domesticated by man, religious veneration in a particular sense. Dog - a tamed and domesticated wolf "[Chibirov, 1972: 172-174]. Significance of the dog as a cult pet has a character and inherent stadial many nations. Animalistic image, which formed the basis of phraseological units, is interpreted as scientific, educational, and cultural levels.

2. Linguocultural analysis of phraseological units with the component-zoonyms dog has revealed the concepts related with the vision of human qualities through the lens the qualities of the animal. The analysis of the image reveals the dominant characteristics of the dog as an animal that is used to describe the internal and external qualities of the man, his lifestyle.

Cf. e.g.:

a) The concept of "devotion, faithfulness"; contained in Ossetian, Russian and Georgian languages: cf.:

Kuydz hædzaryl iuzærdyg u – lit.: dog is devoted to house;

Horz kuydz lægæn æmbal u – Russian: dog – man's best friend; Georgian: *dzaglevit ertguli*.

b) The concept of "greed, avarice"; contained in Ossetian, Russian and Georgian languages: cf.:

Uaydzæfy kæbær kuydz dær næ hæry – lit.: a crust of bread, which reproached, even the dog does not eat; Georgian: *sahedurian lukmas, dzaglits ar Chams*.

Zyd lægæy zyd kuydz huyzdær u – a greedy dog is better than a greedy man; Georgian: *dzunts katss dzuntsi dzagli Jobia*.

c) The concept "arrogance conceit"; is contained in Ossetian, Russian and Georgian languages: cf.:

Mæguyr lægyl kuydz næ hætsy – lit.: the poor, even the dog does not bite; Georgian: *haribs dzagli kmens al*.

d) The concept "social status";

Kuydzy bynaty badyn (zonym) hitsæn æntsad læuuyn, dæ Bon dæ haru kæm not cya, uyrðæm hee not 'pparyn; Bon haru zonym – lit.: of the dog to sit still (be able) to stand still, to know his place; Georgian: *.dzaglis odgilas aris*. It is used in the Ossetian and Georgian languages.

The volume of abstracts does not allow to stay in the whole concepts' sphere zoo-lexeme "dog" on the basis of a comparison of three different cultures that will be taken by us in this report.

Дзатиев Сослан

*Северо-Осетинская организация Союза архитекторов России
Владикавказ. Республика Северная Осетия-Алания. Россия*

НАЦИОНАЛЬНАЯ ИДЕНТИЧНОСТЬ И ЭТНОКУЛЬТУРНЫЙ КОД АРХИТЕКТУРЫ СЕВЕРНОЙ ОСЕТИИ И ГРУЗИИ В СВЕТЕ СОВРЕМЕННОГО ГЛОБАЛИЗМА

Ключевые слова: Северная Осетия, Грузия, архитектура, градостроительство, семантика, символика, образ, национальная идентичность, этнокультурный код.

Преамбула. На определяющие черты национальной архитектуры народов Кавказа оказали влияние множество факторов: климат, замкнутая экологическая ниша, народное самосознание, влияние религии и политика соседних государств, социальные условия. Некоторое их развитие в эпоху Советов и нынешние общемировые тенденции общества и культуры к глобализации остро ставят вопрос об их переосмысленном месте в мироустройстве и актуальности как таковой. По сути, мы оказываемся меж двух огней: с одной стороны, тот факт, что вопрос вообще обсуждается, говорит о возможном кризисе самоидентификации народов и этнической архитектуры, о ее историчности

и архаичности, а с другой – мы все живем в эпоху глобализации, стирающей границы между странами и континентами до полного обезличивания. Таким образом, угрозы стагнации и консервации архитектуры или же потери ее уникальности сегодня реальны. В этом контексте поиски уникального своеобразия национальной культуры и ее места в современной парадигме архитектуры вполне оправданы*.

Относительно осетино-тюркских ареальных контактов следует отметить, что в глубоком прошлом ираноязычные кочевники занимали значительные территории от Дуная и Восточной Прибалтики примерно до Урала. Их страна называлась Скифией по названию господствующего народа – скифов. Предполагательны контакты скифов с гуннами. Позднее главенствующую роль в Скифии заняли сарматы. Граница с хазарами, аланы являлись серьёзной военной и политической угрозой для хазарского каганата. Византия неоднократно разыгрывала „аланскую карту“ в своих постоянных имперских амбициях по отношению к Хазарии. Используя географическое расположение единовременцев-алан навязывала хазарам свои политические планы. Позднее хазары были разгромлены древнерусским государством и окончательно добыты половцами. К началу XIII в. аланы находились с половцами в союзе. В 1222 г. на Северный Кавказ вторглись монголы. Аланы в союзе с половцами сразились с монголами, но ни одна из сторон не одержала победы. В 1237 году татаро-монголы обрушились на Северо-западный Кавказ. Осенью 1238 г. началось завоевание Алании. Алания, переживавшая период политической децентрализации и раздробленности, не могла объединить все свои силы перед лицом надвигающейся опасности и исход борьбы решился в пользу завоевателей. В результате кампании значительная часть равнинной Алании оказалась

захваченной татаро-монголами. Затем среднеазиатский эмир Тамерлан (Тимур) вторгся на территорию современной Северной Осетии.

Следовательно, тюркизмы заимствовались не всегда в результате мирных встреч аланов с гуннами, хазарами, кыпчаками и северокавказскими тюркскими народами. С этой точки зрения каждая лексическая единица дошла до нас из прошедших эпох и её можно считать определенной исторической категорией. Многие тюркизмы, восходящие своими корнями к глубокой древности, вещают о давности заимствований.

Лексико-семантическая система осетинского языка, как в свете языковых контактов и заимствований, так и с точки зрения внутренних реконструкций, фундаментально исследована В. И. Абаевым в одной из его главных работ – Историко-этимологическом словаре осетинского языка в 5 томах (1958–1990); в нём прослеживается этимология и история осетинских слов и внешние связи осетинского языка с индоевропейскими и неиндоевропейскими языками.

Как в грузинском, так и осетинском языках налицо внушительное количество тюркизмов, но мы коснулись лишь идентичных заимствований.

груз. *bašliyi* /bašliq'-i/, осет. басылыхъхъ (Бепиева, 2014,71,536), 'особый головной убор', башлык.

груз. *beg-i* /beg-i/, осет. бег, туркач æлдар (Бепиева,2014,72), тюркский средневековый термин 'князь, феодал', существовавший в Османской империи со значением 'князь, дворянин, господин'. В других тюркских языках то же слово произносилось иначе: в азербайджанском *bēk*, казахском *бий*, енисейско-орхонском /*beg*/.

груз. *burnuT-i* /burnut-i/, осет. бурнут (Бепиева, 2014,84) < тур. *burnuT* оту 'травка для носа', 'нюхательный табак'.

груз. *beslan-i* /beslan-i/, осет. Беслан < тюрк. *bej aslan* 'господин', 'лев'. Город Беслан основан в 1847 г. переселенцами из других районов Осетии и назван Бесланькау – 'селение Беслана' по имени местного феодала Беслана Тулатова. В итоге идентификации топонима и личного имени установлен топонимический тюркского происхождения в качестве имени собственного и в грузинской среде (засвидетельствован в сванском именнике).

груз. *dambaCa* /dambača/, осет. дамбаца (Бепиева, 2014,137,561; Абаев, 1958, 343) 'пистолет, револьвер' < тюрк. /*tabanča*/. В осетинский язык это слово перешло с грузинского языка, о чем свидетельствует возникновение /m/ перед /b/ – /*dambača*/. То же самое в грузинском слове /*k'ameč-i*/, 'буйвол', который в горных диалектах встречается в виде /*k'ambeč-i*/ и осетинским языком позаимствована как раз эта форма – *къамбец*.

груз. *damRa* /damɾa/, осет. дамгъæ (Бепиева, 2014,139,561) < тюрк. *damga* 1. 'тавро на скоте', 2. 'клеймо'(Абаев, 1958, 343). У многих

тюркских племен /damgatamga/ означало родовой знак, знак собственности, который в качестве тавра ставился на скоте.

груз. doRi /doɣ-i/, осет. дуг ‘скачки’ < тюрк. /joğ/ ‘погребальный обряд’. Слово doğ представляет старый вклад в аланский из среднеазиатских тюркских языков. Особо следует остановиться на развитии значения. Какая связь между „погребальным обрядом“ и „скачками“? Связь самая близкая. Конские ристания /doğ/ составляли существенную связь погребальных церемоний. Поэтому /duğ|doğ/ обычно и понималось как „скачки“ в честь умершего. Это скачки с призами из одежды покойного, его оружия, седла, иногда из лошади, быка, денег (Абаев, 1958, 373-4). Исчерпывающее, а главное, убедительное объяснение, нам нечего добавить. Но учитывая эрудицию выдающегося ученого, не совсем понятна его осторожность в связи с тюркской формой /joɣ/. Всем известны фонологические процессы, которые в русской языковедческой литературе дефинируются как: окание, дзекание, цокание, джекание и т.п. Из этого десятка и декание, чередование

/j“d/. Признак рефлексии /d/ настолько важное для этой языковой семьи фонологическое явление, что языки классифицируются на подгруппы по этому признаку. Так, общетюркское слово /ajak/ ‘нога’ в декающих языках фиксируется в форме /adak/. Вследствие этого фонологического процесса лингвистические единицы именуются /ajak/ и /adak/ языками.

Примеры j“d чередования: тур. büyük ‘большой’ “ диалектный böyük “ тюрк. /bedük/; тур. /kadın/ ‘женщина’ “ тюрк. /kajın/ и др. Такое-же соответствие между турецким /joɣ/-ом и тюрк. /doɣ/-ом (о развитии семантики этого слова см. выше).

груз. Tof-i I /top-i/, осет. топп (хæцæнгæрз) (Бепиева, 2014, 170) ‘ружье’ < тур. /top/. Это тюркское слово первый компонент нескольких сочиненных слов: топпæргæвдæй ‘с ног до головы вооружённый’, торрæхсаг ‘стрелок’, топпæхст ‘выстрел ружьем’, топпыхæ ‘порох’ (Бепиева, 2014, 708). Следует отметить, что порох по-осетински дословный перевод грузинского Tofiswamali /topisc’amal-i/, т. е. ‘лекарство для ружья, ружейное лекарство’).

груз. Tof-i II, осет. топп < тур. /top/ ‘рулон ткани’, целый кусок материи, ткани, плотно свернутый (Абаев, 1979, 303).

груз. TofCi-/topçi-/ , осет. /top%у|top%i/ (Абаев, 1979, 303) < тур./top/ ‘ружье’ + /-çi/ – аффикс имени деятеля – ‘пушкарь’. В грузинской реальности это слово фигурирует лишь в основе двух фамилий: TofCiSvili /Topçišvili/ и TofCiaSvili /topčiašvili/, где /-a/ – грузинский антропоформант.

груз. iarliyi /iarliq’-i/, осет. Ярлык (Бепиева, 2014, 171, 792), наклейка, бирка на товаре с разного рода сведениями < тюрк. /jarlyk/ ‘ханская грамота; ферман’.

груз. *uTo* /*uto*/, осет. *иту* (Бепиева, 2014, 275,792), ‘утюг’ < тюрк. /*ütü*/ ‘утюг’. Грузинско- осетинские дериваты идентичны: *დაუთოება* /*dautoeba*/ *ныту* *кæнын*, *иту* *æвæрын* ‘гладить’, *დაუთოებულე* /*dautoebuli*/ *итугонд* ‘глаженный’.

груз. *yabax-i* /*q’abax-i*/, осет. *хъабахъхъ* (Бепиева, 2014,298,767), < тюрк. /*k’abak*/ ‘кабачок, тыква’. Тыква часто служила мишенью при стрельбе. Со временем она превратилась в чашу, обычно, из драгоценного металла. Сбитую чашу отдавали меткому стрелку. Как в грузинском, так и осетинском языках расширилось значение этого заимствования. Скачки и стрельба в цель составляли у осетин необходимую часть погребальных игр в честь покойников мужского пола (Абаев, 1973, 253). /*qabaq*/ мог устраиваться и независимо от поминок, как спортивная игра. В грузинском же этим словом называли (1) место, где проводились соревнования по стрельбе в цель, (2) само соревнование, (3) а также мачта, на верху которой лежал шар, как цель для выстрела; оно же (4) расписанная доска с прикрепленной мишенью.

Немало арабских и персидских слов вошло как в картвельское, так и осетинское языковое пространство *via turcica*, но мы рассматриваем лексические единицы лишь тюркского происхождения.

В современной лексической семантике общепринято положение, следуя которой лексический фонд языка презентрует модель окружающего мира, его структуру и функционирование. Лексика также хранит заимствования, тем самым фиксируя основные моменты человеческого деяния. Лингвистическая реконструкция материальной и духовной культуры требует последовательного семантического анализа (реконструированных отдельных) слов, а экстралингвистические процедуры уточняют аспекты изучения языков, учитывая ареальные контакты и факторы типологического изоморфизма. Полагаем, настоящая статья в какой-то мере послужит этому направлению языкознания.

Common Turkic Lexemes in Georgian and Osetian

Summary

A centuries-old history of contacts between the Georgian, Osetian and Turkic peoples, be it annexations, taxation or peaceful relations, have greatly contributed to appearing the Turkic lexical items in the Georgian and Osetian. Examination of these events from the historic point of view makes for easier understanding of penetration of Turkic words, those adopted not at once but only successive Turkic migrations made them use in every-day life. The territorial closeness and historical-cultural context of the ethnos are the preferable factors in studying the genesis of names.

The aim of the paper is the determination of several Turcic lexical items that are common to Georgian and Osetian.

Литература

- Абаев**, 1958 – Абаев В.И. Историко-этимологический словарь осетинского языка в 5 томах. Т. I, АН СССР, изд. „Наука“, Москва-Ленинград.
- Абаев**, 1973 – Абаев В.И. Историко-этимологический словарь осетинского языка в 5 томах. т. II, АН СССР, изд. „Наука“, Ленинград.
- Абаев**, 1979 – Абаев В.И. Историко-этимологический словарь осетинского языка в 5 томах. т. III, АН СССР, изд. „Наука“, Ленинград.
- Бепиева**, 2014 – Грузинско-осетинский словарь, Осетино-грузинский словарь. Главный редактор – проф. Наира Бепиева, изд. „Универсали“, Тбилиси; Гурдзиаг- ирон дзырдуат, Ирон-Гурдзиаг дзырдуат; Сәйраг редактор – проф. Наирæ Беппиты.
- Габашвили**, 1957 – Габашвили В. Н. Очерки по истории Ближнего Востока, Тбилиси.
- Дмитриев Н. К.** О тюркских элементах русского словаря. – Лексикографический сборник. Т. III. Москва, 1958.

Marika Jikia

Iv. Javakishvili Tbilisi

State University

COMMON TURKIC LEXEMES IN GEORGIAN AND OSETIAN

Summary

A centuries-old history of contacts between the Georgian, Osetian and Turkic peoples, be it annexations, taxation or peaceful relations, have greatly contributed to appearing the Turkic lexical items in the Georgian and Osetian. Examination of these events from the historic point of view makes for easier understanding of penetration of Turkic words, those adopted not at once but only successive Turkic migrations made them use in every-day life. The territorial closeness and historical-cultural context of the ethnos are the preferable factors in studying the genesis of names.

The aim of the paper is the determination of several Turcic lexical items that are common to Georgian and Osetian.

ზექალაშვილი რუსუდან

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

ერთი ფურცელი ქართულ-ოსური ურთიერთობიდან

(ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა
და ლიტერატურის კათედრის შესახებ XX საუკუნის
60-70-იან წლებში)

1932 წელს სამხრეთ ოსეთში, ცხინვალში, დაარსდა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (მხოლოდ ერთი ფაკულტეტი), რომელიც მალე იქცა განათლების, კულტურისა და მეცნიერების კერად ამ რეგიონისთვის. 1934 წლამდე მას ეწოდებოდა *ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი*, ხოლო 1934-1961 წლის დეკემბრამდე – *სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი*. თანდათან ინსტიტუტს ახალი ფაკულტეტები ემატებოდა. მის პედაგოგიურ კოლექტივს მუდამ გვერდით ედგნენ თბილისელი მეცნიერები და ლექტორები.

1985 წლისათვის ინსტიტუტში უკვე არსებობდა 5 ფაკულტეტი: ფიზიკა-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისტორია-ფილოლოგიური, ფილოლოგიური, საზოგადოებრივ პროფესიათა. სწავლება მიმდინარეობდა ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე (სპეციალობების მიხედვით) და მოქმედებდა 14 კათედრა.

1991 წლიდან, ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქ. გორში ფუნქციონირებს. 2000 წლიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 2007 წლიდან ორი უმაღლესი სასწავლებლის – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ალ. ტიბილოვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის – გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

გორისა და ცხინვალის უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა დროს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ დიდი მეცნიერები: გიორგი ახვლედიანი, ელენე მეტრეველი, არნოლდ ჩიქობავა, თედო უთურგაიძე, გენადი ბურჭულაძე, გივი ჟორდანიას, ზურაბ სარჯველაძე, სიმონ გაჩეჩილაძე, სოლომონ ხუციშვილი, ვარლამ თოფურია, სერგი მაკალათია, გიორგი მერკვილაძე და სხვ.

ამჟამად გამოვყოფთ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობას, რომელსაც დაარსების დღიდანვე ეუფლებოდნენ როგორც ქართველი, ისე ოსი ეროვნების სტუდენტები. კათედრებს შორის კი სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალით ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. XX საუკუნის 60-70-იან წლებში აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი ლინგვისტები, ლიტერატორები, ფოლკლორისტები: აკაკი შანიძე, ალექსანდრე ღლონტი, შოთა ძიძიგური, იოსებ მეგრელიძე, ოთარ ქაჯაია, რაფიელ შამელაშვილი, შოთა ქურდაძე, ტიტე სულაბერიძე, ანდრო მირიანაშვილი, შალვა სააკაძე, ვენერა სომხიშვილი, ჟუჟუნა ზეინკლიშვილი და სხვ.

კათედრის სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთი საინტერესო სფერო იყო ქართულ-ოსური სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობები. ამას გარდა, ტარდებოდა შეხვედრები ოს ლინგვისტებსა და მწერლებთან, ეწყობოდა ცნობილი ქართველი მწერლებისა და მეცნიერების საიუბილეო საღამოები. მაგალითად, 1967 წლის 27 მაისს დიდი ზეიმით აღინიშნა აკად. აკაკი შანიძის 80 წლის იუბილე.

ეს ფოტო გადაღებულია ამ დღეს სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის წინ (მოცემული სურათები საოჯახო არქივიდანაა).



ფოტოზე მარცხნიდან დგანან: პროფ. შ. გაფრინდაშვილი, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დოც. პავლე დოგუზოვი, დოც. ოთარ ქაჯაია, დოც. ზურაბ ჭუმბურიძე, პროფ. კოტე ჭრელაშვილი, აკად. აკაკი შანიძე, პროფ. აკაკი ურუშაძე, დოც. ლევან კიკნაძე, დოც. მზექალა შანიძე, დოც. რაფიელ შამელაშ-

ვილი, პროფ. შოთა ძიძიგური, პროფ. ივანე იმნაიშვილი, დოც. ვ. ცხოვრებოვი, პროფ. ალექსანდრე ლლონტი, დოც. ვახტანგ ნათაძე, დოც. გ. მამიევი, დოც. ტ. სულაბერიძე.



შემდეგი ფოტოები გადაღებულია ბანკეტზე აკაკი შანიძის იუბილეს შემდეგ.



იუბილარის გვერდით ზის სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტის რექტორი **პავლე დოგუზოვი**, ფეხზე დგას თამადა, ბატონი **ოთარ ქაჯაია**, მის გვერდით ზის: **ივანე იმნაიშვილი**.

მომდევნო სურათზე არიან: **ოთარ ქაჯაია**, **შოთა ძიძიგური**, **ლიდა კასრაძე**, **ტიტე სულაბერიძე**; წინ სხედან: **ალექსანდრე ლლონტი**, (?) და **რაფიელ შამელაშვილი**.

მრავალი წლის განმავლობაში ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა დოც. **ოთარ ქაჯაია**, რომლის ხელშეწყობითაც მჭიდრო სამეცნიერო ურთიერთობა დამყარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა.ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტთან, რაც კიდევ უფრო ამალღებდა სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების დონეს ცხინვალის პედინსტიტუტში. ქართული ფილოლოგია ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან და პრესტიჟულ დარგად მიიჩნეოდა. ქართული ფილოლოგიის სხვადასხვა საკითხის შესახებ რეგულარულად იბეჭდებოდა სამეცნიერო სტატიები ინსტიტუტის შრომების კრებულებსა და სამეცნიერო წერილებში. ეს უკანასკნელი გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით: შრომები (1952-1961), სამეცნიერო ჩანაწერები – Ученые записки (1962-1972).

ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობებისა და XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების შესახებ საინტერესოა ალ. მღებრიშვილის ნაშრომები¹.

ცხინვალში მოღვაწე ქართველ ენათმეცნიერთა შორის, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებაში, აღსანიშნავია პროფ. **რაფიელ შამელაშვილი**, რომელიც ცხინვალის ინსტიტუტში მოღვაწეობდა 1958-1972 წლებში: ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ – დოცენტად და ბოლოს – პროფესორად.

რაფიელ შამელაშვილმა ცხინვალში მუშაობა დაიწყო 1958 წელს, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპი-

¹ აღსანიშნავია ნაშრომი „ეპოქათა სამანებთან“ (2011), რომელშიც მოთხრობილია ცხინვალში მოღვაწე ქართველი მეცნიერების (შ. გაფრინდაშვილის, ი. მეგრელიძის, ალ. ლლონტის, შ. ქურდაძის, ო. ქაჯაიას და სხვ.) შესახებ. გაზეთზე „შიდა ქართლი“, ოსური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადებზე მოსკოვში, პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართულ ღონისძიებებზე (მაგ., შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან 1956 წელს, ცხინვალში დაბადებული ქართველი ებრაელი მწერლის, დავით ბაზოვისადმი მიძღვნილი საღამო და სხვ.).

რანტურის დამთავრების შემდეგ. 1960 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აკად. **ვარლამ თოფურიას** ხელმძღვანელობით, ხოლო 1970 წელს – სადოქტორო დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

რ. შამელაშვილი ნაყოფიერი მეცნიერი და პუბლიცისტი იყო. მის საკვლევ ინტერესთა შორის იყო: ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, ქართული ენის ლექსიკა, ლექსიკოლოგია, მწერლის ენა (შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდას, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიჩელის, შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა ენა და სტილი), მეტყველების კულტურის, ტოპონიმის, დიალექტოლოგიის, ტერმინოლოგიისა და ონომასტიკის საკითხები, ქართულ-ებრაული ლიტერატურული და ენობრივი ურთიერთობები და სხვ. გარდა უშუალოდ ქართველოლოგიის საკითხებისა, ის დაინტერესებული იყო ქართულ-ოსური კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობებით: ოსური თემა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, ქართული ნასესხობანი ოსურ ენაში, ოსური ენის მკვლევრები, ოსური ფოლკლორი, თანამედროვე ოსური პოეზია, რეცენზიები ოს ენათმეცნიერთა ნაშრომებსა და ოს პოეტთა კრებულებზე. მეცნიერი აქვეყნებდა სტატიებს ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ ჟურნალში „ფიდიუაგი“, გაზეთებში: „საბჭოთა ოსეთი“, „სოვეტონ ირისთონი“, „სტალინელი“, „ქუთაისი“, „ნიგნის სამყარო“ და სხვ.

საინტერესოა რ. შამელაშვილის რეცენზიები ვ. აბაევის ნაშრომებზე: „ოსურ-ქართული ზოგიერთი სემანტიკური პარალელები“, „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, ო. თედევის „მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში“ და „ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან“, ნ. გაბარაევის „სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა და სიტყვათწარმოება თანამედროვე ოსურ ენაში“, მ. ისაევის „ოსური ლიტერატურული ენის სოციალური და ფუნქციონალური დიფერენციაცია“, „ასოცდაათი თანასწორუფლებიანი“, „სსრ კავშირის ენების შესახებ“, „ენობრივი მშენებლობა სსრ კავშირში“ და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა სტატიები: „შოთა რუსთაველი ოსურ ფოლკლორში“, „ილია ჭავჭავაძე ოსების შესახებ“, „ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობის საკითხისათვის“, „დანიელ ჭონქაძე და ოსური ენისა და ლიტერატურის საკითხები“ და სხვ.



რ. შამელაშვილი ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის თანამშრომელთა შორის ერთ-ერთი იყო, რომელმაც წვლილი შეიტანა ქართულ-ოსური სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების შესწავლასა და გაღრმავებაში. მას საოცრად თბილი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ოს მეცნიერებსა და სტუდენტებთან.



(1970 წ.)

შემდეგ ფოტოებზე რ. შამელაშვილი ცხინვალელ პირველ და მესამეკურსელ სტუდენტებთან ერთად არის ქ. ცხინვალში დანართში მოცემულია პროფ. რ. შამელაშვილის სტატიები და რეცენზიები ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- ო. თედევი,** ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან (რედ.: პროფ. ჯ. გიუნაშვილი), საქ. სსრ მეცნ. აკადემია. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმც. ინ-ტი, თბ.: მეცნიერება, 1983.
- ალ. მღებრიშვილი,** XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის (რედ.: ნოდარ ტაბიძე), თბ.: თსუ გამბა, ნან. 1, 2003. – 132 გვ; ნან. 2, 2004. – 71 გვ.; ნან. 3 : მეცნიერება და ხელოვნება, ნან. 4 : განათლება და ჟურნალისტიკა, 2005. – 187გვ.
- ალ. მღებრიშვილი,** ეპოქათა სამანებთან (რედ. გიორგი სოსიაშვილი), თბ.: უნივერსალი, 2011. – 344გვ.
- ალ. მღებრიშვილი,** ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია (რედ. იოსებ ალიმბარაშვილი), თბ.: უნივერსალი, 2011,- 482გვ.
- ალ. მღებრიშვილი,** შიდა ქართლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიიდან : (ცხინვალის რეგიონი; რედ. სოსო სიგუა), თბ.: უნივერსალი, 2013. – 164 გვ.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“ (სამეცნ. კონფერენციის მასალები; რედკოლ.: გიორგი სოსიაშვილი და სხვ.), თბ.: უნივერსალი, 2011. – 175 გვ.
- ლევან ზ. ურუშაძე,** ქართულ-ოსური კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ისტორიისათვის = For the history of georgian-ossetian cultural and scientific relations: (მახარბეკ თულანოვი და საქართველო; რედ. გიული ალასანია), თბ.: უნივერსალი, 2009. – 64გვ.
- ა. ცოტნიაშვილი,** მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ. – ცხინვალი: ირისთონი, 1990. – 118გვ.
- ზ. ცოტნიაშვილი,** ქართულ-ოსური ურთიერთობა პრესაში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე (რედ.: ნოდარ ტაბიძე), თბ., 2005.

ინტერნეტრესურსები:

<https://ka.wikipedia.org/wiki>

<https://www.facebook.com/Tskhinvali.Ge?fref=ts>

საოჯახო არქივის სურათები.

Zekalashvili Rusudan

Tbilisi, Georgia

ABOUT ONE CHAPTER OF HISTORY OF THE GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIPS

The Department of Georgian Language and Literature at Tskhinvali Pedagogical Institute, beginning from the very time of its establishment, had served the cause of improving and strengthening the Georgian-Ossetian cultural and scientific interrelations. At different periods of time the distinguished Georgian linguists worked there: Akaki Shanidze, Alexander Ghlonti, Shota Dzidziguri, Ioseb Megreliдзе, Otar Qajaia, Rafiel Shamelashvili, Tite Sulaberidze, Venera Somkhashvili and others. The department (Head of the department Otar Qajaia) had close relationships with Tbilisi State University and Alexander Pushkin Tbilisi Pedagogical Institute, which helped Tskhinvali Pedagogical Institute to achieve higher levels in educational process and scientific researches. Georgian philology was one of the leading and prestigious departments at the Institute and many students, Georgians and Ossetians equally, were eagerly learning this branch of science. Their scientific papers on different problematic issues were regularly published in the consecutive volumes of the research papers of the Institute.

Georgian philologists working in Tskhinvali made great contribution in developing and strengthening the Georgian-Ossetian relationships. The name of Rafiel Shamelashvili ought to be mentioned in this respect. He had been working in Tskhinvali in the years 1958-1972. First he was a senior teacher, then a docent (associate professor) and finally professor at the Institute. He published his articles in the scientific journal "Fidiuag", in the newspapers "Sabchota Osseti" and "Soveton Iriston" ("Soviet Ossetia"). Besides the issues of Kartvelology, his works covered the issues of the cultural and scientific relationships between Georgian and Ossetian people: the Ossetian theme in the Georgian literature, Borrowings in the Ossetian language from the Georgian language, researchers of the Ossetian language, Ossetian folklore literature (poetry, fairy tales, legends), Modern Ossetian poetry, Review of the works of Ossetian scientific researchers (V. Abaev, O. Tedeev, N. Gabaraev, M. Isaev and others) and reviews of collections of the Ossetian poets. He kept working on the mentioned issues after even when he continued his activity in Kutaisi Pedagogical Institute.

თოფურია ქეთევანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი, სტუდენტი*

ქართულ-ოსური ურთიერთობების უახლესი ისტორიის პოლიტიკური ანალიზი

ქართულ-ოსური ურთიერთობების დაძაბვა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება. ამ პერიოდში ხელახლა გაღვივდა ქართველთა და ოსთა საბჭოთადროინდელი დაპირისპირება, რომელსაც იმდროინდელი რუსეთის იმპერიის დამანგრეველი გეგმები ითვალისწინებდა. კონფლიქტი მოიცავდა არამარტო ეკონომიკურ ან პოლიტიკურ, არამედ, თუნდაც კრიმინალურ „ომსაც“ კი, რომელიც ხელოვნურად იყო პროვოცირებული საბჭოთა იმპერიის მიერ. თუმცა უმთავრესი ელფერი ამ დაპირისპირებისა- ქართულ-ოსური ეთნო-ნაციონალური შეჯახება იყო, რომელიც ნათლად ჩანს: 1. ოსური და ქართული რიტორიკის დაპირისპირებაში (გამოიხატებოდა ძირითადად საზოგადოებრივი, ან პოლიტიკური ლიდერების პაექრობაში) 2. ქართულ-ოსური შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებაში 3. თბილისისა და ცხინვალის „კანონთა“ ომში.

ეს კონფლიქტი 80-იანი წლების მინურულს ძლიერად გაღვივებამდე სხვა და სხვა ეტაპებს გადიოდა, რამაც საბოლოო ჯამში შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია. დაპირისპირების მიზეზი აბსოლუტურად იდენტური იყო მთლიანად სსრკ-ში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა, ასევე ძალიან დიდი როლი ითამაშა საქართველოში „არაფორმალთა“ მოძრაობის გაძლიერებამ.

დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებად იქცა ქართულ საზოგადოებაში გაღვივებული კამათი კონსტიტუციაში შესაძლო ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ენის საკანონმდებლო სტატუსის განსაზღვრას გულისხმობდა. ამ დისკუსიამ ანალოგიური გამოხმაურება გამოიწვია სსრ-ს ავტონომიურ წარმონაქმნებშიც (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ოლქი).

კონფლიქტის მომნიშვნელო 1989 წლის 27 იანვრიდან იწყება გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატიით, რომელიც პროფესორ თამაზ შავგულიძეს ეკუთვნოდა. სტატიის თემა ეხებოდა ადმინისტრაციულ წარმონაქმნებში ქართული ენის – როგორც სახელმწიფო ენის გამოყენებას. მოცემულ კონფლიქტს არაერთი გაღვივების მიზეზი მოჰყვა თანდათანობით წლების განმავლობაში, რამაც საბოლოო ჯამში 1989 წლის მინურულს „კანონთა

ომი“ გამოიწვია. იგივე პროცესები მიმდინარეობდა აფხაზეთშიც. “კანონთა ომი“ სრული მასშტაბით დაიწყო 1989 წლის 10 ნოემბერს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მე-12 საგანგებო სესიით, რომელიც გაიმართა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა 26 სექტემბრის სესიის მოთხოვნა ოსური ენის შესახებ კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ამაღლების შესახებ; გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარდაქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. სესიამ მოუწოდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრკ უზენაეს საბჭოს, რათა განეხილათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი. საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1991-92 წლებში სამხრეთ ოსეთში ეთნიკური კონფლიქტი მოჰყვა, რაც ამ უკანასკნელის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა. კონფლიქტში დაახლოებით 2000 ადამიანი დაიღუპა. სამხრეთ ოსეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, საერთაშორისო თანამეგობრობას არ უცვნია. კონფლიქტი ამით არ დასრულებულა, იგი ძალიან დიდხანს გაგრძელდა და წინააღმდეგობების მიუხედავად 1993 წლის 2 ნოემბერს მიღებულ იქნა “სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომლის თანახმადაც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოცხადდა სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ; სახელმწიფო ენა – ოსური.

დღეს კონფლიქტი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახალ ფაზაშია შესული. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევა სააკაშვილის ადმინისტრაციის მთავარი მიზანი იყო ვარდების რევოლუციის შემდეგ. 2007 წლის 8 მაისის დადგენილების შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია. ამ ფაქტს რუსეთის მხრიდან გაღიზიანება მოჰყვა, რაც ნელ-ნელა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტში იზრდებოდა. ომი დაიწყო ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტთა შორის კონფლიქტით ცხინვალის რეგიონში. რუსების მიერ ოკუპირებულ იქნა ქალაქები ფოთი და გორი, სხვა რაიონებთან ერთად. ევროკავშირის თავმჯდომარე საფრანგეთის პრეზიდენტის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში – 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა

ბრძოლები უმაღლეს არ შეწყვეტილა. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. რუსეთმა დაასრულა გასვლა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან 8 ოქტომბერს, თუმცა 2009 წლის მდგომარეობით რუსული ჯარების გაძლიერებული გარნიზონები რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (მათ შორის იმ ტერიტორიებზეც, რომლებსაც ომამდე საქართველო აკონტროლებდა). რამდენიმე ინციდენტი ორივე კონფლიქტური ზონაში კვლავაც ხდებოდა ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ. 2009 წლის მდგომარეობით ომში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობა კვლავაც უკიდურესად დაძაბულია.

პრობლემის სამშვიდობო გადაწყვეტილებების თითქმის ერთხმად მონოდებისა და ნატოსა და რუსეთს შორის პირდაპირი კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, საერთაშორისო რეაქცია, რომელსაც ევროკავშირი და აშშ დომინირებდა, ხაზგასმით უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ამის საპირისპიროდ საერთაშორისო სამართლისთვის მიუღებელი ტერიტორიები (პოლიტიკური ერთეულები), კი სოლიდარობას უცხადებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

ფაქტია, რომ კონფლიქტი დღესაც არსებობს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იგი „მიძინებული ვულკანის“ პოზიციაში დგას და სავარაუდოდ „აფეთქებაც“ მასში მოჰყვება, როცა საქართველო შეძლებს ოსურ მხარესთან შეთანხმებებზე და ურთიერთობების დათბობაზე საუბარს. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სწორედ რუსეთის იმპერია იყო ის ძალა, რომელიც ამ ორ ხალხს შორის კონფლიქტური სიტუაციის პროვოცირებას ახერხებდა. იგივე განმეორდა 2008 წელსაც, როცა რუსეთი ძალიან უხეშად ჩაერია ქართულ-ოსურ ურთიერთობებში და მან ეს უკანონო ჩარევაც არ იკმარა, ომში საქართველოს კიდევ ერთი ოკუპირებული ტერიტორია-აფხაზეთი ჩართო. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების, თუ პოლიტიკური პირების გაფრთხილებისა, რუსეთი მაინც აგრძელებს ჩარევას და სწორედ ეს ფაქტი მაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ იგი ყველანაირი ბერკეტებით შეეცდება არათუ ჩაახშოს, არამედ კიდევ უფრო გააღვივოს კონფლიქტი საქართველოსა და ოსურ მხარეს შორის. ჩვენ მიერ შეთანხმებების მიღწევა ოსურ მხარესთან რუსეთის პოლიტიკურ გეგმებში ნამდვილად არ შედის.

გვიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებას და ზოგადად საქართველოს მოსახლეობას ძალიან დიდი ძალისხმევა მართებს, რათა ისედაც დაძაბული ურთიერთობა უარესად არ დაიძაბოს. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ოსეთთან მჭიდრო კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური, მეგობრული ურთიერთობების

დაბრუნება და არა კონფლიქტის გაღვივებაში დამნაშავე მხარის მოძიება. რა თქმა უნდა, ანალოგიური სურვილი მეორე მხრიდანაც უნდა არსებობდეს, რათა მიღწეულ იქნეს კონსენსუსი. მთავრობას აქვს საამისოდ თავისი ბერკეტები, მაგრამ არსებითია არასამთავრობო და აკადემიური წრეების შესაძლო წვლილიც. აღნიშნული ვითარება საზოგადოებისაგან გააქტიურებას, სამშვიდობო წინადადებების შემდგომ დამუშავებასა და ადვოკატირებას მოითხოვს. მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს იმას, რომ ვერც ერთი კონფლიქტი ვერ დარეგულირდება ისე, თუ არ არსებობს მოტივაცია და სურვილი ხალხის, საზოგადოების მხრიდან. ქართველები და ოსები ოდითგანვე ერთ „ოჯახად“ ცხოვრობდა და ძნელია დღესდღეობით ჩვენი ასე გაყოფილ ვითარებაში წარმოდგენა.

ვფიქრობთ, დღეს ხელისუფლება უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს ამ ორი მხარის უფრო მეტად დაახლოებას და ისევე ერთ ოჯახად განმტკიცებას. რაც გამოიხატება კულტურულ ჩართულობაში, პოლიტიკურ დიალოგებში, კონსენსუსის მიღწევის გზების მოძიებაში და ამ გზის მიღწევისთვის მხოლოდ მშვიდობიანი ბერკეტის გამოყენებაში.

თუმცა, სანამ მესამე დაინტერესებული ძალა ერევა ორი მხარის ურთიერთობაში, ამ ყველაფრის მოგვარება ძალიან რთულდება. ისტორიის მაგალითები გვიჩვენებს, რომ საქართველო და ოსეთი ერთადერთი არ ყოფილა, ვის ურთიერთობაშიც რუსეთი ჩაერია: მთიანი ყარაბაღის ისტორია, რომელიც ყველამ კარგად ვიცით, იქაც რუსეთის ამჟამად გავლენა იყო თავიდან ბოლომდე. აფხაზეთის კონფლიქტი, მისი ოკუპირება, მისი დამოუკიდებლად გამოცხადება – რუსეთის იმპერიის დამსახურება. ჩეჩნეთის კონფლიქტი – რუსეთის ჩართულობა და ჩარევა. ასევე ინგუშეთი.

მთავრობის კონფლიქტების დარეგულირების სტრატეგიაში, განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს კონფლიქტის მიზეზთა ძიებისა, ნდობის განახლებას და ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენაც იყოს საჭირო. სხვა თუ არაფერი, ეს ხელს შეუწყობს დიალოგს როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. და მეორეც, სამშვიდობო მიდგომის უალტერნატივობის რწმენა საკმაოდ მყიფეა. შეურიგებლობის სინდრომი მყარადაა გამჯდარი კონფლიქტის მხარეებში. ასეთ პირობებში მცირე პროვოკაცია გარეშე ძალებიდან თუ კონფლიქტის გახანგრძლივებაში დაინტერესებული შიდა წრეების მხრიდან, ან თუნდაც დაუგეგმავი ინციდენტი, რისი საფრთხეც მუდმივად არსებობს, შეიძლება გახდეს ძალადობის ფართომასშტაბიანი ესკალაციის საწინდარი. ასევე რუსეთის ჩარევის ჩახშობა, სამწუხაროდ, მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის მიერ არის შესაძლებე-

ლი, თუ არ იქნება ჩვენს გვერდით მდგომი ძლიერი ძალა, ამ ყველაფრის მოგვარება გაჭიანურდება.

გამოყენებული მასალები

ქართულ-ოსური კონფლიქტის გადანწყვეტა: პოლიტიკური პარტიების ხედვა: მასალების კრებული./ რედ.: მაია ციბოშვილი, შალვა ძევისაშვილი შალვა

ქართულ-ოსური ურთიერთობა პრესაში XX-XXI საუკუნეების მიჯნაძე : ნიგნი I / ზაზა ცოტნიაშვილი; რედაქტორი: ნოდარ ტაბიძე.

ახალგორში ოსური პასპორტის მსურველთა რიცხი დღითიდღე იზრდება : // რეზონანსი გაზეთი 2013 წელი № 166 მარი ოთარაშვილი; რედაქტორი: ლაშა ტულუში.

„რუსეთის მიზანი ოსური მოსახლეობის გარე სამყაროსგან გამიჯვნაა“:// რეზონანსი: გაზეთი 2013 წელი № 146 თაკო მათეშვილი; რედაქტორი: ლაშა ტულუში.

Topuria Ketevan

Tbilisi, Georgia

POLITICAL ANALYSIS OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN CONTEMPORARY HISTORY

Georgian-Ossetian relations in the past 15-20 years are marked with complexity. Despite of involvement from international organizations and peace keeping missions, during this short period there was carried out two wars (armed conflicts), during which both sides suffered from huge human loses.

The war in august 8, 2008 caused great resonance in international politics, because of this conflict's strategic importance for western and northern political arena.

The paper includes political analysis of relations by the past 15-20 years. What was the foreign policy of both sides? What where they relied upon on their decisions and what international leverages they used for implementing the interests? The result of this research is important, in order to analyze the political elite work, the results of their decisions, as preparations for us to take into account these errors, in order to avoid a new escalation of the conflict or hostilities.

კიკვიძე ზეინაბ

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის
აკადემიური დოქტორი

ქართულ-ოსური ურთიერთობის რამდენიმე ანარქალი ქართულ ლიტერატურაში

კავკასიაში მცხოვრები ერების თანაცხოვრების არაერთგვაროვნებას მეტწილად განაპირობებდა მათი რელიგიური, პოლიტიკური თუ კულტურული სხვადასხვაობა. ყველაზე მეტად ერთაშორისი ურთიერთობები პოლიტიკური ინტერესებით განისაზღვრებოდა. ცნობილია, რომ პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, არამედ არსებობენ მუდმივი ინტერესები. თავისი არსებობის განმავლობაში ქართველ ეთნოსს ჰყოლია ისეთი მეზობლები, რომლებთანაც ხან მეგობრული, ხან კი მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მმართველები ცდილობდნენ ისე აენწყოთ ურთიერთობა სხვა ქვეყნებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებთან, რომ მათი მიზნები ერთიანი ყოფილიყო და მტრობის ნაცვლად ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას დაესადაგურებინა. ამის ნათელი მაგალითია ქართველთა და ოსთა დინასტიური ქორწინებები, ერთობლივი ლაშქრობები, ერთი და იმავე წმინდანებისადმი თაყვანისცემა. ეს ყველაფერი ისტორიულ ანალებში დაფიქსირდა, ხოლო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი პოზიციით აისახა.

ქართულ-ოსური ურთიერთობებისადმი ეპოქათა კვალდაკვალ იცვლებოდა დამოკიდებულება და მთელი რიგი მოვლენები განსხვავებული თვალთახედვით განიხილებოდა. ქართველ მეფეთა უმრავლესობას მეუღლეები ოსეთიდან მოჰყავდა. დინასტიური ქორწინება ამტკიცებდა პოლიტიკურ კავშირებს. ამ თვალსაზრისით საზოგადოებისათვის ყველაზე ცნობილი დავით სოსლანის სახეა. მისი პოპულარობა მეტწილად არამხოლოდ პიროვნულმა თვისებებმა, არამედ თამარის მეუღლეობამაც განაპირობა. მეფექალისადმი ქართული ისტორიოგრაფია და მისი ეპოქის ლიტერატურა მეფის თანამეცხედრესაც უშურველად უძღვნიდა საქებარ სიტყვებს. „ვეფხისტყაოსანში“ სოსლანი მოხსენიებულია, როგორც „თამარის ლომი“, ასეთი აღტაცებული დამოკიდებულება არც ერთ ოსური წარმომავლობის დინასტს არ ღირსებია.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი“ ავტორი დავით მეფეს ღვთაებრივად მოიხსენიებს: „ღმრთისაგან ღმერთ-ქმნილნი დავით და თამარ“ (ქართლის ცხოვრება 1959:63). ავტორი სოსლანს აქილევეს ადარებს, უწოდებს მას „ახალ აქილევეს“ და ამბობს, რომ ნადირობა კენტავრისგან ისწავლა. „აბდულმესიანის“ ერთი ნაწილიც თამარისა და დავითის ხოტბაა. დავით სოსლანი გოლიათ

ნებროთს სჯობს ძალით; „თამარიანი“ ზვიადი სიტყვებით ამკობს დავით სოსლანს: „ანათობს ის ოს, მით არცხვენს ის ოს შუქის კროთმათა შეუდგამისადო“, აცხადებს ავტორი დავითის შესახებ. დავითის გამოჩენამ საქართველოს მიწაზე შიშის ზარი დასცა მტერს, მისმა ხმალმა შეარცხვინა აბუბაქრ ათაბაგი: „ბობქარ მგოდები, მცდრად ნანოდები, დავითის ხმლითა შემარცხვენალი“. სოსლანი დიდია, მეხოტბე ამბობს: „ოს დიდმან დავით ოს დიდმან დავით, ფარეზ შემუსრა წინამგებარი, შერისხნა თურქნი“, მან თავზარი დასცა საერთოდ მთლ მუსლიმანობას: „მან ახოვანმან, მძლედ სახოვანმან, ხელყო ისლამთა ცეცხლისა დებად“. დავითი ყოფილა კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი. ძველთაგან განდიდებული და გამთავრებული ქვეყნის უფალნი ნაოტნია და დამონებულია დავითის მიერ. უძლეველ დავითს „ჰმონებდეს ზღვანი“. როდესაც საქართველოს დაუდგა დიდი განსაცდელი, ქართულ ლაშქარს გაუძღვა სახელოვანი მთავარსარდალი, დავით აღმაშენებელს მიმსგავსებული დავით სოსლანი: „დაასკვნეს ომი, წაუძღვა ლომი დავით დავითის მიბაძებულად;“

დავითი დიდად დახელოვნებული, განაფული, მკვირცხლი, მამაცი და გულადი მეომარია, ზესთა წარჩინებული და ბრძენია. დავითი უბინდო მზეა, ზნესრულია და ქველია, ბერთა საჩენი, ჭაბუკთა მლხენი, ძმათა შვებისა მოუკლებარე. ის ღირსეული თანამოსაყდრე და დამამშვენებელია თამარისა, რომელსაც ზეციერ ძლთა შთაგონებით აურჩევია დავითი სამეფო ტახტზე. მეხოტბის მოსაზრებით დავითი თამართან ერთად ზეციით ყოფილა მოწოდებული საქართველოს მესიანისტური დანიშნულების შესასრულებლად (კეკელიძე, ბარამიძე, 1987: 235).

შუა საუკუნეების ყველა სახოტბო ძეგლი, რომელიც თამარს უკავშირდება, აღმატებულად წარმოაჩენს დავით სოსლანსაც, ავტორები საქებარ სიტყვებს არ იშურებენ მონარქებისათვის. მათი ჰარმონიული თანაცხოვრება და მეფობა სიმბოლური გამოსახულებაა ძლიერი საქართველოსი, რომლის მოკავშირედ ოსური ეთნოსიც მოიაზრება, რადგან სოსლანი ერთგულია საერთო ქართული საქმისა და თავდაუზოგავად იღვნის ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისთვის.

მომდევნო პერიოდის ლიტერატურაში ოსური თემა ფაქტობრივად არ ხშიანდება, რადგან პოლიტიკური ურთიერთობები შემცირებული და შესუსტებულია, ხოლო ეთნიკური დამოკიდებულებები ლიტერატურული აზროვნების მიღმა მიმდინარეობს. გვიან შუა საუკუნეებში კი საისტორიო მწერლობაში ვლინდება ის კონფლიქტური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვა ქართველებსა და ოსებს შორის. „წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე მხატვრულ ლიტერატურაშიც აღბეჭდილი ცნობები

ოსების შესახებ გვაუწყებს ქართველებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას; ამაზე მეტყველებენ ვახუშტი ბაგრატიონის, გერმანელი მეცნიერის ი. გიულდენშტედტის, ალ. ყაზბეგის, ს. მაგალობლიშვილის, კ. ხეთაგუროვისა და სხვათა დაკვირვებები, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მასალები (კვირიკაშვილი 2010:).

შემთხვევით არ არის, რომ თითქმის ყველა თხზულებაში ალ. ყაზბეგი ოსებს უარყოფითად ახასიათებს, მემუარულ ნაწარმოებშიც „ნამწყემსარის მოგონებანი“ ისინი დაკნინებულად და მომაბეზრებელ ადამიანებად არიან წარმოდგენილი.

ისტორიულ ფაქტზე დაყრდნობით მწერალმა „ხევისბერ გოჩაში“ გვიჩვენა კავკასიელი მოსახლეობის არცთუ სახარბიელო ურთიერთდამოკიდებულება. ერთ დროს ფიცის მიმცემი ოსური მხარე უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი. მე-17 საუკუნეში ქართლის მეფის ძალაუფლება ვრცელდებოდა მთის თემებზე, „ჩრდილოეთით ქართლის სამეფოს საზღვარი ორ ადგილას – დარიალის ხეობასთან და დვალეთში – მთავარ ქედს იქით გადადიოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1973: 226). მთა თავისუფალი იყო და მეფისადმი დამოკიდებულება არ ნიშნავდა ბატონყმობით დაქვემდებარებას. მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი ნუგზარ ერისთავი ყოველწლიურად ცდილობდა გაბატონებულიყო მთაში, დაემორჩილებინა იქაური მოსახლეობა და ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. ამიტომაც ის ცდილობდა მოტყუებით გადაეკიდებინა ცალკეული ტომები ერთმანეთისთვის და მათი მტრობით საკუთარი მიზნები განეხორციელებინა.

„ხევისბერ გოჩაში“ ოსური თემა ორი ასპექტით წარმოსდგება: ერთი მხრივ ოსები ნუგზარ ერისთავის მხარეს დგებიან და ერთ დროს მოხვევითათვის პირობის მიმცემნი ახლა მათ წინააღმდეგ გამოდიან. თხზულებაში კარგად ჩანს ერისთავის მზაკვრული გეგმები. ის ცდილობს მთიულებიც ჩართოს ბრძოლაში, იმ მოტივით, თითქოს ოსებზე აპირებს გალაშქრებას. ასეთივე ხერხით აუბამდა თვალებს თავად ოსებს ერისთავი; თუმცა ამ დროისათვის, როგორც ჩანს მოხვევებსა და ოსებს შორის არ უნდა ყოფილიყო კარგი ურთიერთობა.

აშკარაა, რომ ოსები ცდილობდნენ ახლებური ურთიერთობა ჰქონოდათ ქართველებთან და ამ თხზულების მიხედვით იმ მხარეს დადგნენ, რომელსაც, მათი აზრით, უფრო მეტი ძალა და გავლენა უნდა ჰქონოდა. პოლიტიკური თვალსაზრისით ნუგზარ ერისთავი სამეფო ხელისუფლებას განასახიერებდა. მისთვის დახმარებაზე უარის თქმა შემდგომში ძალის გამოყენებით დამორჩილებას ნიშნავდა. თუმცა მხოლოდ პოლიტიკა და ერთი შეხედვით პრაგმატული არჩევანი არ ყოფილა ოსურ-ქართული ურთიერთობის განმსაზღვრელი; საკუთარი თემიდან დევნილებს საიმედო საცხოვრებლად

ხევი მიაჩნდათ, რადგან ქართველი ყოველთვის დახმარების ხელს უწყვედი უცხოტომელს, სთავაზობდა მას სახლ-კარსა და სარჩოს; გასაკვირი არაა, რომ ისეთი მჭიდრო ურთიერთობის მქონე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან, როგორებიც ოსები იყვნენ, ქართველებს გულისხმიერი დამოკიდებულება ჰქონოდათ.

ძუძუმტეობა ერთ-ერთი ძლიერი სოციალური ინსტიტუტი იყო ძველ საქართველოსა და კავკასიაში, ამ ფენომენის საშუალებით მტრობას სიყვარული ენაცვლებოდა, გაძიძავება აერთიანებდა ცალკეულ ოჯახებს და ერთმანეთის ერთგულებაზე ადებინებდა თავს. სწორედ ეს უდევს საფუძვლად კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ ოსი მამამობლის ვაჟების ქცევას, როცა ისინი განდგომილი ფეოდალის გვერდით დგებიან. მართალია, ოსი პერსონაჟები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან, მაგრამ ისინი არ უპირისპირდებიან მთლიანად ქვეყანას, მათი მიზანი აჯანყებულთა დახმარებაა, რადგან მამამზე ერისთავის ოჯახთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აკავშირებთ.

ქართულ მწერლობაში ქართულ-ოსური ურთიერთობების პრობლემური საკითხების წინ წამოწევით დაფიქსირდა ისტორიული რეალობა და დამოკიდებულებათა სხვადასხვაობა, რომლის საწყისიც ისევ და ისევ პოლიტიკურ მისწრაფებებშია საძიებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ., თხზულებანი, ტ. IV, თბ. 1978.
2. კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1987.
3. კვირიკაშვილი ვ., დაპირისპირება, ნაწილი I, //www.expressclub.ge. 04.06.2010.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, თბ. 1973.
5. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბ. 1959.
6. ყაზბეგი ალ., ნამწყემსარის მოგონებანი. <https://burusi.wordpress.com/2009/09/219>
7. ყაზბეგი ალ. ხვეისბერი გოჩა, თბ. 1987.

Kikvidze Zeinab

Kutaisi, Georgia

SOME EXCERPTS OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN GEORGIAN LITERATURE

The co-existence of nations in the Caucasus was non-uniform, which to a large extent was due to their religious, political or cultural

differences. Most of all relations between nations were determined by political interests. A clear example of this is Georgians and Ossetians dynastic marriages, joint military actions, the same worshipping of saints. It's all kept in the historical annals, while different positions are reflected in literature.

Changing Epochs saw changing attitudes and a series of events were being discussed from different point of view. Majority of the Georgian Kings chose their spouses from Ossetia. Dynastic marriages alleged political connections. In this regard, the most famous is the case of David Soslan. His popularity is largely due not only to the personality, but also contributed to being the husband of King Tamar. The literature of that period paid respect not only to the King but to her spouse as well ('Abdulmesian', 'The Knight in the Panther's Skin') were Soslan is referred to as 'Tamar's Lion', and before no one of Ossetian descent was honoured at this extent.

In the next period, literature does not actually touch Ossetian issue, because political relations are reduced and weakened, and the ethnic attitudes became beyond the literary thinking.

In the 19th century Alexandre Kazbegi raised the issue of Ossetians in 'Khevisberi Gocha' but this story mentions them in a negative context. One of the conditions for this is that they broke their word and now are fighting on behalf of Nugzar Eristavi. It is clear that the Ossetians and Georgians have tried new ties in this case, which means that Ossetians change their positions in favour of those who have more power and influence.

The situation is similar in K. Gamsakhurdia's 'The Hand of the Master Builder'. The so-called father of Chiaberi is an Ossetian feudal Takhai, who with his sons becomes the rebellious one. As for M. Javakhishvili in the form of Jako he brought in Georgian literature an entirely new problem.

The literature raised the Georgian-Ossetian problems, which was a historical reality and showed the diversity of attitudes, which again comes from political aspirations.

კობერიძე მარია

გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი, პროფესორი

გენადი ბურჭულაძე, ვასილ აბაევი და ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები

ქართულ-ოსური ენობრივი მოვლენები ნათელს ჰფენს ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს-ქართველი და ოსი ხალხის სიახლოვეს. ამ საკითხის შესწავლა წარმოაჩენს დღემდე უცნობ ან საზოგადოებისათვის მივიწყებულ ბევრ ისეთ საინტერესო ფაქტს, მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ორი ხალხის ტრადიციული ურთიერთობის აღდგენას.

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, პროფესორი გენადი ბურჭულაძე 1979 წლიდან მუშაობდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ ლტოლვილ ინსტიტუტში გორში. ის განსაკუთრებით ფაქიზად ეკიდებოდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, ოს კოლეგებთან მისი დამოკიდებულება ყოველთვის იყო მოკრძალებული და საქმიანი.

ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია ვასილ აბაევის მოღვაწეობა (კობერიძე, 2011: 27; 2012: 23). პროფესორმა გენადი ბურჭულაძემ ვასილ აბაევს უძღვნა სამეცნიერო სტატიები: „იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკა ვ. აბაევის „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, „ვასილ აბაევი და ქართულენოვანი სამყარო“, „კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი, დიდი ირანისტი-მეცნიერი“.

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის I (IX) სამეცნიერო სესიის პლენალურ სხდომაზე 2000 წლის 27 დეკემბერს გენადი ბურჭულაძემ ოსი მეცნიერისადმი მიძღვნილი სპეციალური მოხსენება „ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო“ წაიკითხა. ეს დღე ვასილ აბაევის დაკრძალვის დღეს დაემთხვა და პროფესორ-მასწავლებლებმა თვალსაჩინო მეცნიერის ხსოვნას ფეხზე ადგომითა და მღუმარებით პატივი სცეს (გ. ბურჭულაძე, 2005: 178).

„ბურჯი ეროვნების“ 2001 წლის #5 ნომერში დაიბეჭდა პროფესორ გენადი ბურჭულაძის სტატია „კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი“. ეს ყურადღების მიღმა არ დარჩენია რადიო-გადაცემის „ენად შემკული და კურთხეული“ რედაქტორს, ცნობილ მწერალსა და ჟურნალისტს თამაზ ხმალაძეს, რომელმაც სასაუბროდ

მიიწვია პროფესორი გენადი ბურჭულაძე. ამ რადიო-გადაცემის ლიტერატურული ვარიანტი შევიდა გენადი ბურჭულაძის მონოგრაფიულ კრებულში „დიდ წიანაპართა ნაკვალევზე“ სათაურით „დიდი ირანისტ-ენათმეცნიერი“ (გ. ბურჭულაძე, 2005: 178-188). დასახელებული მონოგრაფია გამოჩენილი მეცნიერების, მასწავლებლებისა და კოლეგების სამეცნიერო ღვაწლის წარმოჩენას მიეძღვნა, რომელშიც ავტორმა შეჯამებული სახით წარმოგვიდგინა იმ დაკვირვების შედეგები, რომლებსაც ის წლების განმავლობაში აქვეყნებდა პრესის ფურცლებზე და გადასცემდა რადიოს მეშვეობით (გ. შენგელია, 2012: 32).

ვასილ (ვასო) აბაევი ქართულ მიწაზე დაბადებული და ქართულ წეს – ჩვეულებებს ნაზიარები გახლდათ. იგი დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. კობში. პირველდაწყებითი განათლება მან აქვე მიიღო, ხოლო 1910-18 წლებში იგი სწავლობდა თბილისის მე-6 კლასიკურ გიმნაზიაში (გ. ბურჭულაძე, 2005: 178).

როგორც გენადი ბურჭულაძე თამაზ ხმალადესთან საუბარში აღნიშნავს გიმნაზიის წლები ვ. აბაევს კარგად ხსოვებია. პროფ. ჩიბიროვის მოგონებით (მაშინდელი ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ამჟამად უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი), მოსკოვში 1990 წლის 25 დეკემბერს ვ. აბაევს თავის საიუბილეო საღამოზე გაუხსენებია: „ჩვეულებრივ თვლიან, რომ მე სამეცნიერო მოღვაწეობა დავიწყე ჩემი სტატიით „მახვილის შესახებ ოსურ ენაში“, რომელიც გამოვაქვეყნე „მოამბეში“ (AHCCP). სინამდვილეში კი ის დაიწყო 1917 წელს, როცა მე 16 წლისა ვიყავი... თბილისის გიმნაზიაში სწავლისას გამოვაქვეყნე სტატია „გაუფრთხილდით თავისუფლებას“. ასე, რომ, ლტოლვა თავისუფლებისაკენ ყმანვილობიდან დაწყებულია (იქვე, 179).

თამაზ ხმალადე ხაზს უსვამს ვასილ აბაევის სამეცნიერო მოღვაწეობის შემდეგ თარიღებს: „ვ. აბაევმა 1925 წელს დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტი. 1930 წლიდან იგი საკავშირო ენათმეცნიერების ინსტიტუტშია (ყოფილი ნ. მარის სახ. ენისა და აზროვნების ინსტიტუტი). 1929-30 წლებში ვ. აბაევი მოღვაწეობს თბილისში კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში. სამამულო ომის წლებში იგი ცხინვალისა და ვლადიკავკავის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშია (გ. ბურჭულაძე, 2005: 178).

გ. ბურჭულაძე გვანჯდის მეტად საინტერესო ინფორმაციას: „ვასილ აბაევი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია (მეცნ. კანდიდატისა და დოქტორის ხარისხები მას მეცნიერებაში საძიებელი ხარისხის დაუცველად მიენიჭა, რაც ძალზე იშვიათად ხდება ხოლ-

მე), პროფესორი. იგი საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწეა. ვ. აბაევს მინიჭებული აქვს სსრკ სახელმწიფო პრემია (1981 წ. კაპიტალური ნაშრომისათვის „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (აქ სასიამოვნო გამოწვევის მოხდა-მეცნიერს ეს საპატიო ნოდება ფაქტობრივ დაუსრულებელი შრომისათვის მიენიჭა; ბოლო მე-4 ტომი, 1989 წელს დაისტამბა, როცა მესამე-ათი წლით ადრე, 1979). ამ შრომის გამოცემას ავტორმა 40-ზე მეტი წელი მოანდომა (რამდენი მის შედეგებს!), რითაც მან უკვდავი ძეგლი დაუდგა მშობლიურ ოსურს. აქ არ გახსენდებათ ვასილ აბაევის გმირული შრომის შედეგი? – ასეთი რამ მხოლოდ გამორჩეულთ (გ. ბურჭულაძე, 2005: 179).

სპეციალისტების აზრით, „ამ ლექსიკონის ყოველი სიტყვა-სტატიის გაცნობა ვ. აბაევს წარმოაჩენს არა მარტო როგორც ირანისტ-ენათმეცნიერს, არამედ გამორჩეულ ლექსიკოგრაფს, რომელშიც მშვენივრადაა შეხამებული ძიებისას ეტიმოლოგიური და ისტორიული პრინციპები“ (იქვე, 179).

თანამედროვეობის ცნობილ ირანისტ-ენათმეცნიერს ვასილ აბაევს დაბადებიდან 100 წელი რომ შეუსრულდა, მაშინ აღესრულა. მეცნიერულმა საზოგადოებამ მისი საიუბილეო დღეები ფართოდ აღნიშნა ქ. ვლადიკავკაზში. მცხოვანი მეცნიერი თავად ვერ დაესწრო ამას, შეუძლოდ ბრძანდებოდა. იუბილის დღეებში ვლადიკავკაზში სტუმრობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები. იქ წაიკითხეს საქართველოს პრეზიდენტის ელუარდ შევარდნაძის მილოცვაც (გ. ბურჭულაძე, 2005: 5).

გენადი ბურჭულაძე აღნიშნავს: „თავად აბაევი გახლდათ კომპარატივისტიკის ერთ-ერთი წარმომადგენელი საბჭოეთში. ამიტომ იყო, რომ, როცა საბჭოეთში, თბილისში, დაარსდა საერთაშორისო ხასიათის საკავშირო ფურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი“, იგი ერთხმად იქნა შეყვანილი ამ ფურნალის რეკლემის დამაარსებელ-წევრად, როგორც ავტორი ირანულ-ოსურ ენათა ურთიერთობის არაერთი საინტერესო შტუდიებისა, ავტორიტეტული მკვლევარი ქართველური ენებისა (იხ. „მეგრზიმები ოსურ ენაში“, „მოგზაურობა სვანეთში“, „კავკასიური სუბსტრატი“ და სხვა. ნიგნი „ოსური ენა და ფოლკლორი“ (1949) ან კიდევ მისი ადრინდელი გამოხმაურება არმაზის ბილინგვის თაობაზე, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს გ. წერეთლის აღმოჩენას). ცალკეა აღსანიშნავი ვ. აბაევის სპეციალური ნაშრომი „ოსური ენის ელემენტების შესახებ ქართველურ ენაში“ ან „წელიწადის

მე-ნ ტომში დაბეჭდილი „სამაიას ეტიმოლოგიისათვის“ და სხვა არაერთი (გ. ბურჭულაძე, 2005: 180).

ვასილ აბაევი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ენას. იგი არცერთ ქართულად დაწერილ ნაშრომს არ ტოვებდა უყურადღებოდ, სათანადოდ აანალიზებდა მათ და იყენებდა. „მისი მშვენიერ ქართულზე კი მაშინ ცხინვალში მოღვაწე პროფ. შ. ქურდაძისაგან გაგვივიგია“, – წერს ბატონი გენადი ბურჭულაძე (2001: 22-23).

საყურადღებოა ვასილ აბაევის საზოგადოებასთან შეხვედრის ერთი შემთხვევა, რომელსაც განსაკუთრებით ხაზს უსვამს გენადი ბურჭულაძე და რომელშიც კარგად ჩანს ვ. აბაევის დამოკიდებულება ქართული ენისადმი: „1985 წელს ვ. აბაევი სწვევია ცხინვალს. მას იქაური ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები და ქართველი სტუდენტობა მეტად გულთბილად დახვედრია. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ, რა თქმა უნდა ოსებიც, ერთ მათგანს უკითხვას: ამბობენ, „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი დავით სოსლანიო...აღელვებულ, გაღიზიანებულ ბატონ ვასოს მოკლედ მოუჭრია: სოსლანი ...ОН воин“... და შემდეგ, ცოტა ხნის შემდეგ, თითქოსდა ამ უხერხული კითხვის პასუხად მხცოვან მეცნიერს „ვეფხისტყაოსნიდან“ ვრცელი ნაწყვეტი „ანდერძი“, ზეპირად და მეტად ემოციურად წაუკითხავს, კითხულობდა სათანადო პაუზით, მახვილითა და ინტონაციით, რითაც მსმენელი ძალზე მოუხიბლავს (ამის შესახებ წერს პროფ. ლ. ჩიბიროვიც თავის წიგნში „შეხვედრები ვასო აბაევთან“ (გ. ბურჭულაძე, 2005: 180).

ვ. აბაევის მრავალრიცხოვან შრომათაგან აღსანიშნავია: „ნართების ეპოსი“ (1945), „ოსური ენა და ფოლკლორი“ (1949), „სკვითურ-ევროპული იზოგლოსები“ (1965), „ოსური ენის გრამატიკის ნარკვევები“ (1970), „რჩეული თხზულებანი“... ოსური და სხვა ირნული ენების კვლევისას ვ. აბაევის შრომებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ვრცელ ლექსიკურ მასალას. ამაში მას ხელს უწყობდა ის პირადი კონტაქტებიც, რაც ვ. აბაევსა და ქართველ ენათმეცნიერებს ჰქონდათ. „ვ. აბაევი პირადად სცნობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართული ენათმეცნიერების გიგანტებთან, როგორც არის გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა და სხვები. იგი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველ კავკასიოლოგთა ნაშრომებს, რაზედაც მიუთითებდა კიდევ საერთო-საკავშირო კრებულში „Теоретические проблемы советского языкознания“ (М., 1968): „თბილისში აგერ უკვე კარგა ხანია მუშაობს მეცნიერ-კავკასიოლოგთა ძლიერი კოლექ-

ტივი, რომელსაც სათავეში უდგას ისეთი მტკიცე მიმდევარი ისტორიზმისა, როგორიც არნ. ჩიქობავაა" (გ. ბურჭულაძე, 2000: 14).

ამ მხრივ, აღსანიშნავია არნოლდ ჩიქობავასა და ვასილ აბაევის ურთიერთდამოკიდებულება. ქართველმა ენათმეცნიერმა ოს კოლეგას დაბადებიდან 80 წლის იუბილეზე გაუგზავნა მისალმება, სადაც ნათქვამია: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ მთავარი რედაქცია გულითადად ულოცავს თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ირანისტს, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტს, თავის თანანევრს, პროფ. ვ. აბაევს დაბადებიდან 80 წლისთავს, უსურვებს კვლავ მრავალ წელს ნაყოფიერ მეცნიერულ შრომას“ (გ. ბურჭულაძე, 2005: 181).

„იბერიულ-კავკასიური ენათა სამყარო მთლიანად გასდევს ვ. აბაევის სამეცნიერო მოღვაწეობას. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა მისი ფუნდამენტური ოთხტომეული გამოკვლევალექსიკონი „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომლის სიტყვა – სტატიების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ვ. აბაევისეული განხილვა იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ნათესაობის კიდევ ერთი დადასტურებაა“ (გ. ბურჭულაძე, 2000: 13).

1981 წელს დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების გამო „წელიწდეულმა“ ვ. აბაევს სპეციალური სარედაქციო წერილი მიუძღვნა. 1990 წელს ქალაქ ვლადიკავკაზში დაისტამბა ვ. აბაევის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სესიის თეზისები „ირანისტიკისა და ალბანოლოგიის საკითხები“, რომელიც სხვა უცხოელ თუ საბჭოთა მეცნიერთა გვერდით, გამოქვეყნებულია პროფესორ გენადი ბურჭულაძის „იბერიულ-კავკასიური ლექსიკა ვ. აბაევის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (1990: 32-33).

თამაზ ხმალადის შეკითხვაზე: „ბ-ნ გენადი თქვენ აღნიშნეთ, რომ ვ. აბაევი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრ-დამფუძნებელიაო, ალბათ, შეხვედრიხართ ერთმანეთს. თქვენც ხომ ამ რედკოლეგიის წევრი ბრძანდებით“. მან უპასუხა: „კი, ეს ასეა, მაგრამ პირადად, სამწუხაროდ, არ შეხვედრილვარ... თუმცა ერთ-ერთ სხდომაზე, ძველად, დამინახავს, როგორ გულთბილად შეხვდნენ ქართული ენათმეცნიერების ქურუმები ვ. აბაევს. ისე კი მისი სტატიის სასტამბოდ გამზადებაში მიმიღია მონაწილეობა“ (გ. ბურჭულაძე, 2005: 181).

ვ. აბაევს ოსები ხშირად ოსი ხალხის დიდ განმანათლებელ კოსტა ხეთაგუროვს ადარებდნენ. გადმოსცემენ, რომ ამ შედარე-

ბისას ვ. აბაევი გამორჩეული შვილი გახლდათ, ეს ფაქტია და უეჭველი. ამიტომაც ის მორალურად ვალდებული იყო, თავისი ხალხისათვის სიმართლე ეთქვა, რამდენადაც მწარე არ უნდა ყოფილიყო ეს მათთვის. მან თავის ცნობილ მოწოდება-წერილში „ჩემს თანამემამულეებს“ (1990, 9,11) მოურიდებლად შეახსენებს ოსებს: „კავკასიის მთავარი ქედი წრმოადგენს ბუნებრივ საზღვარს ოსეთსა და საქართველოს შორის. ცდები, გადალახონ ეს საზღვარი, აუცილებლად თან გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის“ (გ. ბურჭულაძე, 2005: 182).

საყურადღებოა ამონარიდი პროფესორ გენადი ბურჭულაძისა და ჟურნალისტ თამაზ ხმალადის საუბრიდან:

თ.ხ.: „გეოგრაფიული და ისტორიული წანამძვრებით გაჯერებულ ვ. აბაევისეულ ამ შეხსენებას, მართალია, დღეს ზოგი ოსი მეცნიერი „არალოგიკურ განცხადებასაც“ უწოდებს, მაგრამ გეოგრაფია და ისტორია ხომ შუცვლელია. აქ დიდ ოს მოქალაქესა და მეცნიერს დიდი ილიას სქტრიქონებს შევაშველებდი.

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართლისას ამბობს,

ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!

ბრყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –

ამ სიძულვილში რაოდენი სიძულვილია!“ თუ ილიას გამონათქვამის პერიფრაზირებას გავაკეთებთ ოსი ხალხის ისტორიული სიმართლისაკენ მიბრუნებაში, თვით ოსთა დიდი სიყვარულია, არა მარტო ოსი ხალხისა, რა თქმა უნდა, ქართველებისაც. დიდი ხანია დადგა დრო, ყური დაუფგდოთ ნინაპართა შეგონებებსაც (გ. ბურჭულაძე, 2005: 182).

გ. ბ: ვ. აბაევი გარდაიცვალა ისე, რომ თავისი მრწამსის აღსრულებას ვერ მოესწრო. ეს რეალურად ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთმიტევაზეა, ეს ჩვენზეა – მომავალ თაობებზე. ნუ გადავდებთ ამას სამომავლოდ, მომავალ თაობას სხვა პრობლემებსაც უხვად ვუტოვებთ. ორ მოძმე ხალხს შორის დაძაბული ურთიერთობა უნდა მოიხსნას.

ზემოთ გაანალიზებული მასალების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ: გმადლობთ ბატონო გენადი... ბატონო ვასილ... თქვენ რომ მოღვაწეობდით, გიყვარდათ ოსები და ქართველები, უფრთხილდებოდით ურთიერთობებს. ...ორ ხალხს შორის ურთიერთობა უნდა აღდგეს... ეს ხომ ჩვენზეა – მომავალ თაობებზეა დამოკიდებული. თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობების ის ხიდია, რომელიც წარსულსა და მომავალს აკავშირებს, რომელიც გვეხმარება მიტევაბასა და საკუთარი თავის პოვნაში

გამოყენებული ლიტერატურა:

- Г. Т. Бурчуладзе**, Иберийско кавказская лексика в Историко-этимологическом словаре осетинского языка В. И. Абаева Вопросы иранистики и албановедения Владикавказ, 1990.
- გ. ბურჭულაძე**, ვ. აბაევი და ქართულენოვანი სამყარო: ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I (IX) სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გორი, 2000 წლის 27-28 დეკემბერი, გვ.13-14.
- გ. ბურჭულაძე**, კავკასიოლოგიური ტალანტის ლინგვისტი: ბურჯი ეროვნებისა, №5, თბ., 2001, გვ. 22-23.
- გ. ბურჭულაძე**, დიდი ირანისტი ენათმეცნიერი: გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, გორი, აგვისტო, 2001.
- გ. ბურჭულაძე**, დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბ., 2005.
- მ. კობერიძე**, იოანე იალღუზიძე და ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობები: გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საუნივერსიტეტეჭმორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები: წარსული, დღევანდელი, მომავალი“, გორი, 2011.
- მ. კობერიძე**, გენადი ბურჭულაძე – მასწავლებელი და კოლეგა: პროფესორი გენადი ბურჭულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2012.
- ვ. შენგელია**, გენადი ბურჭულაძის ხსოვნას: პროფესორი გენადი ბურჭულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2012.

Koberidze Mariam

Gori, Georgia

GENADI BURCHULADZE, VASIL ABAEV AND GEORGIAN-OSSETIAN LINGUISTIC RELATIONS

Georgian-Ossetian linguistic events shed light on one of the problematic issues – vicinity of Georgian and Ossetian people. In this study many unknown or forgotten facts to the public show themselves, which is not only rather interesting, but also will help the two nations to restore their traditional relations.

The paper deals with the works of Genadi Burchuladze, a professor at Arnold Chikobava Institute of Linguistics at Tskhinvali State University, dedicated to Vasil Abaev: Ibero-Caucasian

vocabulary according to V. Abaev's 'Historical and Etymological Dictionary of the Ossetian language' (Vladikavkaz, 1990), 'Vasil Abaev's Georgian-speaking world' (2000), 'Caucasian talented linguist' (2001), 'A great Iranian scholar' (2005).

In Georgian-Ossetian language an important chapter is Vasil Abaev's linguistics work. He personally respected and had a close relationship with the representatives of Georgian linguists such as G. Akhvlediani, A. Shanidze, Arn. Chikobava, F. Topuria and others. V. Abaev was member of the editorial board of the journal 'Ibero-Caucasian Linguistics'. Georgian-Ossetian linguistic ties have given us some of the most interesting articles: 'Megrim's in the Ossetian language', 'Trip to the region', 'Caucasian substrate', 'Ossetian language elements in the Georgian language', 'Samaia Etymology'. Interesting is his response to the Armaz bilingual stone (1949), which was dedicated to Acad. George Tsereteli's discovery.

Кодзати Ирида

аспирант СОИГСИ

Владикавказ. Республика Северная Осетия-Алания. Россия

ОБ ОСЕТИНСКО-ГРУЗИНСКИХ ПАРЕМИОЛОГИЧЕСКИХ ЭКВИВАЛЕНТАХ И АНАЛОГАХ

Изучение содержания разных языков приводит к обнаружению различных проявлений структурно-семантической общности национальных языковых систем. К одной из них относится паремиологический фонд языка.

Пословицы возникли в глубокой древности. В них – наблюдения народного ума, мудрость и опыт минувших времен, передающие диалектику жизни. Наверное, нет такой области человеческого бытия, явлений жизни, которые бы не были отражены в пословицах.

У каждого народа свое видение мира, обусловленное его культурой, менталитетом, верой, обычаями и обрядами.

Изучив и сопоставив паремии ряда родственных и неродственных языков, ученые пришли к выводу, что базовые структурно-семантические модели фразеологизмов и паремий универсальны [Мокиенко 1973; 1989; Гананпольская 1995].

Основные смысловые универсалии строятся на отражательном характере языковой семантики, на общих закономерностях мысли-

тельных процессов, на универсальных для всех этносов механизмах выражения объективного мира.

Таковы, к примеру, паремии осетинского и грузинского языков, связанные с концептами *судьбы, возмездия, любви, воспитания, моральных ценностей и поведения* и др.; ср.: *Худт кæуынмæ расайын дæр зоны*. – *За смехом всегда следуют слёзы* (груз.); *Тæдзынæггæй – цыхцыраггæ*. – *От горя сбежал, да в беду попал* (груз.); *Магуыр-дзинад лæджы хæрæгау дæр суасын кæндзæни*. – *Когда приходит голод, уходит стыд* (груз.); *Бæндæнæн йæ даргъ бæззы, ныхасæн – йæ цыбыр*. – *Веревка хороша, когда длинна, а речь – когда коротка* (груз.); *Зæронд цъиуы зыгуымы муртæй нæ асайдынæ*. – *Бывалая птичка в тенёта не попадет* (груз.); *Къæрных йæхи худ дæр давы*. – *Крала нитки от своего же платья* (груз.); *Бæрзæй уа – æфсондз ыссардзынæ*. – *Была бы шея, а ярмо найдется* (груз.); *Теуайæн, дам, афтæ загътой: „Дæ уачъи зылынтæ цæмæн у?“ Уый та сын: „Æмæ мæ раст та цы ис?“* – Верблюду сказали: „У тебя шея крива“. – „А что у меня не кривое?“ – ответил он (груз.); *Уарзондзинад кæм ис, уым цард дæр ис æмæ куыст дæр*. – *более категорично звучит грузинская пословица: Где нет любви, там нет и радости* (груз.).

Этнокультурная информация особенно хорошо просматривается в пословично-поговорочном фонде двух языков, который обнаруживает как специфические национальные, безэквивалентные ФЕ, так и полные или частичные структурные и семантические эквиваленты и аналоги [Арсентьева, 1989: 97].

При подборе грузинских пословиц к осетинским нами использовались не кальки, а их аналоги. Сравним пословицы о силе общественного мнения: *Дыууæ лæджы дæ сохъхъыр куы схоной, уед дæ иу цæст къухæй бамбæрз*. – *Если два человека скажут, что ты слепой, – закрой глаза* (груз.). Или о бессмертных, извечных ценностях, идущих из веков: *Дон ацæуы, дур йæ бынаты баззайы*. – *Воды утекут, пески останутся* (груз.); ср. *русск.*: *Вода уходит, а камни остаются*. В данных частичных аналогах наблюдаются расхождения в компонентном составе, структурно-грамматической и образной основе.

Высокий показатель эквивалентности характерен для ФЕ, в которых совокупное значение ФЕ основано на переосмыслении действий людей в типичных, универсальных для всех наций, ситуациях, или для ФЕ, выражающих эмоции людей.

Например, паремии о взаимоотношениях людей в обществе и между собой: *Дурынмæ куыд ныздзурай, афтæ дæм ысдзурдзæни*. – *В кувшин как аукнешь, так и откликнется* (груз.). Семантика пословиц: делающий добро, несущий благо другим, отзывчивый человек „пожинает“ такое же приветливое, душевное отношение к себе. На добрый привет человек получает добрый ответ, сеющий зло

обретает вражду и ненависть. Перед нами полные фразеологические эквиваленты, с одинаковым компонентным составом и структурно-грамматической организацией. Значение пословиц обусловлено внутренней формой, здесь полностью совпадает образность паремий.

Следующие пословично-поговорочные аналоги об отношениях родителей и детей, их воспитании. В поговорке *Белас талайе тасы* и пословице *Ветка гнётся, пока молода; вырастет – не согнёшь* (груз.) дается конкретный совет о времени, когда нужно воспитывать ребенка. Вторая часть грузинской пословицы дополняет, предвидит последствия, резюмирует: если не привить конкретные навыки, правила поведения, не воздействовать на духовное и физическое развитие своих детей вовремя, будет уже поздно. Частичные аналоги идентичны по своей семантике, но различны по своей образной структуре и лексическому составу.

Обратимся снова к мудрости народной. Например, пословицы *Цаваг галаен йае сыкья саетты* (букв.: у бодливого быка рог ломается). – *Бодливому быку Бог рогов не дает* (груз.). Общий смысл этих пословиц таков: „тот, кто хочет чего-л., стремится к чему-л., кто мог бы злоупотребить своим положением, не получает возможности осуществить желаемое“ [СПП]. Пословичные аналоги с разной структурно-грамматической организацией и разным компонентным составом полностью совпадают в их эмоционально-экспрессивной коннотации (неодобрительная).

Пословицы часто имеют двойной смысл. *Уардон куы афелдаехы, фандаг уаед саразыныц* (букв.: арба перевернется – лишь тогда дорогу ремонтируют) / *Уардон куы асаетты, фандаг уаед разыны*. – *Арба повернется – лишь тогда дорога покажется* (груз.) означают, что нередко дело не сдвигается с мёртвой точки, нужное решение не может быть найдено до определенного момента времени. Это их *прямое* значение. Но есть у них и *переносное*: „Истинный, верный путь находится лишь тогда, когда происходит несчастный случай, трагическое событие, приключается необратимое бедствие“. Но лучше предчувствовать беду, предотвращать несчастье, а не пережить бедствие, не испытать его на себе. Пословицы отличаются по степени образности, имеют значительные расхождения не только в компонентном составе, но и в структурно-грамматической организации.

Пословицы грузинского и осетинского языков содержат многовековой коммуникативный опыт двух народов. Этноты, взаимодействуя друг с другом, имели тесные культурные отношения, что обогатило их знания и опыт.

Несмотря на различие типологических особенностей языков, а следовательно, и различные способы выражения синтаксических отношений между компонентами ФЕ в осетинском и грузинском

языках, была выявлена возможность нахождения эквивалентных и аналогичных соответствий ФЕ в двух языках. За каждой из пословиц стоит авторитет поколений, их создавших. Они, по мнению В. И. Даля, вынуждаются силою обстоятельств как крик или возглас, невольно сорвавшийся с души <...>, все её знают и ей покоряются [Даль, 1993: 30]. Именно поэтому рассматривать их в межкультурном контексте имеет особое значение.

Литература

1. *Арсентьева Е. Ф.* Сопоставительный анализ фразеологических единиц. Казань: Изд-во Казанского университета, 1989.
2. *Ганапольская Е. В.* Фразеологическое поле „труд“ в русском языке (в сопоставлении с английским): Автореф. дис. ... канд. филол. наук. Л., 1995.
3. *Даль В. И.* Пословицы русского народа. Сборник в 3-х т. М.: Русская книга, 1993.
4. *Мокиенко В. М.* Историческая фразеология: этнография или лингвистика? // Вопросы языкознания. 1973, № 2, с. 21 – 34.
5. *Мокиенко В. М.* Славянская фразеология. М., 1980, 2-е изд. М., 1989.
6. *Словарь пословиц и поговорок.* URL: <http://slovarick.ru/104/> (дата обращения 28.10.2015).

Kodzati Irida

Vladikavkaz, Russia

THE WATERS FLOW AWAY AND THE STONES REMAIN...

(on the Ossetian-Georgian paremiological equivalents and analogues)

1. The study of the content of the Caucasian languages brings to the detection of the various manifestations of the structural and semantic commonality of national language systems. Paremiological fund of the language in which there are observations of national intelligence, wisdom and experience bygone days, reflecting the dialectic of life belongs to one of them.

2. Proverbs of the Georgian and Ossetian languages include many centuries communicative experience between the two nations. Comparison of different phraseological semantic fields in a range of related and unrelated languages has shown that the major the structural and semantic models of phraseological units and proverbs are universal [Mokienko 1973; 1980; Ganapolskaya 1995].

3. General meaningful universals are constructed on the reflective nature of the linguistic semantics, the general patterns of

thought processes, on the universal mechanism for all ethnic groups' reflection of the objective world. Such, for example, paremias two languages related to concepts of fate, retaliation, love, values and behavior, etc.:

Uærdon kuy afældæhy, fændag uæd sarazynts / Uærdon kuy asætty, fændag uæd razyne. – *A cart will turn – only then the road will appear* (Georg.).

Dyuuaæ lædzhzy dæ sohhyr kuy skhonoy, uæd dæ uy tsæst kuhæy bambærz. – *If two people will say you are blind – shut your eyes* (Georg.).

Don atsæuy, dur yæ bynaty bazzayy. – *The waters will flow away, the sands will remain* (Georg.), compare: Russ. *The water flows away and the stones remain.*

Hudt kæuynmæ rasayyn dær zone. – *Laugh is always followed by tears* (Georg.).

Uarzondzinad kæm is uym tsard dær is æmæ kuyst dær. – *Where there is no love, there is no happiness* (Georg.).

Mægyrdzinad lædzhzy hæærægau dær suasyn kændzæni. – *When it comes to hunger, shame leaves* (Georg.).

Tædzynægæy – tsyhtsyrægmæ. – *From grief had fled, but got into trouble* (Georg.).

Tsævag galæn yæ syka sætty. – *The butting bull God does not give horns* (Georg.).

Zæronnd tsiuy zyguymy murtæy næ asaydzynæ. – *Experienced birdie will not fall into the mesh* (Georg.).

Durmæ kuyd nydzdzuray, aftæ dæm ysdzurdzæni. – *How you shout into the jug as well will respond* (Georg.).

Bændæncæn yæ darg bæzzy, nyhasæn – yæ tsybyr. – *Rope is fine when long, and a speech – when is short* (Georg.).

Bælas talayæ tasy. – *Branch bends until young; will grow – cannot flex* (Georg.).

Behind each of these proverbs and sayings is the authority of the generations who created them. They are, according V.I. Dahl, force by force of circumstances, like a cry or whoop, involuntarily plucked from the soul, all her know and she obey [Dahl, 1993: 29–30]. It is why it is so interesting and effectively treat them in an intercultural context.

Корнаева Татьяна

*Заслуженный учитель РФ, отличник образования,
директор средней школы №7, г. Владикавказ*

К МИРУ ЧЕРЕЗ ВЗАИМОДЕЙСТВИЕ КУЛЬТУР

„...сближать сердца людей языком искусства –
есть конкретное дело. Оно нужное сейчас всем“.

Анатолтй Дзиваев, Заслуженный деятель искусств
РФ, народный артист РСО –АЛАНИЯ.

Слова, вынесенные в эпиграф, сказаны А. Дзиваевым в связи со съемками фильма „Тэли и Толи“, где он исполняет роль священника, отца Николая. В основе сюжета лежит история о двух кавказских селениях – грузинском – Тэли и осетинском Толи, между которыми собираются установить шлагбаум. Жители этих сел издревле жили вместе, бок о бок, дружили, женили детей, делили горе и радость. И рубеж, который собираются воздвигнуть, вызывает отторжение. Они противятся этому решению и продолжают верить в добро, человечность и дружбу. В фильме снимались Дагун Омаев – известный чеченский артист, народный артист России, Кахи Кавсадзе, народный артист Грузии, что говорит о том, насколько этот фильм интернационален и ожидаем. Могут враждовать конкретные люди, но не могут враждовать народы, у которых много общего, которые плечом к плечу отстаивали мир на планете ради того, чтобы их дети жили в мире. И мы, те, кто занимается детьми, как никто другой, должны сделать для этого все.

В мае месяце текущего года Владикавказ в пятый раз открыл свои объятия детским танцевальным коллективам. Праздник „Танцевальное шоу Кавказа – Танец дружбы“ стал поистине праздником дружбы. Неформальное общение детей, проникновение в культуру каждого народа, крепнущие дружеские связи. Уважение и искренний интерес к истории народа – вот далеко не весь результат данной акции. Детский образцовый ансамбль города Тбилиси „Вардзия“ покорила не только осетинских зрителей, но и представителей Крыма и Армении, Южной Осетии и Татарстана, Израиля и Киргизии. Тонкости национального костюма, рисунок танца, музыка буквально завораживали зрителей. А потом были круглые столы, на которых молодежь рассказывала о своем народе, обычаях, увлечениях. И конечно была встреча с учащимися школы №19 имени Корнаева, где обучение идет на грузинском языке. А через две недели Владикавказ, поистине город интернациональный, встречал детские футбольные команды Южного и Северного Кавказа,

Краснодарского края. Спорт объединяет нас, помогает нам лучше понять друг друга – утверждали участники спортивного праздника. Вот так и зарождается дружба, а она была и остается условием сохранения мира.

Говоря о воспитании толерантности, нельзя не сказать о летней школе мира, проводимой Кавказской детской сетью. Государства Южного Кавказа и республика Северного Кавказа прислали свои детские делегации в Грузию (Уреки.) История, культура, образование – вот направления, которые объединяли рабочие группы. И конечно неформальное общение. Дорога к миру начинается с уважения к культуре и истории народа. Именно этим занимаются организаторы мероприятий, о которых говорилось выше. Если мы хотим, чтобы наши дети жили в мире и согласии, умели ценить и уважать культуры других народов, мы сегодня должны их учить этому.

Kornaeva Tatiana

Vladikavkaz

TOWARDS PEACE THROUGH THE INTERACTION OF CULTURES

«to bring people's hearts together with the help of art is our specific cause.

We all need it now».

Anatoliy Dzivaev,

the Honoured Art Worker of the Russian Federation,
the People's Actor of North Ossetia – Alania.

These words, taken as an epigraph, have been said by A. Dzivaev in connection with the shooting of the film “Tely and Toly” in which he plays the role of clergyman Nikolay. The plot of the film is based on the story of 2 Caucasian villages which are planned to be divided by a barrier. The inhabitants of the both villages have lived together for ages. They have made friends, married their children, shared sorrow and joy. And a future barrier is not accepted by them. People are against this separation. They continue to believe in humanity and friendship. A famous actor of Chechnya, the People's Actor of Russia Dagny Omaev took part in the shooting of the film. Another well known Georgian actor Kakhi Kavsadze also played in this film. These facts reveal that the film is international and very

expected. Only some people can be enemies but not the whole nations, who have very much in common, who fought together and gave their lives for the peaceful future of their children can't be hostile. And we, those who work with children must do our best to preserve peace.

In May 2015 Vladikavkaz has received children's dancing groups for the fifth time. The festival "Dancing show of Caucasus is a dance of friendship" has really become a holiday of friendship. The result of the activity is not only children's informal communication but also respect and sincere interest to the culture of every nation and strengthening of the friendly relationship. The children's model dancing ensemble "Vardzia" from Tbilisi have won the hearts of not only Ossetian spectators. The representatives of the Crimea and Armenia, South Ossetia and Tatarstan, Israel and Kirgizia admired their dancing skills. The peculiarities of the national costume, a dance pattern and the music itself impressed them greatly. Afterwards there were meetings where young people told about their customs and hobbies. And, of course, there was a meeting with the pupils of the school 19, where all lessons are in Georgian. 2 weeks later, Vladikavkaz, a really international town, warmly greeted the members of the children's football teams of North and South Caucasus and Krasnodar territory. "Sports unite all of us, helps us to understand each other better", the participants of the sport competition stated. "In such a way we make friends and friendship has always been and still remains the main condition of preserving peace".

Speaking about bringing up of tolerance, we can't but mention summer peace school provided by the Caucasus Network for Children. The states of south Caucasus and the republic of North Caucasus have sent their children's delegations to Georgia (Ureki). History, culture and education these are the main branches that united work groups. And, of course, informal communication. The way to peace begins with respect to the culture and history of people. And that is the main aim of the organizers of all the activities we have spoken about. If we want our children to live in peace and agreement and appreciate and respect other people's cultures, we must teach them how to do it now.

მანველაშვილი ნანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, სტუდენტი*

ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორია დროსა და სივრცეში

ქართველთა და ოსთა ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ოსური ეთნოსის წარმომავლობასთან დაკავშირებით ბევრი დაწერილა და თქმულა, როგორც ქართულ ისე უცხოურ წყაროებში. მიმდინარე კვლევაში შევეცდებით თვალი გავადევნოთ ამ ორი ერის ურთიერთობას სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა წყაროების დახმარებით.

ოსების წინაპრებად, სრულიად დასაბუთებულად, მიიჩნევენ ირანული მოდგმის ტომებს – ალანებს. ალანთა ისტორია ვრცლად გადმოგვცა კატალონიელმა ისტორიკოსმა აგუსტ ალემანმა¹. ამ წყაროზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ალანთა ეთნოგენეზი ევრაზიის სტეპებში, არალისა და კასპიის მხარეში მოხდა და კავკასიასთან მას კავშირი არ აქვს. როგორც ცნობილია, ალანები მომთაბარე ხალხები იყვნენ. ისინი პირველად მოიხსენიებიან ძვ.წ. მეორე სკ-ში ჩინურ წყაროებში.² ეს ფაქტი თავისთავად გვაფიქრებინებს, ამ დროისთვის მათ კავკასიასთან შეხება არ ჰქონიათ. რომაულ წყაროებში ალანები უკვე ახ. წ. პირველ საუკუნეში ჩნდებიან. ალანთა მიგრაცია მეტწილად განაპირობა ჰუნთა მოძრაობამ. სწორედ ამ პერიოდში სახლდებიან ალანები ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში. მეორე პერიოდს ალანთა ცხოვრებაში მონაწილეების შემოსევები ქმნის. მონაწილეებმა დაამარცხეს როგორც ალანები ისე მათი მეზობელი ყივჩაყები. ამდენად, ამ პერიოდიდან ახალი ეთნოსი ყალიბდება, რომელსაც ოსური ეთნონიმით ვიცნობთ.³ ამდენად, ალან-ოსები უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ XVI-XVII სკ.-მდე.

¹რ. თოფჩიშვილი; ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008, გვ. 4

²რ. თოფჩიშვილი; ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008, გვ. 9

³რ. თოფჩიშვილი; ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008, გვ. 50

ქართულ-ოსურ ურთიერთობებს საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული წყაროები საკმაო ცნობებს გვანვდიან ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ჩვენი მთავარი მეგზური რ. თოფჩიშვილის საისტორიო ნაშრომია: „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები.“ „ქართლის ცხოვრება“ მრავლად ასახელებს ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ამსახველ ფაქტებს. ლეონტი მროველი ოსებს იხსენიებს ჯერ კიდევ ძვ.წ. მესამე საუკუნეში მეფე ფარნავაზს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ოსებთან. ამაზე მეტყველებს ოსთა და ლეკთა დახმარება აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსებთან ურთიერთობა გაგრძელდა ფარნავაზის ძის საურმაგის მეფობის დროსაც: „მაშინ საურმაგ ეზრახა ოსთა მეფესა, მამისა დისნულსსა მისსა, და ითხოვა შეწევნა.“ ამის შემდეგ ოსთა და ქართველთა თანამშრომლობის ფაქტს კიდევ ვხვდებით პირველი საუკუნის 70-80 წწ. ქართლში ორი მეფის აზოკისა და არმაზელის მეფობისას. დასახელებულ მაგალითებში ოსებს ქართველები იყენებენ როგორც დამხმარე ძალას, ვინაიდან ოსები ხშირ შემთხვევაში დაქირავებული ჯარის შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებული. საკითხი მკვეთრად იცვლება მეორე საუკუნის დასასრულს. ლეონტი მროველი საუბრობს მეფე ამაზასპზე და ოსთა თავდასხმებზე: „და ამისსა მეფობასა გარდმოვიდნენ ოვსნი, სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა“. ოსები დამარცხდნენ. წყაროს ცნობით, ამაზასპი გადავიდა ჩრდ. კავკასიაში და სასტიკად გაუსწორდა მათ. ოსთა პოლიტიკა გაგრძელდა მეფე მირიანის მეფობის ჟამსაც. მირიანი მეფე იძულებულია გადავიდეს ოსეთში და დაამარცხოს ისინი. ოსთა შემოსვლის ფაქტი დასტურდება ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსთანაც. ვახტანგი ათი წლის ყოფილა, როდესაც ოსებს ქართლი დაულაშქრავთ. წლების შემდეგ, დავაჟკაცებული მეფე მდ. თერგზე ამარცხებს ოსთა ლაშქარს. ვახტანგმა დარიალის კარი ჩაკეტა და ოსებს კვლავ ქართლში შემოჭრის შესაძლებლობა წაართვა. ამ მოვლენების შემდეგ შედარებით განიმუხტა მდგომარეობა. ოსები ქართულ წყაროებში კვლავ ჩნდებიან 853 წ. „მატიანე ქართლისაის“ ცნობით არაბი სარდალი ბულა-თურქი დმანისში ასახლებს ას ოსურ ოჯახს. სავარაუდოდ, ოსები ადვილად აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და მათზე ცნობები აღარ მოგვეპოვება.

¹ რ. თოფჩიშვილი; საქ-ში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 130-131.

ქართულ-ოსური ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება მონღოლების შემოსევასთან ერთად. ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მონღოლების შემოსევებმა განაპირობა ოსთა სამხრეთისაკენ გადანაცვლება და მათი დასახლება „ცენტრალური კავკასიის მაღალმთიან ხეობებში“¹ თუმცა, ამ მოსაზრებას არ იზიარებს, რ. თოფჩიშვილი. მისი აზრით, მართალია, მონღოლების შემოსევების შედეგად ოსები დასახლდნენ „დიგორის, ალაგირის, ქურთათის და თავაურის ხეობებში“², მაგრამ უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ისინი არ დასახლებულან. ქართული წყაროები მხოლოდ დავით ულუს მეფობის ხანაში გამოყოფს სამ ქალაქს, სადაც დარუბანდის გზიდან გადმოსული ოსები დასახლდნენ: თბილისი, ჟინვალის და დმანისი. თუმცა, ეს დასახლებებიც არ ყოფილა კომპაქტური. ამდენად, დიდი გავლენა არ მოუხდენია ქართულ ყოფაზე. სიტუაცია რადიკალურად იცვლება გიორგი ბრწყინვალის მეფობაში. გიორგი მეხუთე იძულებული გახდა ძალის გამოყენებით გაეძევებინა ოსები თავისი ქვეყნიდან: „მან მეფემან განასხნა ძლიერებითა თვისითა და წარუხუნა ციხენი და დაბნები“³. ზ. ჭიჭინაძე აღწერს გიორგი ბრწყინვალის მიერ გატარებულ ღონისძიებას და აღნიშნავს, რომ: „ქართლში ოსებს კარგი დღე არ დაუდგათ, მთელის ქართლის სოფლებიდან ოსები აჰყარა, ქართველთაგან წართმეული სახლები წაართვა, ყველა ეს სახლები თავიანთ ძველ სახლის პატრონებს დაუბრუნდა, მთელი აყრილი ოსები ერთ ალაგას შეყარა. მერე მიჰყვა ქართლის დიდი ჯარით და ყველა ეს მძარცველნი ისე გადარეკა ოსეთში, რომ ქართლში ერთი ოსი აღარ დასტოვა. ამ გვარათ გიორგი ბრწყინვალემ დაამშვიდა ქართლი“⁴. გიორგი ბრწყინვალემ შეძლო, შეეჩერებინა ოსთა აგრესიული შემოსვლა ქართლის ტერიტორიაზე. ამის შემდგომ ორი საუკუნის განმავლობაში ოსებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება აღარ ყოფილა. დარიალის კარის გამორღვევა და ოსთა სამხრეთისკენ მიგრაცია რ. თოფჩიშვილის აზრით, საქართველოს დასუსტების და სამეფო-სამთვროებად დაშლის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო. სავარაუდოდ, პირველი ოსური დასახლება საქ.-ში დვალეთში გაჩნდა XV საუკუნეში. თრუსოში ოსები დასახლდნენ XVII საუკუნეში. თუმცა, დვალეთზე გავლენა ქართულმა სამეფო კარმა XVII ს-ის

² რ. თოფჩიშვილი; საქ-ში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 135

³ ჟამთააღმწერელი, გვ. 189

⁴ <http://www.amsi.ge/istoria/div/osebi.html>

პირველ ნახევრამდე შეინარჩუნა. ამაზე მეტყველებს გიორგი სააკაძის მიერ დვალეთის მოურავობის ფაქტი. ამდენად შიდა ქართლში ოსები მხოლოდ და მხოლოდ XVII სკ. შუა ხანებიდან სახლდებიან. საინტერესო ფაქტი ფიქსირდება XVII სკ-ის, პირველ ნახევარში. ამ პერიოდის ნასყიდობის სიგელში გადმოცემულია ზემო ჯავის ამონყვეტის ამბავი. ზემო ჯავაში შემდგომ მაჩაბლებს ოსები ჩაუსახლებიათ.¹ ოსთა დასახლებას დიდი ლიახვის ხეობაში ხელს უწყობდნენ ქართველი მეფეებიც. მათ შორის უნდა გავიხსენოთ როსტომ-ხანი, რომელიც ზემო ჯავაში დასახლებული ოსების ხელშეუხებლობას ითხოვს. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ოსები დასახლდნენ დვალეთში, ხოლო დღევანდელი ტერიტორიის ფარგლებში – თრუსოში. ზ. ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ოსები XVI საუკუნეში ჩამოსახლდნენ. ზ. ჭიჭინაძე ოსთა ქართლში ჩამოსახლების მიზეზად ასახელებს მოუსავლიან, უნაყოფო წლებს, რამაც გამოიწვია ოსთა მასობრივი შიმშილი, საკუთარი ტერიტორიებიდან აყრა და გადასახლება. ამდენად, ხსენებული წყაროს მიხედვით, გაღარიბებული და გაღატაკებული ოსები ქართლშიც შემოვიდნენ. მათ თავისი ნებით მოითხოვეს ქართველ თავადაზნაურებთან დაყმევება: „ბევრის დავალებით მობეზრდნენ ქართველი თავად-აზნაურები და ოსებს განუცხადეს თანხმობა, ამის შემდეგ მათი ყმობაც მოხდა, ესე და ამ გვარად, ოსები ქართველ მებატონეებს ეყმნენ XVI საუკუნის დამლევს და მას შემდეგ მართლაც ოსები ქართლის სოფლებში სცხოვრობენ უვნებლად, მას შემდეგ რაც ესენი ქართველ მებატონეებს ეყმნენ, იგინი ამის გამო, ქართველ გლეხებს უფრო დაუახლოვდნენ.“² ოსთა პირველი დასახლებები „ბუდე დვალეთის“ ტერიტორიაზე ჩნდება. 1604-1615 წწ. ოსებით კომპაქტურადაა დასახლებული ზახა და დიდი ლიახვის სათავეები. ამ ტერიტორიებზე ქართველი თავადი ბაადურ მაჩაბელი ოსებს ასახლებს მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. ეთნოგრაფიულ წყაროებზე დაყრდნობით ბ. გამყრელიძეს მიაჩნია, რომ დიდი ლიახვის ხეობაში პირველად ბაჟა და ფეფე, მამიევეების და ბეგიზოვეების წინაპრები მისულან.³

მივყვეთ ქართულ წყაროებს. მეთვრამეტე საუკუნის ქართულ ყოფა-ცხოვრებას საუკეთესოდ წარმოაჩინეს ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა.“ ამ ნაშრომში სპეციალუ-

¹ ოსთა საკითხი; ბ. გამყრელიძე; თბ., 1996, გვ. 183

² <http://www.amsi.ge/istoria/div/osebi.html>

³ ოსთა საკითხი; ბ. გამყრელიძე; თბ., გვ. 185

რი თავი ეძღვნება ოსეთს და მის ისტორიას, ამიტომ მისი უგულებელყოფა წარმოუდგენელია. ვახუშტი ბატონიშვილი დაწვრილებით აღგვიწერს ოსთა ყოფა-ცხოვრებას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, თრუსოში, მალრან-დვალეთში და საქართველოს მთიან ნაწილში დასახლებული ოსები, დვალეთიდან გადმოსახლებული გაოსებული დვალეები არიან.¹ ისტორიკოსი დაწვრილებით განიხილავს ოსთა განსახლებას ქართულ ტერიტორიებზე. როგორც წყაროდან ირკვევა ოსები პატარა ლიახვის ხეობაში „ვანათს ზევით მკვიდრობდნენ.“² ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს მეფუდასა და ლეხურას ხეობებს. მისი ცნობებით, ამ ტერიტორიაზე ოსები არ სახლობდნენ. დიდი ლიახვის ხეობაში ვახუშტის დროს მალრან-დვალეთის ცხრა სოფელი ყოფილა დასახლებული. მათ შორის: გუფთა, ხოსო, პატარა ჯავა, მუგუთი...რაც შეეხება ფრონეების ხეობას, ამ დასახლებაშიც ამ დროისთვის, არ გვხვდება ოსური სოფლები. ამდენად, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის კომპაქტური დასახლებები გვხვდება დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, თრუსოსა და კუდაროში. ოსთა ინტენსიური ჩასახლება მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოხდა. მეცხრამეტე საუკუნემდე არც ერთი დოკუმენტი არ მოიძებნება, რომელიც შიდა ქართლს მოიხსენიებს ოსეთად.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XVII, XVIII, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ოსთა კომპაქტური დასახლებები არ შეინიშნება. თუმცა მდგომარეობა იცვლება 1860 წლის შემდეგ. ამის შესახებ ცნობებს გვანდვიან ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია. როგორც ამ პერიოდის დემოგრაფიული მონაცემებით ირკვევა: „1860 წლიდან 1880 წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში ოსების რაოდენობა 12 ათასით, ანუ მხოლოდ 1,2-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2,7-ჯერ გაიზარდა.“³ ამგვარი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი არასდროს არ დაფიქსირებულა, ამდენად, უნდა ვიფიქროთ რომ საქმე გვაქვს მიგრაციის პროცესთან. სწორედ ამ პერიოდში ხდება ოსების მასობრივი ჩამოსახლება ქართულ ტერიტორიაზე. ვინაიდან ჩამოსახლებულთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, ეს ფაქტი მიგვანიშ-

¹ რ. თოფჩიშვილი; საქ-ში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 140

² რ. თოფჩიშვილი; საქ-ში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ.144

³ ოსთა საკითხი; ანზორ თოთაძე, თბ., 1996, გვ.210-211

ნებს, რომ ოსთა შორის უმრავლესობას ახალგაზრდები და შუა ასაკის ადამიანები წარმოადგენდნენ. ამდენად, ოსთა კომპაქტური დასახლებები უკვე ჩნდება ქარელის რაიონში, ბორჯომის რ-ნში. ოსები აქტიურად სახლდებიან თბილისშიც. 1886 წ. თბილისში 314 ოსი ცხოვრობდა, ხოლო 1989 წლისთვის ოსთა რაოდენობამ 16 ათასს მიაღწია. ეს მონაცემები კარგად წარმოაჩენს ოსთა ჩამოსახლების აქტიურ სახეს.

ვფიქრობთ, ცალკე უნდა განვიხილოთ ცხინვალის წარმოშობა და განსახლება. მოგეხსენებათ ტოპონიმები კარგად ასახავენ ამა თუ იმ ადგილის წარმოშობის ისტორიას. ცხინვალის ტოპონიმი ძველქართული სიტყვიდან „ქრცხილადან“ მომდინარეობს. თანამედროვე ქართულში სახეშეცვლილი ფორმა „რცხილა“ აქტიურად გამოიყენება. ამდენად ქალაქის სახელწოდება ქართული სიტყვის ფუძისგან წარმოიშვა. ქ. ცხინვალი პირველად 1392 წლის მცხეთურ სიგელში იხსენიება. ცხინვალი, როგორც მოგეხსენებათ, მდებარეობს ჩრდილო კავკასიიდან და ზამო რაჭიდან მომავალ გზაზე, ამდენად ძველთაგანვე სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა. 1770 წლის აღწერით ცხინვალში 700 კომლი ცხოვრობდა. ქალაქში სამი ეროვნების წარმომადგენლებს ვხვდებით: ქართველები, სომხები, ებრაელები. სომხები და ებრაელები სავაჭრო ურთიერთობებში დახელოვნებულები იყვნენ. მათი ცხინვალში დასახლება ცნორედ ქალაქის სავაჭრო ფუნქციამ გამოიწვია.¹ ბატონიშვილი ვახუშტი როდესაც აღწერს ქართლის სავაჭრო ქალაქებს, მათ შორის ასახელებს ცხინვალსაც. ამავე ავტორის ცნობით, გიორგი სააკაძე იყო: „მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუაღეთისა. „ამდენად, ხსენებული ფაქტიც ცხადყოფს ქალაქის ქართულ წარმომავლობას. ასეთი ვითარება გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნეშიც. რუსი მოხელეები ცხინვალის მოსახლეობის აღწერისას ოსურ ეთნოსს არ ასახელებენ. თუმცა, როგორც ჩანს ოსთა მხრიდან გორის მაზრის დარბევა და მოსახლეობის აწიოკება რამდენჯერმე მოხდა. ამას ადასტურებს გენერალ ახვერდოვის პატაკი, გაგზავნილი გენერალ ტორმასოვთან. ცნობის მიხედვით, ოსებს ეკრძალებოდათ სპეციალური ნებართვის გარეშე ცხინვალში შესვლა.² ცხინვალის ეთნიკური შემადგენლობა რადიკალურად იცვლება 1922 წლიდან. მას შემდეგ რაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ხოლო ცხინვალი მის დედაქალაქად გამოცხადდა. სწორედ ამ ფაქტმა,

¹ იგივე გვ. 212

² ოსთა საკითხი; ანზორ თოთაძე, თბ., 1996, გვ. 215

მმართველობითი ორგანოების გადმოსვლამ ცხინვალში, გამოინ-
ვია ოსთა რაოდენობის ზრდა, რაც კიდევაც აისახა დემოგრაფიულ
მაჩვენებელში. ამდენად, 1926 წლის მონაცემებით, 5818 კაციდან
ქართველი 1920, ოსი 1152, ებრაელი 177, და სომეხი – 827 ცხოვ-
რობს ცხინვალში. კიდევ უფრო შეიცვალა მდგომარეობა 1989 წ.
ოსთა რაოდენობამ 31537-ს მიაღწია. ამდენად, თანდათანობით
ძველ ქართულ ქალაქში ახალი ეთნოსი დამკვიდრდა. ამის მთავარი
მიზეზი კი, როგორც აღვნიშნეთ, ავტონომიური ოლქის გაჩენა იყო.

1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური
ოლქი, დედაქალაქით ქ. ცხინვალში და მრავალი ქართული სოფ-
ლით. ქართული მოსახლეობა კვლავ წინააღმდეგი იყო მსგავსი
ქმედების, თუმცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
N 2 დეკრეტმა დაამტკიცა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლ-
ქის მოწყობის საკითხი. ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება
შემდეგშიც უშედეგოდ გრძელდებოდა.

მიღებულ დეკრეტთან ერთად დამკვიდრდა ამ რეგიონისთვის
ჩვენი აზრით, შეუფერებელი ტერმინი – „სამხრეთი ოსეთი“. ვფიქ-
რობთ, საინტერესოა, თვალი გადავავლოთ, ხსენებული ტერმინის
დამკვიდრების ისტორიას, ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლო-
ბაში. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო კვლევა
ჩაატარა ს. ლეკიშვილმა. ჩვენ მიერ დამონმებული მასალები სწო-
რედ ამ კვლევას ეფუძნება. XIX საუკუნემდე როგორც ქართულ
ისე რუსულ და უცხოურ წყაროებში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ არ
დასტურდება. ს. ლეკიშვილმა გამოიკვლია როგორც ქართული, ისე
ოსური და რუსული წყაროები. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამ-
დენიმე მათგანს. პროფ. გ. თოგოშვილის რედაქტორობით გამოცე-
მული „ოსეთის ისტორია-დოკუმენტები და საბუთები, უძველესი
დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე“. კრებული მოიცავს შიდა ქართლში
ოსთა ჩამოსახლების, ქართველთა და ოსთა ურთიერთობის საკით-
ხებს. 250-მდე წყაროდან არც ერთში არ ფიქსირდება ტერმინი
„სამხრეთ ოსეთი“. ი. ცხოვრებოვის მიერ შედგენილი „სამხრეთ-
ოსეთის ისტორია დოკუმენტებსა და საბუთებში“ – ტერმინი გამო-
ყენებულია მხოლოდ 1874 წ. სახალხო განათლებასთან დაკავშირე-
ბულ ფაქტთან.¹ ამავე წიგნის მესამე ტომში, ხსენებული ტერმინი
19-ჯერ ფიქსირდება. მთლიანობაში 826 დოკუმენტიდან მხოლოდ
21 ერთეულშია გამოყენებული ტერმინი. ხსენებული ერთეულები
კი პირდაპირ კავშირში არიან „კავკასიაში მართლმადიდებლურ

¹ ს. ლეკიშვილი, ოსთა საკითხი; თბ., 1996 გვ. 258

ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებასთან“. ამ „საზოგადოების მიზანს“ წარმოადგენდა ოსი ხალხის გარუსება, ორ ერს შორის დაძაბული ურთიერთობის გამწვავება, ერთ მიზანზე მცხოვრები ხალხის ერთმანეთზე გადაკიდება. ხსენებული 21-ვე დოკუმენტი ასახავს „ქრისტიანული საზოგადოების“ საქმიანობას და მათი შემოღებული ტერმინის მიზანიც ისევე და ისევე კონფლიქტის გაძლიერებაა. „კავკასიის რუსული პერიოდული პრესა ოსეთსა და ოსების შესახებ.“ 4 წიგნად. შემდგენელი ლ. ჩიბიროვი. 500-ზე მეტ სტატიასა და ნარკვევში ტერმინი დაფიქსირებულია მხოლოდ 13-ჯერ. თითოეული მათგანის გამოყენების მიზანი ძირითადად გეოგრაფიული სივრცის განსაზღვრაა (ვრცელი ინფორმაციისთვის იხილეთ „ოსთა საკითხი“, გვ. 261). რაც შეეხება ქართულ პერიოდულ წყაროებს: 1852-1915 წწ. 30-ზე მეტი დასახელების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ გვხვდება მხოლოდ ორჯერ. სტატიის ავტორია ვინმე გიორგი ჩოჩიაშვილი – იგივე ოსი-ჩოჩი. ამდენად ხსენებული ფაქტი კარგად ასახავს ტერმინის ხელოვნურად დამკვიდრების მცდელობას. მნიშვნელოვანია, ისიც ითქვას რომ, რუსული მმართველობის დამყარების დღიდან მზადდებოდა თავდასხმა ხსენებულ რეგიონზე.

1840 წლიდან რუსულმა სამეფო კარმა კავკასია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად დაყო: საქართველო-იმერეთის და კასპის ოლქი. ამას გარდა, საქართველოს მთიანეთში ჩამოყალიბდა ორი ოკრუგი: თუშ-ფშავ-ხევსურეთის და ოსეთის. „ოსეთის ოკრუგი“ მოიცავდა შემდეგ ტერიტორიებს: ცხინვალის რ-ნ აღმ. ნაწილი; პატარა ლიახვის ზემო წელი; ჯავის რ-ნ; ნარ-მამისონის ქვაბული. ამის პარალელურად, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა „თერგის ოლქი,“ რომლის შემადგენლობაშიც შეიყვანეს ისტორიული დვალეთის ტერიტორია.ეს იყო ქართული ისტორიული საზღვრის მოშლის მცდელობა. დვალეთის ისტორიულ სამშობლოსთან მოცილების მთავარი ინიციატორი ა. ბარიატინსკი იყო, რომელიც სარგებლობდა არა ისტორიულ-სამართლებრივი თვალთახედვით, არამედ მთიან კავკასიაში მართვის გაუმჯობესების პრინციპის მიზნით¹. ამდენად, ზემოთ მოხმობილი ფაქტები, ვფიქრობთ, ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ხელოვნურად დამკვიდრდა გარეშე მტრების მიერ. მათ მიზანს კი ორი ერის ურთიერთობის გამძაფრება და კონფლიქტის გაღვივება წარმოადგენდა. სწორედ, ამის შედეგი იყო, საქართველოს კუთვნილ ტერიტო-

¹ ს. ლეკიშვილი, ოსთა საკითხი; თბ.,1996 გვ.267

რიაზე, ჯერ კიდევ XIX-ს. 40–იან წლებში „ოსეთის ოკრუგის“ შექმნა.

დღევანდელი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ქართულ წარმომავლობაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს. თუმცა, ვფიქრობთ, კულტურული მემკვიდრეობა კიდევ უფრო მეტის მთქმელია. საბედნიეროდ, მრავალი ისტორიული ძეგლი ჯერ კიდევ დგას „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე და ქართულ წარმომავლობას ამტკიცებს. რამდენიმე მაგალითის საფუძველზე შევეცდებით, მკითხველი დავარწმუნოთ ჩვენი აზრის სისწორეში. როგორც, არქეოლოგიური ისე ხუროთმოძღვრული ძეგლები ცხადყოფს შიდა ქართლის ქართულ ისტორიასა და წარმომავლობას.

ჩვენი მიმოხილვა ეფუძნება პ. ზაქარაიას მიერ გამოკვლეულ მასალებს. შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლისშესანიშნაობებიდან გამოვყოფთ ქსნის ხეობაში აღმოჩენილ ე.წ. „ახალგორის განძს“. ეს ნივთები ძვ. წ. მეოთხე საუკუნით თარიღდება, მათი ქართული წარმომავლობა კი ცხადაც ცხადია. ¹ მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში, ხოლო მეოთხე საუკუნიდან მისი ლეგიტიმაცია მოხდა, თანდათან ჩნდება ეკლესიამონასტრები. მათ შორის ერთ-ერთი დიდი ზომის ეკლესია, რომელიც ამავე პერიოდით თარიღდება ცხინვალის მახლობლად, ნიქოზში აშენდა. ნიქოზის შესახებ მოგვითხრობს ჯუანშერი: „ალაშენა ეკლესია ნიქოზისა. და დასვა ეპისკოპოსი.“ ამდენად ვახტანგ გორგასალმა საეპისკოპოსო ტაძრად აქცია ნიქოზი, რაც მის მნიშვნელობას ერთიორად ზრდის. ნიქოზის სამნავიანი ბაზილიკა დღეს გუმბათოვანი სახით არის მოღწეული.

IX-X საუკუნეებში საქართველოში პოლიტიკური და კულტურული აღმავლობა შეინიშნება. ქართლში ამ ეპოქაში ოცზე მეტი ეკლესია-მონასტერი აიგო. მათ შორის გამოვყოფთ ერედვის ტაძარს. ხსენებული ეკლესია წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. ტაძარზე დატანებული ეპიგრაფიკული მასალები მრავალ საინტერესო ცნობას გვანვდიან. როგორც ირკვევა, ტაძარი 906 წ. აიგო ნიქოზელი მთავარეპისკოპოსის სტეფანეს განზრახვით, ხოლო დამკვეთად ივანე ტბელი მოიაზრება, რომელიც იმჟამად ქართლს განაგებდა, ამავე ივანე ტბელის თაოსნობით უნდა აგებულიყო ფრონეს ხეობაში დოდოთის ცხრაკარის ეკლესია. VII-IX საუკუნეებში კულტურულ აღმავლობას განიცდის შუა ქართლის მთიანი დასახლებაც. ამას მოწმობს, ლიახვის ხეობაში ტაძართა სიმრავლე.

¹ პ. ზაქარაია, ოსთა საკითხი; თბ., 1996, გვ. 106

მათ შორის გამოვყოფთ რაჭის გადასასვლელზე მდებარე კუდაროს ძეგლებს. ამავე პერიოდის ისტორიულ ძეგლს მიეკუთვნება ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე მდებარე ლომისის წმ.გიორგის ეკლესია. ლომისის წმ. გიორგის ხატი ყველაზე დიდი სალოცავი იყო ადგილობრივებისთვის. XII საუკუნის ძეგლი – იკორთა, გამორჩეულია საზეიმო ფასადებით, ჩუქურთმებით. მნახველზე დიდი შთაბეჭდილებას ახდენს. იკორთა ქსნის ერისთავთა საძვალეს წარმოადგენდა, სადაც დასაფლავებული იყვნენ 1659 წლის აჯანყების გამირები: ელიზბარ და შალვა ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი. XIII საუკუნის ძეგლთა შორის უნდა დავასახელოთ თირის მონასტერი, რომლის მეთოთხმეტე საუკუნის სამრეკლოზეც მაჩაბელთა გვარის რამდენიმე წარმომადგენელია დასახელებული. ვფიქრობთ, მოხმობილი მაგალითები ნათლად წარმოგვისახავს შიდა ქართლის რეალურ ისტორიას.

ბიბლიოგრაფია:

1. რ. თოფჩიშვილი; ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008
2. რ. თოფჩიშვილი; საქ–ში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997
3. ოსთა საკითხი; ბ. გამყრელიძე, ა. თოთაძე, პ. ზაქარაია, ს. ლეკიშვილი, ლ. თოიძე, თბ., 1996
4. <http://www.amsi.ge/istoria/div/osebi.html>
5. ა. თოთაძე; საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი; თბ., 1993.

Manvelishvili Nani

Tbilisi, Georgia

HISTORY OF GEORGIAN-OSSETIAN RELATION SIN TIME AND SPACE

Topic goals: the general public is less aware of the Ossetian-Georgian History. Ossetians settled on a period of intense determination. The aim is to determine how the attitude of the Georgian and Ossetian ethnic groups for centuries has changed.

The theme will focus on the following issues:

1. A brief overview of the causes of Ossetians settled in Georgia. Their main objectives.

2. The attitude of Ossetians towards Georgian royal dynasty.
3. The external value of the Georgian-Ossetian relations. Ossetian-Georgian relations in the post-Soviet space.
4. The subject will be discussed in a number of historical and cultural events, which demonstrates the origin of today's 'South Ossetia'.
5. How did the term 'South Ossetia' evolve and whether or not does the term have any historical basis?
6. Georgian and Ossetian ethnic groups in an attempt to resolve the complicated relations.

- The subject is of interest not only for history lovers, but also for those who feels the most acute between the two ethnic groups. In our time, one of the main problems is the lack of knowledge of the issue. This study will help us to rebuild, and to see what caused the once-reliable neighbourly relations to be destroyed and which factors led to the conflict.

- The result: the public will be informed about the unknown history of the Georgian-Ossetian relationship. Knowledge will help both sides realize the mistakes made in their decision, and will become actively involved in trying to overcome this conflict situation.

- Conclusion: We believe that the resolution of the long conflict lies in hard work. However, this research is one small step towards solving this problem. Only working together and using diplomacy can get useful results for both nations.

მახარაძე მიხეილ

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ერთ-ერთი მასარაქიკვა

/ოთარ ჯიოთი/

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მდიდარი ტრადიციების ქართულ ფილოსოფიაში ახალი ეტაპი იწყება. თუკი აქამდე ქართველი ფილოსოფოსების კვლევის მთავარი საგანი იყო სინამდვილის ობიექტური კანონზომიერებისა და საზოგადოების განვითარების

რების პრინციპების ფილოსოფიური თვალსაზრისით შესწავლა, ახლა ფილოსოფიის ერთგვარი „მოშინაურება“ ხდება ქართულ საზღვროვანო ვითარებაში.

ახალი თაობის ქართველმა ფილოსოფოსებმა /ნ. ჭავჭავაძე, ო. ბაკურაძე, გ. ბანძელაძე, ა. ბეგიაშვილი, თ. ბუაჩიძე, ზ. კაკაბაძე, ე. კოდუა, ვ. ქვაჩახია ო. ჯიოთი/ – „60-იანელებმა“ ანგია ბოჭორიშვილთან ერთად, ფილოსოფია ადამიანისკენ შემოაბრუნეს, „გააშინაურეს“, რასაც თან ახლდა აქსიოლოგიური, კულტურის ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის პრობლემების ინტენსიური კვლევა.

ქართველ ფილოსოფოსებთან ერთად ამ სიახლის ერთ-ერთი მესაძირკველი იყო ოსი ხალხის ღირსეული შვილი და ქართული ფილოსოფიური სკოლის ასევე ღირსეული წარმომადგენელი – ოთარ ჯიოთი /ჯიოევი/(1928-1999), რომელიც თავისი ნაშრომებით მაღალ დონეზე პასუხობდა თანამედროვე ფილოსოფიის გამოწვევებს.

ჯიოთის ნაშრომებში – „ისტორიული აუცილებლობის ბუნება“/თბილისი, 1967. რუსულად/, „ისტორიის მატერიალისტური გაგება და ბუჟუაზიური ფილოსოფია“

/თბილისი, 1974. რუსულად/ „კულტურა და ადამიანის ცხოვრება“ /თბილისი, 1985/, „რა არის კულტურა“ /თბილისი, 1986/, „კულტურა და ფილოსოფია“ /ყურნ., „სკოლა და ცხოვრება“. 1983, თებერვალი. ცალკე ბროშურად – ბათუმი, 2008. ქართულ და ოსურ ენებზე/ და მრავალ სხვაში, გადმოცემულია მისი არგუმენტირებული შეხედულებების ისტორიული აუცილებლობის ბუნებაზე, კულტურის ფილოსოფიაზე, კულტურისა და ფილოსოფიის მიმართებაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ნაშრომებში გატარებული ავტორისეული თვალსაზრისები მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის უდავო შენაძენია.

ო. ჯიოთი ისტორიის ფილოსოფიისა და კულტურის ფილოსოფიის აღიარებული მკვლევარი იყო. სტატიის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი მეცნიერული კვლევა-ძიების ყველა სფეროს ვერ შევხებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი მიზანია – წარმოვაჩინოთ ჯიოთის წვლილი კულტურის ფილოსოფიურ გააზრებაში, კულტურისა და ფილოსოფიის მიმართებაში და, აგრეთვე, მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში კიტა მეგრელიძის როლისა და ადგილის დადგენაში. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ბოლო საკითხზე ჯიოთის თვალსაზრისი ორიგინალურია და ამ მიმართებით კვლევის ახალი პერსპექტივებისა ხება.

ო. ჯიოთი თავის ერთ შესანიშნავ, მცირე მოცულობის ნაშრომში – „კულტურა და ფილოსოფია“, მსჯელობს კულტურისა და ფი-

ლოსოფიის არსზე და შემდეგ აჩვენებს მათ შორის კავშირსა და ამ კავშირის შინაგან აუცილებლობაზე.

საყოველთაო გაგებით, კულტურა არის ის, რაც ადამიანს შეაქვს სამყაროში. ამ აზრით, შეიძლება ვილაპარაკოთ შრომის კულტურაზე, დასვენების კულტურაზე, ვაჭრობის კულტურაზე, და ა.შ. ჯიოთის შენიშვნით, კულტურის ამგვარად წარმოდგენა საშუალებას არ გვაძლევს შევაფასოთ ესა თუ ის ცვლილება კულტურის სფეროში.

ამ სიძნელის გადალახვის პირობად ჯიოთი მიიჩნევს იმას, რომ კულტურად ჩავთვალოთ არა ყველაფერი ის, რაც ადამიანს შეაქვს სამყაროში, „არამედ ის, რაც **ადამიანს ადამიანური შეაქვს სამყაროში**, ის, რასაც **ადამიანური მოქმედების კვალი ატყვია**“/ჯიოევი 2008, 11. ხაზგასმა ჩემია-მ.მ./.

ო. ჯიოთის აზრით, კულტურა არ არის ადამიანის მიერ შექმნილის /მატერიალური ნივთები, ხელოვნებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებების, მეცნიერული შეხედულებების და სხვა/ მექანიკური ჯამი. მთავარი აქ, ავტორის აზრით, არის ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომელიც გამოხატულია კულტურის მოვლენებით /ჯიოევი 2008, 11/.

სამაგალითოდ ჯიოთის მოჰყავს ეგვიპტის აკლდამები და პირამიდები. ამ ძეგლებში ჩანს იმდროინდელ ეგვიპტელთა არა მხოლოდ მეცნიერული და ტექნიკური შესაძლებლობები, არამედ მათი ღირებულებითი დამოკიდებულებები, წარმოდგენები მაგალითად, სიკვდილსა და სიცოცხლეზე და სხვა მოვლენებზე. ავტორი ამ კუთხით იხილავს, აგრეთვე, ძველი ბერძნებისა და ჩინელების შემოქმედებას, მათ ღირებულებით დამოკიდებულებებს.

კულტურის ცნების ზოგადი განხილვის შემდეგ, ჯიოთი ცალკეული ადამიანის კულტურის საკითხებს იხილავს. ცალკეული პიროვნების კულტურის შემადგენელი ნაწილებია – ცოდნა და უნარები. ადამიანმა თუ ბევრი იცის და მრავალმხრივი უნარები გააჩინა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის კულტურული ადამიანია. ავტორი სანიმუშოდ დოსტოევსკის შემოქმედებას მიმართავს, უფრო სწორად დიდი მწერლის შემოქმედებასთან დამოკიდებულება აქვს მხედველობაში. დავუშვათ, რომ ადამიანი კარგად იცნობს დოსტოევსკის შემოქმედებას, იცის მისი ნაწარმოებების პერსონაჟთა სახელები, სმენია მისი პოეტიკის შესახებ და ა. შ. მაგრამ მხოლოდ ეს სულაც არ არის საკმარისი, რომ ეს ადამიანი კულტურულად ჩაითვალოს.

მთავარი აქ არის ის, თუ რამდენად აქვს გათავისებული დოსტოევსკის შემოქმედების „მცოდნე“ პიროვნებას მწერლის ნაწარმოებთა მთავარი აზრი, მიმართულება, ღირებულებითი ორიენტაციები. თუ იცის ყველაფერი ეს მან და თანაუგრძნობს თუ არა მწერ-

ლის შემოქმედების მთავარ იდეებს, ღირებულებებს, განიცდის მათ, როგორც საკუთარს, ჩართულია თუ არა მის მსოფლხედვაში. ამ საკითხებზე დადებითი პასუხების შემდეგ, შეიძლება ვილაპარაკო ამა თუ იმ პიროვნების კულტურულობაზე. ამ საკითხზე ჯიოთის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ადამიანის კულტურას ის კი არ განსაზღვრავს, თუ რა ცის და რა შეუძლია მას, არამედ უმთავრესად ის, თუ რას აფასებს ის, რას სცემს პატივს და როგორ გამოიხატება ეს მის მოქმედებაში“ /ჯიოევი 2008, 13/.

კულტურისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების გასარკვევად ჯიოთი, კულტურის არსის გადმოცემის შემდეგ, იძლევა ფილოსოფიის თავისეულ გაგებას. მისი აღნიშვნით, ფილოსოფიის, როგორც კულტურის მთლიანობის შემადგენელი ნაწილის გაცნობიერებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ხშირად ფილოსოფიას წარმოადგენენ, როგორც განყენებულ – პრაქტიკისგან მოწყვეტილ თეორიულ მსჯელობას. ასეთი შეფასებისას ემყარებიან იმას, რომ ფილოსოფიას განმარტავენ, როგორც სამყაროს უზოგადესი კანონზომიერების შესახებ მეცნიერებას. ავტორის საინტერესო აზრით, სინამდვილეში, მატერიალური და სულიერი სამყაროების გამაზრებელი ფილოსოფია ისევე კონკრეტულია, როგორც მატერიალური და სულიერი სინამდვილე/ჯიოევი 2008, 15/.

ფილოსოფიის არსის გადმოსაცემად კი, ჯიოთი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ფილოსოფია არკვევს სამყაროში ადამიანის ადგილს, რაც ნიშნავს სამყაროს ძირითად ტენდენციებთან ადამიანის დამოკიდებულების გამომჟღავნებას. ეს კი ნიშნავს ადამიანის ცხოვრების მიზნებისა და იდეალების განხილვას. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ფილოსოფია სულაც არ არის განყენებული მეცნიერება და იგი ემსახურება ადამიანის ცხოვრებისეული მიზნისა და დანიშნულების გარკვევას. აქ თავისი აზრის განსამტკიცებლად, ავტორი მართებულად იმონმებს ტოლსტოის აზრს, რომლის თანახმადაც, **ფილოსოფია ცხოვრების მეცნიერებაა** /ჯიოევი 2008, 16/.

ფილოსოფიის რაობის გარკვევისას ჯიოთი ზურაბ კაკაბაძის თვალსაზრისს ემყარება და აღნიშნავს, რომ „საბოლოო ანგარიშით ფილოსოფიის საზრისი ცხოვრების ორიენტირის გარკვევაში მდგომარეობს“ /ჯიოევი 2008, 17/. ამ ამოცანას რომ გაართვას თავი ფილოსოფია უნდა დაემყაროს სამყაროს ძირითადი ტენდენციებისა და ადამიანის ბუნების ცოდნას. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ავტორის აზრით, ფილოსოფოსებს არ გამოუგონიათ და „ადამიანთა ცხოვრების წესი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მიიჩნევენ ისინი უფრო არსებითად და მნიშვნელოვნად სამყაროში“ /ჯიოევი 2008, 18/.

ჯიოთის საყურადღებო აზრით, ადამიანისა და საზოგადოების

ცხოვრების ერთ-ერთ- მთავარი ნიშანია მისი ისტორიულობა. ფილოსოფიამ აუცილებლად უნდა გაუნიოს ანგარიში ადამიანის ისტორიულობას, იმას, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე და სხდსხვაგვარ პირობებში ადამიანს სხვადასხვანაირად წარმოუდგება თავისი ცხოვრება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ავტორი აქ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს: „ამიტომაც ამბობენ ფილოსოფიაზე, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვას ადამიანის ცხოვრების საზრისის შესახებ, რომ ის არის ეპოქის ძირითადი ტენდენციების გაცნობიერება, კულტურის თვითცნობიერება“ /ჯიოევი 2008, 21. ხაზგასმა ჩემია – მ. მ./.

ჯიოთი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ ხშირად რატომ არიან ადამიანები მტრულად განწყობილი ფილოსოფიისადმი. ამის გაგება არ არის ძნელი. ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრობს არა ღირებულებებით, არა მაღალი იდეალებით, არამედ ყოველდღიური ცხოვრებით. ფილოსოფია კი, რომლის მთავარი ამოცანაც ადამიანის ცხოვრების საზრისის გარკვევაა, ადამიანებს ისეთ ორიენტირებს უსახავს, რომელიც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის სრულიად ზედმეტი ტვირთია. მათთვის სრულიად საკმარისია საზოგადოებაში გამეფებული, ერთგვარად „აპრობირებული“ ცხოვრების წესები. ამ პრინციპებით მოქმედ და მცხოვრებ ადამიანთათვის ფილოსოფიის მიერ შემოთავაზებული იდეალები მიუღებელია, რადგანაც ისინი მყუდროებას ურღვევენ. ამიტომაც ისინი ფილოსოფიის მიმართ მტრულად არიან განწყობილი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიის მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოკვდავები, არამედ მეცნიერები და არც თუ იშვიათად ხელოვნების წარმომადგენლებიც კი. ჯიოთი მეტი სიცხადისთვის მხატვრულ ლიტერატურასთან ყოველდღიური ცხოვრებით მცხოვრები ადამიანის დამოკიდებულებას იხილავს. ადამიანები ხშირად წიგნებს გართობის მიზნით კითხულობენ, მაგრამ „არ მოსწონთ, როცა ეს ლიტერატურ მათ ისეთ პრობლემებზე დააფიქრებს, რომლებსაც თავს არიდებენ“ /ჯიოთი 2008, 25/.

ჯიოთის შეხედულებებიდან იკვეთება კულტურისა და ფილოსოფიის აუცილებელი ერთიანობა. ეს ერთიანობა განსაკუთრებით თვალში საცემია ხელოვნებაში, კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაში. იქნება ეს ლიტერატურული ნაწარმოები თუ ხელოვნების ძეგლი, მისი ნამდვილი არსის გასაგებად აუცილებელია ჩავწვდეთ მასში მოცემულ იდეებს, „ეს იდეები კი, როგორც წესი, ეპოქის ფილოსოფიურ ძიებებთან არის დაკავშირებული“ /ჯიოევი 2008, 26/.

სანიმუშოდ ავტორი ეხება შექსპირის „ჰამლეტი“, გოეთეს „ფაუსტსა“ და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებებში მოცემულ ფილოსოფიური დატვირთვების მატარებელ იდეებს/“ყოფნა-

არყოფნა“, „ღმერთის სიკვდილი“, „ღირებულებათა გადაფასება“ და სხვა/ და აღნიშნავს, რომ თუკი მათ ნამდვილ არსს ვერ ჩავწვდებით, მაშინ ამ ნაწარმოებებსაც ვერ გავიგებთ.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჯიოთის აზრი ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის ადგილზე ამა თუ იმ ერის სულიერ ცხოვრებაში. ავტორის მართებული აღნიშვნით, „ყოველი ერის კულტურა ყველაზე თვალნათლივ მის ხელოვნებაში, მის ლიტერატურაში ვლინდება“ /ჯიოევი 2008, 26/. აღნიშნულს დავამატებდით – თავისებურებას, თავისთავადობასა და სპეციფიკურობას, რომლებიც ერის სწორედ ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში მჟღავნდება უპირველესად.

ნაშრომის დასასრულს ჯიოთი მსჯელობს ადამიანის, კულტურისა და ფილოსოფიის აუცილებელ შინაგან კავშირზე. მისი აზრით, ფილოსოფიისგან დაცლილი კულტურა სხვა არაფერი იქნება თუ არა, მაცოცხლებელ იდეებს მოკლებული ადამიანის ტექნიკური მიღწევების, ცოდნისა და თანაცხოვრების ერთობლიობა. თავის მხრივ კულტურას მოკლებული ფილოსოფია კი, განყენებულ ცნებათა უაზრო ტრიალი.

რა მიმართებაშია ყველაფერ ამასთან ადამიანი? ამ კითხვაზე ჯიოთის პასუხი ასეთია: „ადამიანი, რომელსაც კულტურის დაუფლება უნდა, არ შეიძლება ზურგი შეაქციოს ფილოსოფიას. კულტურა ბოლოს და ბოლოს ადამიანის ღირებულებათა განხორციელება“ /ჯიოევი 2008, 27/. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ღირებულებათა ურთიერთობების დახასიათება... ფილოსოფიაა“, მაშინ ნათელი გახდება „სამების“ – ადამიანი-კულტურა-ფილოსოფია, აუცილებელი შინაგანი კავშირი და ერთიანობა.

აღნიშნულ საკითხზე ჯიოთის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ფილოსოფია, მსოფლმხედველობა ადამიანის მოქმედების, მისი ცხოვრების კულტურაა, ხოლო ადამიანი არ შეიძლება არ ზრუნავდეს თავისი ქცევის, თავისი ცხოვრების კულტურაზე“ /ჯიოევი 2008, 28/. ავტორის ეს მოსაზრებაერთ კორექტივს საჭიროებს, კერძოდ: ეს აზრი არამც და არამც არ ვრცელდება ყველა ადამიანზე, რადგანაც ადამიანთა უმრავლესობა სწორედაც რომ ასე არ ფიქრობს და არ ზრუნავს ამგვარ კულტურაზე. საკმარისია აქ „ადამიანს“ დავამატოთ „ნამდვილი“ და ყველაფერი თავის ადგილზე იქნება.

ნოვატორული თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ჯიოთის მცირე მოცულობის ნაშრომი კიტა მეგრელიძეზე, სადაც ის განსჯის საგნად იხდის მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ქართულ ფილოსოფიაში მიმდინარე პროცესებს.მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო ზუსტად, 60-იანი წლებიდან ქართველ ფილოსოფოსთა ახალმა თა-

ობამ ფილოსოფია ადამიანისკენ მოაბრუნა, ერთგვარად „მოაშინა-ურა“. ამ, ჩვენი ფილოსოფიური აზროვნების უმნიშვნელოვანეს პროცესში თავისი წვლილი აქვს შეტანილი ჯიოთის. რაც შეეხება ნოვატორობას, ჯიოთი სწორედ „60-იანელთა“ პოზიციიდან აფასებს მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფია, კერძოდ, კიტა მეგრელიძის /1900-2004/ წვლილს ქართულ ფილოსოფიაში.

მსგავს მოვლენას ჯიოთი უფრო ადრე ხედავს ქართულ ფილოსოფიაში, ოღონდ სხვა კუთხით. ის განსჯის საგნად იხდის გავრცელებულ თვალსზრისს, რომლის თანახმადაც, მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის ფუძემდებლების – შ. ნუცუბიძის, დ. უზნაძისა და ს. დანელიას ფილოსოფიური შუბედეულებები ძირითადად ორიენტირებული იყო ფილოსოფიის ისტორიაზე – წარსულისა და მათ თანამედრვე ფილოსოფიურ სისტემებზე /ჯიოევი 1982, 18/.

ჯიოთი ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებს. მისი აღნიშვნით, მართალია ამ ეპოქის ქართველი ფილოსოფოსები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რეფლექსიას ახდენდნენ საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მოვლენებზე, მაგრამ არ იქნებოდა მართებული იმის მტკიცება, რომ იმ პერიოდის ქართული ფილოსოფია და მისი ყველა წარმომადგენლის მთავარი და ორიგინალური თვალსაზრისები მხოლოდ ფილოსოფიური სისტემების ანალიზის საფუძველზე ყალიბდებოდა /ჯიოევი 1982, 19/.

განსახილველ ეპოქაში ფილოსოფიის ისტორიისადმი დამოკიდებულებაში ქართველ ფილოსოფოსთა შეხედულებებს ჯიოთი მისი ახლა აღნიშნული პოზიციის მიხედვით ალაგებს, კერძოდ: დ. უზნაძე თავის პირველ ფილოსოფიურ წერილებში სულაც არ იფარგლება მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიის მასალების ანალიზით. ამას ადასტურებს უზნაძის წერილები სიცოცხლისა და სიკვდილის, ომისა და მშვიდობის პრობლემებზე. საბოლოოდ, ავტორის აზრით, ამ პრობლემებზე რეფლექსიამ უეჭველად შეასრულა გარკვეული როლი უზნაძის შეხედულებების ჩამოყალიბებაში /ჯიოევი 1982, 19-20/.

ჯიოთის აზრით, მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის სამ ფუძემდებელთაგან /შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ს. დანელია/ დანარჩენი ორი – ნუცუბიძე და დანელია მხატვრულ კულტურაზე იყვნენ ორიენტირებულნი. აქ ავტორი მხოლოდ აღნიშვნით კმაყოფილდება, რაც საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ვერ შეუქმნის წარმოდგენას საქმის ნამდვილ ვითარებაზე.

რაც შეეხება კ. ბაქრაძესა და მ. გოგიბერიძეს, ჯიოთის აღნიშვნით, მართალია ისინი ძირითადად გერმანული ფილოსოფიის ისტორიას ემყარებოდნენ, მაგრამ მას იყენებდნენ საკუთარი კონცეფციებისთვის. ასე მაგალითად, ბაქრაძის ლოგიკური შეხედულებები, რამაც დიდი როლი შეასრულა ჩვენში ლოგიკური პრობლემატიკისადმი ინტერესის აღძვრაში, მისი მხრიდან მეცნიერული აზროვნით,

ნების ინტერესებითა და მეცნიერული შემეცნების ბუნებაზე რეფლექსიით იყო განპირობებული /ჯიოევი 1982, 20/.

ჯიოთი ეხება გოგიბერიძის პოზიციის ორიგინალურობასაც და მისი აღნიშვნით, „მ. გოგიბერიძე ფარდობითობის თეორიის ფილოსოფიურ განზოგადებას ცდილობდა და მას საკუთარი ორიგინალურ კონცეფციასთან აკავშირებდა“ /ჯიოევი 1982, 20/. რამდენად გამოუვიდა ეს საქმე გოგიბერიძეს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ ცდის უგულებელყოფა – შეუძლებელია, დაასკვნის ავტორი.

სრულიად თავისებურად და ორიგინალურად მიაჩნია ჯიოთის ამ კუთხით კიტა მეგრელიძის შემოქმედება. მეგრელიძე, მისი აღნიშვნით, ემყარებოდა წარსულისა და თანამედროვე ფილოსოფიური კონცეფციების ანალიზს, „მაგრამ ქართულ ფილოსოფიაში ახალ ტრადიციასაც მისცა დასაბამი“ /ჯიოევი 1982, 21/.

მეგრელიძის ამ „ახალ ტრადიციაში“ ჯიოთი ორ მთავარ პუნქტს გამოყოფს: 1/ მან კარგად გააცნობიერა ფილოსოფიის შინაგანი კავშირი მეცნიერების განვითარების ტენდენციებთან და 2/ თუკი მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის სხვა წარმომადგენლების ძირითადი ინტერესი მიმართული იყო ლოგიკის, გნოსეოლოგიისა და დიალექტიკის პრობლემებისადმი, მეგრელიძემ მთავარი ყურადღება სოციალურ საკითხებზე გადაიტანა.

აქ ჯიოთი გამოთქვამს ორიგინალურ, თუმცა ჩემი აზრით, სადავო მოსაზრებას. ავტორის აზრით, ახლა აღნიშნულ მეგრელიძის პოზიციას – ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების გადასაწყვეტად **ადამიანის სოციალური ბუნების გააზრების აუცილებლობა**, შემდგომში მნიშვნელოვანწილად დაემყარა ქართული ფილოსოფია, როცა კვლევის ობიექტად გაიხადა ადამიანის, ღირებულებისა და კულტურის პრობლემები.

ჯიოთის ახლა აღნიშნულ მოსაზრება სადავოდ მიგვაჩნია შემდეგი გარემოების გამო: როცა გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველმა ფილოსოფოსებმა ინტენსიურად დაიწყეს ღირებულების თეორიისა და კულტურის ფილოსოფიის პრობლემების კვლევა, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული მეგრელიძის მთავარი ნაშრომი – „აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები“.

ჩვენ ეჭვს გარკვეულწილად უნდა ადასტურებდეს საკუთრივ ჯიოთის შემდეგი შენიშვნა; „...ქართული ფილოსოფიური ტრადიციების ანალიზი და შეფასება დიდხან კ. მეგრელიძის მემკვიდრეობის გაუთვალისწინებლად ხდებოდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ამ მემკვიდრეობამ ჩვენამდე მოაღწია და აშკარა გახდა მისი მეცნიერული ღირებულება, ჩვენი საუკუნის ქართული ფილოსოფიის დახასიათება აღარ შეიძლება ისე, თუ ჯეროვნად არ გავითვალისწინეთ კ. მეგრელიძის ღვაწლი და ტრადიციები, რომელთაც მან მის-

ცა დასაბამი“ /ჯიოევი 1982, 22/.დამონმებულ ციტატაში გამოთქმულ ჯიოთის მოსაზრებას ბოლომდე ვიზიარებ და ვუერთდები.

სტატიაში ჯიოთის მრავალმხრივი შემოქმედებიდან ორ საკითხს შევეხეთ და ისიც არასრულყოფილად. ავტორი ამ საკითხებს სხვა და სხვა შრომებში შეეხო და ამასთან, სხვა და სხვა კუთხით. მაგრამ ჩვენს მიერ განხილული საკითხებიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ღრმად იყო ჩახედული კულტურის ფილოსოფიის პრობლემატიკაში, რაც ამასთან, საფუძვლად დაედომის ორიგინალურ ხედვას კიტა მერელიძის ადგილსა და გამორჩეულ ნვლილზე მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში.

P.S. ოთარ ჯიოთი კარგ მეცნიერთან ერთად მეცნიერების კარგი ორგანიზატორი და ახალგაზრდა მეცნიერთა ასევე კარგი აღმზრდელიც იყო. ის თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჯერ ისტორიული მატერიალიზმის და შემდეგ მის ბაზაზე გარდაქმნილ კულტურის ფილოსოფიის განყოფილებას. მისი აღზრდილები კი, დღესაც მაღალ დონეზე აგრძელებენ ფილოსოფიურ კვლევებს.

ჯიოთი ოსი ხალხის გამორჩეული შვილი იყო. მან კარგად იცოდა და თუ რა იყო საჭირო და გასაკეთებელი ქართველი და ოსი ხალხის ჯანსაღი ურთიერთობისა და უკეთესი მერმისისთვის. სამწუხაროდ, მას ვერ გაუგეს და სათანადოდ ვერ დააფასეს ვერც ქართველების და ვერც ოსების ერთმა ნაწილმა, რასაც უნდა ადასტურებდეს მისი სიტყვები სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე: „ჩემი ცხოვრებავერ შედგა. ქართველები ოსობას არ მპატიობდნენ, ხოლო ოსები – ქართველებთან სიახლოვესა და მეგობრობას“.

ეს მიმიმედ მოსასმენი სიტყვები სამწუხარო მოგონებად დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. ჯიოევი, ოთარ. **კიტა მეგრელიძე**. „მეცნიერება“, თბილისი, 1982.
2. ჯიოევი, ოთარ. **კულტურა და ფილოსოფია**. გამომც., „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი, 2008 /ქართულ და ოსურ ენებზე/.

Makharadze Mikheil
Tbilisi, Georgia

OTAR DJOITI – ONE OF THE FOUNDERS

1. In the 60-ies the rich traditions of the Georgian philosophy moved on to a new stage, becoming a kind of philosophy of

‘domestication’. Until then the main focus of the Georgian philosophers was to authenticate the objective laws of philosophers and philosophical principles of social development of the study.

2. The new generation of philosophers / N. Chavchavadze, V. Kvachakhia, O. Bakuradze, G. Bandzeladze, Z. Kakabadze, O. Djoiti, A. Begiashvili, T. Buachidze, E. Kodua/ the philosophers of the 60s along with Agia Bochorishvili turned man towards philosophy along with the axiological, philosophical anthropology, philosophy and cultural problems of intense research.

3. Otari Djioev was a worthy son of the Ossetian people, and also a good representative of the Georgian philosophical school, whose works were an answer to the challenges of modern philosophy. His views were about the historical necessity of nature, culture, philosophy, culture and philosophy of the 20th century philosophy of undisputed Georgian acquisition.

4. Otari Djioev was not only a good researcher but as well as a good organizer and mentor for young scientists as well. Almost for three decades he led the Historical Materialism and the Philosophy Department. His pupils still continue the high level of philosophical studies.

5. Otari Djioev was a distinguished son of the Ossetian people. He knew what had to be done in order to maintain healthy relationship between Georgians and Ossetians. Unfortunately, he was not understood and or properly appreciated by either Georgian or Ossetian people, which can be proved by his words which he said shortly before his death: ‘My life was not worthy. Georgians have not forgiven me being an Ossetian, and Ossetians - closeness and friendship with the Georgians’.

მღებრიშვილი ალექსანდრე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის მოადგილე, პროფესორი

ცხინვალი XIX საუკუნის რუსულ წერილობით წყაროებში

ცხინვალი და მისი მიმდებარე ტერიტორია უძველესი პერიოდებიდან გახლდათ დასახლებული. მკვლევართა მოსაზრებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ III-IV საუკუნეებში ცხინვალი დიდი ლიახვის ხეობაში ძირითად სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრს და ამავე დროს ვაჭარ-ხელოსანთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენს. მოხერხებული მდებარეობა ცხინვალს უქმნიდა პირობებს ყოფილიყო ძირითადი ტერიტორია, სადაც მოხდებოდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთდაახლოება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგების და ცხინვალში არსებულ უძველეს ისტორიულ ძეგლებზე დაკვირვების საფუძველზე ცხინვალის ისტორიის მკვლევარი მ. ცოტნიაშვილი[1] მიიჩნევდა, რომ ცხინვალი იმთავითვე უნდა ყოფილიყო თავდაცვითი და ადმინისტრაციული ცენტრი. „ჩვენს მიერ განხილული მასალა და არქეოლოგიური აღმოჩენები გვარწმუნებენ, რომ ჯერ კიდევ ფეოდალიზმამდელ პერიოდში ცხინვალში უნდა არსებებულიყო პირობები მისი ქალაქად გარდაქმნისათვის“[2].

ეს პროცესი საგრძნობლად შეფერხდა VI-IX საუკუნეებში, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო. სავარაუდოა, რომ ცხინვალმაც ამ დროს დაკარგა ქალაქის სახე და სოფლის იერი მიიღო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით აღმავლობა ჩანს IX-X საუკუნეებში სამოქალაქო ცხოვრების დონე კიდევ უფრო მაღლდება მომდევნო ასწლეულებში. აქედან მომდინარეობს ვერსია ცხინვალის ისტორიის X საუკუნიდან დაწყების თაობაზე. გვხვდებიან ავტორები, რომელთა მიერ ცხინვალი სოფლად არის დასახლებული, თუმცა რიგი საისტორიო წყაროების მიხედვით ცხინვალი გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქთა შორის მოიხსენიება. ამ მიმართულებით საგულისხმო დასკვნები აქვს გაკეთებული ა. თაბუაშვილს, რომელიც 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხის, ვახუშტი ბაგრატიონის, შარდენის და ზოგიერთი სხვა მკვლევარის მოსაზრებებზე დაყრდნობით მიუთითებს ცხინვალის წარმომავლობის შესახებ[3].

XVIII საუკუნის და XIX საუკუნის დასაწყისის ცხინვალის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის გ. სოსიაშვილის ნაშრომი „ცხინვალი და ახალგორი უცხოური წყაროების მიხედვით“[4]. ავტორის მოსაზრებები წარმოდგენილია ცხინვალისა და ახალგორის შესახებ ერთის მხრივ, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ხოლო მეორეს მხრივ, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ევროპელ მოგზაურთა ცნობების საფუძველზე.

მ. ცოტნიაშვილის „ცხინვალის ისტორიაში“ ნათქვამია: „ვახუშტი ბაგრატიონმა მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ქალაქების შესახებ. კერძოდ ცხინვალს იგი მეორე ქალაქად წარმოგვიდგენს: „ნიქოზის ჩრდილოეთ დიდი ლიახვის კიდეზე არის მცირე ქალაქი ცხინვალი, კეთილჰაეროვანი“[5]. ავტორის დასკვნით, ცხინვალი უძველესი დროიდან წარმოადგენდა სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს დიდი ლიახვის ხეობაში. შემდგომ პერიოდში, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იგი კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარდა. ეს კი მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე გახდა საფუძველი ცხინვალის დანიარეობისათვის. ამიტომაც, რომ იგი ამ დროისათვის საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქების – თბილისისა და გორის გვერდით იხსენიება[6].

ცხინვალში არსებულ ფართო სავაჭრო ურთიერთობებზე მიახლოებით ა. ცაგარელიც: „Въ деревняхъ и местечкахъ учреждены начальники; и въ мѣстечкахъ же въ Ананური, Цхинвали, чрезъ которыя команда маршировала, находятся армяне и жидаы, кои имеютъ торгъ и продаютъ такія товары, какія у нихъ въ употребленіи“[7].

ცხინვალი ხშირად წარმოადგენდა ინტერესის საგანს უცხოელ მოგზაურთათვის. მხედველობაში გვაქვს ისეთი ავტორების ნაშრომები, როგორებიც არიან ი. გიულდენშტედტი[8], ი. რაინეგსი[9], ე. აიხვალდი[10] და სხვ. სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნევდა ცხინვალს სოფლური ტიპის დასახლებად, რომელიც დასახლებული იყო ქართველებით, სომხებით და სამიოდე ოსური კომლით[11].

სადღეისოდ წარმოდგენილი ნაშრომის ინტერესის საგანს წარმოადგენს XIX საუკუნის რუსულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები ცხინვალის შესახებ.

აღნიშნული ცნობები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავენ ქალაქის ადგილმდებარეობის, ქალაქის აღწერილობის, რელიგიური ნაირფეროვნების, კლიმატური პირობების, ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა მიმართულებებით. ვფიქრობთ, რომ ეს მა-

სალები საინტერესო ცნობებს გვანვდიან საკვლევე საკითხის მისამართით, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთგვარად საზოგადოების ყურადღების მიღმა არიან დარჩენილნი.

ჩვენს ხელთ არსებულ XIX საუკუნის რუსულ წყაროთა შორის საგულისხმოა პლატონ იოსელიანის საინტერესო შრომა: „Города, существовавшие и существующие в Грузии“. ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ (1835) იგი მოღვაწეობდა თბილისის სემინარიაში პედაგოგად. რედაქტორობდა თბილისში გამომავალ ქართულენოვან გაზეთს „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ (1845) და რუსულენოვან პერიოდულ გამოცემას „Закавказскія Ведомости“ (1845-1856), აქვეყნებდა ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ წერილებს, აქტიურად თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა აკადემიკოს მარი ბროსესთან. იყო ათენის არქეოლოგთა საზოგადოების წამდგელი წევრი.

პლ. იოსელიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფოლკლორულ მასალას. გამოცემული აქვს ქართველოლოგიური პრობლემემატიკისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული ნაშრომი[12].

საქართველოში ქალაქების ისტორიის შესწავლის მიზნით შექმნილ ზემოთ ხსენებულ ნაშრომში „Города, существовавшие и существующие в Грузии“ ავტორი ცხინვალის დაარსებას მიაწერს მეფე ასფაგურს ჩვენი წელთაღრიცხვით III საუკუნის მეორე ნახევარში. ავტორის თქმით, შუაგულ ქართლში, მდინარე ლიახვის სანაპიროზე დაარსებულ ქალაქს ალამაზებდნენ და ამაგრებდნენ ქართველი მეფეები.

„Цхинвали. Въ Средней-Карталини, на берегу рѣки Ліахвы. Построенъ Царемъ Асфагуромъ, въ половинѣ III вѣка Христіанской Эры. Грузинскіе Цари украшали и укрѣпляли его. Въ цвѣтущее время Грузіи, онъ былъ важнымъ торговымъ городомъ. Населеніе его состояло и нынѣ состоитъ изъ Грузинъ, Армянъ и Жидовъ. Послѣдніе имѣютъ въ немъ доселѣ свою главную Синагогу. Мѣстоположеніе города, среди обширной долины Карталинской, весьма живописно“[13].

პლატონ იოსელიანის გარდა ცხინვალის ხელსაყრელ ადგილმდებარეობაზე მიუთითებს 1871 წელს ტამბოვში დაბეჭდილი შრომა „Постановленія Борисоглѣбскаго уѣзднаго земскаго собранія“,

რომლის მიხედვითაც შიდა ქართლში, ლიახვის პირას გაშენებული ქალაქი ცხინვალის თავისუფალი ვაჭრობის ზონას წარმოადგენს.

„Цхинвали, мѣстечко въ средней Карталинїи, въ Горїйскомъ уѣздѣ на рѣкѣ Лїахвѣ; 2,456 жителей. Въ цветущее время Грузїи былъ вольнымъ торговымъ городомъ“[14].

დიდ და პატარა ლიახვებზე საუბრისას ცხინვალს სოფლად მოიხსენიებს რუსი გეოგრაფი და ეთნოგრაფი პ. ნადეჟდინი. მის საგულისხმო ნაშრომში „Опыт географїи Кавказского края“[15] ნათქვამია: „Лїахва, Большая и Малая (90 в. дл.), беретъ начало въ Главномъ Кавказскомъ хр., близъ горныхъ вершинъ Зикари, на высотѣ около 5910 ф. У с. Цхинвала она выступаетъ на равнину. Паденїе ея до 28 ф. на версту. Отъ быстроты теченїя никогда не замерзаетъ; въ извѣстное время дѣлается до того многоводною, что затопляетъ г. Гори, находящїйся на равнинѣ въ углу, образуемомъ Лїахвою съ Курю“[16].

საქართველოსადმი განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდა ცნობილი რუსი არქეოლოგის გრაფ ა. უვაროვის მეუღლე – გრაფინია პრასკოვია უვაროვა (1840-1924). სხვადასხვა დროს იგი გახლდათ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე(1885), საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი 1895 წლიდან. სხვადასხვა დროს (1888-1910) არჩეულ იქნა ხარკოვის, ყაზანის, მოსკოვის და სხვა უნივერსიტეტების, აგრეთვე პეტერბურგის არქეოლოგიური ინსტიტუტის და ლაზარევსკის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორად[17].

თავისი ვრცელი ნაშრომის მესამე ნაწილში ავტორი საუბრობს ცხინვალის შესახებ. მისი თქმით, ცხინვალში 5000 მცხოვრებია. გამოირჩევა ცოცხალი, ხალისიანი მოსახლეობით, ლამაზი შენობებით და მნიშვნელოვანი სავაჭრო საქმიანობით, რის გამოც თავისი მნიშვნელობით სხვა სამაზრო ქალაქებს არაფრით ჩამოუვარდება.

ცხინვალში გატარებულმა რამდენიმე დღემ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა უვაროვაზე. ადგილობრივი მცხოვრების ყურულის მასპინძლობით მან მოინახულა თირის მონასტერი, საბაწმინდა, ნიქოზი, წრომი და არბო.

„Цхинваль – мѣстечко съ 5000 жителей, съ такимъ оживленнымъ народонаселенїемъ, съ такими красивыми постройками и значительною торговлей, что ему можетъ позавидовать всякїй изъ нашихъ уѣздныхъ городовъ.

Въ Цхинвалѣ прїютила насъ Журули, въ которой весьма прїятно прожили съ 22-го августа по 26-ое. Въ это время ѣздили въ Тирскїй монастырь, Саба-цминда, Никозы, Тцроми и Арбо, ѣздили частью въ

сопровождении самих хозяев и, возвращаясь по вечерам к ним в дом, всякий раз находили ту же привѣтливость, предупредительность и желаніе сдѣлать все, чтобы посещѣніе Цхинвали оставило в насъ самое лучшее воспоминаніе“[18].

საინტერესოა ებრაელთა უბნის, გრაფინია უვაროვას მიერ მოცემული, აღწერილობა. ცხინვალიდან ნიქოზისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ეს უბანი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს სტუმარზე. ქუჩაზე გადმოკიდებულ აივნებს, ვიწრო ეზოებს, ქვის კიბეებს, ხილის ბაღებს, ვენახებს და დუქნებს ავტორი მოუხიბლავს და ჩრდილოეთ იტალიის სილამაზე გაუხსენებია.

„Дорога изъ Цхинвали до Никози пролегаеть сперва узкими улицами мѣстечка, еврейскимъ его кварталомъ съ нависшими надъ улицей балконами, каменными лѣстницами, тѣсными дворами, пурнями и лавками въ нижнемъ этажѣ, а далѣе проулками между плетневыми заборами фруктовыхъ и виноградныхъ садовъ, кукурузныхъ полей, вдоль канавокъ, наполненныхъ водой и обсаженныхъ деревьями – та же сѣверная Италия, съ тѣми же буйволами, арбами и почти съ тѣми же пестрыми горнымъ населеніемъ. Только во всемъ меньше мягкости, меньше влажности въ воздухѣ, меньше гармоніи въ звукахъ и совершенное отсутствіе пѣнія“[19].

როგორც პლატონ იოსელიანი მიუთითებდა, ცხინვალს არ აკლდა მეფეთა ყურადღება. სმირად ფიქსირდებოდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა ამ მიდამოებში სტუმრობის ფაქტები. ისინი აძლიერებდნენ და ამშვენებდნენ რეგიონს. ბუნებრივია, ამ გარემოებას გარკვეული მიზეზები განაპირობებდა. ქალაქის ხელსაყრელი მდებარეობა მტრისაგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ამ თემამ გაიჟღერა მ. ცოტნიაშვილის „ცხინვალის ისტორიაშიც“, ხოლო მკვლევარი მ. გაჩეჩილაძე წერდა: „ცხინვალს ქართველი მეფეები ყოველთვის ამაგრებდნენ. ეს ხეობა, სადაც ცხინვალი მდებარეობს, ადვილი მისადგომი არ იყო მტრისთვის, ამიტომ აფარებდნენ ხოლმე თავს ამ ადგილებში მტრისაგან ლტოლვილი მეფეები და დიდებულები. თუმცა არც ეს ადგილები გადაურჩა მტრებს შეუმუსრავი“ [20].

ცხინვალში მეფეთა სტუმრობის ფაქტები არაერთხელ გახლავთ ხაზგასმული ა. ცაგარელის [21], პოტტოს და სხვათა ნაშრომებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ცაგარელმა აღწერა და შეისწავლა, საარქივო მასალები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა შესახებ. გაეცნო ათონის მთის, სინას მთის,

პალესტინის ქართულ მნიგნობრულ კერებს და მიღებული შედეგები რუსულ ენაზე გამოაქვეყნა 1880-1894 წლებში (“ცნობები საქართველოს მნიგნობრობის ძეგლებზე“, სამ ნაწილად).

ა. ცაგარელმა განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების შესწავლის საქმეს. მან პირველმა აღწერა ხელნაწერთა რიგი კოლექციები. მის ნაშრომთა შორის საყურადღებოა: „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“(1872), „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის შესახებ“(1873), „მეგრული ეტიუდები“ (ორ ტომად, 1880).

1877-1878 წლებში გაეცნო სამეგრელოს მთავრის ხელნაწერთა კოლექციას და აღწერა იგი იოანე ბატონიშვილის კოლექციასთან ერთად, რომელიც 1880 წელს შეიძინა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკამ. მის სახელს უკავშირდება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში 36 ქართული ხელნაწერის შესწავლის ფაქტი(1882).

1881 წელს ა. ცაგარელმა შეისწავლა მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში დაცული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის (1768-1770) ამსახველი მასალები და 1890-1902 წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე ტომად.

ა. ცაგარელის მიერ საქართველოში, ათონში, ახლო აღმოსავლეთში, რომში, ვენეციაში, ლონდონში, კრაკოვში, პეტერბურგსა და მოსკოვში შეგროვილი ცნობები და კვლევები თავს იყრის 1886, 1889 და 1894 წლებში გამოცემულ – ქართული წერილობითი ძეგლების აღწერილობის სამ ტომში (“Сведения о памятниках грузинской письменности”).

ცხინვალში მეფეთა სტუმრობის ფაქტების შესახებ ცაგარელი შენიშნავდა: „Самъ царь Иракли выехалъ с нами до города Цхинвала, где онъ останвился, а я съ князем же ево, Ираклия, Егоромъ Мачабеловымъ отправился в Имеретию“[22].

აბ კიდევ: „Царь Соломонъ объявилъ, что нивчемъ о царе Иракли не сумнеаетца и скрывать отъ него не желаетъ; почему немедля и поехалъ къ царю Ираклию в Цхинваль“[23].

ერეკლე მეორისა[24] და სოლომონ მეორის[25] ახლო მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე შეხვედრის ადგილად ცხინვალის გამოყენების შესახებ იგივე ცაგარელი მიუთითებს: „26 Маія царь Соломонъ, удовольствуя корпусъ нашъ людьми, лошадьми и быками, сколько отъ него требовано было, съ корпусомъ нашимъ въ слѣзахъ равставшись, назадъ возвратился, а корпусъ нашъ до Грузинскаго города Цхинвала, безъ всякаго отъ непріятеля въ походе препятствія, 31 Маія дошелъ благополучно“[26].

მეფეთა ხსენებულ შეხვედრას თავის ნაშრომში გამოეხმაურა გენერალ-მაიორი ვასილი პოტტო(1836-1911).

ცნობილმა რუსმა სამხედრო ისტორიკოსმა პოტტომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა კავკასიის მრავალწლიანი ომების ისტორიის შექმნაში. 1896 წელს იგი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-ისტორიული განყოფილების უფროსად[27]. ერთ-ერთ საყურადღებო ნაშრომში იგი წერდა: „Въ маѣ 1769 году Ираклій имѣлъ совѣщаніе съ прибывшимъ въ Тифлисъ царемъ Соломономъ. Они постановили отправить въ Петербургъ, для окончательныхъ переговоровъ, князя Артемія Андроникова и князя Давида Квенихидзе. Оставалось еще условиться на счетъ дороги, по которой русскія войска могли бы пройти въ Закавказье. Для обсужденія этого вопроса цари съѣхались еще разъ въ Цхинвалѣ. Положили направить русскій отрядъ „на Хеви и Чимы“, т. е. по нынѣшней военно-грузинской дорогѣ. Ираклій обязался расчистить этотъ горный путь такъ, чтобы не могло послѣдовать никакихъ трудностей въ провозѣ тяжестей“[28].

ცხინვალისადმი ინტერესი ერეკლე მეფის შემდეგ პერიოდშიც არ განელებულა. ქალაქის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ეს ინტერესი განსაკუთრებით საგრძნობი გახლდათ საქართველოში რუსთა შემოსვლისა და ფეხის მოკიდებისთანავე. XIX საუკუნის ქართველი ავტორებიც და რუსი სამხედრო ისტორიკების ნაშრომებიც ადასტურებენ ადრეული პერიოდიდანვე ცხინვალში რუსულ შეიარაღებულ ძალთა ბაზების გარკვეული ფორმებით არსებობის ფაქტებს.

საილუსტრაციოდ შესაძლოა კვლავ ცაგარელს დავესესხოთ: „Въ деревняхъ и местечкахъ учреждены начальники; и въ мѣстечкахъ же въ Ананури, Цхинвали, чрезъ которыя команда маршировала, находятся армяне и жиды, кои имеютъ торгъ и продаютъ такія товары, какія у нихъ въ употребленіи, и войска своего имѣтъ до пятнадцати тысячъ“[29].

კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ნ. ბილიავსკის ხელმძღვანელობითა და გენერალ-მაიორ პოტტოს რედაქციით მომზადებულ და გამოცემულ ერთ-ერთ ნაშრომში მოთხრობილია ჯერ კიდევ 1804 წელს ცხინვალში არსებული რუსული სამხედრო ნაწილების არსებობის შესახებ, მისი შემადგენლობის, შეიარაღების და სხვა დეტალების ჩვენებით.

„Отрядъ, собственный въ Цхинвалѣ, состоялъ изъ 170-ти человекъ Кавказскаго гренадерскаго полка, 306-ти егерей 9-го егерскаго полка, 200 казаковъ изъ остатковъ полка Рышкина и двухъ легкихъ орудій. Прибывъ въ Цхинвалъ въ первыхъ числахъ ноября 1804 г.“[30].

ან კიდევ, „Наконецъ 13-го декабря отрядъ выступилъ въ обратный путь и 17-го декабря прибылъ въ Цхинвалъ“[31] და სხვ.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ XIX და XIX-XX საუკუნეების მომიჯნავე რუსულენოვან წერილობით წყაროებში არაერთგზის იკვეთება ცხინვალის და მისი მიმდებარე რეგიონით, მისი ისტორიული წარსულით, განვითარების ეტაპებით, კულტურით, ტრადიციებით დაინტერესების ფაქტები. რა თქმა უნდა, დამონმებული მასალები მხოლოდ ნაწილია ამ წყაროთაგან, თუმცა მათი გაცნობაც ცხადჰყოფს, რომ ცხინვალი არაერთხელ გამხდარა უცხოელ მოგზაურთა, მკვლევართა, მეცნიერთა და უბრალოდ დაინტერესებულ პირთა ინტერესის საგანი.

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები:

1. იხ. ალექსანდრე მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი, 2011, გვ. 217;
2. მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 36;
3. იხ. ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი;
4. მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 43;
5. მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 60;
6. Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи, Том I, съ 1768 по 1774 годъ, А.А. Цагарели, С-Петербургъ 1891, стр. 76;
7. ა) გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი 1962; ბ) გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი 1964;
8. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, თბილისი 2002;
9. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის I მესამედი), თბილისი 2005;
10. იხ. გ. სოსიაშვილი, გერმანელი მოგზაურები ოსების შესახებ, თბილისი 2007;
11. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. А. Барамидзе, Д. Ватейшвили, П. И. Иоселиани, Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тбилиси 1978,;
12. П. Иоселиани, Города, существовавшіе и существующіе въ Грузіи, Тифлисъ 1850, стр. 73;
13. Постановленія Борисоглѣбскаго уѣзднаго земскаго собранія, Тамбовъ 1871, стр. 628;
14. П.П. Надеждин, Опытъ географіи Кавказскаго края, Тула 1891, стр. 58-59;
15. Кавказъ, Рача, Горійскій уѣздъ, Горы Осетіи, Пшавія, Хевсуретія и Сванетія, Путевыя замѣтки Графини Уваровой, Часть III, Москва 1904, стр. 177;
16. Кавказъ Кавказъ, Рача, Горійскій уѣздъ, Горы Осетіи, Пшавія, Хевсуретія и Сванетія, Путевыя замѣтки Графини Уваровой, Часть III, Москва 1904, стр. 186;
17. მ. გაჩეჩილაძე, სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბილისი 1996, გვ. 18;
18. Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи,

- Том I, съ 1768 по 1774 годъ, А.А. Цагарели, С-Петербургъ 1891, стр. 430;
19. Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи, Том I, съ 1768 по 1774 годъ, А.А. Цагарели, С-Петербургъ 1891, стр. 430;
 20. Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи, Том I, съ 1768 по 1774 годъ, А.А. Цагарели, С-Петербургъ 1891, стр. 353;
 21. Историческій очеркъ Кавказскихъ войнъ отъ ихъ начала до присоединенія Грузіи, Под. ред. генераль-маіора Потто, Тифлисъ 1899, стр. 79-80;
 22. Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся къ Грузіи, Том I, съ 1768 по 1774 годъ, А.А. Цагарели, С-Петербургъ 1891, стр. 76;
 23. Утвержденіе русскаго владычества на Кавказѣ, Том I, Под руководствомъ начальника штаба Кавказскаго военнаго округа генераль-лейтенанта Н. Н. Белявскаго, под редакціей генераль-маіора Потто, Тифлисъ стр. 178;
 24. Утвержденіе русскаго владычества на Кавказѣ, Том I, Под руководствомъ начальника штаба Кавказскаго военнаго округа генераль-лейтенанта Н. Н. Белявскаго, под редакціей генераль-маіора Потто, Тифлисъ стр. 182.

Mgebrishvili Aleqsandre

Tbilisi, Georgia

Tskhinvali in Russian written sources of the XIX century

Tskhinvali and its outskirts were inhabited from ancient times. According to the researchers, we may suppose that in III-IV centuries Tskhinvali was the main trade and economic centre and assemblage point for merchants and handicraftsman in Liakhvi Valley. Convenient geographical location made Tskhinvali be the main territory of mutual relations and economy for the population of Didi and Patara Liakhvi Valley.

Tskhinvali was often the sphere of interest for the foreign travelers. We mean the works of such authors as I. Guldenshtedt. I. Rainges. E. Aichvald and others.

The subject of interest of the presented work is the data about Tskhinvali based on Russian written sources of XIX century.

Above mentioned data contain significant information about the location of the town, description of the town, variety of religion, climate, economic situation and other issues. We consider that these materials give important information, but somehow they are out of the interest of society.

Among significant XIX century Russian sources there are certain works of different authors such as: P. Ioseliani, P. Nadezhdin-Russian geographer and ethnographer, Countess Uvarova, A. Tsagareli, Major – General Potto-Russian military historian, lieutenant-general N. Biliavski-military Staff commander of Caucasus and etc.

We can say, that there is quite a lot of interest about Tskhinvali, its outskirts, its historical past, development stages, culture and traditions in the Russian written sources of XIX-XX century. Certainly, attested materials are only the part of these sources, but looking through them proves that Tskhinvali was always the sphere of interest of foreign travelers, researchers, scientists and simply people concerned.

მელაძე თამარ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,

პოლიტიკის მეცნიერებები, სტუდენტი

ქართლ-ოსური ურთიერთობები შუა საუკუნეებში და კარალელები თანამედროვეობასთან

როგორც ცნობილია, ქართველ და ოს ხალხს უძველესი დროიდან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ. ჩრდილოეთით მცხოვრებ ოსებთან ნორმალური ურთიერთობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, ჩრდილოეთის მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე საქართველო ხშირად იყენებდა ოსთა დაქირავებულ რაზმებს სამხედრო მიზნებისათვის. ბრძოლაში მონაწილეობას ოსებისათვის მოჰქონდა გარკვეული სახის ეკონომიკური სარგებელი.

მეზობლებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას, ხელს უწყობდა, მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ინტერესები. ამას ემატებოდა ინტერესები დინასტიური ქორწინებები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გახშირდა XI-XII საუკუნეებში.მაგა-

ლითად, გიორგი I-ს (1014-1027) ცოლად ჰყავდა ოსი ქალი ალდე, ბაგრატ IV (1027-1072) დაქორწინებული იყო ოსთა მეფის ასულზე - სახელად შორენა. დემეტრე I-ის და ოსეთში იყო გათხოვილი. დემეტრემ კი თავის ვაჟს გიორგი III-ს ოსი ბურდუხანი შერთო. აღსანიშნავია 1187 წელს თამარისა და მისი მეორე ქმრის დავით სოსლანის ქორწინება. რომელიც გიორგი I-ის და ოსთა მეფის ასულის, ალდეს შვილის, დემეტრეს შთამომავალი იყო. ის, თუ რამხელაა დავით სოსლანის დამსახურება პოლიტიკურ საკითხებში, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი საზიარო ისტორიული ფაქტები გვაკავშირებს ქართველ და ოს ხალხს.

ისტორიამ გარდა ამ ორი ეთნოსის მშვიდი თანაცხოვრებისა შემოგვინახა ფაქტები, რომლებიც აღწერს ამ მხარეების დაპირისპირებებს. მაგალითად მე-5 საუკუნის შუახანებისთვის, როცა ვახტანგ გორგასალი ტახტზე ავიდა, ქართლის სამეფო ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სპარსელები ქართველებისგან დიდი ხარკისა და სამხედრო ძალის მიცემას მოითხოვდნენ ასეთ რთულ ვითარებაში, ჩრდილოეთ კავკასიიდან ქართლზე თავდასხმები გაახშირეს ოსებმაც. ერთ-ერთი მარბიელი ლაშქრობის დროს, მათ დაატყვევეს მეფის და მირანდუხტი. ისტორიული წყაროების მიხედვით ვახტანგს, არა თუ დის დაბრუნება, არამედ მათი ქართლიდან სამუდამოდ ამოკვეთა განუზრახავს, ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ ქართლში ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში სახლობდნენ ოსები.

მიუხედავად წარსულში მომხდარი უთანხმოებისა, ქართველები და ოსები კვლავ აგრძელებდნენ მშვიდად ცხოვრებას და ხშირ შემთხვევაში ერთიანი ძალებით უხდებოდათ საერთო მტრის დამარცხება. არაერთხელ ორი ეთნოსის გადარჩენის მიზეზი სწორედ ერთიმეორის მიერ გამოწვევილი ხელი იყო. საქართველო არაერთხელ გამხდარა ოსების თავშესაფარი, როდესაც მონღოლებმა და თურქმანებმა დაარბიეს ჩრდილოეთ კავკასია, გადარჩენილთა ერთი ნაწილი, ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან რაიონს შეეხიზნა, სადაც მათი არსებობის პირობები ხელსაყრელი არ იყო. ამიტომ ბუნებრივია მოსახლეობის ლტოლვა საქართველოსკენ, რადგანაც მისი სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების დონე, იმ პერიოდისთვის გაცილებით უფრო მაღალი იყო. უფრო მოგვიანებით მე-16 საუკუნეში რუსეთი საგრძნობლად ავიწროებდა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მოსახლეობას, მათ შორის ოსებს, ხოლო ყაბარდოელებმა ოსები საბოლოოდ ჩაკეტეს მთებში. ჩრდილოეთ კავკასიელებს მეტად მძიმე პირობები შეექმნათ არსებობისათვის, რის

შედეგადაც თანდათანობით ხდება მათი გადმოსახლება საქართველოში – კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე. მაგალითად, იაკობ რაინეგსი მე-18 საუკუნეში წერს: ყაზარდოელებისაგან გამოქცეული ოსები საცხოვრებლად კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, შიდა ქართლის მთიანეთში გადადიოდნენ და ქართველი ფეოდალების მიწებზე ხიზნებად სახდებოდნენ. საზგასასმელია ის ფაქტი, რომ ოსებს დიდი დამსახურება აქვთ დიდგორის ბრძოლაში, მემათიანის ცნობით, სწორედ 500 ოსი მონაწილეობდა ბრძოლაში ქართველების გვერდით.

რაც შეეხება გვიანშუასაუკუნეებს, ამ პერიოდში ოსები უკვე თავად ქართველი თავადებისა და მეფეების ინიციატივით სახლდებიან შიდა ქართლში. იყო შემთხვევები როდესაც ისინი მალალ თანამდებობებზეც ინიშნებოდნენ. არსებობს საარქივო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც 1794 წელს ერეკლე მეორე ვინმე ოსს თუჯუკო კუდუხაშვილს უბოძებს მალალ თანამდებობას.

ქართველებისა და ოსების თანაცხოვრება მეტწილად ნორმალური იყო, მანამ, სანამ ურთიერთობაში ჩაერეოდა მესამე ძალა. მსგავსი სახის ჩარევები იწვევდა ეთნო-პოლიტიკურ დაძაბულობას. ასე მაგალითად XIII საუკუნეში მაშინ როცა ორ მონღოლურ სამფლობელოს-“ილხანთა საყაენოსა“ და “ოქროს ურდოს“ შორის დაპირისპირება მძვინვარებდა შიდა ქართლის მიდამოებში იდგნენ დარუბანდის გზით აქ შემოსული ოსებისაგან შემდგარი სამხედრო რაზმები, რომლებიც მაშინ ილხანთა ბრძანებით მოქმედებდნენ. სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად სწორედ მესამე ძალა აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ ქართველები და ოსები დღეს ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებად გადაიქცნენ, რამაც ეთნიკურ კონფლიქტამდე მიგვიყვანა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩნდება ტერმინი „სამხრეთელი ოსი“, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში – „სამხრეთი ოსეთი“. ამ ტერმინების გაჩენა, რუსული იმპერიული ძალების დიდ მცდელობასთან ერთად, იმ გარემოებაზეც განაპირობა, რომ შიდა ქართლს ჩრდილოეთით, კავკასიონის ქედის გადაღმა უშუალოდ ესაზღვრებოდა ისტორიული ოსეთი. ცხადია, ასეთ ვითარებას რომ არ ჰქონოდა ადგილი და ოსეთი უშუალოდ საქართველოს მეზობელი არ ყოფილიყო, მაშინ გაცილებით მეტი რაოდენობითაც რომ ჩამოსახლებულიყვნენ ოსები საქართველოში, მაინც არასოდეს გაჩნდებოდა აღნიშნული ტერმინები და არც მათი ავტონომიის შექმნის საკითხი დაისმებოდა ცენტრალურ საქართველოში, ისტორიულად და კულტურულად ქართულ მიწა-წყალზე, რაც რუსული

იმპერიული ძალებით იყო ნაკარნახები. ორი ეთნოსის გახლეჩვის პოლიტიკა თავიდან სწორედ ლექსიკაში იქნა დაწერგილი.

1802 წელს გენერალ კარლ კნორინგის საიმპერატორო კარისადმი შედგენილ ანგარიშში ცხინვალის რეგიონის მაღალმთიანი მხარეები სადაც ოსები ცხოვრობდნენ, მოხსენიებული იყო როგორც ოსეთი, ხოლო დანარჩენი, ქართველებით დასახლებული ტერიტორია საქართველოს სახელით. ეს პროცესი საბოლოოდ შიდა ქართლის ანუ ადრინდელი ზენა სოფლის ტერიტორიაზე 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით დასრულდა. 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“, რომლითაც საქართველოს სამართლებრივ სივრცეში შეწყვიტა არსებობა როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა, ისე თავად ტერმინმა. დღემდე ის გამოიყენება პირობით ტოპონიმად საერთაშორისო საზოგადოების მიერ, კონფლიქტური ზონის აღსანიშნავად. საქართველოში ხშირად ხმარობენ ტერმინებს: „სამაჩაბლო“ და „ცხინვალის რეგიონი“, ეს უკანასკნელი კი ოფიციალურ დოკუმენტებში იხმარება „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან“ ერთად.

ქართულ-ოსური დაპირისპირება წარმოადგენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის შაბლონურ მაგალითს. თუ ადამიანების ეთნიკური წარმომავლობა წარმოადგენს ერთ-ერთ გადამწყვეტ კრიტერიუმს მხარეების დაპირისპირებისათვის, მაშინ, ჩვენი აზრით, მას შეიძლება მას ვუწოდოთ „ეთნიკური კონფლიქტი“. ამის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, პირველ რიგში მხედველობაში მისაღებია ის დესტრუქციული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის თავდაპირველ პროვოცირებაში გაცილებით უფრო დიდი „წვლილი მიუძღოდა“ მოსკოვის იმპერიალისტურ პოლიტიკას, ვიდრე ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებულ ეთნიკურ უთანხმოებებს, ქართულ-ოსურ დაპირისპირებას, დღეს მეტად პოლიტიკური კონფლიქტის სახე აქვს, ვიდრე ეთნიკური. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსური მოსახლეობა ყოველთვის იყო საქართველოს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეთნიკური სტრუქტურის ინტეგრირებული ნაწილი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელზეც კონფლიქტის მოგვარების საწყის ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს

მუშაობა, სწორედ ნდობის აღდგენა და გულწრფელი დიალოგის სურვილის გენერირებაა. ამ მხრივ სახელმწიფომ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც აისახება ქვეყნის პოლიტიკასა და ქმედებებში და არ ექნება მხოლოდ სიმბოლური სახე. ბუნებრივია, ამგვარი ღონისძიებების განხორციელება ერთბაშად არ ხდება. მაგრამ საწყის ეტაპზე ამგვარი პარიტეტული თანამშრომლობის ნების გაცხადება და მზადყოფნის გამოხატვა ნებისმიერი მოდელის განხილვისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მუშაობის დასრულების პირობა არის პროცესის ორმხრივობა, რომელმაც შესაძლოა კონფლიქტის საბოლოოდ დასრულებამდე მიგვიყვანოს .

ბიბლიოგრაფია:

„ომებიადა“, ჯემალ შარაშენიძე -ოსებზე ლაშქრობა(გვ.170)
„სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული ინტეგრაციის პრობლემები“, დავით პიპინაშვილი-კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში(გვ.89)
<http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/57488-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C/85/>

Meladze Tamar
Tbilisi, Georgia

GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS IN THE MIDDLE AGES AND ITS PARALLELS TO MODERNITY

The subject of discussion is Georgian-Ossetian relations in the middle Ages, What were the strategic, importance issues of these relations for both nations?

What caused the formation of a strategic relationship? Our goal is to examine the medieval Georgian and Ossetian people and compare them to the forefront of the current relations, while that the world is much more globalized and relations between the two brotherly nations escalated into conflict. We will try to draw parallels and distil the most important strategic issues of implementation, which can be made for resolution of the conflict and focus on strategic cooperation.

მინდიაშვილი ნინო

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი*

ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან

მე-20 საუკუნის დასასრულს საქართველომ დაკარგა ორი მნიშვნელოვანი რეგიონი – აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომელთა დაბრუნებასაც თითქმის ორი ათეული წელია უშედეგოდ ვცდილობთ.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ცხადად დაგვანახა, რომ, სამწუხაროდ, კონფლიქტი კვლავ ჩიხში მოექცა და ის მოჩვენებითი პოზიტივები, რაც რეგიონში შეინიშნებოდა, პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დევნილთა და უსახლკართთა რიცხვი საკუთარ სამშობლოში – გაცილებით გაიზარდა. თითოეული ჩვენგანისთვის უმტკივნეულები საკითხი კონფლიქტურ ზონებში ვითარების პოლიტიკური დარეგულირებაა, ამიტომაც საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წარმომადგენლობა თუ ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს იქ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ, პროექტთა უმრავლესობა ამ რეგიონების პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაციის სტრატეგიული მხარდაჭერაა. დახმარების სფეროებიც თითქმის ყველა მნიშვნელოვან დარგს მოიცავს.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები ორმხრივად აისახა ლიტერატურაზე თუ კულტურაში.

ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები ყოველთვის აყალიბებს ადამიანებს შორის კეთილგანწყობასა და გარკვეულ თანამოაზრეობასაც. თუმცა, პოლიტიკური ამბიციები ხანდახან კრახამდევ მიდის ორი ერის ურთიერთობაში.

ქ. ცხინვალი ყოველთვის განსაკუთრებული სტუმართმოყვა-

რეობით გამოირჩეოდა, სადაც ხშირად იმართებოდა შეხვედრები ქართველ მწერლებთან, პოეტებსა თუ საზოგადო მოღვაწეებთან. ცხინვალის ხშირი სტუმრები იყვნენ გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, დ. ბენაშვილი, ლ. სანიკიძე, ო. იოსელიანი და სხვები. გალაკტიონს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ ოს პოეტ რევაზ ასაევთან, რომელიც მისი ხშირი სტუმრი გახლდათ.

2003 წლიდან ოსურ ლიტერატურაში მწირად, მაგრამ მაინც შეინიშნება „შემობრუნების“ ტენდენცია.

ამჟამად სამხრეთ ოსეთში მოღვაწეობს არაერთი საინტერესო მწერალი, ლიტერატორი, კრიტიკოსი, მათ შემოქმედებას კი ქართველი ხალხი არ იცნობს: აზა ხუდუაევა, ნიკოლაი რომანტიუკი, გერსან კოდალაევი, ზინაიდა ბიტაროვა, ალექსანდრე სანაკოევი და სხვები.

რთულია აუღელვებლად წაიკითხო ალექსანდრე სანაკოევის ცნობილი ლექსი „Грузинне“ – სადაც პოეტი ნაღვლიანად აღნიშნავს:

„Быть может дружба двух сердец
Подобно дружбе двух народов,
Во имя собственной свободы
Расторглись волею небес“.

თუმცა, ამ წამიერ დაეჭვებას პოეტი მაშინვე უკუაგდება და ოპტიმისტურ დასკვნას გვთავაზობს:

„Быть может, но как разбить
Союз, в котором от начала
Ни лжи, ни яда, ни кинжала
Нет, не было и быть не может“.

მელანქოლიური განწყობილება იგრძნობა ზინაიდა ბიტაროვას ლექსში „Кавказская меланхолия“. პოეტი განიცდის ახლოვებულ ადამიანებთან განშორებას და გამოსავალს ეძებს:

„Так поспеши, беги, спасайся!
Скорее ночи уноси.
Не уходи, не отрывайся –
рука к руке как две сестры.“

თუმცა, საბოლოოდ პოეტი აღიარებს, რომ, სამწუხაროდ, განშორება გარდაუვალია.

„Мы всё равно должны растаться,
и боли той бездонно дно...
бездельно буду предаваться,
чурчхелу гризть и пить вино...“

დამეთანხმებით, საკმაო ნოსტალგია იგრძნობა ლექსში და არც ჩურჩხელისა და ღვინის ხსენებაა ამ შემთხვევაში უადგილო, რად-

განაც პოეტი ჩაძირულა სასიამოვნო მოგონებების უკიდევანო მორევში, თუმცა, გამოსავალს ჯერჯერობით ვერ პოულობს.

ანალოგიური განწყობილება იგრძნობა აზა ხუდუაევას ლექსში „Букетик ландишей“. პოეტს ანუხებს თავისი მეგობრის ბედი, რომელთანაც განგებამ დააშორა. იგი ბავშვობის მოგონებებში იძირება და იქიდან უმზერს ანწყოს, სადაც მხოლოდ ბურუსი და გაურკვევლობაა...

„Где ты теперь и как сложилось
Мой словный друг, судьба твоя?
Твои мне ландыши проснулись
Долекой юности друзья.“

ამ ლექსებში აშკარაა ის დამოკიდებულება, თუ გნებავთ მონატრება, რასაც დრომ და უკულმა დატრიალებულმა ბედის ბორბალმა ვერაფერი დააკლო...

როგორც აღვნიშნე, თანამედროვე ოსურ პოეზიაში აშკარად ჩანს პოზიტიური ნიშნები...

პოეტი თავისი ერის გულის მესაიდუმლეა, ოსმა პოეტებმა ერთად თუ ცალცალკე იგრძნეს, რომ მათ სიტყვას განსაკუთრებული ფასი აქვს, მათ მთელი ერის შეკავშირება, ერთ მუშტად შეკვრა შეუძლიათ, რისთვისაც მათ მშვიდობიანი გზა აირჩიეს.

„Так и жить, а что же делать
Нет ума, чтоб рассказать.
Если сам хрामать начнёшь ты
Научись – как побеждать...“

აცხადებს ნიკოლაი რომანტიულ ლექსში „Храмой мир“. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ოსი პოეტების შემოქმედება თემატურად მრავალფეროვანია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტულ თემატიკას, სატრფიალო თემატიკას, მეორე მსოფლიო ომის თემას, დედის თემას და სხვ.

მაგრამ, ვერ შეხვდებით კონფლიქტის თემას, აშკარაა ყველა პოეტი შეგნებულად ცდილობს ამ თემას თავი აარიდოს... სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს სამწუხაროდ ისიც, რომ ყველასთვის იმედის მომცემი პროცესი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისთვის და ვლადიკავკაზში გამომავალი ჟურნალ „დარილის“ საშუალებით რუსმა პოეტებმა დაიწყეს „შეცდომაში შეყვანილი“ ოსი ხალხის გამოფხიზლება...

„На твою осетинскую правду
Замахнулся Грузинский солдат
Весь Кавказ уподобился аду“

Все ругаются, плачут, кричат.“
საინტერესოა რა ამოძრავებს პოეტს, როდესაც აცხადებს:

„А ведь Абхазия, это –
Совсем не грузинский край“

ყველასთვის ცნობილი მოვლენების გამო კი, არაერთი ლიტერატურული მოვლენა რჩება შეუფასებელი.

იმედს ვიტოვებთ, რომ მდიდარი ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების მატარებელი ორი ერი მართებულ დასკვნას გააკეთებს და საერთო ენას მესამე ძალის ჩაურევლად გამოინახავს, რისი მზაობაც შეინიშნება ოსურ პოეზიაში.

Двор детства

„Кавказ, утоплённый в крови
Кавказ – без дружбы и любви...
И ты, грузин, теперь – мой враг?
А мы росли в адних дворах.
Двор детства, солнечный мой двор
Мне не поверить до сих пор,
Что ты грузин, теперь... мне враг!
Ведь жили мы в одних горах.
Двор детства, мой свободной двор,
Я не приду к тебе, как вор:
Я не хочу распятой быть...
Мне все равно тебя любить.
Двор детства, мой веселы двор!
Мы были вместе: Я, Анзор,
Иринка, Гиви, Тамрико,
Не уходите далеко.“

ჩემი აზრით, ამ სტრიქონებს კომენტარი არ სჭირდება, იმედი ექონიოთ, რომ მტრობით დანგრეულს სიყვარული აღადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „სამხრეთ ოსეთი“, 1990 – „ქართველ ქალს“, ალექსანდრე სანაკოვევი, გაზ. „სამხრეთ ოსეთი, 1990, 12 დეკემბერი, გვ. 7
2. ზინაიდა ბიტაროვა, 2003 – „კავკასიური მელანქოლია“, ჟურ. „დარიალი“, 2003, №1, გვ. 9
3. აზა ხუჯაევა, 2000 – „თაიგული“, ჟურ. „დარიალი“, 2000, №5, გვ.10
4. ნიკოლაი რომანტიუკი, 2004 – „ხეიბარი მსოფლიო“, ჟურ. „დარიალი“, 2004, №1, გვ. 5

5. მიხეილ იუპი, 2004 – „აფხაზური ფურცლები“, ჟურ. „დარიალი“, 2004, №2, გვ. 7-14
6. ზინაიდა ბიტაროვა, 2005 – „ჩვენი ეზო“, ჟურ „დარიალი“, 2005, №2, გვ. 14.

Mindiashvili Nino

Tbilisi, Georgia

FROM THE HISTORY OF GEORGIAN-OSSETIAN LITERARY RELATIONS

At the end of the 20th century, Georgia lost two important regions - Abkhazia and South Ossetia, which we have been trying to get back for almost two decades.

The August events of 2008 have demonstrated that, unfortunately, the conflict is still stalled, and the false positive which could be observed in the region, returned to the original condition. For each of us the political settlement of the situation in the conflict zones is rather troublesome; The international community and its representation pays special attention to the policy, the majority of projects in the areas include post-conflict rehabilitation strategy and its support. As for Support areas it include almost all important spheres.

At the end of the 20th century, even the friendship and brotherhood, inadvertently, turned into hostility and political ambitions of the two opposing camps which once used to be a nation. During the Georgian-Ossetian conflict, this is the result of a centuries-old tradition of literary degradation.

Numerous projects have been implemented, aiming to facilitate this situation.

I must say that this effort was not in vain, and the process is interestingly reflected in both Georgian and Ossetian literature.

Моргоева Лариса

Старший научный сотрудник, Кандидат

филологических наук СОИГСИ

Владикавказ. Республика Северная Осетия-Алания. Россия

СЕМАНТИЧЕСКАЯ ТРАНСФОРМАЦИЯ ГРУЗИНСКИХ ЗАИМСТВОВАНИЙ В ОСЕТИНСКОМ ЯЗЫКЕ

Важным источником в исследовании исторических взаимоотношений народов и культур, как известно, является и язык. В языке как нельзя лучше отражаются все исторические события и соприкосновения культур, о чём свидетельствуют заимствования.

Словарный состав современного осетинского языка в результате многовекового своего развития образовал несколько слоев различных эпох: 1) древнейший, или иранский слой; 2) кавказский слой; 3) славянский, или русский слой; 4) слой поздних собственно осетинских образований. Эти слои различны по своему составу и происхождению и создают специфику лексики современного осетинского языка [Козырева, 1962: 46].

Тесные социально-экономические и культурные взаимодействия народов Кавказа (условно, начиная с V в. н.э.) нашли отражение в их языках пополнением и расширением словарного состава кавказскими заимствованиями [Андроникашвили, 1966; Козырева, 1962].

Так, в осетинском языке сохраняется до сих пор существенный пласт лексических заимствований из грузинского языка, позволяющий нам утверждать о многовековых связях двух народов практически на всех плоскостях и сферах их жизни.

Надо сказать, что в числе кавказских заимствований обнаруживаются слова, не всегда позволяющие однозначно определить язык-источник без углубления в историко-этимологический экскурс, поскольку находят созвучные варианты с сохраненной семантикой в нескольких кавказских языках, в том числе и грузинском. К примеру, *дзидза* „мясо“ – груз. *чичиа*, а также чеч. *жижиг*, *жижж*;

Чьу „жвачка, закис, смола“ – груз. *клеви* „живица“, а также инг. *клув* „смола“, который В.И. Абаев относит к группе „детских“ слов для обозначения мяса в кавказских языках [Абаев, 1958:635]. Осмелимся предположить в таком случае, что так же, как и в осетинском языке есть слово с исконным **фыд** „мясо“, в этих языках также существует исконный синоним.

Хенкълел „лапша“ – груз. *хинкАли* „пирожок“, также инг. *хингал*; в исходной форме, бытующей в ряде кавказских языков, означает „га-

лушку с мясной начинкой". Значение, схожее с осетинским, присутствует лишь в адыгском и кабардинском языках.

Хахуы „лук“ – груз. *хахв-и*, авар. *хахви*, ч.-и. *хох*; синоним *хъæ-дындз*.

Дзуар „крест“ – груз. *джвар-и*, чеч. *жуара*. По В. И. Абаеву, это слово, как и многие термины, связанные с христианской пропагандой и культом, идёт из грузинского и через посредство обоих языков попадает в другие языки Кавказа [Абаев, 1958:401]. Однако существует и другая трактовка семантики этого слова, которая убедительно излагается автором книги „Язык и обряд“ Е. Б. Бесоловой [2008:73-77].

Данное слово, получившее широкое распространение, приобрело и дополнительные значения в осетинском: „*святой*“, „*божество*“, „*святылище*“; а также – „*оспа*“. Кроме того, самостоятельными значениями обладают сочетания со словом **дзуар**: *дзуар æфтауын* „венчаться“, *дзуарттæ æфтауын* „креститься“, *дзуары лæг* „жрец“, „человек, приставленный к святылищу“, *лæгты дзуар* „бог-патрон мужчин“.

Маймули „обезьяна“ – груз. *маймуни*, инг. *маймал*; слово персидского или тюркского происхождения, встречается и в ряде других кавказских языков.

Къуыри „неделя“ – груз. *кџира*, ч.-и. *кџира*.

Дзуг „гурт, стадо“ – груз. *джог-н*, чеч. *жџуга* „куча, толпа“; в данном случае определение языка-источника осложнено

Галуан „каменная ограда, крепостная стена, замок, дворец“. В.И. Абаев отмечает близкие соответствия в кавказских языках, в том числе и в грузинском. Слово, по мнению В.И. Абаева, несмотря на персидский облик, вошло в осетинский из кавказских языков.

Наконец, практически общекавказское **абырæг** „абрек“, в качестве второго значения „разбойник“ – мегр. *абракI-и*, инг. *эбарг*, чеч. *обарг*, авар. *обурик*, каб. *абрэдж*, балк. *абрег*; и др.

Из приведенных примеров становится понятно, что трудности определения языка-первоисточника связаны с разными путями проникновения слова в язык, один из которых – через другие языки-посредники. В поле нашего зрения они попадают исключительно на том основании, что варианты представленных кавказских заимствований в осетинском языке из всего ряда соответствий наиболее близки формам грузинского языка. Следовательно, существует большая вероятность, что грузинский язык явился посредником при заимствовании.

Вместе с тем, основная масса кавказских заимствований имеет вполне прозрачную этимологию. Так, наиболее компактно организованную семантическую группу заимствований, несомненно, образуют

названия огородных культур, с которыми осетины познакомились сравнительно поздно и большей частью через посредство Грузии [Миллер, 1992: 512]. Обилие подобных заимствований из области садоводства и огородничества указывает на то, что отрасли земледелия ранее не были развиты у осетин.

Характерной особенностью всех лексических заимствований является то, что, попадая на другую языковую почву, они претерпевают существенные изменения – как фонетические, так и семантические. Именно этой своей особенностью заимствования привлекают к себе внимание исследователей.

Наравне с заимствованиями из других языков, пласт лексических заимствований из грузинского подвергался также трансформациям, в соответствии с языковыми законами осетинского языка.

С опорой на исследовательские данные этимологии и анализируя современное активное состояние осетинского языка, выявлено, что все заимствования наиболее явно поддаются делению на три основные группы: 1. Слова, сохранившие свое фонетическое оформление и семантическое состояние в первоначальном виде; 2. Слова, полностью вышедшие из активного употребления и частично пополнившие состав архаизмов и историзмов; 3. Слова, которые в результате некоторой фонетической и полной семантической трансформации приобрели дополнительные значения и/или „новую жизнь“.

К первой группе, сохранивших свою относительную целостность, как правило, относятся слова:

а) хозяйственно-бытового содержания: *цъына* „скирд, стог“, *къалати* „корзинка, клетка“, *скъает* „конюшня“, *гобан* „тюфяк, матрац“, *цъолоби* „рогожа, циновка“, *къуту* „сапетка“, *сапон* „мыло“, *сасир* „сито“, *канчыри* „шумовка“, *бумбули* „перина“ и др.;

б) топонимические названия и термины, связанные с высокогорной природой: *цъити* „ледник“, *сычъи* „серна“, *цъала* „долина“, *калак* „город“, *къала* „олово“ и др.;

в) названия огородных культур: *джитъри* „огурец“, *къакъали* „грецкий орех“, *битъына* „мята“, *булкъ* „редька“, *цъахæра* „свекла“, *æнгуз* „орех“, и др.;

г) названия деревьев, плодов: *къомси* „айва“, *бал* „вишня“, *чъерами диал.* „абрикос, курага; плод и дерево“, *алтъами* „персик; плод и дерево“, *чълауи* „слива“.

В принципе, такому сохранению исходной формы слов способствовало то обстоятельство, что сами реалии, обозначаемые этими

словами, не претерпели никакого существенного изменения и не утратили действительную актуальность в жизни осетин.

Вторую группу составляют слова, нашедшие свое основное употребление исключительно в исторических или фольклорных текстах: *дзумари* „уксус“, *гарачъи* „масло сливочное“, *кази* „бес, дух преисподней“, *зети* „растительное масло“ и др.

Некоторое количество заимствований встречается и в текстах Нартовских сказаний, записанных в основном из уст носителей южных говоров осетинского языка:

Багъи „фруктовый сад“ : *Æртæ Нарты ‘хсæн уыдис Борæйæн багъи.* (НК, 2003:62) – „Среди трех Нартов у Бора был фруктовый сад“.

Куиткъуири галуан „крепкий замок“: *Уæд сæ Уастырджы нымæтын ехсæй æрцъыкк ласта дъууæ ‘фсымæры, æмæ съл фестад диссаджы цырт, йæ алыварс куиткъуири галуан.* (НК, 2003:65) – „Тогда Уастырджи ударил войлочной плетью по двум братьям, и над ними возник удивительный памятник, а вокруг него крепкий замок“;

Къогъодзи „лапоть, плетеная обувь“: *Кæмæн-иу йæ къогъодзи йæ къæхæй раласта (Сырдоны гацца) æмæ йæ бахордта, кæмæн та (йæ) астæуæй йæ рон сыхæлдта æмæ йæ бахордта.* (НК, 2003:233) – „У кого лапоть с ноги сняла (собака Сырдона) и съела, а у кого пояс развязала и съела“;

Посмотрим употребление этого же слова в героической песне: *Ой, ма сызгъæрин басмахъхъ гуырдыаг къогъодзийæ раивтон...* – „Ой, свой расшитый золотом башмак сменила на грузинский лапоть (къогъодзи)“;

Натлиа „кум, дающий имя, или тот, кому дают имя“ (термин родства) : *Уырызмæджы ус Сатана уыд Хуыцауы натлиа.* (НК, 2003:390) – „Жена Урузмага Сатана была нареченной Бога“.

Згъуа „море, омут“: *...зымæг, январы карзы згъуайы бабыры æмæ ныййих ваййы, æмæ кæф-кæсаг скалы, æмæ уыдонæй цæры.* (НК 2004:288) – „... зимой, в январскую стужу, забирается в згъуа (морскую пучину) и замерзает, затем поднимает (со дна) крупную благородную рыбу, и этим живет“;

Сидедри „мать жены, тёща“;

Симамри „отец жены, тесть“: *Йæ сидедри æмæ йын йæ симамрийы хабар дæр ракодта, æмæ йын сæ ус райдыдта халын.* (НК 2004:565) – „Рассказал ей про тёщу и про тестя, и начала женщина ему их трактовать (увиданное)“.

Кулбаи „кузнечные угли, жар“: *Батрадз бахызт кулбаимæ æмæ загъта Куырдалæгонæн...* (НК 2005: 17) – „Батрадз ступил на кузнечные угли и говорит Курдалагону...“;

Дзилагæ (диг.) „поколение, порода“: *Æхсæртæггати дзилагæ раги исæскъуыдæй, амæн ба ма Æхсæртæггати æхси гъæр уæддæр æ гъоси цæуый...* (НК 2003:61) – „Порода Ахсартаговых давно иссякла, а у этого еще свист кнута Ахсартаговых в ушах стоит...“.

Эти и другие схожие употребления грузинских заимствований, зафиксированных в фольклорных источниках, можно отнести к единичным случаям, не получившим широкого распространения. Причинами такой „консервации“ указанных заимствований могли стать и территориальные границы бытования как самих слов, так и фольклора, в котором они отражались.

Кроме того, при наличии уже закрепившихся в языке наименований вероятность закрепления вторичных наименований, заимствованных из другого языка, сводится к минимуму. Практически все слова, попадающие в данную группу, имеют более привычные (а значит, более распространенные), собственно осетинские лексико-семантические варианты обозначения соответствующих реалий: **Багъи** – осет. *дыргъдон* „фруктовый сад“; **Куиткъуири галуан** – осет. *фидар галуан* „крепкий замок“ (по мнению В.И. Абаева, состоит из груз. *куит* + *къури* = осет. *чъырамад сис*, *чъырын* „ограда из известняка, известковый [Абаев, 1939:76]; **Къогъодзи** – осет. *дзабыр* „лапоть“; **Натлиа** – осет. *номæварæг* „крестный, кум, дающий имя, или тот, кому дают имя“; **Згъуа** – осет. *денджыз*, *мал* „море, омут“; **Сидедри** – осет. *усы мад* „мать жены, тёща“; **Симамри** – осет. *каис* „отец жены, тесть“; **Кулбаи** – осет. *куырдадзы цæхæр* „кузнечные угли, жар“.

К третьей группе мы условно отнесли слова, которые в результате семантического переосмысления приобрели дополнительные коннотативные смыслы или полностью изменили свое значение и, как следствие, сферу употребления; ср.: слово **гагуы** означает „глазное яблоко, зеница, зрачок“, но приобрело дополнительный семантический оттенок, соответствующий слову „сердцевина, суть“. Кроме того, оно вошло в состав фразеологизма **цæсты гагуы** „зеница ока“, и имеет широкий диапазон употребления, в том числе и в ласкательных формулах, обращениях, и даже как поэтический образ в причитаниях.

Слово **цъулбер** „пиявка“ в процессе метафоризации приобрело дополнительное значение „кровосос, мучитель“, которое имеет тенденцию доминировать над исходным значением.

Грузинское *гукъуна* „кукла“ со временем стало использоваться для обозначения маленькой девочки в качестве экспрессива, или в качестве прямого обращения к девочке подросткового возраста и младше при соблюдении осетинского семейного этикета, который не предполагает прямого обращения по имени к членам семьи.

Слово *губмиры* „великан, дубина, идол“ в своем прямом значении бытует, преимущественно, в фольклорных текстах, где оно обозначает грубых и сильных великанов, обитающих в пещерах и неприступных крепостях в горах. *Гумиры*, упоминаемые в Нартовском эпосе, считались коренным населением, некогда обитавшем на землях Нартов [Дзадзиев..., 1994:44]. Выйдя за рамки фольклора, на фоне метафорических процессов, данное слово приобрело дополнительное значение „глупый человек, тугодум“. В разговорной речи часто используется как экспрессив с активизацией оценочного компонента. Сюда же можно отнести ранее рассмотренное *дзуар* „крест“ и самостоятельные составные наименования, образованные с его участием.

Из рассмотренных нами групп грузинских заимствований наибольшее внимание привлекает, конечно, третья, поскольку выявление первоначальных смыслов и значений иногда приводит к очень интересным фактам и умозаключениям.

В числе заимствований особняком стоит группа слов, вошедших в осетинский язык как названия традиционных национальных праздников, божеств и обнаруживающих явно грузинское происхождение. К примеру, *Джеоргуба* – праздник св. Георгия в ноябре; *Мыкалгабыртæ* – название божества и святилища; *Таранджелос* – название божества и святилища; *Кæсутæ* – весенний праздник, обрядовое шествие к реке молодых женщин селения, вышедших в течение минувшего года или ранее замуж, но еще не родивших детей. Эти и другие религиозные названия, отражающие традиционные верования осетин, не ограничиваются лишь лексическим заимствованием. С ними связаны сложнейшие культурные, исторические и духовные взаимоотношения на протяжении нескольких веков, изучение которых требует принципиально иного подхода. Именно поэтому данная группа выносится нами за рамки предложенной классификации.

На современном этапе развития осетинского языка заимствования из грузинского сведены до крайнего минимума ввиду отсутствия некогда существовавших социально-культурных связей двух народов. Большой частью они связаны с названиями национальной грузинской кухни, которая получает широкое распространение и среди носителей других языков и культур.

Литература

1. *Абаев В.И.* Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.1. – М.-Л.: Наука, 1958.
2. *Абаев В.И.* Из осетинского эпоса. М.- Л., 1939. С.76.
3. *Андроникашвили М.К.* Очерки по иранско-грузинским взаимоотношениям. I. Тбилиси, 1966.
4. *Бесолова Е.Б.* Язык и обряд: Похоронно-поминальная обрядность осетин в аспекте ее текстуально-вербального выражения. Владикавказ: ИПО СОИГСИ, 2008. – 408 с.
5. *Дзадзиев А.Б., Дзуцев Х.В., Караев С.М.* Этнография и мифология осетин. Краткий словарь. Владикавказ. 1994. С. 44.
6. *Козырева Т.З.* Лексика осетинского языка с точки зрения ее исторического происхождения //Известия СОНИИ, Том XXXIII, выпуск 1. 1962.
7. *Миллер Вс.* Осетинские этюды. Владикавказ, 1992. – 512с.

Источники:

1. *Абаев В.И.* Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.1. – М.-Л.: Наука, 1958; Т.2.- 1973; Т.3 – 1979; Т. 4 – 1989.
2. *Нарты кадджытæ* (Нартовские сказания) Кн.1. Владикавказ, „Ирыстон“. 2003; Кн.2 – 2004; Кн. 3 – 2005.
3. *Осетинско-русский словарь* / Составители Б.Б. Бигулаев, К.Е.Гагкаев, Н.Х. Кулаев, О.Н. Туаева (Ред. А.М.Касаев) – 4-е изд. – Владикавказ. 1993

Morgoeva Larisa

Vladikavkaz, Russia

SEMANTIC TRANSFORMATION OF THE GEORGIAN LOANWORDS IN THE OSSETIAN

1. We know, that an important source of research of the historical relations between the peoples is the language in which perfectly reflects all of the historical events and cultural contacts, as evidenced by loanwords. For example, a significant layer of lexical loanwords in the Ossetian from Georgian language allows testifying the centuries-old ties between the two peoples on almost all planes and spheres of their lives.

2. Lexical loanwords, falling to a different language soil are undergoing significant changes as phonetic and semantic. Together

with loanwords from other languages layer of lexical loanwords from the Georgian language was subjected to definite transformations corresponding to the language laws. This particular aspect of its lexical loanwords attracted the attention of researchers.

3. The all loanwords constitute three main groups: 1) the words preserved their phonetic and semantic form of condition in its original form; 2) the words completely came out from the active usage and partly recruited to archaisms and historicism; 3) the words that due to the complete phonetic and semantic transformation acquired an additional value and / or "new life." Of these three groups of our attention, the third group since the initial detection of meanings and values sometimes lead to some very interesting facts and conclusions.

4. The first group of words that have preserved their relative integrity, as a rule, are the words of a) household content: *tsyna* "rick, haystack," *kalati* "basket cells" and others. b) toponymic names and terms associated with highlands: *tsiti* "glacier" *sychi* "chamois" *tsala* "valley" *kalak* "city", etc .; c) the names of vegetable crops: *dzhitri* "cucumber" ball "cherry" *kakali* "walnut" *bityna* "mint" *bulk* "radish" and others. The second group includes the words found their fundamental use only in historical or folklore texts: *dzumari* "vinegar" *garachi* "butter" *kazi* "demon spirit of hell" and others. The third group includes *gaga* "eyeball, the apple, the pupil "+" core essence"; *tsulber* "leech" + bloodsucker, a tormentor "(portable.)" *gukyna* "doll" + "little girl"; *guymiry* "giant club idol" + "foolish man, slowpoke" and others.

პოპიაშვილი ნინო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

ომისა და ანტიომის ლიტერატურა

(თანამედროვე ქართული და ოსური
ლიტერატურის მაგალითზე)

ომის ლიტერატურა, როგორც ტერმინი, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. თავდაპირველად ის აღნიშნავდა პირველი მსოფლიო ომის თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ, ტერმინმა გაიმყარა და გაიფართოვა მნიშვნელობა. დღეს ომის ლიტერატურაში მოიაზრება ყველა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ომის თემატიკაზეა შექმნილი. ეს არის საერთო სახელწოდება ტექსტებისა, რომლებიც ინსპირირებულია ომით. ომის ლიტერატურა მოიცავს იმ ტექსტებსაც, სადაც საომარი მოქმედებები არ არის აღწერილი, მაგრამ ომის გამოცდილებაა ნაჩვენები, მათ შორის: შიში, მწუხარება, განშორება, გარდაცვალება, დევნა, გადასახლება, იმედები და მოლოდინები. აღნიშნული ტერმინი მოიცავს იმ ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც, რომლებიც ეხება ომისშემდგომ ეთიკურ, ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ ასპექტებს.

ერნესტ ჰემინგუეის „მშვიდობით, იარაღო“ ომის ლიტერატურის კლასიკური ნიმუშია. რომანი 1929 წელს დაიწერა. ეს არის ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანი, რომლის მთავარი თემებია პირველი მსოფლიო ომი და სიყვარული. პირველ პირში დაწერილი რომანი მოგვითხრობს ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას, რომელიც ომის მსვლელობისას განვითარდა. რომანში ლეიტენანტსა და მონკალების დას, ქეთრინ ბაკლის, შეუყვარდებათ ერთმანეთი. წყვილი ბედნიერია, მრავალმხრივი დაბრკოლებების მიუხედავად, შეყვარებულები კვლავ პოულობენ ერთმანეთს, თუმცა განა შეიძლება, ომგამოვლილი ადამიანები ბედნიერები იყვნენ? ფრედერიკ ჰენრი და ქეთრინ ბაკლი შვალს ელოდებიან, რომელიც მკვრადმოზილი დაიბადება. ქეთრინი სისხლისდენისგან იღუპება, ხოლო ჰენრი მარტო რჩება.

ერის მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ (გერმ. „Im Westen nichts Neues“) 1929 წელს შეიქმნა. 1930 წელს შედგა მისი ეკრანიზაცია და ფილმი ოსკარით დაჯილდოვდა. აღნიშნულ ნაწარმოებზე ფილმი მეორედ 1976 წელს გადაიღეს. ეს რომანიც პირველ მსოფლიო ომს ეხება და ავტობიოგრაფიულ შტრიხებს შეიცავს. როგორც ცნობილია, თავად რემარკი პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა და არაერთხელ იყო დაჭრილი. რომანის მთავარი პერსონაჟი,

რიგითი ჯარისკაცი პაულო, აღწერს პირველი მსოფლიო ომის საშინელებებს. პაულო 18 წლის ჭაბუკია, ომისთვის ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად სრულიად მოუმზადებელია.

მთავარი პერსონაჟი საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმისთანავე აცნობიერებს ომის უაზრობას, თუმცა შემდეგ, ომის განვითარებისას, დაბომბვების სერია, დალუპულები და დაჭრილები კიდევ უფრო აბსურდულს ხდის ბრძოლის მიზანს. იქ, სადაც სიცოცხლე მთავრდება, არ ფიქრობენ იდეალებზე. ვინ არიან რემარკის რომანის პერსონაჟები? ისინი არ არიან გმირები, მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ადამიანები არიან. რომანში ჰეროიკული იდეალები სრულიად გაფერმკრთალებულია ჯარისკაცების რთული ცხოვრების აღწერით. ამ ახალგაზრდების ცხოვრება პირდაპირ ომით დაიწყო, ისინი ომში დავაჟკაცდნენ. რა შეუძლიათ მათ ომის დასრულების შემდეგ? მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები ყველაზე მეტად ელოდებიან ომის დასრულებას, მათ უკან დაბრუნება და ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრება ძალიან გაუჭირდებათ, მათ მხოლოდ ომი იციან, მშვიდობა — არა. პაულო ამაში მალევე რწმუნდება, როდესაც შვეტლებით ჩადის სახლში, ყველაფერი ეუცხოვება, ოჯახის ნევრებთან საერთო ენას ვერ პოულობს. ფრონტის ხაზზე დაბრუნებული ჯარისკაცი სკოლის მეგობრებს კარგავს, ხოლო ბოლოს, ომის ბოლო დღეებში, როცა ყველაზე მშვიდი პერიოდი იდგა, რომანის მთავარი გმირიც იღუპება. ეს ის დროა, როცა გაზეთები დასავლეთის ფრონტზე წერდნენ: „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“. ომისთვის ერთი ადამიანის სიკვდილი ფრონტის სიმშვიდის დარღვევას არ ნიშნავს...

ომის ლიტერატურის ჟანრს განეკუთვნება ასევე ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, სადაც სიუჟეტი ვითარდება 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის ფონზე. ასევე, დომენიკ რიხერტის „საუკეთესო შესაძლებლობა სიკვდილისათვის“ (1989), რემარკის „გზა შინსაკენ“ (1931) და სხვა.

დღეისათვის არსებობს ომის ლიტერატურის განვითარებული ტერმინი: ანტიომის ლიტერატურა, რომელშიც იგულისხმება ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებები, სადაც საუბარია ტოლერანტობასა და შემწყნარებლობაზე, ომის აბსურდულობაზე, მშვიდობაზე, ადამიანის უფლებებზე. ანტიომის, ანუ იგივე, ანტიმილიტარული ლიტერატურა, როგორც ლიტერატურული ჟანრი, პაციფისტური შეხედულებების კვალდაკვალ შეიქმნა.

მეოცე საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის ნგრევისა და ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებისთანავე რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტის კერა გაჩნდა. მათ შორის, საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ოლქსა და აფხაზეთში. ასევე, 2008 წლის აგვისტოში, მსოფლიო საომარ მოქმედებებთან შედარებით, პატარა, მაგრამ ქარ-

თველი, ოსი და აფხაზი ხალხებისათვის მასშტაბურმა საომარმა მოქმედებებმა ღრმა კვალი დააჩნია როგორც ქვეყნის მდგომარეობას, ასევე ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთობას.

ქართულ-ოსური ურთიერთობები მრავალჯერ ყოფილა ლიტერატურული დამუშავების საგანი. მათ შორის, მეოცე საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტი და 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები თანამედროვე ქართულ და ოსურ ლიტერატურაშიც არის წარმორჩენილი.

2014 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა წიგნების სერია „მშვიდობის მწერლები“, სადაც ქართველი და ოსი თანამედროვე ავტორების ტექსტებია დაბეჭდილი. უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის გამოცემამდე ავტორები რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს ნეიტრალურ ტერიტორიაზე. ურთიერთგაზიარების შედეგად კი ომის თემაზე, ანტიომის, ანტიმილიტარული ჟანრის მათი წინარმოებები კრებულებად გამოვიდა.

დათო ტურაშვილის მოთხრობაში, „აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი“, მოქმედება 90-იან წლებში მიმდინარეობს. მოთხრობას ორი მთავარი გმირი ჰყავს: მდიდარი მამის მიერ გერმანიაში გაგზავნილი ქართველი სტუდენტი ბიჭი და აფხაზეთიდან დევნილი, გერმანიაში ლტოლვილის სტატუსით თავშეფარებული გოგო. ბიჭი ჯერ ლაიპციგის უნივერსიტეტში სწავლობს, ხოლო შედეგ გადანყვეტს სწავლა გააგრძელოს გერმანიის ჩრდილოეთით, საზღვაო აკადემიაში. სწორედ აქ, ჩრდილოეთ გერმანიის ერთ პატარა ქალაქში შეხვდება ქართველ გოგოს, დევნილს, რომელიც თავს არალეგალური მუშაობით, პროსტიტუციით ირჩენს. გოგონას აფხაზი შეყვარებული მოუკლეს. სულიერად ტრავმირებული ქალისთვის თითქოს სულ ერთია, რა ცხოვრების წესით იცხოვრებს. შეხვედრის შემდეგ ორივე ხვდება, რომ მათ მეტი აქვთ საერთო. ბიჭი გადანყვეტს, გოგონა ცოლად მოიყვანოს, თუმცა ყველაზე რთული გოგონას გათავისუფლება აღმოჩნდა. სწორედ იმ დროს, როცა თითქოს ყველაფერი მოგვარდა, გოგონას იმ ბარის მეპატრონეები კლავენ, რომელშიც მუშაობდა.

დათო ტურაშვილის მოთხრობას ორი მთხრობელი ჰყავს: გოგო თავის ისტორიებს ჰყვება, ბიჭი – თავისას. თითქოს თავიდანვე იგულისხმება, რომ ორი ხმა უნდა შეერთდეს, რომ ისინი აუცილებლად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა რა უნდა მოხდეს შეხვედრის შემდეგ? ომის, დევნისა და უსახლკარობის განცდების შემდეგ შეიძლება, რომ ადამიანები დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ? შესაძლებელია მოთხრობის ბედნიერი დასასრული? რა თქმა უნდა, არა. ტექსტის მთავარი პერსონაჟი იღუპება, ტკივილი და საშინელების განცდა მეორე პერსონაჟს ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება.

ვინ არის ბედნიერი ომის შემდეგ? ეს შეკითხვა ხშირად გაისმის ანტიომის ჟანრით დაწერილ ტექსტებში, მათ შორის, თანამედროვე ქართველ და ოს ავტორებთან.

თამერლან თადტაევის მოთხრობები ძირითადად ავტობიოგრაფიულია. სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სამხედრო დაპირისპირებებშიც მონაწილეობდა. ომის ქრონიკების ლაკონური, მაგრამ მძიმე ისტორიები სწორედ ომის სისასტიკეზე გვიყვება. მოთხრობაში, „არაფორმალები“, მოქმედება ომის ხაზზე ვითარდება. შეიარაღებული ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ეთნიკურ ქართველს, მოხუცი ოსი შემოაკვდება, რასაც იგი საკუთარ თავს ვერ პატიობს. ეს არის ომის საშინელება, ომის აბსურდულობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი. ავტორის ჩანაფიქრიც აშკარაა: ის გვიყვება ამბავს, რომელიც ომის ყველაზე დიდ სისასტიკეს გვიჩვენებს, რომ ომის მსხვეპლნი უმეტესად უდანაშაულო ადამიანები არიან, მოთხრობის მოხუცი პერსონაჟით სრულიად უდანაშაულო: „იმ სოფელში მოხუცი დარჩა... რატომ არ წავიდა სხვებთან ერთად? ალბათ ფიქრობდა: ვინ აწევს ხელს ასეთ მოხუცზე? სახლიდან გამოვიდა, ჯოხს ეყრდნობოდა და მეც მომეჩვენა, რომ გულ-მკერდზე დაკიდულმა მედლებმა წამით მოხარა წელში. მოხუცმა სიგარეტი მთხოვა. მას „მალბროლოს“ კოლოფი მივეცი და გაუხარდა: მადლობა, შვილოო. აკანკალებული ხელით ამოიღო ერთი ცალი და მოუკიდა. ალბათ ეშმაკი იჯდა ჩემში. მოწევა დაამთავრა თუ არა, მაშინვე ვესროლე. მას შემდეგ სიმშვიდე დავეკარგე. სიზმარში მეცხადება და ჯოხით მცემს, რომელსაც ეკლები ეზრდება. ასე აღარ შემიძლია...“ (გვ. 29), - ყვება მოთხრობის მთავარი გმირი.

თამერლან თადტაევის მეორე მოთხრობაც, „შვილი“, ფრონტის ერთ-ერთი, ყველაზე მძიმე და მტკივნეული ეპიზოდია. მოთხრობა პირდაპირ ომის შუახაზიდან იწყება. ზაფხულია, ცხელა და ომია. ჯარისკაცებს ლიახვში ბანაობა ოცნებათ ქცევიათ. სულ ორნი არიან, მთხრობელი და მისი მეგობარი, ხრიაკი... და, რა თქმა უნდა, მტერიც. მოულოდნელად ნაღმი ფეთქდება და მთხრობელი იღუპება. ტრაგიზმით სავსეა დედის დატირება: „ყოველ ჯერზე, როცა ავტომატით ხელში გარბოდი სახლიდან, უკვე გასაფლავებდი და გემშვიდობებოდი, მაგრამ საკემარისი იყო დაბრუნებულიყავი, რომ ვამაყობდი ასეთი ვაჟკაცი რომ მყავს... ცოლი მაინც მოგეყვანა. გოგონაც შეგირჩიე მაშინ, გახსოვს? მაგრამ რატომღაც არ მოგეწონა. ის კი, რომელიც გიყვარდა, აქედან წავიდა. შენ კი მაინც გინდოდა მისი გულის მოგება გმირობებით. შენ იყავი გმირი, მაგრამ მის მშობლებს სძულდი. მაინც არ მოგაყვანინებდნენ ცოლად... მკვლელს და ნარკომანს გეძახდნენ, იმიტომ, რომ წამლებს ყლაპავდი და შენი სიმამაცე ბევრს არადაამაჯერებლად ეჩვენებოდა. არავის მოუვიდოდა თავში, რომ ავადმყოფი გული გაქვს. ამ წამლებს ჯიბით იმიტომ ატარებდი, რომ შეტევის დროს დაგჭირდებოდა“ (გვ. 41).

ანტიომისა და ანტიმილიტარული ჟანრის ნაწარმოებების ავტორები ხშირად ყოფილი მებრძოლები არიან. ისინი, ვისაც ომის

საშინელება საკუთარ თავზე გამოსცადა, ვისაც არაერთხელ გაუ-
აზრებია ომის აბსურდულობა. კობა გაგლოევი ცხინვალში დაიბა-
და. იყო სპორტსმენი, იბრძოდა ავღანეთში, იბრძოდა ქართულ-
ოსური კონფლიქტის დროს, 1990-იან წლებში. ამჟამად მესამე
ჯგუფის ინვალიდია. ბიოგრაფიული შტრიხებით არის დატვირთუ-
ლი კ. გაგლოევის მოთხრობა „მწყემსი“. 1991 წელია. „დაუსჯელობა
ბადებს თავზეხელაღებულობას, განსაკუთრებით, ომის დროს. ზო-
გი სულელურად არის დარწმუნებული, რომ ომი სამუდამოდ გას-
ტანს და მათ მიერ ჩადენილი ბოროტება ყველას მიავინყდება. ასე-
თი ადამიანები გადადიან ადამიანურობის ზღვარს და უკან ტოვებ-
ენ ყველაფერ იმას, რითაც ღმერთმა დაგვაჯილდოვა“ (გვ. 21).
მოთხრობის მთავარი პერსონაჟი პირველ პირში საუბრობს და
გვიყვება ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს მომხდარ ამბავს,
თუ როგორ იხსნა სიკვდილით დასჯისაგან ოსმა მეომარმა უდანა-
შაულო ქართველი მწყემსი და როგორ დასაჯა ოსი დამნაშავეები,
რომლებიც ცდილობდნენ, თავიანთი დანაშაული ქართველი მწყემ-
სისთვის დაებრალეზინათ.

ბიოგრაფიულია კობა გაგლოევის მოთხრობა „ბასმაჩიც“: „რო-
გორც ყველამ, ჩვენც იარალი ავიღეთ ხელში ჩვენი ქალაქებისა და
სოფლების დასაცავად. ომი დღითიდღე ცხოვრების ჭუჭყიანი ჭაო-
ბის ფსკერზე გვითრევდა. მორალურად და სულიერად ვიცვლებო-
დით, თითქოს სხვა ადამიანებად ვიქცით. როგორც ყველა სხვა
ომმა, ჩვენმაც შვა გმირები. ქართველების მხარესაც იქცა ალბათ
ბევრი გმირად – ასეთია ომის კანონი“ (გვ. 25-26). მცირე ტექსტის
მთავარი გმირი ოსი მეომარია, მეტსახელად ბასმაჩი, რომელიც
თავგანწირვით იბრძვის თანამებრძოლობთან ერთად, ხოლო როცა
მიხვდება, რომ ბრძოლა უთანასწოროა, ქართველები ბევრნი არიან
და შეიძლება ყველანი დაიღუპონ, თანამებრძოლებს გადაარჩენს
და თვითონ იღუპება. ბასმაჩის ბრძოლაში იყო ჰეროიკული თავ-
განწირვა, მაგრამ ტექსტის ფინალში ტრაგიზმი კიდევ უფრო მძაფ-
რდება: ერთ-ერთი ქართველი მეომარი მოკლულ ბასმაჩში თავის
მეგობარს ამოიცნობს. ალოჩნდა, რომ ორივე ერთად იბრძოდნენ
ავღანეთში. ოსმა მეომრებმა დაინახეს, „ცხედართან მუხლებზე
დამხობილ წვერიან ქართველს ხელში უსულო ბასმაჩის ხელი ეჭი-
რა და ბლაოდა: ... ღმერთო, ამ ცოდვას ვერასოდეს გამოვისყიდო...
მე ჩემი ძმის მკვლეელი ვარ...“

გამოსამშვიდობებელი ზალკი მხოლოდ ოსების მხრიდან არ ყო-
ფილა, ქართველებმაც გამაყრუებელი სროლით გააცილეს ბასმა-
ჩი“ (გვ. 27). ეს არის ომის სხვა სახე, ყოფილი მეომრის თვალით და-
ნახული ყველაზე ტრაგიკული ამბები.

თანამედროვე ქართველი ავტორის, ბექა ქურხულის მოთხრო-
ბა „რიგითი ყირგიზის გადასარჩენად“ არ არის ომზე, თუმცა ავტო-

რის ჩანაფიქრი, ქართულ-ოსური ურთიერთობების პოზიტიური ამბით გადმოცემა აშკარად არის ანტიომის ჟანრი. საბჭოთა კავშირის დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურს ერთად იხდის ათასობით საბჭოთა ახალგაზრდა მამაკაცი. მთხრობელი, ქართველი ვაჟი, განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს კავკასიელებთან პოულობს. კავკასიელები დანარჩენი საბჭოეთის წინააღმდეგ გაერთიანებულან. მოთხრობის კულმინაციაა სატვირთო მანქანების მანევრი, სადაც ქართველი სამხედრო მეგობარი ოსის გადარჩენას ცდილობს. ზამთარია, მთვრალი რუსი ოფიცერი სამხედროებს გაყინულ მდინარეზე მანქანებით გავლას ავალებს. სამინ არიან: ქართველი, შუააზიელი და ოსი. ერთ-ერთი მანქანის ქვეშ ყინული ტყდება. მანქანა იძირება. ქართველი ფიქრობს, რომ ეს მისი მეგობარი ოსია და დაუფიქრებლად ხტება მდინარეში. ვითარებას კომიკური ელფერი ენიჭება მას შემდეგ, რაც აღმოჩნდება, რომ ოს სამხედროს საფრთხე არ ემუქრებოდა და ქართველმა ყინულიან მდინარეში დაღრჩობას შუააზიელი გადაარჩინა.

დაკარგული ტერიტორიები, დანგრეული სახლები, მიტოვებული და გაუკაცრიებული გარემო, ნოსტალგია, დევნილობისა და უსახლკარობის შეგრძნებები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მრავალჯერ აისახა. ეთერ თედიაშვილი ცხინვალში დაიბადა, თუმცა 90-იანებში იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა. მის მოთხრობებში მთავარი მთხრობელი დევნილი ქალია. უიმედო მოლოდინი უკვე ყველა დევნილს შემოძარცვია, სევდიანი განწყობა ყოველი ეპიზოდის თანმდევი.

აღან ცხურბაევი თბილისში დაიბადა. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო საცხოვრებლად ვლადიკავკაზში გადავიდა. მისი მოთხრობა: „2008 წელი. აგვისტო. სამხრეთ ოსეთი. ავნევი. კორადო კატანი“, აგვისტოს ომის ერთ-ერთ დღეს მომხდარ ამბავს გვიყვება. ომი უკვე მომხდარია, 14-15 აგვისტოა, ქართველებისაგან დაცლილია ქართული სოფლები. ცხინვალელი თემური მთხრობელთან ერთად მიდის სოფელ ავნევი თავისი ქართველი მეგობრის სახლის მოსანახულებლად. „მანქანიდან ოსური დროშა გადმოვკიდეთ და ქართული სოფლებისკენ გავემურეთ. გზად სრული ქაოსი იყო, იწვოდა სახლები, სამოქალაქოფორმიანი ვიღაც ტიპები ეჭვითა და ცუდი თვალით გვიყურებდნენ... გავიფიქრე, ამ პატარა ქართულ სოფელში, რომელიც არ ემორჩილებოდა არც სამხრეთ ოსეთს და არც ქართულ ხელისუფლებას, დრო გაჩერდა... საღამოს, როცა ცხინვალის ნანგრევებში დავბორიანობდი, ვფიქრობდი ხან იმ ფრონტზე, ხანაც მოხუცებზე და ვერ გამეგო, რატომ მომხდარიყო ის, რაც მოხდა“ (გვ. 56-58).

ქართველი და ოსი ავტორების კრებულები საერთო სახელწოდებით, „მშვიდობის მწერლები“, მცირე პროზის ლიტერატურულ

ჟანრშია შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტების ავტორები სხვადასხვა თაობის, ლიტერატურული გემოვნებისა თუ ლიტერატურული გამოცდილების მქონე ადამიანები არიან, ამ კრებულებს მშვიდობის იდეა აერთიანებს.

რას გვიყვება ქართულ-ოსურ თემებზე დაწერილი მოთხრობები? რაზე მოგვითხრობენ „მშვიდობის მწერლები?“

ბიოგრაფიული სიუჟეტები, დოკუმენტური ჟანრი, ომის სისასტიკე, ტკივილით სავსე ფრაზები, ხშირად, ავტორის თუ მოთხრობელის მიერ მხოლოდ შტრიხებით მოხაზული სათქმელი, თითქოს იმის შეგრძნებასაც ტოვებს, რომ აქ მთავარია შინაარსი და არა ფორმა, მთავარია იდეა და არა ის, თუ როგორ არის იგი სიტყვაში ჩამოქნილი და განსხეულებული. ეს კრებულები განსაკუთრებული აკადემიური ატრიბუტიკის, გამოცემის ადგილის, ნიგნის საიდენტოფიკაციო ნომრის გარეშე გამოდის. ვრცელდება მხოლოდ დაინტერესებულ წრეებში, მაგრამ პროფესიონალი თუ მოყვარული, დამწყები თუ განაფული ავტორების ტექსტები, სადაც მთავარი აქცენტია არა სიძულვილს, არა ომს, - მკითხველს აუცილებლად იპოვის. ანტიომის, ანუ ანტიმილიტერული ლიტერატურის მთავარი დანიშნულებაც სწორედ ის არის, ომის აბსურდულობის, ომის უაზრობის არსი ბოლომდე იყოს გააზრებული.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

გაიგერი 1974

Klaus F. Geiger: Kriegsromanhefte in der BRD. Inhalte und Funktionen. Untersuchungen des Ludwig-Uhland-Instituts der Universität Tübingen, Bd. 35. Tübinger Vereinigung für Volkskunde, Tübingen 1974.

მშვიდობის მწერლები, 1

მშვიდობის მწერლები, 2014

მშვიდობის მწერლები, 2

მშვიდობის მწერლები, 2014

მშვიდობის მწერლები, 2

მშვიდობის მწერლები, 2014

რემარკი 1931

„დასავლეთის ფრონტი უცვლელია“. თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიამ, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1931

ჰემინგუეი 1992

ერნესტ ჰემინგუეი, მშვიდობით, იარაღო! (ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ, თბ., 1992)

Popiashvili Nino

Tbilisi, Georgia

**LITERATURE OF WAR AND ANTI-WAR
(Based on the examples of modern Georgian and Ossetian
Literatures)**

‘War literature’ as a term was coined in the beginning of the twentieth century. At first it applied to all literary texts created on the topic of war after the First World War. Later, during the Second World War and by the end of it the term’s value expanded. The war literature nowadays is the product of all the literary works that are created in the war. Common name of the war literature texts, which are inspired by the war, is war-related. War literature includes the texts, where military operations are not described, but the experiences of war are shown, including: fear, grief, separation, death, persecution, exile, hopes and expectations. The term includes the literary works of the post-war concerning the ethical, philosophical, and social aspects.

At present, there is no ‘War literature’ as a term, but a new one evolved called ‘Anti-war literature’, which includes such literary works, which deals with tolerance and tolerance of the absurdity of war, peace, human rights.

Georgian-Ossetian relations repeatedly have been the subject of literary processing. Among them, the twentieth century, 90 years of conflict and the events of August 2008 is presented Georgian and Ossetian literature. The report will discuss the war and anti-war literature of modern Georgia and Ossetia.

სატკოვეი ნინო

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი.
ექსპერტ-სპეციალისტი*

ქართულ-ოსური ურთიერთობის ამსახველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა გამორჩეულია თავისი ხანგრძლივობით და მასშტაბურობით. ამაზე მეტყველებს ის მრავალფეროვანი სამუზეუმო კოლექციები, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდსაცავებში (სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ და სხვა).

ესაა არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმიზმატიკური, დოკუმენტური და ფოტო-კოლექციები.

1919 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი გახდა სამართალმემკვიდრე ყოფილი „კავკასიის მუზეუმისა“, რომელიც ერთ-ერთი პირველი მუზეუმი იყო კავკასიაში, სადაც ქართულ კოლექციებთან ერთად კავკასიელ და სხვა მეზობელ ხალხთა მასალაც იყრიდა თავს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე.წ. ყობანური კულტურის (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი) არქეოლოგიური კოლექცია ჩრდილოეთ ოსეთიდან. ოსეთის ამ უძველესმა მოსახლეობამ შემნა თავისებური, საკმაოდ განვითარებული კულტურა, რომელიც მეზობელ ხალხთა კულტურებთან მჭიდრო კავშირის პირობებში ვითარდებოდა. აღსანიშნავია ამ კულტურის მსგავსება და სიახლოვე დასავლეთ საქართველოს ე.წ. კოლხურ კულტურასთან, რაც მათ შორის ფართო ეკონომიკური და კულტურული კავშირის არსებობას მონიშნავს. ამაზე მიუთითებს ყობანსა და კოლხეთში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულებების დიდი მსგავსება.

მრავალფეროვან თემატიკას აშუქებს ფოტო, ნეგატივებისა და ღია ბარათების კოლექცია, რომელთა დიდი ნაწილის ავტორები არიან პირველი ფოტოგრაფები საქართველოში ალექსანდრე როინაშვილი და დიმიტრი ერმაკოვი. აქ მრავლადაა წარმოდგენილი ოსური ტიპაჟი, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა სახეები, ჯგუფუ-

რად თუ ინდივიდუალურად. აღსანიშნავია ღია ბარათი, სადაც იმერელი და ოსი ერთადაა დაფიქსირებული. ისტორიას თუ გადავხედავთ, ამ ორი ხალხის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისის საქალაქო ცხოვრებაში.

ყურადღებას იქცევს ოსი ქალების და მამაკაცების ფოტო, რომელიც დიდ მსგავსებას იჩენს რაჭველთა ანალოგიური შინაარსის ფოტოსთან. ისინი ხომ ურთიერთობების დიდი ინტენსიურობით გამოირჩეოდნენ.

ოსთა ყოფაცხოვრებას, მათ შრომასა და დასვენებას გადმოგვცემს ფოტოები „შალის მქსოველი ოსი ქალები“ და „ოსების ცეკვა“. ღია ბარათების ამავე სერიას ეკუთვნის „ქართველების ცეკვაც“.

ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის საქმეში დიდ როლს ასრულებდა კავკასიონის ქედზე გამავალი საუღელტეხილო გზები და ბილიკები. თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდნენ „საქართველოს სამხედრო გზა“ და „ოსეთის სამხედრო გზა“. ფოტოკოლექციის ამ სერიის ფოტოებში მრავლადაა ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის ამსახველი მომენტები. მაგ; „ოსების საცხოვრებელი სახლები მლეთაში“, „ოს მილიციელთა საგუშაგო“, „ოსების სოფელი“, „ღვინით დატვირთული ოსური ურემი“ და სხვა.

ფოტოფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ქართველი და ოსი ხალხის ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ამ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორიაში. ესენია:

გაიოზ რექტორი, მოზდოკის ეპისკოპოსი, პირველი ოსური ნაბეჭდი წიგნის ავტორი, ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ნდობით აღჭურვილი პირი; დანიელ ჭონქაძე, ქართველი მწერალი, ოსური ენის მასწავლებელი თბილისის და სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნების მთარგმნელი; კოსტა ხეთაგუროვი, ოსი პოეტი, მხატვარი, დიდი საზოგადო მოღვაწე და ოსი ხალხის წინამძღოლი, ქართული კულტურის მოღვაწეთა დიდი მეგობარი; მიხეილ ყიფიანი, ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი თავმჯდომარე 1871–91 წწ-ში; ნიკოლოზ ბერძნიშვილი, ლიტერატორი, ეთნოგრაფი, ავტორი ნაშრომისა „ოსების ზნე-ჩვეულებების შესახებ“, „ოსური საფო“; ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეები. ლეონიდე ოქროპირიძე-მისიონერი ჩრდილოეთ ოსეთში, ოსური სკოლების დამაარსებელი როკასა და ედისაში; დიმიტრი არაყიშვი-

ლი, ქართველი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, ოსური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შემგროვებელი; ლუ-არსაბო ბოცვაძე, საზოგადო მოღვაწე, 1888 წელს დაარსებული ვლადიკავკაზის ქართული სკოლის პედაგოგთა ჯგუფთან ერთად.

შუასაუკუნეებში ქართულ-ოსურ კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდა გახშირებული დინასტიური ქორწინებების წყალობით, რაც სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური კავშირის განმტკიცების საშუალებას წარმოადგენდა. ზუგდიდის დადიანების სასახლის მუზეუმში ინახება ღვთისმშობლის ხატი ხობის მონასტრიდან. ხატის XIII ს-ის წარწერაში მოხსენიებულია გიორგი III-ის მეუღლე, დედოფალი ბურდუხანი, რომელზედაც წყაროში ნათქვამია, რომ იგი „ჰმატდა სიკეთითა ყოველთა დედათა, მისებრი რძალი არ ეხილვა ქართლისა თემსა...“.

ხელოვნების მუზეუმის ნეგატივების ფონდშია დაცული 1196 წლით დათარიღებული ყმების შენირულების სიგელი მეფე თამარისა შიო მღვიმის მონასტრისადმი; დოკუმენტს ხელს აწერენ თამარ მეფე, დავით სოსლანი და გიორგი ჭყონდიდელი. ნეგატივი დათარიღებულია XX ს-ის დასაწყისით. დედანი დოკუმენტისა დაკარგულია I მსოფლიო ომის წლებში.

აღნიშვნის ღირსია თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი 1200 წლით დათარიღებული სპილენძის მონეტა.

ფოტოშია წარმოდგენილი გრაფიურები „ოს-ბაყათარი“, „ბორენა დედოფალი“, „დავით სოსლანი“.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ქვის ფონდშია დაცული ზედაზნის ტაძრის კანკელის ფილა, სადაც ოსთა მეფე ორდუხ (დედოფალ ბორენას მამა) და კახეთის მეფე-ქორეპისკოპოსი კვირიკე III არიან გამოსახულნი. ექსპონატი XI საუკუნითაა დათარიღებული.

ამავე მუზეუმის მონუმენტური ფერწერის ფონდში ინახება ჩრდილოეთ ოსეთის ნუზალის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის XIV ს-ის ეკლესიის ფრესკების ასლები „წმიდა იოანე ნათლისმცემელი“, „წმიდა რომანოზი“, „განედლებული (აყვავებული) ჯვარი“, „ოს დიდებულთა ჯგუფი“. აღნიშნულ ფრესკებზე გამოყენებულია ქართული ასომთავრული წარწერები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ და ოსურ კულტურათა მჭიდრო კავშირს.

რარიტეტულ ლიტერატურას მიეკუთვნება საქართველოს ისტორიის მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული იოანე იალღუზიძის (გაბარათი) „ლოცვანი“ ქართულ-ოსურ ენებზე, რო-

მელიც დაიბეჭა 1820 წელს თბილისში. აქვეა დაცული ზაქარია ჭიჭინაძის „ოსეთის ისტორია“, 1913 წელი.

ოსთა განსახლებას შიდა ქართლის ტერიტორიაზე ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასის“ რუკები. მასვე შეუდგენია ქართლის და ოსეთის ღერბები.

თბილისში, ნიკოლოზ ზუბალაშვილის სახალხო სახლში (ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) XX ს–ის დასაწყისში მოქმედებდა ოსური თეატრალური დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მოღვაწე ნიკო გოცირიძე. ამ დასის მიერ თეატრში დადგმული ოსური სპექტაკლების აფიშები ინახება თბილისის ისტორიის მუზეუმში.

საერთო კავკასიურ სამყაროში ცხოვრება, ახლო მეზობლობა, ხშირი ურთიერთმიმოსვლა და კონტაქტები, ხელს უწყობდა კავკასიის ხალხთა ყოფის მსგავსი ფორმების ჩამოყალიბებას. ამაზე მიუთითებს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მრავალფეროვანი კოლექციები. ესენია: ოსური ერდოიანი სახლი (ჯავის რაიონი), ოჯახის უხუცესის სკამები, დიდი და პატარა სირჩები, ოსური ჩანგი, ოსი ქალის თავსამკაული, ოსური ლუდის სასმისების მშვენიერი კოლექცია, ოსური თოჯინა და სხვა.

წარმოდგენილი მასალა ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის ნათელ სურათს ქმნის. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დოკუმენტური მასალის, ისტორიული წყაროების გამოყენება ამ მიზნით, კიდევ უფრო სარწმუნოს და თვალსაჩინოს ხდის საკითხის არსს. ამიტომაცაა დღეს აქტუალური ამ სამუზეუმო მასალის პოპულარიზაცია.

მუზეუმი, როგორც ინსტიტუცია, შეიძლება გახდეს ფორუმი სტერეოტიპების დასამსხვრევად, ახალი შეხედულებების გასაჟღერებლად, ღირებულებათა სისტემის დასაახლოებლად, შეუწყნარებლობის დასაძლევად და ყველა იმ დადებითი გასახსენებლად, რაც ამ ორ ხალხს საუკუნეების მანძილზე ერთმანეთთან აკავშირებდა. მაგრამ ამ ყველაფრისათვის, საჭიროა ელემენტარული კომუნიკაცია ადამიანებს შორის, რაც დღეისათვის ასე შეზღუდულია. საჭიროა ამ ჩიხიდან გამოსვლა.

ქართველებისა და ოსების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა კი იმის გარანტიაა, რომ აწმყოსა და წარსულის გარდა ამ ურთიერთობას ექნება კიდევ უფრო საინტერესო ხვალისდელი დღე და მომავალი.

Satkoevi Nino
Tbilisi, Georgia

**THE CULTURAL LEGACY DEPICTING GEORGIAN-
OSSETIAN RELATIONS IN THE COLLECTIONS OF
GEORGIAN NATIONAL MUSEUM**

Since 2008, the National Museum started to implement the European project ‘Museums, as a space for intercultural dialogue’. According to it the museum, as an institution, can become a forum for new ideas and aid in the downfall of stereotypes. Here are all the conditions for constructive relations with people of different identity and promote their peaceful co-existence.

European project, the number of programs have been implemented in the National Museum and the Museum Union made other museums join in as well. Simon Janashia Museum of Georgia became the legal successor of the property and funds of the former ‘Museum of the Caucasus’, which was one of the first museums in the Caucasus, where materials on Georgia and other neighboring peoples of the Caucasus was gathered. There is numerous and diverse material on Ossetian everyday life and culture. This is photographic, documentary, archaeological, ethnological, numismatic, or other material collections.

The material gives a clear picture about the two brotherly peoples centuries-old, good-neighboring and peaceful coexistence. The world of the living, and relations with close neighbors, and frequent contacts led both cultures and everyday life take common and in some cases similar forms.

This is necessary to promote the history and the museum collections and to enable people and the public see the centuries-old relationship between the Georgian and Ossetian peoples which is a guarantee that this relationship will develop on present stage and maintain a secure future for both nations.

სიხარულიძე ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული
მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ქართულ-ოსური ფოლკლორული ურთიერთობის საკითხისათვის

ხალხის კულტურისა და ეროვნული თავისებურებების შესახებ მსჯელობა იწყება მისი ზეპირსიტყვიერი შემოქმედების შესწავლით, რომელიც მისი თვითმყოფადობის ნათელი სურათია. ამასთანავე, ფოლკლორში პირდაპირ თუ ირიბად აისახება მისი მატარებელი საზოგადოების ურთიერთობები სხვა ხალხებთან, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მსგავს სიუჟეტებში, სახეებსა და მოტივებში. ამ მსგავსებათა სიხშირე და სიღრმე დამოკიდებულია ურთიერთობების ინტენსივობაზე. როდესაც მსგავს ნაწარმოებებზე საუბარი, ძნელია და უსარგებლოც იმის ძიება, თუ ვინ იყო გამცემი და ვინ – მიმღები. სიუჟეტებისა თუ სახეების გადასვლას ერთი ხალხის ფოლკლორიდან მეორე ხალხის ზეპირსიტყვიერ ფონდში განაპირობებდა მსგავსი მსოფლმხედველობისა და საერთო ღირებულებების არსებობა. ორი ხალხის ფოლკლორული შემოქმედების შედარებისას სწორედ ეს ასპექტია მთავარი და გასათვალისწინებელი.

The Caucasus region is a classic example of linguistic and ethnic diversity. Other than Ibero-Caucasian languages here we meet with representatives of different linguistic universe. For centuries, the Iberian-Caucasian languages and another language speaking people and negotiations between the peoples of the territory were of different kinds. In this regard, our concern is the Georgian-Ossetian linguistic relations. Georgian have had a long relationship with ethnic Ossetians in the Caucasus, sometimes hostile, sometimes even friendly. Ossetians settled in Georgia after their relationship became closer, making this the largest influence on linguistic relations between Georgians and Ossetians. Migration of the XIV century gradually intensified as this process started. First settlement of Ossetians on the territory of Truto and Maghrandvalet in Shida Kartli, where they lived along with the local population.

Bilateral economic ties between the people in the valley and of the mountains were a necessity and played an important role in the linguistic relations between Georgians and Ossetians. Ossetians showed great interest in the study of the Georgian language, and vice versa you would meet many Georgians who spoke in the Ossetian language. Historical sources prove that Ossetian children were taught Georgian.

For the purpose, this is mainly carried out through being one's godmother or godfather. Historically is was also very common the Georgian-Ossetian marriages which was a contributing factor for these two ethnic groups to come closer and start mutual study of language. It is also known that the law was adopted that only Christian Ossetians and Georgians could marry. The Christianization of Ossetians by Georgian aided in language studies, because the theological language was Georgian. Georgian society was particularly tolerant of the Ossetian people, language and nationality, which is demonstrated by the fact that during 1990-1991 there were 97 Ossetian schools in Georgia. Georgian scientists have greatly contributed to the Ossetian language learning. Ossetian and Georgian

people of the stated the economic and personal ties contributed to the linguistic relations. Russian colony of the linguistic situation of Ossetians in Georgia has undergone significant changes. The Russian government is trying to replace the Georgian language by Russian and make it Ossetians second language. In this period, the Georgian public figures tirelessly strived to maintain the native Ossetian language and Ossetian ethnic identity. Bolshevik authorities finally managed to alienate Ossetians from Georgians. Despite the struggles of the languages spoken at least two ethnic groups have preserved these many years in the history of relations. Georgian-Ossetian relations show that despite all the attempts from the Russian side there is a number of linguistic studies and a number of works in the field of linguistics: V. Abaev confirmed many Georgian words having Ossetian origin, which is clearly demonstrated in his work 'Essays on the Iranian-Georgian Linguistic relations.'

ფუტკარაძე ტარიელ

*საქართველოს საპატრიარქოს ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის სრული პროფესორი,
ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი*

ცხინვალის მხარესა (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქსა) და აფხაზეთში მიმდინარე „კონფლიქტის“ ტერმინოლოგიური შეფასებისათვის

პირველ რიგში რამდენიმე კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:
გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იან წლებში ვინ დაგეგმა და ვინ მართა საქართველოში მიმდინარე კონფლიქტები?

ცხინვალის მხარესა თუ აფხაზეთში მიმდინარე სისხლიანი და-პირისპირების დროს ვინ იყვნენ კონფლიქტის მთავარი სუბიექტები: ქართველი ერი და ოსი ერი, თუ რუსეთი (მის მიერ მართული მცირერიცხოვანი ჯგუფებით) და საქართველო?

ვის ინტერესებს გამოხატავდნენ ე.წ. დაპირისპირებული მხარეების ლიდერები: ე. შევარდნაძე, ვლ. არძინბა, კოკოთი და სხვები?

იდენტიფიცირდება თუ არა ქართველ ხალხთან აფხაზეთში, სამეგრელოსა თუ თბილისში აგრესიულად მოქმედი "მხედრონი"

და აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველების გენოციდის მომწყობი სამხედრო დაჯგუფებები?

ვის მოუტანა პოზიტიური შედეგი ამ დაპირისპირებამ?

დასამულ კითხვებს ასე შეიძლება ვუპასუხოთ:

მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იან წლებში საქართველოში მიმდინარე კონფლიქტები დაგეგმა რუსეთის ხელისუფლებამ, რომ ხელი შეეშალა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ცხინვალის მხარესა თუ აფხაზეთში მიმდინარე სისხლიანი დაპირისპირების დროს კონფლიქტის მთავარი სუბუექტები იყვნენ, ერთი მხრივ, რუსეთი და რუსეთისგან მართული აფხაზი და ოსი კოლაბორაციონისტები, მეორე მხრივ კი, რუსეთის მიერ საქართველოში დასამული ხუნტის – უკანონო ხელისუფლების – წარმომადგენლები, რომლებიც არ გამოხატავდნენ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის ნებას. მთლიანობაში, ეს იყო რუსეთის აგრესია დამოუკიდებლობისკენ მსწრაფავი საქართველოს წინააღმდეგ და ამ აგრესიის დროს რუსეთმა გამოიყენა როგორც აფხაზეთა და ოსთა ნაწილი, ასევე, ქართველთა მცირე ნაწილი.

სისხლიანი კონფლიქტის დროს იარაღით მეზრძოლი ორივე მხარე რუსეთის შეკვეთას ასრულებდა, შესაბამისად, რუსეთის ინტერესებით მოქმედებდნენ; შედეგად, რუსეთმა მიაღწია თავის მიზანს: შეაფერხა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და საქართველო დააბრუნა რუსულ სივრცეში (დსთ-ში).

მრავალი ფაქტი და გამოკითხვა ათვალსაჩინოებს, რომ ქართველი ხალხის ნებას არ გამოხატავდა და შესაბამისად, ქართველ ხალხთან არ იდენტიფიცირდება მაგ., აფხაზეთში, სამეგრელოსა თუ თბილისში აგრესიულად მოქმედი ე.წ. "მხედრონი". ასევე, შეუძლებელია, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში ქართველების გენოციდის მომწყობი სამხედრო დაჯგუფებები გავაიგივეოთ აფხაზ და ოს ხალხებთან; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორივე მხრიდან სისაძაგლეს ჩადიდნენ დამნაშავეები და არა – ქვეყნისა თუ საკუთარი ერის პატიოვებები.

კავკასიაში პროვოცირებულმა დაპირისპირებებმა სარგებელი მოუტანა მხოლოდ რუსულ იმპერიულ ამბიციებს და არა: ქართველებს, აფხაზებს, ოსებს თუ რუს ხალხს.

შდრ.:

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში პროვოცირებული კონფლიქტების მკლე ისტორია კი ასე გამოიყურება:

1991 წელს კავკასიის სამმა სახელმწიფომ: **საქართველომ, აზერბაიჯანმა და იჩქერია** უარი თქვეს რუსეთის იმპერიულ ველში დარჩენაზე. მომდევნო წლებში რუსეთის ხელისუფლების კოორდინირებით კავკასიის სამივე სახელმწიფოს ხელისუფლება

იარაღის გზით იქნა დამხობილი. განსაკუთრებული სისასტიკით დაისაჯა იჩქერია; არანაკლებ დაზარალდა საქართველო: საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილის გამოყენებით რუსეთმა თავის უშუალო გავლენას დაუქვემდებარა საქართველოს ორ კუთხე: აფხაზეთი და ცხინვალის მხარე. ორივე კუთხეში განახორციელა რუსეთის იმპერიული პოლიტიკისადმი არალოიალურად განწყობილ ავტოქტონ ქართველთა, ასევე: აფხაზთა თუ ოსთა გენოციდი.

კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია ტერმინოლოგიურად შეიფუთა:

რუსეთის სამხედრო შენაერთების მონაწილეობით საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა რუსეთის აქტიურობითვე სახელდებულ იქნა „სამოქალაქო ომად“, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში რუსული აგრესია და ქართველთა გენოციდი „მოინათლა“ ტერმინოლოგიური შესიტყვებებით: „ქართულ-აფხაზური ეთნოკონფლიქტი“ და „ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტი“, ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის დე ფაქტო ხელისუფლებებს უწოდეს „სეპარატისტები“.

სინამდვილეში საქართველოში არ არსებობს არც „ქართულ-აფხაზური“ და არც „ქართულ-ოსური ეთნიკური კონფლიქტი“; კერძოდ, საქართველოს დედაქალაქში, აჭარაში, იმერეთში, ქართლ-კახეთსა თუ სამცხე-ჯავახეთში ამჟამადაც ბევრი ეთნიკური ოსი თუ აფხაზი მშვიდობიანად ცხოვრობს; მეტიც, მათ ყველას გაცნობიერებული აქვთ, რომ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნების მიზნით რუსეთმა გამოიყენა ქართველების, აფხაზებისა და ოსების ის ნაწილი, რომელიც დარჩა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა თუ ცხინვალის მხარეში; შესაბამისად, აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარე „კონფლიქტი“ სახელდებულ უნდა იქნას საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიად, ხოლო აქ მოქმედი დე ფაქტო ხელისუფლებები არა „სეპარატისტებად“, არამედ – რუსეთის სატელიტებად – კოლაბორაციონისტებად.

სამწუხაროდ, აფხაზეთსა და ცხინვალში ორგანიზებული „კონფლიქტები“ ჯერ-ჯერობით საერთაშორისო ველშიც ეთნოკონფლიქტებადაა სახელდებული. დასახელებული არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასებების ასეთი მასშტაბით გავრცელება ცხადყოფს, რომ საქართველო რუსეთთან დღემდე აგებს საინფორმაციო ომსაც.

რეალობაა ისიც, რომ რუსული აგრესიის პირობებში კონფლიქტში ჩათრეულ იქნენ როგორც აფხაზებისა და ოსების ნაწილი, ასევე, ქართველთა ნაწილიც; შდრ.: საქართველოს დედაქალაქსა თუ სხვა არაოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს (ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, სომხებს...) ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა აქვთ და მშვიდობიანად ცხოვრო-

ბენ გვერდიგვერდ. ამ დროს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებიც, აფხაზებიც, ოსებიც, სომხებიც... უფრო და უფრო შორდებიან დანარჩენ საქართველოს მოსახლეობას: ქართველებსაც, აფხაზებსაც, ოსებსაც...

არსებულ სიტუაციაში გამოსავლის ძიებისას აუცილებელია, როგორც პოლიტიკოსებმა და მასმედიის წარმომადგენლებმა, ასევე, ფართო საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ რეალურად არ არსებობს კონფლიქტი ქართველ ერსა და აფხაზ ერს შორის, არც ოს ერსა და ქართველ ერს შორის; არსებული კონფლიქტი არ არის ეთნოკონფლიქტი.

ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ექსპერტისათვის ასევე ნათელია, რომ გასული საუკუნიდან მოყოლებული რუსეთი გეგმაზომიერად ახდენს კონფლიქტების პროვოცირებას კავკასიაში, რომ ხელი შეუშალოს საქართველოს, ზოგადად, კავკასიის გასვლას რუსული გეოპოლიტიკური (იმპერიული) სივრციდან. მიზანმიმართული საინფორმაციო დივერსიით რუსეთმა ამ კონფლიქტში მხარეებად წარმოადგნა მის მიერ მართული როგორც ოსურ-აფხაზური, ასევე, ქართული კლანები და შემდეგ შეეცადა, კონფლიქტი გადაეტანა ეთნოსებს შორის დაპირისპირებაში. მიუხედავად დიდი მცდელობისა, რუსეთმა, ყარაბახისგან განსხვავებით, საქართველოში ეთნოკონფლიქტი ვერ ჩამოაყალიბა; თუმცა, საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებმაც გარკვეულწილად ეთნოკონფლიქტის ნიშნების შეიძინა. მიუხედავად ამისა, დღესაც ქართველები და ოსები, ქართველები და აფხაზები, როგორც ერები (ეთნოსები) არ წარმოადგენენ დაპირისპირებულ მხარეებს; შესაბამისად, არც უნდა ვისაუბროთ ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზურ შერიგებასა თუ ქართულ-ოსური, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის „განვითარების პერსპექტივებზე“. უფრო ლოგიკურია, თანამედროვე ქრილში ვიმსჯელოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასა (ეთნიკური სახელდების გარეშე) და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობას შორის გაუცხოების ნიველირებისა და კულტურული ურთიერთობების აღორძინების გზების შესახებ.

Putkaradze Taniel

Tbilisi, Georgia

**FOR THE TERMINOLOGICAL EVALUATION OF THE
CURRENT ‘CONFLICT’ IN TSKHINVALI (THE FORMER
SOUTH OSSETIAN AUTONOMOUS OBLAST) AND
ABKHAZIA**

In 1991, three states of the Caucasus: **Georgia, Azerbaijan and Ichkeria** refused to remain within the Russian imperial rule. In the following years, in coordination with the Russian authorities, all three state governments were overturned by arms. Exceptional cruelty was executed towards Ichkeria; no less affected was Georgia: with the assistance of one part of Georgians, Russia conquered two regions of Georgia: Abkhazia and Tskhinvali. In both regions Russia carried out genocide of the autochthonous Georgians disloyal to Russian imperial politics.

The Russian aggression carried out in the Caucasus was terminologically wrapped:

The overthrow of the Georgian legitimate government with the participation of the Russian military forces was called the ‘civil war’, while Russian aggression and genocide of Georgians in Abkhazia and Tskhinvali regions were described by the following word combinations: ‘Georgian-Abkhazian ethnic conflict’ and ‘Georgian-Ossetian ethnic conflict’, while the de facto governments of Abkhazia and Tskhinvali regions were called ‘separatists’.

There exist neither ‘Georgian-Abkhazian’, nor ‘Georgian-Ossetian ethnic conflicts’ in Georgia; even today numerous ethnic Ossetians and Abkhazians live in the capital of Georgia, in Adjara, Imereti, Kartl-Kakheti and Samtskhe-Javakheti; moreover, they all realize that in order to maintain positions in the Caucasus, Russia withdrew those Georgians, Abkhazians and Ossetians who remained in the Abkhazian and Tskhinvali regions occupied by Russians; correspondingly, the current ‘conflict’ in Abkhazia and Tskhinvali should be called the Russian aggression against Georgians, while the de facto governments operating there should be called not ‘separatists’ but collaborationists.

Unfortunately, the ‘conflicts’ organized by Abkhazia and Tskhinvali are still known as ethnic conflicts even in the international arena. The spread of such inadequate terminological evaluations is the evidence that Georgia is losing the information war as well with Russia.

It is also the fact that part of both Abkhazians and Ossetians will be involved in the conflict alongside one part of Georgians; Cf.: citizens of Georgia living in the Georgian capital and other unoccupied territories (Georgians, Abkhazians, Ossetians, Armenians ...) live peacefully together. However, Georgians, Abkhazians, Ossetians, Armenians, etc. who live in the occupied territories are being increasingly separated from the rest of the Georgian citizens: Georgians, Abkhazians, Ossetians or Armenians.

While searching for the way out of the current situation, it is necessary for politicians as well as mass media representatives and public in general to realize that, for instance, there does not exist any Georgian-Ossetian ethnic conflict and correspondingly, we should not speak about the possible Georgian-Ossetian Reconciliation or the ‘development prospects’ of the Georgian-Ossetian relations. It is more logical to discuss the possible elimination of estrangement between the population living in the occupied regions and other Georgians as well as discuss the issues concerning the revival of the cultural relations.

ქავჯაია მანანა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

ზოგიერთი ასპექტი საქართველოში მცხოვრებ მრავალეთნიკურ საზოგადოებასთან მიმართებაში და ქართულ-ოსური ურთიერთობები

თანამედროვე მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანი ერთ ენაზე ლაპარაკობდეს, ეკუთვნოდეს ერთ რასას, ჰქონდეს ერთიანი კულტურა, რწმენა და ტრადიციები. ნებისმიერ

სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნულ, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფების მშვიდობიანი ცხოვრება წარმოადგენს დადებით ფუნქციებს, რომელიც სოციალური და კულტურული რენესანსის წყაროა.

მსგავსად სხვა ქვეყნებისა, საქართველო პოლიეთნიკურ, პოლილინგვისტურ, პოლიკონფესიონალურ გაერთიანებას წარმოადგენს. ქართველების გარდა საქართველოში დასახლებულნი არიან სხვა ეთნონაციონალური ჯგუფები, ეს კი ქმნის მრავალ შემადგენლობიან საზოგადოებას ქვეყნის შიგნით.

ლიფსეტის განმარტებით, მრავალშემადგენლობიანი საზოგადოება, რომელშიც ადგილი აქვს მრავალსეგმენტალურ დაყოფებს ეთნიკური, კონფესიონალური, ლინგვისტური და ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი საკუთარ საცხოვრებელ ადგილს განცდილი რეპრესიების შედეგად ტოვებდა და იძულებული იყო საქართველოსათვის შეეფარებინა თავი. შემოსევებისაგან გაუკაცრიელებულ საქართველოს ტერიტორიებზე სახლდებოდა.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1990-იან წლებში განვითარებული პროცესების შედეგად, როდესაც სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე კონფლიქტები განვითარდა. თუ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედეგებით, საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის გამოკლებით მათი ხვედრითი წილი 16% შემცირდა. ამ პერიოდის ეროვნული უმცირესობის რაოდენობის შემცირების უმთავრესი მიზეზი ემიგრაციაა.

ტალღას ბიძგი მისცა 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ. ემიგრაციაში მიდიოდნენ საქართველოს მოქალაქეები, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა.

საბჭოთა კავშირში რუსული ენა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ენა იყო, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართული გახდა სახელმწიფო ენა, რომელიც თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა რუსულ მასმედიაში. ქართული ენის ცოდნა საბჭოთა პერიოდში არ იყო პრიორიტეტული ეროვნული უმცირესობებისათვის. შემდეგ, საქართველოს მოქალაქეების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (ეროვნულმა უმცირესობებმა)

არ იცოდა ქართული ენა, რაც მათი იზოლაციის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა.

რაც შეეხება უახლოეს წარსულს, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ უმცირესობის დაცვის თვალსაზრისით 1999 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა, საქართველომ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის ხელმოწერისა და რატიფიკაციის ვალდებულება აიღო.

საქართველომ 2000 წლის იანვარში ხელი მოაწერა კონვენციას, ხოლო პარლამენტმა მისი რატიფიკაცია 2005 წელს მოახდინა. ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეტაპობრივი განხორციელება, რომელიც სავარაუდოდ ძალზე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასა და მათი ინტეგრაციის თვალსაზრისით.

საჭიროა ნდობის, ურთიერთობის აღდგენა. განსაკუთრებით, ახალ თაობასთან, რომლებსაც არა აქვთ ურთიერთობა ქართველებთან.

ლიტერატურა

1. А. Русецкий, От этноцентризмак общенациональной идее, Тбилиси, 2000.
2. ადამიანის უფლებები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში მოხსენება, თბილისი, 2006 წელი.
3. ჰააგის რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებით ინტერ-ეთნიკური ურთიერთობათა ფონდი, 1996 წელი.
4. დეკლარაცია ეროვნული, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა, უფლებების შესახებ (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 47/137), 1992 წელი.

Kajaia Manana
Tbilisi, Georgia

MULTI-ETHNIC SOCIETY LIVING IN GEORGIA AND GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP

The paper deals with the multi-ethnic population living in Georgia, including the conditioned factors and reasons.

The paper reviews ethnic minorities in Georgia in the past century to the present.

We cannot but recall the words of Ilia:

Some aspects

Multi-ethnic society living in Georgia and Georgian-Ossetian relations.

In the modern world not a single country can be found, where all the people speak just one language, belong to one race, have a common culture, beliefs and traditions. Every state has different national, ethnic, linguistic and religious groups and despite this it functions positively, which is a source of social and cultural renaissance.

Like other states, Georgia is multiethnic, multi-linguistic, multi-confessional union. In Georgia, the Georgians are settled along with other groups, and it creates a number of members of public within the country.

According to Lipset's definition, a Multi-ethnic society is in which there is diverse ethnic confessional, linguistic and other kinds of separations. Some ethnic groups have suffered repression from their homes as a result was forced to flee to Georgia and have settled in desert areas of the country.

ხანგოშვილი მექა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ

ქახო გატუევის შემოქმედება და მისი რომანი „ზალიხხანი“

ცნობილი ოსი მწერალი, მეცნიერი და პუბლიცისტი ქახო (კონსტანტინე) ალექსის ძე გატუევი დაიბადა 1892 წელს ქ. ვლადიკავკაზში, ჩრდილოეთ ოსეთში. 1912 წელს მან დაამთავრა ვლადიკავკაზის გიმნაზია და იმავე წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1917 წლის რევოლუციასაც მოსკოვში შეხვდა. ს.მ. კიროვის დავალებით, რომელიც მან ჯერ კიდევ 1910 წელს ქ. ვლადიკავკაზის გაზეთ „Терек“-ის რედაქციაში გაიცნო, ზაფხულობით ჩამოდიოდა ვლადიკავკაზში, რათა იქაურ მუშებში გაევერცელებინა ბოლშევიკური ლიტერატურა.

1917 წლის ოქტომბერში ის მონაწილეობს მოსკოვის შეირადე-

ბულ აჯანყებაში. წლის ბოლოს ბრუნდება სამშობლოში და ერთვება ვლადიკავკაზის საბჭოს საქმიანობაში. როგორც გაზეთ „Горская жизнь“ – ის (მთიელთა ცხოვრება) ჟურნალისტი და კორესპონდენტი, 1918 წლის თებერვალში, მონაწილეობს თერგის ოლქის მოსახლეობის მიერ ქ. პიატიგორსკში ჩატრებულ ყრილობაში. ძახო მაქსიმალურად იყენებს ამ გაზეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ობიექტური გაშუქებისთვის. თეთრების ვლადიკავკაზში შემოსვლის მერე ის იძულებული ხდება დატოვოს ქალაქი და იმალება სოფელ დიგორში.

1921 წლიდან 1923 წლამდე გატუევი მთიელთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის (**наркомпроса Горской ССР**) მხატვრული განყოფილების გამგედ მუშაობს, ამ წლებში გატუევი დიდ ყურადღებას უთმობს თეატრს და ამ მხარის კულტურულ ცხოვრებას. 1923 წელს ის საცხოვრებლად გადადის ქ. როსტოვში, რომელიც იმ დროს ითვლებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად.

1925 წელს ძახო გატუევი ხდება აღმოსავლეთ ხალხების ინსტიტუტის კავკასიური სექციის ასპირანტი. დაკავებულია კავკასიის ისტორიისა და ისლამის თემის შესწავლით, მონაწილეობს ექსპედიციებში, რომლებიც იმართება ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და ოსეთში, აგროვებს უამრავ ფაქტიურ მასალას ადგილზე.

1928 წელს გატუევი საცხოვრებლად გადადის მოსკოვში და მუშაობას იწყებს აღმოსავლეთის მუშათა კომუნისტურ უნივერსიტეტში (КУТВ) და სწავლობს მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას. მისი პირველი კვლევითი ნარკვევები: „უზუნ-ჰაჯის იმპერია“ (1928) და „აგვისტოს აჯანყება“ (1929) სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაში 1918-1919 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომს ეძღვნება, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალ „რევოლუციურ ვოსტოკ“-ში.

გატუევი ბევრს მოგზაურობდა ოსეთის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთებში. იკვლევდა მთიელებისათვის მნიშვნელოვან ამბებს და ყველგან ეძებდა ახალს და საინტერესოს. ამ მოგზაურობების შედეგად გაჩნდა რიგი ნარკვევები და მოთხრობები, რომლებიც იბეჭდებოდა იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში, როგორიცაა: ჟურნალი „სახალხო მასწავლებელი“ (1930-34), „ჩვენი მიღწევები“ (1935-36).

ამ წლებში იქმნება მისი სხვადასხვა ნაწარმოები. თქმულება „გაგა-აული“ (1930) გვიხატავს კავკასიელი ხალხების ნათესაურ და კლასობრივ დაპირისპირებას, მაღალმთიან რეგიონში რევოლუციური იდეების შეღწევის პროცესს, სადაც ჯერ კიდევ მეფობდნენ

შარიათისა და ადათის კანონები. გატუევის კალამს ეკუთვნის ასევე ხუთმოქმედებიანი დრამა „ბალი“ და რიგი ნარკვევები: „ქურთათინის თქმულება“, „კავცინკი“, „გიზელსტროი“, „უღელტეხილები“, „ორი დღესასწაული“. ამ ნარკვევებში აღწერილია ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფეოდალური წყობის გადაშენებისა და ახლის შემოსვლის პროცესები.

პირველი შედარებით მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც არ არის დაზღვეული იდეურ-მხატვრული ნაკლოვანებებისგან არის თქმულება „ინგუშები“, რომელიც დაინერა 20-იანი წლების პირველ ნახევარში. ამ მხატვრულ-ქრონოლოგიურ ნარკვევში ავტორი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს მთიელ ხალხის მაშინდელი მდგომარეობისა და ასევე ვლდიკავკაზში 1917-1918 წლებში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მისი ნაწარმოებები დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული.

გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძახო გატუევის შემოქმედებაში თქმულება-რომან „ზელიმხანს“, რომელიც არის ყველაზე სრულყოფილი და დიდი ნაწარმოები. ეს მხატვრულ-დოკუმენტური თქმულება მოგვითხრობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აშკარა ლიდერზე, ცნობილ და მამაც ჩეჩენ აბრაგზე ზელიმხან ხარაჩოელზე, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა რევოლუციის წინა წლებში ეს იყო მწვავე პროტესტი იმ სასტიკი კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ცარიზმი ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

„კაცი მახვილი გონებით, ცხელი გულით, უშრეტი ენერგიით, ის იყო ერთ-ერთი პირველი მქადაგებელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა ჩრდილოეთ კავკასიაში. მთელი მისი მარავალ-მხრივი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთიელებთან: ოსებთან, ჩეჩნებთან, ინგუშებთან და დაღესტნელ ხალხთან. მაგრამ მისთვის გამორჩეულად ახლობელი იყო ჩეჩნეთ-ინგუშეთი. მისი პირველი რეპორტაჟი, რომელიც შეეხებოდა ვაინახების ძირძველ მიწას, დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში. ხოლო 20-იანი წლების პირველი ნახევრიდან მწერალი იწყებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის სისტემატურ შესწავლას როგორც ჟურნალისტი და მეცნიერი“, – წერს პროფესორი ზ. სუმენოვა.

როგორც ჩეჩენი მწერალი ხ. დ. ოშაევი ადასტურებს: „მწერალმა გატუევმა დიდი რუდუნებით დახატა ვაინახთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სურათები, აჩვენა მათი სულიერი

და ეროვნული ყოფის თავისებურებანი. მან ასახა ამ ხალხის მონა-ნილეობა რევოლუციასა და სამოქალაქო ომში, მოგვითხრო მათი სოციალური და ეროვნული აღორძინების შესახებ სტოთა წყობი-ლების დროს“.

1924 წლის მიწურულს ძახო გატუევმა ჩაიფიქრა აბრაგობის შე-სახებ კვლევა და ამასთან დაკავშირებით მომდევნო წლის ზაფ-ხულში უკვე უხელმძღვანელა მხატვრულ-მეცნიერულ ექსპედიცი-ას ჩეჩნეთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხატვრებმა შლეპ-ნევმა, ჩერნოუსენკომ და კომპოზიტორმა დავიდენკომ. გატუევმა შეაგროვა უამრავი ფოლკლორული მასალა ცნობილ ჩეჩენ აბრაგ ზელიმხანზე. შემდგომში თითქმის ყოველ ზაფხულს ჩადიოდა ჩეჩ-ნეთში და იქ ატარებდა რამდენიმე კვირას. ყველაზე ხშირად სტუმ-რობდა ვედენოს რაიონს, ზელიმხანის მშობლიურ ადგილს, ზელიმ-ხანის ქალიშვილსა და ნათესავებს, საუბრობდა მის თანამებრძო-ლებთან.

მწერლისა და მეცნიერის პირველი კვლევა სათაურით „ჩრდი-ლო კავკასიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-რაობის ისტორიიდან“ 1926 წელს გამოვიდა დღის შუქზე. ამ ნაწარ-მოებში გატუევმა პირველად სცადა გამოეყვლინა აბრაგობის სოცი-ალურ-ისტორიული ფესვები, მთიელი ხალხის ეროვნულ-განმათა-ვისუფლებელ ბრძოლასთან შეკავშირებით. მან ზელიმხანის სახით აჩვენა მამაცი და უშიშარი მებრძოლი, რომელიც მოქმედებდა რა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა არსებული რთული მდგომარეობის შეცვლას, მოსახლეობის ცხოვრების პი-რობების გაუმჯობესებას. ის საშინლად ვერ იტანდა ცარიზმის დროინდელ სახელმწიფო მოხელეებს, ებრძოდა მათ როგორც შე-ეძლო, იმ იმედით, რომ სამართალი ოდესმე აღსდგებოდა.

ადვილი არ ყოფილი ჩეჩნური ლიტერატურისთვის (და არა მხოლოდ ჩეჩნურისთვის) ფასდაუდებელი განძის „ზელიმხანის“ ძი-ებისა და შექმნის პროცესი. მან გამოიარა რთული გზა, თითქმის ის გზა, რომელსაც სულ ცოტა ხნის უკან მისი რომანის მთავარი გმი-რი აბრაგ ზელიმხანი გადიოდა, ძალიან ბევრჯერ გადათელა ჩეჩ-ნეთ-ინგუშეთის მთები, შეხვდა მის თანამემამულეებსა და მეგობ-რებს, თანამებრძოლებს და მისი დაუვიწყარი, ურთულესი ცხოვრება გააცოცხლა სამარადეუმოდ.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ძახო თავის მშობლიურ ოსურ ენასთან ერთად ფლობდა სხვა ჩრდილოკავკასიურ ენებსაც, მათ შორის ჩეჩნურსაც, რამაც მას ძალიან გაუადვილა ჩეჩნებთან

ურთიერთობა და ზელიმხანის შესახებ მასალების შეგროვება, თუმცა ის წერდა რუსულ ენაზე.

ზელიმხანი რთული პიროვნებაა, ის არამხოლოდ შურისმაძიებელია, არამედ საჭიროების შემთხვევაში ცარიზმის ხელისუფალთ გაქცეული და ტყეში გავარდნილი თავის გადარჩენის მიზნით ძარცვავს კიდეც. როცა ის მშვიდობიანი აულების განადგურებისა და რეპრესიების გამო შურს იძიებს ცარიზმის მოხელეებზე, მაშინ ის სახალხო გმირია, და როცა ის ფულის ხელში ჩაგდების მიზნით ბანკს ძარცვავს, – ის ჩვეულებრივი აბრაგია.

ხარაჩოელი უაღრესად პოპულარული იყო მოსახლეობაში, რადგან ღარიბის, ობლისა და უპოვარის მოსარჩლე იყო. იგი თავს ესხმოდა ფოსტას, ბანკს, უამრავ ფულს იხვეჭდა, მაგრამ თავის წილ ნადავლს ყოველთვის ხალხს ურიგებდა. ფულს ზიზლით უყურებდა, ხელით მუხებაც კი ეზარებოდა, გაშლილ ნაბადზე დაყრიდა და მათრახის ტარით ანაწილებდა:

„მწვანე მდელოზე ნაბადს, რომ გაშლის
და მასზე ფულს არიგებს
მათრახის ტარით სარჩოს რომ ანაწილებს
ის ზელიმხანი მოდისო ამბობენ“.

ვედენოს სიმაგრის კომენდანტი დაუღელვლად დასდევდა ზელიმხანს, მაგრამ უშედეგოდ. ყოველი ხელმოცარვის შემდეგ მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდა. ზელიმხანმა რამდენიმეჯერ შეუთვალა კომენდანტს მოშვებოდა უდანაშაულო ხალხის დარბევას, მაგრამ უშედეგოდ, მაშინ ზელიმხანმა შურისძიება გადანყვიტა და დაიფიცა, რომ მას მოკლავდა. კომენდანტი ფრთხილობდა, სიმაგრიდან იშვიათად გამოდიოდა, ისიც ურიცხვი ამალის თანხლებით. თუმცა ზელიმხანმა მას სიცოცხლე მაშინ მოუსწრაფა, როცა ის სიმაგრის ეზოში ჩაის სვამდა. 1000 მეტრი სიშორიდან ნასროლმა ტყვიამ კომენდანტს შუბლი გაუხვრიტა. ასეთი ზუსტი სროლა იცოდა ზელიმხანმა.

1909 წელს თერგის ოლქის მმართველი გენერალ მიცკევიჩის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური სადამსჯელო რაზმი, რომ წარმატებით აღმოფხვრას ჩეჩნეთში ზელიმხანობა. გენერლის ბრძანებაში ნახსენებია „ზელიმხანობა“ ე.ი. ზელიმხანს მიმბაძველები გამოუჩნდნენ, რაც უფრო მეტ საფრთხეს უქმნიდა ცარიზმის მოხელეებს.

ზელიმხანი, მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა ძალიან ბევრს სწერდა თარჯიმნების დახმარებით. სანამ საქმე მკვლელობამდე მივიდოდა ის ყველა გზას ეძებდა ბოროტების წი-

ნალმდეგ: აი სტრიქონები მისი წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა პოლკოვნიკ გელაევს: „ფიქრობ თქვენი გონება დაბინდულია, რადგანაც გჯერათ, რომ ცარიზმის კანონს შეუძლია ყველაფრის გაკეთება. რა სინდისით შეგიძლიათ დაადანაშაულოთ სრულიად უდანაშაულონი, რის საფუძველზე სჯით ამ უცოდველ ბავშვებს, თქვენ არ შეგიძლიათ გამოისხათ ფრთები და ცაში აფრინდეთ, ასევე ვერ შეძლებთ ჩაძვრეთ მიწაში, ან იქნებ მუდმივად ციხესიმაგრეში დაიმალებით?, სად წახვალთ?, თქვენ ვერსად ვერ გაიქცევით, სანამ მე ცოცხალი ვარ....ეი, თქვენ სახელმწიფო მოხელეებო, მე თქვენ მიმარჩინებთ ძალიან სულმდაბალ ადამიანებად, შემომხედეთ: მე ბევრჯერ შემხვედრია ყაზახები და ქალები მთებში, მაგრამ არასოდეს არ შევხებივარ მათ... მართალია, თქვენ ახლა გიხარიათ, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ძალიან მალე სიხარულს ცრემლები შეცვლის თქვენს სახეზე.

მეორე წერილში პოლკოვნიკ გელაევს ზელიმხანი ბოლოჯერ აფრთხილებს: „იმედია, იცი რა გავუკეთე დობრონოლსკის, ისეთივე პოლკოვნიკს, როგორიც შენ ხარ... მე შენ გირჩევ გაათავისუფლო დაპატიმრებულები, რომელთა დანაშაულის შესახებ შენ არაფერი გაგიგია, იმიტომ, რომ მათ ეს არ ჩაუდენიათ. თუ არ დამიჯერებ, იცოდე, სიცოცხლეს გამოგასალმებ ან ცოცხალს შეგიპყრობ და განამებ“. მან თავისი სიტყვა შეასრულა 1908 წლის ზაფხულში პოლკოვნიკი გელაევი მისი ტყვიის წერა გახდა.

როგორც ყველა აბრაგის ბედი ზელიმხანისაც ისეთივეა, მასაც ღალატით კლავენ. როდესაც მოლაღატე მასპინძლის სახლს ღამით ალყა შემოარტყეს, ის გათენებამდე ებრძვის მტერს და არ ნებდება, ხოლო როგორც კი ინათებს, გარეთ გამოდის და ტყვიების ცეცხლში პირდაპირ მტრისკენ მიდის, სანამ ფეხები არ მოეკეცება და კითხულობა სიკვდილისწინა ლოცვას „იასინს“. ასე გამირულად კვდება ჩეჩენი ერის საყვარელი შვილი ზელიმხანი.

რომანი „ზელიმხანი“ შედგება 15 თავისგან; გატუევმა რომანს ასევე დაურთო წერილები, რომლებიც თავის დროზე ზელიმხანის მიერ არის გაგაზავნილი ხვადასხვა ადრესატების მიმართ, ასევე ის ლექსები და სიმღერები, რომლებიც ზელიმხანზე შეიქმნა.

ძახო გატუევის კალამს ეკუთვნის რომან „ზელიმხანის“ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი სცენარი ფილმისა „ზელიმხანი“ (იტრაბსკის თანაავტორობით). ფილმი გადაღებულ იქნა სტუდია „ვოსტოკკინოში“ 1930 წელს რეჟისორ ო. ფრელიხომისა და ოპერატორ გ.ბლიუმომის მიერ. მთავრი როლი განასახიერა ცნობილმა მსახიობმა ლ. ბესტაევმა. ამ ფილმს დიდი წარმატებები შეხვდა

არამხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

დიდი სირთულეების გავლა მოუწია გატუევს თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე (1892-1938წწ.), ალბათ ამიტომაც გახდა მისთვის ძალიან ახლობელი ცნობილი ჩეჩენი აბრაგის-ზელიმხან ხარაჩოევსკის ბედი და მიუძღვნა მას თავისი უკდავი რომანი „ზელიმხანი“.

უდავოდ ღირსეულმა მთიელმა და უნიჭიერესმა მწერალმა დახო გატუევმა ფასდაუდებელი ნვლილი შეიტანა ჩრდილო კავკასიელი ხალხების, განსაკუთრებით კი ვაინახების (ჩეჩნები და ინგუშები) რთული ცხოვრების, მათი ისტორიის, ადათ-ჩვევების, სოციალური და კულტურული ცვლილებების, მეგობრობის ასახვისა და რაც მთავარია, ამ ამაყი და ქედუხრელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა ნებისმიერ რეჟიმთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ДЗАХО ГАТУЕВ, ЗЕЛИМХАН, МОСКВА, 1930
МАГОМЕД МАМАКАЕВ, ЗЕЛИМХАН, ГРОЗНЫЙ, 2007
М. ВОЦАЕВ ЗЕЛИМХАН, 1990
დავით პანკელი, ხასო ხანგოშვილი, **აბრაგები**, თბილისი, 2012
ჩეჩნური ფოლკლორი, კავკასიური სახლი, თბილისი, 2000
<http://iratta.com/literatura/249-dzakho-gatuev-zelimkhan.html>
<http://www.e-reading.club/book.php?book=1028911>
<http://osetins.com/2007/10/26/gatuev-dzakho-18921938.html>
<http://abrek.org/personalii/deyateli-kultury-iskusstva/item/138-dzakho-gatuev-avtor-pervogo-romana-o-zelimhane>
<http://www.gzapress.ge/qveyana/istoriis-labirinthebi/968-abrag-zelimkhanis-qarthveli-shvilobilis-shurisdzieba.html>
<http://psnews.ge/index.php?m=68&news-id=57301>

Khangoshvili Mekka

Tbilisi, Georgia

DZAKHO GATUEV'S COMPOSITION AND IMMORTAL NOVEL "ZELIMKHAN"

Prominent Ossetian writer, scientist and publicist Dzakho (Constantine) Gatuev was born in North Ossetia. After graduation from Vladikavkaz gymnasium Dzakho entered the Moscow State University, which successfully completed. Revolution of 1917 Dzakho met in Moscow.

He had to go through great difficulties in his brief life (1892-1938). Perhaps that's why, well-known Chechen Abrek - Zelimkhan Gushmazakaev - Kharachoevski's life was so familiar to the author and he decided to dedicate immortal novel "Zelimkhan" to Chechen Abrek. Invaluable treasure "Zelimkhan's" creation process was not so easy in Chechen literature (and in literature at all). Dzakho went through the hard way, almost the way, his novel's main character Abrek -Zelimkhan passed. The author several times crossed Chechen-Ingush Mountains, and met with Zelimkhan's friends and followers. Dzakho managed to visit Vedeno district, Zelimkhan's birth place and even visited the family of Zelimkhan's daughter. The author painted strong pictures of Vainakh public-social life, showed their distinctive spiritual and national image, reflected Vainakh people's participation in the revolution and civil war.

Novel "Zelimkhan" is outstanding in his compositions; it detailed describes worthy and unforgettable life of Chechen Abrek - Zelimkhan Bushmazukov – Kharachoevski, son of Caucasian people.

In 1930th, well-known actor L. Bestaev ossetian by the origin played main role in the screened version of the novel "Zelimkhan". Actor L. Bestaev had great success, not only in Soviet Russia, but also abroad.

Undoubtedly a very talented writer Dzakho Gatuev made an invaluable contribution to the North Caucasian people's, and especially the Vainakh (Chechen and Ingush) history. While describing their hard life, their history, customs and traditions, social and cultural changes, the reflection of friendship and most importantly, how this proud and unconquered people struggle with any regime.

ჯავახიშვილი მარი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების
მიმართულების სტუდენტი*

რაზმაძე ანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების
სტუდენტი:*

ქართულ-ოსური ურთიერთობები პირველი შინარაღებული კონფლიქტიდან 2008 წლის აგვისტომდე

შესავალი

ქართველებსა და ოსებს შორის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები ისტორიულმა წარსულმა განაპირობა. სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ განსხვავებულ დროის მონაკვეთში ეს უკანასკნელი სხვადასხვა სპეციფიკითა და თავისებურებებით ხასიათდებოდა. ჩვენი საკონფერენციო თემის ფარგლებში არ მიმოვიხილავთ ამ ორი ერის საერთო მრავალსაუკუნოვან ისტორიას, შევეცდებით გამოვიკვლიოთ კონკრეტული პერიოდი, რომელიც მოიცავს დროის მონაკვეთს პირველი შეინარაღებული კონფლიქტიდან მეორე ომამდე. ამჟამად, რომ სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყველაზე დაძაბულ და ამავდროულად საინტერესო საკვლევ საგანს მკვლევართათვის. საბჭოთა დანატოვარი, რომელმაც ნაციონალიზმის მეშვეობით დიდ „წარმატებას“ მიაღწია და მსგავსი პოლიტიკის მხარდამჭერთა გეგმა შეასრულა, ქართველ და ოს ხალხს შორის არსებულ მშვიდ დამოკიდებულებას ბოლო მოუღო. აგვისტოს ომს კიდევ უფრო განსხვავებული განმაპირობებელი ფაქტორები გააჩნდა, თუმცა მეტ-ნაკლები სხვაობებით შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე შემუშავებული პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა. ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით განვიხილოთ ორივე კონფლიქტი, მათი შედარების საფუძველზე შევძლოთ ჩვენივე ჰიპოთეზის დადასტურება და საბოლოოდ დასკვნების გაკეთება.

თემა დაყოფილი იქნება სტრუქტურულ ერთეულებად. თითოეული თავი მიეძღვნება კონკრეტულ თემატიკას. მიმოვიხილავთ მოკლე ისტორიულ ფონს, შევეცდებით ორი ქეისი შევადაროთ ერ-

თმანეთს და გამოვყოთ საერთო მახასიათებლები. გამოვიკვლევთ, რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ორ მხარეს შორის არსებული კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. იმის გამო, რომ ჩვენი თემა და მიღებული დასკვნები უფრო საინტერესო იყოს, ჩავატარებთ მცირე მასშტაბიან გამოკვლევას. კვლევის შედეგები თავისთავად აისახება საკონფერენციო ნაშრომში და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საბოლოო შედეგებზე. შევეცდებით პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას, რამ გამოიწვია ურთიერთობების კიდევ უფრო გართულება? რატომ განახლდა კონფლიქტი? შემოგთავაზებთ არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზს და ჩვენეულ თვალთახედვას რიგი საკითხების შესახებ.

ისტორიული და ლიტერატურული მიმოხილვა

როდესაც ვსაუბრობთ ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე პირველი შეიარაღებული კონფლიქტიდან 2008 წლის აგვისტომდე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისტორიული ფონი, თუ როდის იწყება ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების გაღრმავება, საიდან ჩამოსახლდნენ ოსები საქართველოში და როგორ მოხდა მათი ძალაუფლების თანდათანობით გაძლიერება. ვინაიდან საკმაოდ ძნელია გარკვეული მოვლენისა და პროცესის გაანალიზება, როდესაც არ ფლობ ინფორმაციას იმ ისტორიულ ვითარებაზე, როცა ესა თუ ის მოვლენა მოხდა. ქართულ-ოსური ურთიერთობები მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოიცავს, რაც განპირობებულია მათ შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით. ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა, რომ მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა ჩრდილოეთით მოსაზღვრე მეზობელთან. მეორე მხრივ კი საქართველოს ამგვარი დამოკიდებულება განპირობებული იყო ოსების სამხედრო რესურსების გამოყენების გამო. ვინაიდან, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყანა ხშირად იყენებდა ოსთა დაქირავებულ რაზმებს, რომლებიც, თავის მხრივ, აღნიშნულის სანაცვლოდ გარკვეულ ნადავლსა და საჩუქრებს ღებულობდნენ. გარდა ზემოთ აღნიშნული გარემოებისა, რომელიც ქართველ და ოს ხალხს შორის კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას ასახავს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მათ შორის სამხედრო ინტერვენციის ფაქტებიც, მაგალითად, როდესაც 1295 წელს ოსმა სამხედროებმა გორის ტერიტორია დაიკავეს. რამდენიმე წელი დასჭირდა გიორგი მეხუთე ბრწყინვალეს, რომ

ოსები განედევდნა ქართლის ტერიტორიიდან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი მე-13 საუკუნით თარიღდება, გასული საუკუნის ბოლო პერიოდიც საკმაოდ დაძაბული იყო და ქართველი და ოსი ხალხის ექსპანსიური მოტივებით ხასიათდებოდა.

რაც შეეხება ქართულ-ოსურ პირველ შეიარაღებულ კონფლიქტს, სანამ უშუალოდ მიმოვიხილავთ მის გამომწვევ მიზეზებსა და მიმდინარეობის პროცესს, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისტორიული ვითარება, ანუ რა ისტორიულ გარემოში წარმოიშვა პირველი კონფლიქტი და შეუწყო თუ არა ხელი გარეშე ისტორიულმა ფაქტორებმა ქართველ და ოს ხალხს შორის კონფლიქტის გაღვივებას.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების დაძაბვა 1980-იანი წლებიდან დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები მიმდინარეობდა, რომელიც მიხეილ გორბაჩოვმა განახორციელა. სწორედ ამ უკანასკნელს ასახელებენ კომუნიზმის მარცხისა და ცივი ომის დასასრულის წინამძღვრად, რადგან განხორციელებულმა რეფორმამ თანდათან შეამცირა კომუნისტური პარტიის ძალაუფლება და გავლენა. 1985-იან წლებში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებასთან ერთად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გააქტიურდნენ ოსი სეპარატისტები.

რაც შეეხება ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვას, მოცემული ნაშრომით წარმოდგენილ კვლევაში ძირითადი მოსაზრებები და შეფასებები, ოფიციალური წყაროების გარდა, ემყარება სამეცნიერო კვლევებს, რომლებშიც განხილულია ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორია და კონფლიქტები. კვლევა ეყრდნობა სხვადასხვა ექსპერტისა და მკვლევარის მოხსენებებს, აკადემიურ სტატიებსა და საკონფერენციო მასალებს.

პირველი კონფლიქტის მიმოხილვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობების გამწვავება 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, რასაც შემდგომ უკვე ოსური სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურება მოჰყვა. მიუხედავად ქართულ-ოსური მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და წარსულისა, მათ შორის მწვავე აგრესია გაჩაღდა, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური, კრიმინალური და ეთნო-ნაციონალური დაპირისპირებებით მიმდინარეობდა.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ კონფლიქტში დიდი როლი მიუძღვის რუსეთის ფედერაციას, სწორედ მოსკოვის მიერ ნაქეზებული ოსი სეპარატისტები ახორციელებდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებებს, რასაც მოჰყვა იძულებითი ქმედება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით და მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. ამავე პერიოდში ოსმა სეპარატისტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და განაცხადეს, რომ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ე.წ. „თვითგამოცხადებული“ რესპუბლიკა, რამაც უკვე შემდგომ პერიოდში, 1991-1992 წლებში საომარი მოქმედებები გამოიწვია. მწვავე დაპირისპირებების პარალელურად მიმდინარეობდა პოლიტიკური ლიდერების დებატები და გამოსვლები. ამ მხრივ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვა: „მოვუხმოთ კეთილგონიერებას, სანამ გვიან არ არის, ვინაიდან ჩვენი კონფლიქტი და სისხლისღვრა მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს“. ქართული მხარის მხრიდან იყო დადებითი და მშვიდობისმოსურნე დამოკიდებულება კონფლიქტის აღმოფხვრის საკითხში, ვინაიდან და რადგანაც ეს დაპირისპირება არ იყო გამონვეული ოსებისა და ქართველების ექსპანსიური მოტივებით, არამედ დომონირებდა ე.წ. მესამე ძალა, რომელიც იმპერიულ ამბიციებს ამყარებდა ქართულ-ოსური კონფლიქტის გამწვავებაში.

რაც შეეხება პირველი შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების პროცესს, 1991 წლის 23 მარტს დიპლომატიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინს შორის, დაიგეგმა ღონისძიებები და გაფორმდა მოლაპარაკების ოქმი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტი არ იყო ენთიკური დაპირისპირების მიზეზი, არამედ მთავარი ინდიკატორი ტერიტორიული ექსპანსია გახლდათ, ანუ ბრძოლა პოსტიმპერიული ტერიტორიების გადანაწილებისთვის.

2008 წლის კონფლიქტი-მოკლე ანალიზი

ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წლის შვიდ აგვისტოს დაიწყო, როდესაც საქართველოს სამხედრო ნაწილებმა იერიში მიიტანეს სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგი-

ონზე. მალევე რუსული ჯარი შეიჭრა აღნიშნულ რეგიონში და აიძულა ქართულ ჯარს, დაეტოვებინა ტერიტორია. შესაბამისად, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლი დაამყარა. კონფლიქტის პირველი ეტაპი 12 აგვისტოს დასრულდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთმა და ზოგადად ევროკავშირმა, სწორედ მათი შუამდგომლობით მოხდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დადება.¹

2008 წლის აგვისტოში “გაყინულმა კონფლიქტმა“ თვისობრივად ახალი სახე შეიძინა. რუსეთის უხეშმა, პირდაპირმა სამხედრო ინტერვენციამ საქართველოს და მსოფლიოს ზოგადად ახალი გამოწვევებისა და საფრთხეების განცდა გაუჩინა. აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა ახალი მსოფლიო წესრიგს და მის წონასწორობას გარკვეული პრობლემები შეუქმნა, რამდენად ნიშნავდა იგი ახალ ცივ ომს და მის ცხელ წერტილს ძნელი სათქმელია, თუმცა იგი მნიშვნელოვნად ახდენდა გავლენას მსოფლიო პოლიტიკურ რეალობაზე.

8 ივლისიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცეში ჩნდებიან რუსული თვითმფრინავები. როგორც მაშინდელმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, მსგავსი ქმედება გამოწვეული იყო ერთადერთი მიზნით, შეეჩერებინათ საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთზე წამოსული შეტევები. რუსული თვითმფრინავების შემოსვლა შეფასდა როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. საქართველო-რუსეთს შორის ივლისში განვითარებულმა მოვლენებმა საერთაშორისო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. გაეროს უშიშროების საბჭოს დახურული სხდომის მთავარი განსახილველი თემა ამ დროისთვის რუსეთის მიერ განხორციელებული უკანონო საფრენი რეიდები იყო.

ივლისის ბოლოდან არსებული მდგომარეობის მკვეთრი ესკალაცია შეინიშნებოდა. როგორც ოსური, ასევე ქართული მხრიდან გაიზარდა სროლების დროს გარდაცვლილი ადამიანთა რიცხვი. დაიწყო სოფლების დაბომბვა, რამაც მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა.

აგვისტოს 5 დღიანი ომის განმავლობაში, რუსეთის ფედერაციამ უხეშედ განახორციელა ოსეთსა და საქართველოს შორის არსებულ დაძაბულობაში ჩართვა. ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტს თავიდანვე ორმხრივი ხასიათი ჰქონდა და ის არ

¹ <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/Helsinki%20Committee-%20investigation%20report%20GEO.pdf>

იყო კონფლიქტი სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის, არც ოს და ქართულ ხალხს შორის, იგი წარმოადგენდა საქართველო-რუსეთის კონფრონტაციას, რომელსაც ბაზისად გაყინული კონფლიქტი ჰქონდა.

ორი კონფლიქტის შედარებითი ანალიზი

როგორც წესი, კონფლიქტის დროს ერთი მხარე არასდროსაა დამნაშავე, თითოეული დაპირისპირება ქვეყნებსა თუ ერებს შორის საპასუხო წინააღმდეგობის ან შესაძლო ჩაგვრის, არასწორი ქმედების შედეგია. ძალიან ხშირად ცალკეული ქვეყნის უპასუხისმგებლო ლიდერის ფაქტორი იჩენს ხოლმე თავს. აღნიშნულ თემაზე და გადანყვეტილების მიმღებ პირთა საქმიანობაზე საუბარი ნამდვილად არ წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის საბოლოო მიზანს, ამ ქვეთავში მოკლედ შევაფასებთ იმ რა საერთო აქვთ და რა განასხვავებთ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ ორ კონფლიქტს, ომს, რომელმაც საბოლოოდ ერები და ეთნოსები ერთმანეთთან სრულ გათიშულობამდე მიიყვანა.

ორივე კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო და ოსური მხარე არ წარმოადგენდა კონფლიქტების მთავარ აქტორებს. ცალსახა იყო რუსეთის როლი, როგორც მშვიდობისმყოფელისა და კავკასიელი ერების თავგამოდებული დამცველის. თითქოს უნდა ყოფილიყო კარგი ისტორიული მაგალითი, როგორ და რა საშუალებით შეძლია რუსეთის იმპერიას და შემდგომ უკვე ფედერაციას საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება, მაგრამ ასე არ მომხდარა. რუსეთის, როგორც ურთიერთობების მთავარი გამმწვავებელის როლი ვერ შემცირდა, თუნდაც საქართველოსა და ოს ხალხს შორის არსებული ნაკლები დიალოგის გამო. როდესაც შენ არ ლაპარაკობ შენს პრობლემაზე ხმამაღლა და მით უმეტეს არ ცდილობ მის მოგვარებას, მაშინ რუსეთისნაირი „მშვიდობისმყოფელები“ იწყებენ აქტიურ მოქმედებებს.

ტკივილი, ფსიქოლოგიური ტრამვა, რომელიც ომმა დაუტოვა როგორც ოსურ, ასევე ქართულ მხარეს არ იქნა შემცირებული, პირიქით, სულ უფრო სამიში და არასწორი სახე მიიღო. სიცარიელე და უკეთ რომ ვთქვათ, ერთგვარი გაუგებრობა ძალიან ჭკვიანურად იქნა გამოყენებული მესამე მხარის მიერ. საქართველოს მხრიდან კიდევ ცალკე შეცდომაა კონფლიქტის ამ დონემდე გამწვავება, ნაკლები დიალოგი და საბოლოოდ მეორე კონფრონტაციაც.

მიუხედავად ძალიან დიდი მსგავსებისა, ეს ორი კონფლიქტი ოდესღაც მოძმე ორ ეთნოსს შორის ძალიან განსხვავდება. პირველის შემთხვევაში აბსოლუტურად სხვა ისტორიული ფონი იკვეთება-ბრძოლა ტერიტორიისთვის, მეორე კონფლიქტის შემთხვევაში კი ფაქტობრივად არც კი ჩანს კონკრეტული მიზეზი, რაც შეიძლება სამხრეთ ოსეთის მიერ ომში ჩართვის უმთავრესი მოტივაცია ყოფილიყო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა რეგიონში გააქტიურებული საქართველო და მისი ძალიან მკვეთრად გამოკვეთილი საგარეო-პოლიტიკური კურსი. რუსეთს ნამდვილად არ სჭირდება მეზობლად ნატოს წევრი ქვეყანა, მით უმეტეს ისეთი ქვეყანა, რომელთანაც დიდი ხანია საერთო პრობლემები და ინტერესები აქვს. შესაბამისად, მეორე კონფლიქტის დროს სამხრეთ ოსეთის არა, მაგრამ რუსეთისათვის ერთ-ერთ მთავარ მოტივად საქართველოსთვის თავისი წილის მიზღვა იყო დაუმორჩილებელი და კრემლთან შეუთანხმებელი პოლიტიკისთვის.

დასკვნა

ნაშრომში მოკლედ მიმოვიხილეთ საქართველოში განვითარებული ორი მნიშვნელოვანი კონფლიქტი, რომელმაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის წარსული და დღევანდელი მდგომარეობა. ახლის და განსაკუთრებულის თქმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ნამდვილად არ გამოდის, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ კონფლიქტების ერთმანეთთან შედარება და საერთო უმნიშვნელოვანესი დეტალების გამოყოფა. თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ შეცდომებზე სწავლაა საჭირო ყოველთვის. უკეთესია სხვისი შეცდომებით მიხვიდე დასკვნამდე, მაგრამ თუ ვერ შეძელი, მინიმუმ საკუთარი უნდა გააანალიზო კარგად. ოსებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება მესამე მხარის აქტიური ჩარევითა და ხელშეწყობით წარიმართა ორივე ჯერზე, ლოგიკურად გამოდის, რომ მნიშვნელოვანია საკითხის უშუალოდ მხარეებს შორის დარგულირება და არა მესამე უფრო ჩრდილოეთით მყოფი მეზობლის საშუალებით საკუთარ საზღვრებამდე ხმის მიღწევა. დაპირისპირება, რომელიც დიდი ხანია არსებობს, მსგავსად სხვა გაყინული კონფლიქტებისა, ყველაზე რთულად მოსაგვარებელია. საჭიროა დრო და ცვლილებები, ახალი თაობები და ახალი იდეები, რომლებიც უფრო მეტად პაციფისტური და ერთმანეთთან თანამშრომლობის თემებით იქნება გაჯერებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილებები
2. ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადანაცვების გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ. თბილისი, 2005. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“
3. <http://www.bbc.com/news/world-europe-18269210>
4. <http://www.international-alert.org/what-we-do/where-we-work/georgian-south-ossetian-conflict>

**Javakhishvili Mariam
Razmadze Ana
Tbilisi, Georgia**

GEORGIAN-OSSETIAN RELATION SFROM THE FIRST ARMEDCONFLICTUNTILTHEAUGUSTOF 2008

The historical past played an important role in the development of the cultural and political relations between the Georgians and Ossetians. It is quite logical that at different timescales the latter was characterized according to different specifics and peculiarities. In our conference paper we do not want to discuss the topic of the long history of these two nations, and what our aim is to examine a specific period, which covers the period from the first armed conflict to the second war. Clearly, the latter is the tensest and the most exciting object for study for researchers. The Soviet legacy reached its goal and brought to an end the calm and friendly relationship between the Georgian and Ossetian people. The August war had even more different determining factors, but more or less we can say that it has been the continuation of the policy. We will try based on the method of comparison analyze the conflict, to make our own hypothesis, and finally be able to draw conclusions.

The topic will be divided into structural units. Each part will be devoted to a specific theme. A brief review of the historical background, we will try to compare the two cases and to outline the common features. We examine the important role of international organizations to eliminate the conflict between these two sides.

Because of our findings on the subject, and more interesting, we will carry out a small-scale study. The results of the conference are reflected in the work and have a significant effect on the final results. The study will try to answer the question, what caused the relationship to become even more complicated? Why the conflict renewed? In our view, we will give a short analysis of the situation and will offer a range of issues.

ნიკო ჯავახიშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარში ოსების სამსახურის ისტორიიდან

ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს.

ჩვენს ნელთალრიცხვამდე IV-III საუკუნეებში ქართლის პირველმა მეფეებმა ფარნავაზმა და მისმა ძემ საურმაგმა მიზანმიმართულად აწარმოეს სწორი კავკასიური პოლიტიკა, რომელმაც ჩვენი ქვეყნისათვის დადებითი შედეგი გამოიღო.

ლეონტი მროველის თხზულებიდან „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ნათელი ხდება, რომ ქართლში გაბატონებულ აზონთან ბრძოლაში ჩაბმულმა ფარნავაზმა ირანული მოდგმის სარმატების (ოსების ნათესავების) ლაშქარი წარმატებით გამოიყენა. გამარჯვებულმა ფარნავაზმა მადლიერების ნიშნად სარმატთა მეფეს ცოლად საკუთარი და მიათხოვა [11, 23-24].

ჩვენს ნელთალრიცხვამდე II საუკუნეში ქართლის შეიარაღებულ ძალებში ჩრდილოკავკასიელი ტომები თითქმის სრული შემადგენლობით იყვნენ თავმოყრილნი. იმხანად, სარმატებმა, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველთა ხელმძღვანელობით მონყობილ კოალიციურ ლაშქრობაში სომხეთის გაძლიერებული სამეფოს წინააღმდეგ [11, 45].

წინამდებარე ნარკვევში შესწავლილია ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი

ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი – XVIII საუკუნის მეორე ნახევარი [20, 96-109].

ხსენებულ პერიოდში საქართველოში შექმნილ უმძიმეს საგარეო და საშინაო ვითარებაში, ქართველ მეფეებს ჩრდილოკავკასიელ მთიელთა სახით საიმედო დასაყრდენი ეგულებოდათ.

ქართლსა და კახეთში მამა-შვილის: თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გამეფების (1744 წ.) შემდეგ ქართველი და ოსი (და საერთოდ ჩრდილოკავკასიელი) ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა.

გვირგვინოსანი მამა-შვილი ჩრდილო კავკასიის ხალხებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მთიელები ქართველ მეფეებს თავიანთ ნათესავეებად თვლიდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მეფე თეიმურაზ II-ის მეუღლის თამარ დედოფლის დედა – რუსუდან დედოფალი (მეუღლე ვახტანგ VI-ისა), ბებია მეფე ერეკლე II-ისა – ყაზარდოს დიდი მთავრის ასული იყო. მისი ოჯახი უდიდესი გავლენით სარგებლობდა არა მხოლოდ ყაზარდოში, არამედ სრულიად ჩრდილო კავკასიაში. უფრო მეტიც, ყაზარდოს დიდი მთავრის ქვეშევრდომობაში მოქცეულნი იყვნენ არა მხოლოდ ადიღელი ხალხები (ჩერქეზები და ყაზარდოელები), არამედ მათი მეზობელი ოსები, ყარაჩაელ-ბალყარელები და ვაინახთა ნაწილიც (ინგუშები).

სწორედ აღნიშნული ნათესაობის გამო, ჩრდილოკავკასიელი ხალხების უმეტესობა ერეკლე II-ს ერთგულად ემსახურებოდა.

საგულისხმოა, რომ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ხალხებიდან, რომლებიც მოცემულ პერიოდში საქართველოს დროშის ქვეშ იბრძოდნენ, გამონაკლისს წარმოადგენდა დაღესტნელ მთიელთა ნაწილი, რომელიც ქართველი მოსახლეობის ძარცვა-რბევაზე ხელს არ იღებდა.

XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან მეფე ერეკლე II-მ ძლევამოსილი მონარქის სახელი დაიმკვიდრა. სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებათა შედეგად, მან წარმატებით შეძლო დაემორჩილებინა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მდებარე სახანოების უმრავლესობა.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შეფასებით, „ერეკლე იშვიათის ოსტატობით ერკვეოდა ურთიერთის მეტოქე ხანების ძალთა შეფასებაში და საჭირო თადარიგს ყოველთვის თავის დროზედ იჭერდა“ [5, 392].

მამა-შვილს მეფობა უმძიმეს ვითარებაში, გამუდმებული ბრძოლების პირობებში მოუწიათ. მართალია, ეს მდგომარეობა დამახასიათებელი იყო საქართველოს თითქმის მთელი ისტორიული წარსულისათვის, მაგრამ ხსენებული პერიოდი მაინც განსაკუთრებული სიმწვავეით ხასიათდებოდა.

1747 წლის ივნისში, ხორასნის მახლობლად, ნადირ-შაჰი მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ, სპარსეთსა და მის ქვეშევრდომობაში მყოფ სახანოებში ფრიად არასტაბილური ვითარება შეიქმნა.

სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. მისიმიდინარეობისას აშკარად გამოიკვეთა უპირატესობა ქართლისა და კახეთის სამეფოებისა, რომლებსაც მამა-შვილი სრული ურთიერთგაგებით მართავდნენ.

აღნიშნულ პერიოდში, „პატარა კახი“ 27 წლისა იყო, მაგრამ როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, იგი „არა მარტო ბრწყინვალე სამხედრო ნიჭს იჩენდა, ის ფრთხილი პოლიტიკოსი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე ჩანდა“ [5, 340].

XVIII საუკუნის II ნახევრიდან, ამიერკავკასიაში იმხანად არსებული 14 სახანო სპარსეთის ქვეშევრდომობაში ნომინალურად რჩებოდა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ერევნის და განჯის სახანოთა მმართველებმა დახმარებისათვის ქართლისა და კახეთის მეფეებს მიმართეს. საგარეო საფრთხისაგან თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მათ ქართველ მეფეთა მფარველობაში შესვლა ამჯობინეს.

აღნიშნული ვითარება თეიმურაზმა და ერეკლემ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. მათ 1748-1750 წლებში სახანოთა შემოერთებისათვის მნიშვნელოვანი ბრძოლები აწარმოეს და ამაში ჩრდილოკავკასიელებიც დაიხმარეს [5, 104].

ჩრდილო კავკასიასთან აღმოსავლეთ საქართველოს კავშირის განმტკიცებაზე დადებითად იმოქმედა გეოგრაფიულად მათ შორის მდებარე ფაქტობრივად დამოუკიდებელი საფეოდალოების – არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმებამ და მათმა შესვლამ ქართლ-კახეთის შემადგენლობაში.

1743-1744 წლებში ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ერთობლივად განახორციელეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ. ამის შემდეგ, ქართლ-კახეთსა და ცენტრალურ ჩრდილო კავკასიას შორის მიმოსვლა გაცილებით ინტენსიური გახდა, რადგან მას ველარავინ აფერხებდა [19, 93].

XVIII საუკუნის ისტორიკოსი და სამეფო კართან დაახლოებული პოლიტიკური მოღვაწე პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“ წერდა, რომ „ქართველნი ყიზილბაშთა საომრად დიდად ალესილ იყვნეს, მოიწვივნეს ჯარები ქალაქსა თბილისისასა, ქართველნი სრულად, იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი და კავკაზისანი“ [12, 165].

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ მოწყობილ ლაშქრობებში ოსები, ისევე როგორც სხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხები (ძი-

რითადად ადიღელები და ვაინახები) ინტენსიურად მონაწილეობდნენ. ერთგულ მოკავშირეებს ქართველი მონარქები უხვი საბოძვრით აჯიღდობდნენ, რასაც ბრძოლის ველზე ერთობლივად მოპოვებული ნადავლის ნაწილიც ემატებოდა.

1750 წელს, შირვანის მფლობელ ფანა-ხანთან ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა კოალიციურმა ლაშქარმა ეს მოვლენა თბილისში დიდი ზემოთ აღნიშნა.

პ. ორბელიანი მიუთითებდა, რომ თეიმურაზ II-მ „დაითხოვა ჩერქეზის ბატონი, უბოძა მრავალი, აგრევე ჯარსა მათსა და ოსისა პირ-იქით ჯარსა, აღავსო ყოველნი საბოძვრით და გაისტუმრა ქვეყანასა თვისსა“ [12, 172-173].

ზემოთ მოტანილი ცნობიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს სამხედრო ღონისძიებებში ჩრდილოკავკასიელები გარკვეული გასამრჯელოს ფასად მონაწილეობდნენ. ასევე ნათელი ხდება, რომ საქართველოს დროშის ქვეშ იბრძოდნენ როგორც „პირ-იქითი“ ანუ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსები, ასევე შიდა ქართლის მთიანეთში მოსახლე ოსებიც.

საგულისხმოა, რომ ქართველი მეფეები გასამრჯელოს მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ოსებს აძლევდნენ. რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ოსებს, ისინი ქართველ მეფეებს ადგილობრივ მთიელთა: მთიულ-გუდამაყრელთა, მოხევეთა და თუმ-ფშავ-ხევისურთა მსგავსად, ქვეშევრდომთა რანგში ემსახურებოდნენ. აქედან გამომდინარე, ისინი გამარჯვების შედეგად მოპოვებული ნადავლის გარდა, საგანგებო გასამრჯელოს ვერ იღებდნენ [8, 136].

1751 წელს თავრიზის მფლობელმა აზატ-ხანმა, რომელსაც მთელი სპარსეთის ხელში ჩაგდება და შაჰინშაჰობა სურდა, ავღანელთა ჯარით ქართლ-კახეთის მოხარკე ერევნის სახანო დალაშქრა.

ერევნის ხანმა თავის სიუზერენ მეფეებს – თეიმურაზსა და ერეკლეს დახმარებისათვის მიმართა. ქართველმა გვირგვინოსნებმა მაშინვე მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები „ჩერქეზში, ოსეთში და მთების ქვეყნებში, ჯარები დაიბარეს და აქაც მზადება შექნეს ჯარებისა ამათ“ [12, 183].

ოსთა ჯარის ჩამოსვლას ასე იუწყება საისტორიო წყარო: „მოვიდა ქალაქში ჯარი ოსეთისა პირიქითნი კაცნი. უბოძა მეფემა ულუფა და გაუმძღვარა კაცნი და გაუგზავნა ძესა თვისსა, მივიდნენ, შეეყარნენ მეფეს ირაკლის ბანბაკში“ [12, 183].

ჩრდილოკავკასიელთა დაბინავებისა და სურსათ-სანოვავით უზრუნველყოფის თადარიგი ერეკლე II-მ ადრევე დაიჭირა. მისი

დიდი ორგანიზაციული უნარის შესახებ ნათელი ხდება მისი იმდროინდელი წერილიდან.

ერეკლე II ქართლის წარჩინებულ თავადს რევაზ ამილახვარს წერდა: „თქვენი წიგნი მოგვივიდა, ოსებზე მოგეწერა: პური ამბარდნიდამ გვიბძანებია, არაყი გორიდამ და ცხვარი და ძროხა ერისთავის გიორგიდამ... ამათ კაცი გაუგზავნეთ, ეს საკლავი გამოართვით. ოქმები მოგვიწერია და მწერლის ძმა იოსებ მემანდრათ დაგვიყენებია. მაგას მოაბარეთ და მაგან გამოუზოგოს. თხუთმეტი ძროხაა და თხუთმეტი ცხვარი.

არაყი გორელებს აქვს შეწერილი, აქამდის მზად ექნებათ. დღეში ექვსი თუნგი იყოს, თუ შვიდი – ყაბზით გამოართოს და მისცემდეს. პური ამბარდანს გამოართოს და ამაების ყაბზს თვითონ შენ მისცემდე, მერმე ჩვენი მოხელენი ჩაუგდებენ.

სანამდის ჩვენ შევეყრებოდეთ, კარგად გადაძლებინეთ და ღვინო ჩვენ მომდურავს არ გავუშვებთ... ამბარდანსაც შენ მიეცე ყაბზი და არყისათვისაც შენ მიეცე. გორელთაც დაისწრებდე და იმათაც ანგარიშით მისცენ. უანგარიშოდ და უბრალოთ ნურას დახარჯავენ“ [14].

ერეკლის მახლობლად, ყირბულახთან მომხდარ ბრძოლაში ერეკლე II-მ აზახ-ხანის 18000-კაციან ჯარს სძლია. არსებობს ცნობა, რომ ქართველთა ჯარი მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქრის მხუთედიც არ იყო [12, 186].

ამ გამარჯვებამ ქართველ მეფეთა ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აამაღლა.

ამიერკავკასიურ სახანოთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქართლისა და კახეთის ქვეშევრდომობაში შესვლას ამ რეგიონში ძალთა გადანაწილება მოჰყვა. ამან გამოიწვია შაჰის სახანოს დამაარსებლისა და მისი პირველი დამოუკიდებელი მმართველის აჯი-ჩალაბის (ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ) გალიზიანება და დაღესტნელ ტომთა შემოსევების გახშირება ქართლ-კახეთში.

თავდაპირველად, აჯი-ჩალაბი ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ უპირატესობას აღიარებდა და 1749-1750 წლებში ყარაბაღის დასამორჩილებლად მონყობილ ლაშქრობაში ქართველ მეფეთა მოკავშირე იყო.

ნ. ბერძენიშვილი წერდა: „აჯი-ჩალაბი სათვალმჩინოდ, მართალია, ქართველ მეფეებს მეგობრობდა, მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა მეზობელი საქართველო, მით უფრო, ხანს მოსვენება ეკარგებოდა. ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისლის დაპყრობით ქართველები შაჰს უშუალოდ უმეზობლდებოდნენ. ამიტომ აჯი-ჩალაბი გადამწყვეტი ომისათვის საიდუმლოდ ემზადებოდა“ [4, 201].

1751 წლის იანვარ-თებერვალში, ქართული ჯარის მიერ ჭარ-ბელაქნის ე. წ. „უბატონო თემების“ დასამორჩილებლად მონყობილ

ლაშქრობაში აჯი-ჩალაბიც მონაწილეობდა.იქ მან უღალატა ქართველებს და 11 თებერვალს, მდინარე აგრიჩაისთან (ახლანდელი აზერბაიჯანი) გამართული ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში, მონინალმდეგის მხარეზე გადავიდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებულმა აჯი-ჩალაბმა კაკის სასულთნო და ჭარ-ბელაქანი დაიმორჩილა [15, 308-309].

ყოველივე ამის შემდეგ, აჯი-ჩალაბს ამიერკავკასიაში პირველობის პრეტენზია გაუჩნდა და ჩამოაყალიბა ანტიქართული კოალიცია, რომელშიც შექთან ერთად შევიდნენ: ხუნძახის, ყუბის, ყარაყაიტაგის და სხვა სახანოები [6, 105].

1752 წლის აპრილში, ქ. განჯასთან გამართულ ბრძოლაში აჯი-ჩალაბის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა, ქართულ ჯარს მეორედაც სძლია [12, 194-195].

ქართლისა და კახეთის სამეფოების საერთაშორისო პრესტიჟის შესანარჩუნებლად, აუცილებელი გახდა გათავხედებული ყოფილი ქვეშევრდომის – აჯი-ჩალაბის საკადრისად დასჯა. ამიტომ, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გადამწყვეტი ბრძოლისათვის სამზადისი დაუყოვნებლივ დაიწყეს.მათ ჩრდილოკავკასიელთა (ოსთა, ადიღელთა, ვაინახთა და დაღესტნელთა) ლაშქარი კვლავ დაიქირავეს. ჯარის ჩამოსაყვანად ჩრდილო კავკასიაში ზურაბ ზედგინიძე გაგზავნეს [12, 196].

საშიში მტრის გასანადგურებლად ენერგიულად დაწყებული მზადების „სული და გული ერეკლე იყო“ [4, 202].

ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841) თავის თხზულებაში „ახალი მოთხრობა“ წერს: „აჯი ჩალაბმა გამოსრულმან შექელმან ქეთხუ-დამან, რომელმანცა აღამალლა თავი თვისი შირვანსა შინა, ამან დაიპყრა ნუზი და შამახია. მან შეჰყარნა მხედრობანი შაქისა, შირვანისა, განჯისა და ყარაბაღისა და დაღესტნისა და წარმოემართა ქართლისა დასაპყრობელად. მოვიდა და დაიპყრა კერძონი მამულნი საქართველოსანი შამშადინიდან ვიდრე ალგეთადმდე“ [7, 49].

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ბრძანებით, სამეფო ხაზინიდან გამოიტანეს ოქრო-ვერცხლის ნივთები და თბილისის ზარაფხანაში მთიელთა ჯარის დასაქირავებელი ფული მოჭრეს. ამის შემდეგ, გადაწყდა, რომ ჩრდილოკავკასიელებთან მოლაპარაკების მიზნით თვით მეფე ერეკლე წასულიყო [13, 100].

1752 წლის აპრილში ერეკლე II ადიღელ ფეოდალებთან შესახვედრად ხევში ჩავიდა.როგორც პ. ორბელიანი წერს, მეფე „ნაბძანდა თვით ჩერქეზში, მიბძანდა, ხევში დადგა, იქილამ გაგზავნა თავადთა შვილნი ჩერქეზში.

სანამდის შემოეყრებოდა ჩერქეზი, მანამდის შემოეყარა ჯარი ოსეთისა. მოვიდნენ უფროსნი კაცნი ჩერქეზისანი და მეფეს ერე-

კლესთან განარჩივს ჯარის საქმე და გაურიგეს ჯარს ჯამაგირი. ნავიდნენ ესენი, შეყარეს ჯარი. წინ მოვიდა ხუთასი კაცი ჩერქებთა და ამათ მიუძღვა მეფის ერეკლეს ბიძა, ჩერქეზის ბატონი“ [12, 199].

იმავე წლის 19 ივნისს ერეკლე II კათალიკოს ანტონ I-ს წერდა: „ორ-სამ დღეში ღვთით ბევისაკენ წავალთ და ეგების ჩერქეზშიაც წასვლა მოგვიბდეს“ [16, 95-96].

ივლისში „პატარა კახი“ დამატებითი ლაშქრის ჩამოსაყვანად კვლავ ჩრდილო კავკასიისაკენ გაემურა [13, 100].

ჩრდილოკავკასიელთა ლაშქრის ჩამოსვლის შესახებ შემდეგნაირად იუწყება დავით ბატონიშვილი (1767-1819) თავის თხზულებაში „ახალი ისტორია“: „მეფემან თეიმურაზ ნარგზავნა ძე თმისი ირაკლი სტეფანწმინდას და მოუწოდა მხედრობასა ჩერქეზთასა. მაშინ მოვიდნენ მხედრობანი“ [7, 6].

ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „მეფემან თეიმურაზ II ნარგზავნა ძე თვისი ირაკლი კავკასიად... ერეკლემ თაგაურ-ქურთაულნი და ჩერქეზნი შეიკრიბნა და მოვიდა ქართლსა“ [7, 49].

დავით და ბაგრატ ბატონიშვილების უმცროსი ძმა – თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) თავის თხზულებაში „ახალი ისტორია“ ასევე იუწყება ჩრდილოკავკასიელთა ჩამოსვლის ზემოხსენებულ ფაქტს [3, 49].

XVIII საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსი, მდივანბეგი ომან ხერხეულიძე აგრეთვე ადასტურებს ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა გაერთიანებული ლაშქრის ძღვევამოსილ გამარჯვებას მტერზე [18, 54].

ჩრდილოკავკასიელთა ლაშქარს გვერდით ასევე ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული ქართლ-კახეთის ჯარი ამოუდგა. ისინი თბილისის მახლობლად, სოფელ დიღმის მიდამოებში დაბანაკდნენ [12, 200].

არსებობს ცნობა, რომ ჩრდილოკავკასიელთა საერთო რიცხვი – 4000-ს შეადგენდა [17, 73]

ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა (ოსთა და ადიღელთა) კოალიციური ლაშქარი მტერთან გენერალური ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. მათთან პირისპირ შეტაკებას ერიდებოდა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელსაც აჯი-ჩალაბის ვაჟი ალა-ქიში (სხვა ცნობით – ალა-ოღლანი) სარდლობდა. ასთან ერთად იყვნენ მისი მოკავშირეები – ლეკები და განჯის ხანი თავისი ჯარით.

ალა-ქიშმა ქართველ მეფეებს დაზავება შესთავაზა. თეიმურაზმა და ერეკლემ დამფრთხალ მტერთან მოლაპარაკებაზე მტკიცე უარი განაცხადეს, რადგან „უომრობა აღარ იკადრეს“ [12, 201].

1752 წლის აგვისტოს ბოლოს, ქართული ჯარი თბილისიდან გამოვიდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბაიდარში დაბანაკებულ, შე-

შინებულ მტერს პოზიციები მიეტოვებინა და ყაზახში გადაბარგებულიყო.

თ. ბაგრატიონის ცნობით, „განვიდნენ რა მეფენი ტფილისით, მცნობმან ალა-ქიშიმ იწყო უკუნ-ქცევა“ [3, 49].

უკუქცეული მტრის გარკვეული ნაწილი ჩრდილოკავკასიელთა მონინავე ლაშქარმა გაანადგურა. მტერმა განჯასთან გამაგრება სცადა.

კოალიციურ ლაშქარს სათავეში მამა-შვილი – თეიმურაზ II და ერეკლე II ჩაუდგნენ. მათ ქვეითი ჯარი მონინალმდეგის მიერ მიტოვებულ პოზიციებში ჩააყენეს და მტრის გაქცეულ ლაშქარს კავალერიის თანხლებით დაედევნენ.

მონინავე ლაშქარს სათავეში ერეკლე II ჩაუდგა. საგანგებოდ არჩეულ, ახალგაზრდა ქართველ თავადებთან და ოს-ჩერქეზთა ლაშქართან ერთად, მას გვერდს უმშვენებდა ქიზიყელთა ჯარი მოურავ თამაზ ანდრონიკაშვილის მეთაურობით.

1 სექტემბერს თულქითაფასთან მომხდარი სისხლისმღვრელი ბრძოლის სურათი შთამბეჭდავად არის გადმოცემული პ. ორბელიანის თხზულებაში, რომელშიც ვკითხულობთ: „გაჯდა უკეთესსა ცხენსა მეფე ერეკლე, ჰკრა მათრახი და წავიდა, ვითა შავარდენი. ყაზახისა და შამშადილოს სამძღვარში რომ ჩავიდა აჯი-ჩალაბის შვილი, მოენივა მეფე ერეკლე.“

რა ცნეს ჯარის მიწევა, დადგნენ და შემოებნენ. ასე ძალიან მოინდომეს, რომ საბმლოდ შიგ ჯარში შემოვიდნენ. ცოტას ალაგს ოსის ჯარიც გამოაქცივეს. მეფემ ერეკლემ იწყინა, მიბძანდა თვითონ, მიუძღვა ჯარს და ვითა ლომი, ეგრე მიესივა, გაერივა ბმალდაბმალ. ამის მნახველი ვინღა დადგებოდა უომრად“ [12, 201-202].

ზემოთ მოტანილი ციტატიდან კარგად ჩანს, თუ რა გადამწყვეტ მნიშვნელობას ახდენს ბრძოლის ბედზე უშუალოდ სარდლის მიერ გამოვლენილი სიმამაცე და მხნეობა. მას მაგალითის ძალა აქვს.

ბრძოლაში თავი ისახელეს, როგორც ქართველებმა, ასევე მათმა ოსმა და ჩერქეზმა თანამებრძოლებმაც.

თ. ბაგრატიონის ცნობით, ეს ბრძოლა მოხდა შამშადილოში, „თულქი-თაფად ნოდებულსა ადგილსა, იკვეთნენ მუნ, იძლივა ალა-ქიში, რომელსაცა მიჰყვნენ კაფით შამქორამდინ“ [3, 49].

მტრის დამარცხების შემდეგ, თეიმურაზმა და ერეკლემ თავიანთ ერთგულ მაჰმადიან ფეოდალებს დიდი ნყალობა უბოძეს, ხოლო ზოგიერთს – დაკარგული სამფლობელოც დაუბრუნეს. აჯი-ჩალაბის მხარეზე გადასული თავიანთი ყოფილი ქვეშევრდომები, მეფეებმა ლალატისათვის საკადრისად დასაჯეს.

დიდი გამარჯვება თბილისში სათანადო ზემოთ აღინიშნა. კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა სიონის ტაძარში უფლის სამად-

ლობელი პარაკლისი გადაიხადა. „შეიქნა სროლა ზარბაზანთა და ცემა ქოს-ნალარათა და სპილენძ-ჭურთა, იყო ქალაქსა შიგან სიხარული ფრიადი“ [12, 203].

ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ამ გამარჯვებას საქართველოსათვის დიდი შედეგები მოჰყვა. მაჰმადიანური სახანოების კავშირი, შაქის ხანმა რომ საქართველოს დაუპირისპირა, ჩქარა დაიშალა. ერევნის, განჯის და სხვა ხანები თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ისევ მეგობრობა-მორჩილების გზას დაადგნენ“ [4, 203].

ჩრდილოკავკასიელ მოკავშირეებს ქართველებმა სათანადო პატივი სცეს. მათ მთიელთა მეთაურები ქალაქში დააბინავეს, ხოლო ჯარი დილომს დააბანაკეს და ხუთი დღის განმავლობაში მოალხინეს. მას შემდეგ, როდესაც ჩრდილოკავკასიელები ნასასვლელად გაემზადნენ, ქართველმა მეფეებმა ისინი უხვი საბოძვრით დააჯილდოვეს. ნასვლისას ჩრდილოკავკასიელთა მეთაური ქართველ მეფეებს შეპირდნენ: „რასაც დროს თქვენი ბძანება მოგვივიდეს, მაშინვე ჯარით გიახლოთო, ჩვენი თავი თქვენს სამსახურზე დაგვიდვიაო“ [12, 203].

1754 წელს, ხუნძახის (ავარიის) მფლობელმა ნურსალ-ბეგმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ახალი სამხედრო კოალიციის ჩამოყალიბება სცადა.

მოლაპარაკების თანახმად, ნურსალ-ბეგის გამარჯვების შემთხვევაში, მის კოალიციაში გასაერთიანებლად მზად იყვნენ: შაქის ხანის აჯი-ჩალაბის ვაჟი ალა-ქიში, შირვანის მფლობელი ფანა-ხანი, განჯის ხანი, კაკის სულთანი და დაღესტნელი სურხავი თავთავიანთი ჯარებითა და ჭარელ ლეკთა ლაშქარი.

პ. ორბელიანის ცნობით: „ამათ ყოველთა პირი მიეცათ. თუ ხუნძახის ბატონი ქართველსა და კახ ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ და ვითაც მტერნი იყვნენ, ეგრევე ააობრებდენ, დაატყვევებდენ“ [12, 215].

თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ თავიანთი ჩრდილოკავკასიელი თანამებრძოლები კვლავ მოიხმეს. „გაგზავნეს მეფეთა კაცნი ჩერქეზში, ალუთქვეს მისაცემელი ფრიადი და დაიჭირეს ჯარი, ეგრევე ოსისა და მთის ჯარები, კავკასიიდან მოიწვიეს ჯარები“ [12, 215].

ქართლ-კახეთის ცალკეული დასახლებული პუნქტების (რუის-პირი, ახმეტა, დუშეთი და სხვ.) დარბევისა და გადაწვის შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში, ნურსალ-ბეგის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა მჭადიჯვრის ციხეს ალყა შემოარტყა.

ჩრდილოკავკასიელთა დაგვიანების გამო, ერეკლე II იძულებული გახდა, რომ მტერს მხოლოდ ქართველთა ლაშქრით შეებოდა.

16 აგვისტოს გამართულ ბრძოლაში, წარმატებებით გათამამებული მოწინააღმდეგე ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს, ხოლო მტრის სარდლის ბიძა და ბიძაშვილი მოკლეს.

საისტორიო წყაროში აღნიშნულია, რომ ქართველები „მოსანონად შეიბნენ, რომ იმ დღეს მათი ქება ბევრისაგან მოგვესმნეს, ვითა ქართველთა და კახთა ომისა სიკეთე და ბმალი განთქმულა ყოველგან. იმ დღეს იმისთანა გამარჯვება მოუხდათ“ [12, 218].

უკვე გამარჯვებულ მეფეს ჩრდილო კავკასიიდან დაბარებული ლაშქარიც ეახლა. როგორც მემატიანე მოგვითხრობს: „ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, კალმუხისა, ჯიქისა, ქიშტისა, ლლიღვისა, ნოლისა და ოსისა.

ამა ქვეყნების ჯარები თავ-თავისისა უფროსითა კაცითა იყვნეს. ესენი სხვადასხვა რჯულთა მსახურნი, მაჰმადიანნი და უფრორე კერპთ-მსახურნი, ავად-მქცევნი და საჭმელთა ფინთთა და არანმინდათა მჭამელნი, ზოგნი კარგი თვალად ტანადნი და ზოგნი დუხჭირნი და ავ-სანახავნი, თმათა-წვერთა უქონელ და ცხვირთა ძნიად ჩენილ, კარგ-ცხენოსან-მოისარნი და ფიცხად-მქცეველნი.

გამოუძღვა ერისთავი ჯიმშერ და ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისსა მახლობელ, დააყენეს დიდუბეს, დააყენეს მემანდარნი და უბოძეს ულუფა კმა სამყოფელად მათთა“ [12, 219].

ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მრავალრიცხოვანი მაშველი ჯარის ჩამოსვლამ და ტაბახმელაში დაბანაკებამ საქართველოს მტრები ძლიერ შეაშფოთა.

როგორც საისტორიო წყარო გვაუწყებს, „გავარდა ყოველგან ბმა: „ქართველ ბატონს უცხო ჯარები უშოვნია და დიდი ჯარი შეუყრაო“. შეშინდენ გარემოს მტრები და ფიქრი შეექნათ, ხუნძახის ბატონზე გამარჯვებაც შეეცყოთ“ [12, 220].

მოგვიანებით, ჩრდილოკავკასიელთა ლაშქარი დიღმის ველზე დააბანაკეს. ვინაიდან, მათი შიშით, მტერმა თავდასხმა ველარ გაბედა, მაღლიერმა ერეკლე II-მ მთიელები უხვად დააჯილდოვა და სამშობლოში გაისტუმრა [12, 221].

დამარცხებით გაბოროტებულმა ნურსალ-ბეგმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ახალი კოალიცია ჩამოაყალიბა. მასში გაერთიანდნენ: თარღუს შამხალი, სურხაი-ხანი, აჯი-ჩალაბის შვილი ალა-ქიში, კაკის სულთანნი, განჯის ხანი თავ-თავიანთი ჯარებითა და ჭარელი ლეკები.

1755 წელს ნურსალ-ბეგმა საქართველოში მეორედ ილაშქრა. მისი მეთაურობით დაღესტნისა და ჭარ-ბელაქნის 20000-კაციანი ლაშქარი კახეთისაკენ დაიძრა.

ჩრდილო კავკასიიდან ჯარის ჩამოსაყვანადერეკლე II-მ თავადი რამაზ ანდრონიკაშვილი გაგზავნა. ჩამოსულ მცირერიცხოვან ლაშქარს სათავეში ერეკლე II-ის ძის, გიორგი ბატონიშვილის სასიამაო, ყაბარდოელი ფეოდალი ედგა [12, 228].

მტერმა ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერ აიღო. ციხე კარგად იყო გამაგრებული, რის გამოც მისი ალყა გაჭიანურდა.

ერეკლე II-მ მოწინააღმდეგის კოალიციური ჯარის დაქსაქსვა სცადა. ამ მიზნით, მან ქიზიყელთა რჩეულ ცხენოსან ჯარს ჭარ-ბელაქანი დაალაშქერინა, რითაც ჭარელი ლეკები იძულებულნი გახადა, რომ ალყა მოეხსნათ და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამ ფაქტმა მოკავშირეთა შორის უთანხმოება ჩამოაგდო.

ჭარელების მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. კაკის სულთანი, სურხავი და აჯი-ჩალაბი თავ-თავიანთი ლაშქრებითურთ წავიდნენ და ხუნძახის მფლობელი მარტო დატოვეს. მტრის მძლავრი კოალიცია ერეკლემ ასე მოხერხებულად დაშალა.

ჩანს, რომ ჩრდილოკავკასიელებმა თავი ამ სამხედრო კამპანიაშიც ისახელეს, რადგან თბილისში დაბრუნებულმა ქართველმა მეფეებმა ისინი ქართლ-კახეთის ლაშქრის გამორჩეულ მეომრებთან ერთად დააჯილდოვეს.

როგორც მემათიანე გვამცნობს, მოკავშირეებს „უბოძეს დასტური ჯარებთა მთისათა ანუ რომელნი ახლდნენ ოსნი და ჩერქეზნი, უბოძეს ლარნი კმასაყოფელნი თვისნი“ [12, 232-233].

ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა შემდგომ პერიოდშიც წარმატებით გრძელდებოდა.

ქართველ მეფეთა ოსმა თანამებრძოლებმა თავი მრავალჯერ ისახელეს. მათ ბაგრატიონი გვირგვინოსნებიდან ჯამაგირი ძველთაგანვე ჰქონდათ დანიშნული და მის საფუძველზე საქართველოს დროშის ქვეშ ერთგულ სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ. ჯამაგირის წიგნები მათ პერიოდულად უახლდებოდათ. სწორედ ეს განაპირობებდა, რომ ქართველ მეფეთა მიერ გაგზავნილი მოწვევის მიღებისთანავე, ისინი საქართველოში დაუყოვნებლივ ჩამოდიოდნენ.

ოსთა ჯარის მოწვევის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებში ხშირად არის აღნიშნული. მათში ყველგან იგულისხმებიან ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსები. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში მცხოვრები ოსები ქართულ ჯარში ისეთივე ვალდებულებით იკრიბებოდნენ, როგორც ქართველი მთიელები.

მეფეთა მიერ გაცემული ჯამაგირის წიგნები ძირითადად თავაურის თემში მცხოვრებ ოსებს ჰქონდათ მიღებული. ვინაიდან დარიალის ჭიშკარზე გამავალი გზის ჩრდილოეთი ნაწილი მათ ხელთ იყო, ქართველი მეფეები მათ გამორჩეულად წყალობდნენ [8, 142-143].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაღესტნელთა გამუდმებული თარეშით, ქართველ მოსახლეობასთან ერთად, ადგილობრივი ოსებიც დიდად შეწუხებულნი იყვნენ. ამიტომ, თავდადებულ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ ისინი პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნითაც აწარმოებდნენ.

1759 წელს დაღესტნელთა 8.000-კაციანი ლაშქარი ჩონჩოლ-მუ-

სასა და კობტა ბელადის მეთაურობით ქართლ-კახეთის სამეფოში შემოიჭრა. მტერი ორად გაიყო. მისმა ერთმა ნაწილმა ჩონჩოლ-მუ-სას მეთაურობით სამაჩაბლო დალაშქრა, აიღო სოფელი აჩაბეთი და მრავალი ქართველი დაატყვევა. ამის შემდეგ, მტერმა „შევლო ლიახვზედ, სამაჩაბლოს ოსები დაარბივა და მუნით წარმოსული ავ-ნევს სოფელს შემოადგა“ [18, 58].

ქართველებმა მტერს ამჯერადაც წარმატებით სძლიეს.

1769 წლის ზაფხულის მინურულს რუსული ჯარი გენერალ ტოტლებენის სარდლობით დარიალის გავლით საქართველოში შემოვიდა. რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის თხოვნით, ერეკლე II ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაება.

თურქების წინააღმდეგ გამართულ სამხედრო ოპერაციებში ოსებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან მომხდარ ბრძოლაში ქართული ლაშქრის შემადგენლობაში ოსებიც იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში თავგამოჩენილ ზოგიერთ ოს მეზობლს მეფე ერეკლემ მამულიც უწყალობა.

შემორჩენილია ერეკლე II-ის მიერ 1786 წელს განახლებული წყალობის წიგნი ნარელი ოსის დოხჩიყო ხეთაგურისათვის მამულის ბოძების შესახებ. მასში მეფე სახასო ყმას მიმართავს: „შენი შვილი ბოლათიყო ჩვენ გვახლდა ასპინძას ოსმალთა და ლეკზე რომ გაგვემარჯვა, იქ მზნედ გაისარჯა და იმ ომში მოიკლა“ [1].

1771 წლის 25-26 ოქტომბერს ჩატარებულ ხერთვისის ოპერაციაში ოსი მხედრები ასევე მონაწილეობდნენ. მათ მეთაურობდათ ახმეტ დუდაროვი.

1773 წლის 8 ნოემბერს რუსეთის საიმპერიო არმიის კაპიტანი ლვოვი გრაფ პანინს აცნობებდა, რომ ერეკლე II-მ და იმერთა მეფემ სოლომონ I-მა თავი მოუყარეს 5-5 ათას ქართველ მეომარს და ათასამდე ოსსა და ინგუზს.

1779 წლის აგვისტოში, როდესაც ერეკლე II-მ ერევანი დალაშქრა, მის ჯარში იბრძოდნენ ოსებიც თავაურელი აღდარის ბესლან შანაშვილის მეთაურობით.

1785 წელს ხუნძახის (იგივე ავარიის) მფლობელი ომარ-ხანი ქართლ-კახეთს შემოესია.

მეფე ერეკლე მტერთან დასახვედრად მოემზადა. 20 სექტემბრის მონაცემებით, მის ჯარში 400 ოსი და ინგუში მხედარი ირიცხებოდა.

ოსი მხედრები მონაწილეობდნენ ერეკლე II-ის შვილიშვილის დავით არჩილის ძის (მომავალი სოლომონ II) იმერეთში გამეფებისათვის ბრძოლაში, რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდა [8, 148-153].

1798 წლის 11 იანვარს 77 წლის მეფე ერეკლე II თელავის სამეფო სასახლეში გარდაიცვალა.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მართებული შეფასებით, ერეკლე II იყო „ქვეყნის თავდადებული მოამაგე, დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და თავისი დროის მოწინავე კაცი. მოხუცებულობის მიუხედავად, მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო აფორიაქებული ქვეყნისათვის“ [4, 240].

ერისათვის თავდადებული გვირგვინოსნის დაკრძალვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ჭეშმარიტ სახალხო გლოვად იქცა.

ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგმა (ვიცე-კანცლერმა), სოლომონ ლიონიძემ თავის სათაყვანებელ მეფეს უძღვნა შესანიშნავი გამოსათხოვარი სიტყვა: „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ღერკულეს ნეტარების ღირსისა“.

დატირების ტექსტში ნათქვამია: „როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროა გაიშლება, დაღისტნელნი ლაშქრად მორბიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ“ [10, 39].

1800 წელს ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ ბესლან შანაშვილს განუახლა ჯამაგირის წიგნი, რომელშიც ვკითხულობთ: „შენ შანაშვილს ბეასლანს კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან ჯამაგირი გქონდა გაჩენილი და ეს ჯამაგირის წიგნი ერევნის ომში დაგკარგვოდა და ახლა ჩვენ გაგიჩინეთ წელიწადში ორმოცი მარჩილის ფარჩა.

როცა შენ ჩვენთან ჩამოხვალ, ჩვენგანთ განწესებულ ჯამაგირს ჩვენის კარის მოხელენი ჩვენის სალაროდან უკლებრივ მოგცემდნენ და შენც უნდა ჩვენის სამსახურის მცდელი და ერთგული იქმნებოდე“ [2].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წინაშე ოს მხედართა დამსახურების შესახებ ცნობები მოგვეპოვება არა მხოლოდ ქართველ მეფეთა, არამედ ბატონიშვილთა მიერ გაცემულ სიგელებშიც.

მათ შორის შეგვიძლია გავიხსენოთ იოანე ბატონიშვილის მიერ 1796 წლის 30 სექტემბერს შიდა ქართლის სოფელ ტბეთში მცხოვრები ოსების – თუაურებისადმი ბოძებული წყალობის სიგელი, ვახტანგ ბატონიშვილის მიერ 1798 წლის 28 მაისს გაცემული ბრძანება ზახელი და თრუსოელი ოსებისადმი და სხვ. [8, 158].

ამრიგად, ქართველი და ოსი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარი მის გამორჩეულ მონაკვეთს წარმოადგენს [20, 107]. ოსები ქართველ მეფეთა ერთგული მხედრები იყვნენ, რისთვისაც მათ წყალობა არ აკლდათ.

დამონმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია:

- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Ad, საბუთი №1569.
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Hd, საბუთი №13693.
- თეიმურაზ ბაგრატიონი**, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *ლელა მიქიაშვილმა*, თბ., 1983.
- ნიკო ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1959.
- ნიკობერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VI, თბ., 1973.
- თეიმურაზ ბოცვაძე**, საქართველო-ყაზარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1963.
- დავით ბატონიშვილი**, ახალი ისტორია; **ბაგრატ ბატონიშვილი**, ახალი მოთხრობა, *თამარ ლომოურის* გამოცემა, თბ., 1941.
- გიორგი თოგოშვილი**, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1969.
- პლატონ იოსელიანი**, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი *განერელიას* შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ., 1936.
- სოლომონ ლიონიძე**, მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ლერკულეს ნეტარების ღირსისა, XVIII საუკუნის ავტოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო *ნიკოლოზ კანდელაკმა*, თბ., 1957.
- ლეონტი მროველი**, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *სიმონ ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- ბაპუნა ორბელიანი**, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ელენე ცაგარეიშვილმა*, თბ., 1981.
- საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. *ავთანდილ იოსელიანმა*, თბ., 1980.
- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი № 1448, საბუთი № 1339.
- ლოვარდ ტუხაშვილი**, აჯი-ჩალაბი, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997.
- ქართული ეპისტოლური წყაროები (XV ს. – 1762 წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო *მამისა ბერძენიშვილმა*, თბ., 1989.
- გერონტი ქიქოძე**, ერეკლე II, თბ., 1983.
- ომან ხერხეულიძე**, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო *ლელა მიქიაშვილმა*, თბ., 1989.
- ნიკო ჯავახიშვილი**, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005.

Николай Джавахишвили, Из истории грузино-осетинского военного сотрудничества (Вторая половина XVIII века). Сборник научных трудов отделения новой и новейшей истории Института истории и этнологии имени Ивана Джавахишвили „Вопросы новой и новейшей истории“. Т. 13, Тбилиси, 2013.

Javakhishvili Niko

Tbilisi, Georgia

FROM THE HISTORY OF KARTLI-KAKHETI KINGDOM AND OSSETIAN'S MILITARY SERVICE

1) The history of the Georgian-Ossetian relations dates back in the centuries. The Georgian Kings, as a military force, used regularly hired warriors from the North Caucasus, including Ossetians.

2) After father and son Teimuraz II and Erekle II became the rulers of Kartli and Kakheti and the assassination of Nadir-Shah (1747) Georgian-Ossetian military cooperation became rather intensified.

3) Shida Kartli Ossetians in the Georgian army served as enlisted, as well as other recruits, including the Georgian population. In case of winning they were given part of the won. As for the Ossetians living in the North Caucasus, they received salaries from the Kartli-Kakheti kingdom's budget.

4) Ossetian enlisted as soldiers in the Georgian Army repeatedly saw the military campaigns carried out by the Kings of Kartli and Kakheti, including, Shirvan and Shaki battles (1750-1752 years), Aspindza battle (1770) and others.

5) The Georgian kings were generous towards the Ossetians who proved worthy in the war and rewarded them.

ჯალალონია ნატალია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი*

ქართულ – ოსური ლიტერატურული ურთიერთობები – მსგავსებები და თანამედროვე გამონაკვეთები

ქართულ-ოსური ურთიერთობებს მრავალწლიანი ისტორია აქვს, რაც არა მარტო გეოგრაფიული თუ ისტორიული, არამედ კულტურული ხასიათისაა, ეს თავის თავში ლიტერატურულ, ფოლკლორულ თუ სხვა სახის ურთიერთობებს მოიცავს.

ჩემი საკონფერენციო თემის სათაური ტყუილუბრალოდ არ არის შერჩეული – “ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობები- მსგავსებები და თანამედროვე გამონაკვეთები” – ეს არის თემა, რომელიც, სამწუხაროდ, არცთუ ისე ხშირად განიხილება. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ქართულ-ოსურ კონფლიქტზე და ამ კონფლიქტის განმაპირობებელ მიზეზებზე, მაგრამ საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის, მაგ: კოსტა ხეთაგუროვი, რომლის შემოქმედება არა რომელიმე კონკრეტული ერის, არამედ მსოფლიოს საკუთრებაა. 2008 წლის ომმა, რომელიც ჩვენს ისტორიაში შავ ლაქად დარჩება, საბედნიეროდ, ვერ განყვიტა ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობები, იქნებ, სწორედ ეს იქცეს იმ მთავარ ქვაკუთხედად, რომელიც ალადგენს განყვიტილ კავშირს.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში არსებულმა პრობლემებმა და დროებითმა გათიშვამ ამ ორ მხარეს შორის, დავინყებას მისცა უამრავი ოსური კულტურული ძეგლი, მწერალი, ნაწარმოები, ამ კულტურის ამსახველი სხვადასხვა ნამუშევარი და ა.შ. თუმცა, ურთიერთობების აღდგენის საუკეთესო გზას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კულტურული საერთო მახასიათებლების პოვნა განაპირობებს.

ლაგოდების რაიონის სოფ. არემფერნის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის საჯარო სკოლაში საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“ ყოველწლიურად აღნიშნავს სახალხო დღესასწაულს „კოსტაობა“, მიმდინარე წელს პოეტის 156 წლის იუბილე აღინიშნა.

ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კოსტა ხეთაგუროვის

ძეგლი 1959 წელს და იდგა ამავე სოფლის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სკოლის ეზოში (მოქანდაკე ი. ზანტიევი). ძეგლი 1990-იანი წლების დასაწყისში ააფეთქეს.

2004 წელს ნაირა ბეპიევმა („კავკასიური მოზაიკას თავმჯდომარე“) ნინო პოპიაშვილთან (პროექტის ავტორთან) და ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად მოამზადა პროექტი „კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის აღდგენა“, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა.

2005 წლის ოქტომბერში ლაგოდეხის რაიონის სოფ. არეშფერნის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის საჯარო სკოლაში კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი (მოქანდაკე მერაბ გაგლოევი) საზეიმოდ გაიხსნა.

ამ ფაქტს საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა – სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები არაქართული ეროვნების ცნობილი მოღვაწეები ქართველ შემოქმედებად არ მიიჩნეოდნენ. სწორედ ამის გამო მოხდა ქართული და სხვა კულტურების უკიდურესი გამიჯვნა, რამაც არაერთი უსიამოვნება მოგვიტანა. ჩვენთვის ხეთაგუროვი მხოლოდ ოსი, თუმანიანი კი – სომეხია და მათი შემოქმედება არაქართულად მიიჩნევა, მაშინ, როდესაც ეს ადამიანები მუდმივად იბრძოდნენ ძმობისა და ერთობის შენარჩუნებისათვის. ხეთაგუროვი თავის მოთხრობაში „ჩვენს მთები“ ასეთ რამეს წერს: „თუკი კავკასიაში ჩასულხარ და საქართველო არ გინახავს, მაშინ არც კავკასია გინახავს, მეგობარო!“ სხვათა შორის, ამ სიტყვებს რუს მოგზაურს ეროვნებით ოსი მწყემსი ეუბნება.

ქათულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების განხილვისას აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ოსი მწერალი და მთარგმნელი – გიორგი ბესთაუთი, რომლის საიუბილეო საღამოები ყოველი წლის 5 მაისს აღინიშნება. გიორგი ბესთაუთი მრავალი პოეტური კრებულის ავტორია. მის ლექსებს თარგმნიდნენ ცნობილი ქართველი პოეტები: ბესიკ ხარანაული, ჯემალ აჯიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი შაჰნაზარი, მორის ფოცხიშვილი და სხვ. გიორგი ბესთაუთმა ოსურ ენაზე თარგმნა ქართველი კლასიკოსების: ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ქმნილებები. მან ოსურად აამეტყველა მრავალი თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსი. გიორგი ბესთაუთის განსაკუთრებულ დამსახურებად ითვლება ის, რომ მან ოსურ ენაზე შესანიშნავად თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რისთვისაც მას მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია.

ოსური ეპოსის ნიმუშების თარგმანი ქართულ ენაზე მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან გვხვდება. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია ისეთ პოერიოდულ გამოცემებში, როგორიცაა: „დროება“, „ივერია“, „ჯეჯილი“ და სხვ. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართველ მწერლებს: ილია ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, დ.ჭონქაძეს, პ.უმიკაშვილს ...

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ქართველი პროფესორი, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი – ავთანდილ ცოტნიაშვილი (1936-1998), რომლის პუბლიცისტური მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი სწორედ ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების თემატიკას მიეძღვნა, რაც გადმოცემულია მის სადისერტაციო ნაშრომებსა თუ წიგნებში. მათ შორის: „ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ“, „ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან მე-19 ს. შუა წლებიდან დღემდე“; „მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ“ . ავთანდილ ცოტნიაშვილი აგრეთვე სამხრეთ ოსეთის საოლქო რადიოს ხშირი რესპონდენტის რაგნში აშუქებდა საკუთარი კვლევის შედეგებს. ცხოვრების დიდი ნაწილი მიუძღვნა ქართულ-ოსური ურთიერთობების მიმართულებით კვლევით საქმიანობას. სიცოცხლის ბოლომდე ეკითხულობდა ლექციებს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ოსურ ენაზე თარგმნილია მსოფლიო ლიტერატურის შედეგები. ოსი და ქართველი ხალხები საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდნენ კეთილმეზობლურად, ერთობლივად იბრძოდნენ მომხდურთა წინააღმდეგ და ქმნიდნენ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს. ამ საფუძველზე ვითარდებოდა მათი ლიტერატურული ურთიერთობებიც. ამ ურთიერთობათა შორეული სათავეები ჯერ კიდევ ამირანისა და ამრანის მონათესავე ეპოსებიდან მოჩანს. ოსური ლიტერატურის ბევრმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა რუსეთსა და საქართველოს ცენტრებში მიიღეს განათლება, პირველი ოსური ხელნაწერი (1802) შესრულებულია ქართული გრაფიკით იოანე იაღლუზიძის მიერ. ქართული გრაფიკის საფუძველზეა შედგენილი აგრეთვე პირველი ოსური ანბანი (1812). ოსური ფოლკლორის ნიმუშები პირველად 1868 წელს გამოქვეყნდა; მასალები შეადგინეს დ. ჭონქაძემ და გ. ცორაევმა. ქართული თემატიკა და ლიტერატურული მოტივები ოსური ლიტერატურისთვის დასაბამიდანვე ახლობელი იყო. ივანე იაღლუზიძის პოემა „იაღლუზიანი“ (გამოიცა 1885) ერთგვარად ვეფხისტყაოსნის პოეტურ ტრადიცი-

ებს ეყრდნობა. საქართველოს, მის ადამიანებს მიუძღვნა თავისი ნაწარმოებები ბევრმა ოსმა მწერალმა (ნ. ჯუსოითიმ, მ. შავლოხოვმა, დ. ჯისოევმა, კავკაზაგმა, გაფეზმა, გ. ძუგაევმა და სხვებმა).

მკვიდრი ტრადიციები აქვს აგრეთვე ოსურ ენაზე ქართული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას. ვეფხისტყაოსნის ნაწილი პირველად 1938 წელს ითარგმნა, დღეისათვის კი პოემის ორი სრული თარგმანი არსებობს (მ. შავლოხოვის და გ. ბესთაუთის). ოსურ ენაზე თარგმნილია აგრეთვე ქართველი კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ბარათაშვილის, ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, გ. ერისთავის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვათა ნაწარმოებები.

ქართულ ენაზე თარგმნილია ოსური ლიტერატურის მრავალი ნიმუში, რომლებიც თავმოყრილია წიგნებში: „გმირული თაობა“, „სამშობლო“ (ლექსები), კრებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებისა, „თეთრი მწვერვალები“.

საინტერესოა, რა ხდება დღეს და რა თანამედროვე გამოწვევების წინაშე დგას ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობები? საბედნიეროდ, კონფლიქტურმა სიტუაციამ ვერ განწყვიტა მჭიდრო კავშირი და დღეს არაერთი წიგნი გამოიცემა:

2002 წელს „კავკასიურმა სახლმა“ გამოსცა ოსური ფოლკლორი (ქართულ ენაზე თარგმნა ნაირა ბეპიევმა, რუსულ ენაზე მაია გაიდაროვამ). მთავარი რედაქტორი ნაირა გელაშვილი;

2005 წელს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით გამოიცა ოსური ზეპირსიტყვიერება ქართულ და ოსურ ენებზე. წიგნი შეადგინეს და ქართულ ენაზე თარგმნეს ნაირა ბეპიევმა და მერი ცხოვრებოვამ. მთავარი რედაქტორი: ნაირა გელაშვილი, სპეცრედაქტორი: ნინო პოპიაშვილი.

2007 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ქართული მწერლობის ანთოლოგია ოსურ ენაზე და ოსური მწერლობის ანთოლოგია ქართულ ენაზე ორ წიგნად. ქართული მწერლობის ანთოლოგიაში შესულია რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიაჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, რეზო ინანიშვილისა და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებები. ოსური მწერლობის ანთოლოგიაში შესულია: თემირბოლათ მამსუროვის, კოსტა ხეთაგუროვის, ინალ ყანუყათის, სეკა გადიათის, გიორგი ბესთაუთის, ქუძაგ ძესთისა და სხვა ოსი მწერლების ნაწარმოებები.

შემდგენლები: ნაირა ბეპიევი, ნაფი ჯუსოითი, მერი ცხოვრებოვა. მთავარი რედაქტორი: ნაფი ჯუსოითი, რედაქტორი: ნინო პოპიაშვილი.

2008 წელს ფონდ „HORIZON-ის“ ფინანსური მხარდაჭერით გამოცა პირველი ოსი მწერლის, თემირბოლათ მამსუროვის ლექსების კრებული „ოსური სიმღერები“ ქართულ და ოსურ ენებზე. მთარგმნელი: ნაირა ბეპიევი, მთავარი რედაქტორი: ნაფი ჯუსოითი, რედაქტორი: ნინო პოპიაშვილი.

2009 წელს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით გამოიცა „ოსური თქმულებები“ – ქართულ და ოსურ ენებზე. წიგნში პირველად ქვეყნდება ცარციათების ეპოსი, ლეგენდები, თქმულებები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც ჩანერილია სავლეთ ექსპედიციების შედეგად. ტექსტები შეადგინეს ნაირა ბეპიევმა და ნინო პოპიაშვილმა, თარგმნა ნაირა ბეპიევმა, რედაქტორები: თამერლან გურიევი, ზურაბ კიკნაძე.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს პირველად გამოიცა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ევროკავშირისა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის- "COBERM-ის" ფინანსური მხარდაჭერით. წიგნი ოსი და ქართველი მეცნიერების, სწავლულების ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია.

ლექსიკონების შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი ნაირა ბეპიევი.

2014 წელს გამოვიდა ნართების ეპოსის ორენოვანი გამოცემა და ოსურ-ქართული და ქართულ-ოსური ლექსიკონების მეორე გამოცემა. ნართების ეპოსი ქართულ ენაზე თარგმნა პროფ. ნაირა ბეპიევმა. კრებულში შესული ტექსტების დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. ნართების ეპოსი მხატვრულად გააფორმეს ქართველმა და ოსმა მხატვრებმა. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები სრულიად ახალი მოვლენაა ქართველებისა და ოსების კულტურულ-საგანმანათლებლო ისტორიაში. ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული ლექსიკონები მთლიანობაში 50 000-ზე მეტ სიტყვას მოიცავს. ლექსიკონების შემდგენელი და მთავარი რედაქტორია ნაირა ბეპიევი. ლექსიკონებს ერთვის ოსური ენის გრამატიკული ნარკვევი (აკადემიკოსი ვასილ აბაევი) და ქართული ენის გრამატიკული მიმოხილვა (აკადემიკოსი ავთანდილ არაბული). წიგნს დართული აქვს გამოყენების წესები ოსურ და ქართულ ენებზე, ოსური და ქართული ანბანი ტრანსკრიპციით, ასევე – შემოკლებები, განმარტებები და სხვა. ლექსიკონი პირველად გამოცა 2012

ნელს, თუმცა დიდი ინტერესის გამო მისი მეორე გამოცემა განხორციელდა. ნართების ეპოსის ორენოვან გამოცემაზე, ასევე ლექსიკონების გამოცემაზე მუშობდნენ ქართველი და ოსი მეცნიერები და მთარგმნელები თბილისიდან და ცხინვალიდან.

იმ ფონზე, როდესაც რეალურად, ქართველ და ოს ხალხს შორის გეოგრაფიული საზღვრები არსებობს, სასიამოვნო ფაქტია ის, რომ კულტურული ურთიერთობები გრძელდება, რაც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან მკაფიოდ ჩანს. დიპლომატიურ კავშირურთიერთობებთან ერთად, თუ რამეს შეუძლია ამ განწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა – ეს კულტურა და ხელოვნებაა. შესაბამისად, ჩვენ, ახალი თაობა, ვალდებული ვართ გავცნოთ ჩვენი მოძმე ერის კულტურულ მახასიათებლებს, რათა შევძლოთ ჩატეხილი ხიდის აღდგენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) „საქართველოს ეთნოგრაფია“ – როლანდ თოფჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 2010. (გვ. 189-217)
- 2) „ნართები“ (1947წ.) – თარგმნილია ოსურიდან გ.ლეონიძის, გ. გორგიძის და ს. ფაშალიშვილის მიერ (გვ. 7-22)
- 3) „ოსური თქმულებები“, რედაქტორები: ნაირა ბეპიევი და ნინო პოპიაშვილი (გვ. 3-8)
- 4) „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“ – შეკრებილია დუდარ ბეგიზოვის მიერ. 1957 წ. (გვ. 3-22)
- 5) <http://caucasianmosaic.com/index.php?action=2.1&id=8&lang=geo>
- 6) <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A-%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98>
- 7) <http://presa.ge/new/?m=lit&AID=7344>

Jalaghonia Natalia

Tbilisi, Georgia

GEORGIAN - OSSETIAN LITERARY CONNECTIONS - SIMILARITIES AND CONTEMPORARY CHALLENGES

Georgian-Ossetian relations counts several centuries, however, this relationship is not only in the political and geographical aspects to consider, but in cultural fields as well, especially-Literature. Unfortunately, recent problems and the temporary shut-offs between

the two parties, has caused of forgetting a lot of Ossetian cultural monuments, writers, there works, the culture in a variety of prints, etc. However the best way to restore relations, above all, is cultural common features.

The conference theme has the depth character, in which is discussed Ossetian and Georgian literature, non-fiction works outlined various artistic, where are expressed the details of the co-existence of the two brotherly living nations. These are giving us more argument to prove that we have no right to be called one of the enemy or the opposing side.

The topic will discuss a number of South Ossetian and Georgian writers and that the subject of a crossing was former South Ossetian Autonomous Republic. We wonder what similarities have the culture of two brotherly nations, and what are the modern challenges?

Threat to the disappearance of literature on this topic, what is the current Ossetian literature and what it was before the war? How important are these sensitive issues in contemporary writings, etc. The theme will be detailed and we wish the above-mentioned questions to be answered.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge